



Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Arn. Chikobava Institute of Linguistics

**Issues of Georgian Speech
Culture**

Book XX

**Tbilisi
2020**

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი

ქართული სიტყვის კულტურის საკითხები

წიგნი
მეოცე

თბილისი
2020

მეოცე წიგნი (ისევე როგორც წინა წიგნები) მოიცავს წერილებს ქართული სალიტერატურო ენის მართლწერის, მორფოლოგია-სინტაქსისა და ლექსიკა-სტილისტიკის სხვადასხვა საკითხის შესახებ. ყურადღება გამახვილებულია აგრეთვე მწერლის ენასა და სტილზე.

სარედაქციო კოლეგია: ავთანდილ არაბული, შუქია აფრიდონიძე, თეა ბურჭულაძე (მდივანი), გიორგი გოგოლაშვილი, ქეთევან დათუკიშვილი, თამარ ვაშაკიძე (რედაქტორი), გუჩა კვარაცხელია, მაკა ლაბარტყავა, ვახტანგ მაღრაძე, ნანა მაჭავარიანი, თეა ტეტელოშვილი, ლია ქაროსანიძე, მედეა ღლონტი, ვაჟა შენგელია, ინგა ჯიბუტი, ნინო ჯორბენაძე

ტექნიკური რედაქტორი – ლევან ვაშაკიძე

ოპერატორი – რუსუდან რატიანი

© თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN

ს ა რ ჭ ე ვ ი

ი ვ ა ნ ე გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი – ს ი ტ ყ ვ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ს თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ა ნ ი „ ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ შ ი “ (სახელთაგან სახელთა წარმოება, ნაზმნარი სახელები, ნასახელარი ზმნები)	9
ნ ო დ ა რ ა რ დ ო ტ ე ლ ი – ზ ო გ ი და ლ ე ს ტ ნ უ რ ი ე თ ნ ო - ნ ი მ ი ს ტ რ ა ნ ს ლ ი ტ ე რ ა ც ი ს შ ე ს ა ხ ე ბ ქ ა რ თ უ ლ შ ი . III	29
N o d a r A r d o t e l i – O n t h e T r a n s l i t e r a t i o n o f t h e s o m e D a g e s t a n i a n E t h n o n y m s i n t o G e o r g i a n . III	37
თ ე ა ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე – შ ე რ წ ყ მ უ ლ ი დ ა ნ ა რ თ ი ს მ ა რ თ ლ - წ ე რ ა	38
T e a B u r c h u l a d z e – O n S p e l l i n g C o m p o u n d s	45
გ ი ო რ გ ი გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი – ო ს ე ბ ყ ი ფ შ ი ძ ე და ქ ა რ თ უ - ლ ი მ ა რ თ ლ წ ე რ ა	47
G i o r g i G o g o l a s h v i l i – J o s e b K i p s h i d z e a n d G e o r g i a n S p e l l i n g	62
თ ა მ ა რ ვ ა შ ა კ ი ძ ე – ა რ , ა რ ა , ა რ ც ნ ა წ ი ლ ა კ - ფ ო რ მ ა ნ ტ ა თ ა მ ა რ თ ლ წ ე რ ი ს ა თ ვ ი ს	64
T a m a r V a s h a k i d z e – O n S p e l l i n g t h e P a r t i c l e - A f f i x e s <i>ar</i> , <i>ara</i> , <i>arc</i>	71
მ ა კ ა ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა – დ ა რ ლ ვ ე ვ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ე რ თ ი ს ა ხ ი ს კ ო მ პ ო ზ ი ტ ა და წ ე რ ი ლ ო ბ ი ს ა ს (კ ო მ პ ო ზ ი ტ ი ს პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა წ ი ლ ი რ ი ც ხ ვ ი თ ი ს ა ხ ე ლ ი ა)	72
M a k a L a b a r t k a v a – O n I m p r o p e r S p e l l i n g o f O n e T y p e o f C o m p o u n d s (T h e F i r s t P a r t o f t h e C o m p o u n d s I s a N u m e r a l)	77

ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ა ლ რ ა ძ ე – უცხოურ სახელწოდებათა უმარ- თებულოდ გამოყენების ერთი შემთხვევისათვის	79
V a k h t a n g M a g h r a d z e – On a Case of Using Foreign Names Incorrectly	82
თ ა მ ა რ ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი – ურიცხვო სახელთა მრავლო- ბითობის ტენდენცია ქართულში	83
T a m a r S u k h i s h v i l i – A Tendency to Use Plural Forms of the Uncountable Nouns in Georgian	99
თ ე ა ტ ე ტ ე ლ ო შ ვ ი ლ ი – „საერთოს“ შემცველი კომ- პოზიტური სიტყვების დაწერილობისათვის	100
T e a T e t e l o s h v i l i – On Spelling the Compounds Containing the Word <i>saerto</i>	105
მ ე დ ე ა ლ ლ ო ნ ტ ი – მიზეზისა და მიზნის მრჩობლად აღბეჭდილი სინტაქსური ფუნქციის გამო ქართულში	106
M e d e a G h l o n t i – On the Syntactic Function of Cause and Purpose in Georgian	121
ვ ა ჟ ა შ ე ნ გ ე ლ ი ა – გზა, მეგზე... ..	122
V a z h a S h e n g e l i a – gza, megze... ..	127
მ ა ნ ა ნ ა ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე – ერთი პოპულარული სიტყვის შე- სახებ (<i>ფინტიკოსა</i>) უახლეს ქართულში	128
M a n a n a C h a c h a n i d z e – About the Common Word <i>pintikosa</i> in Modern Georgian	131
ს ო ფ ი კ ო ჭ ა ა ვ ა – სალიტერატურო ენის ნორმალიზაცი- ის ისტორიისათვის 1920-1921 წლებში (საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული მასალების მიხედვით)	132
S o p i k o C h a a v a – For the History of the Literary Language Normalization in 1920-1921 (According to the Archival Materials Preserved in the National Archives of Georgia)	146

ნ ი ნ ე ლ ი ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე – ჩიტებისა და მათი ხმიანობის ამსახველი ლექსიკა რ. ინანიშვილის ენის მიხედვით	148
N i n e l i C h o k h o n e l i d z e – Vocabulary Related to Birds and the Sounds They Make Based on R. Inanishvili's Language	159

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

აკად. ნ. მარის სახელობის ინსტიტუტი

ივანე გიგინეიშვილი

ს ი ტ ყ ვ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ს თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ა ნ ი
(სახელთაგან სახელთა წარმოება, ნაზმნარი სახელები,
ნასახელარი ზმნები)

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია

თბილისი 1944

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა

- A. შესავალი. ცნობები „ვეფხისტყაოსნის“ ენის შესწავლის ისტორიიდან
 - B. „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვაწარმოების მიმოხილვა
 - 1. სახელთაგან სახელთა წარმოება „ვეფხისტყაოსანში“
 - ა. ოდენპრეფიქსული წარმოება
 - ბ. პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოება
- გ. ზედსართავ სახელთა უფროობითი ხარისხის ფორმათა წარმოება
 - II. ზმნათაგან სახელების წარმოება „ვეფხისტყაოსანში“
 - 1. მასდარის წარმოება
 - 2. მიმღობათა წარმოება
 - ა. ვნებითი გვარის მიმღობათა წარმოება

- ა. ოდენსუფიქსური წარმოება
- ბ. ოდენრეფიქსული წარმოება
- გ. პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოება
- b. მოქმედებითი და საშუალო გვარის მიმღობათა წარმოება
 - ა. ოდენპრეფიქსული წარმოება
 - ბ. პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოება
- C. უარყოფით მიმღობათა წარმოება
- III. ნასახელარ ზმნათა წარმოება
- a. ვნებითი გვარის ნასახელარ ზმნათა წარმოება
 - ა. -დ სუფიქსით წარმოება
 - ა) ერთპირიანი ზმნები
 - ბ) ორპირიანი ზმნები
 - გ) ი- პრეფიქსით წარმოება
 - დ) ე- პრეფიქსით წარმოება
- b. საშუალო გვარის ნასახელარ ზმნათა წარმოება
 - ა) ერთპირიანი ზმნები
 - ბ) ორპირიანი ზმნები
- c. მოქმედებითი გვარის ნასახელარ ზმნათა წარმოება
- C. ანალოგიები და შედარებანი ზოგიერთი სხვა ძეგლის ენასთან
- D. ძირითადი დასკვნები

ძ ი რ ი თ ა დ ი დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი

თავი რომ მოვუყაროთ ყველაფერს იმას, რაც აქამდე ითქვა სიტყვაწარმოების თავისებურებათა შესახებ „ვეფხისტყაოსანში“, ასეთი სურათი წარმოგვიდგება:

სახელისაგან სახელების წარმოებისას უმთავრეს თავისებურებად საწარმოებლად უჩვეულო ფუძეების ადება გვევლინება, წარმოების ტიპი კი უმეტეს შემთხვევაში ჩვეულებრივია. წარმოება ისეთი ფუძისაგან ხდება, რომელთაგან ჩვეულებრივად არ მიიღება ასეთი სიტყვა (**ღმრთიანი**, **გულმარხიანი**...), ან ისეთი მეტყველების ნაწილისაგან, რომლისაგანაც არ იწარმოება ჩვეულებრივ სახელები

(რიანი...); ზოგჯერ ჩვეულებრივი წარმოების სიტყვა გვაქვს უჩვეულო, მაგრამ მეტად მოხდენილ ეპითეტად გამოყენებული (**მზიანი, მთვარიანი, დარიანი...**), ან კიდევ ნაწარმოებ სიტყვას ჩვეულებრივისაგან განსხვავებული მნიშვნელობა აქვს მიცემული, მაგალითად, სახელისაგან ნაწარმოებ სახელს მიმღეობური მნიშვნელობა ენიჭება (**სირცხვილიანი, ღალატიანი, ვაგლახიანი...**); მეტისმეტად ფართოდაა გამოყენებული კნინობითობის **-ა** სუფიქსი, იმდენად ფართოდ, რომ ხელოვნური წარმოების შთაბეჭდილებას ტოვებს; ყურადღებას იპყრობს **-ეთ** სუფიქსის გამოყენება საზოგადო სახელის საწარმოებლად (**გზეთი**) და **-ურ** სუფიქსისა ადამიანთა სადაურობის გადმოსაცემად (**მისრული**), აბსტრაქტული სახელების წარმოება ზედსართავ სახელთა ფუძეებისგან **-ობ-ა** სუფიქსით ფართოდაა წარმოდგენილი (**გრძელობა, ჰრელობა, დიდობა...**); ამავე სუფიქსით იწარმოება სახელები საკუთარ სახელთა ფუძეებისაგან (**ავთანდილობა, ფატმანობა**); **უ-ო** აფიქსებითაა ნაწარმოები სახელები უარყოფითი მნიშვნელობით ზედსართავ სპხელთა ფუძეებისაგან (**უბოროტო, უბშირო, უმაგრო...**), მსაზღვრელ-საზღვრულისაგან (**უმისყმოდ, უმისყამისოდ...**); ადამიანთა სადაურობის აღმნიშვნელი სახელები **მო-ე** აფიქსებით იწარმოება (**მოზაღდადე, მოფრანგე...**); ერთი მაგალითი ადამიანთა სადაურობის აღმნიშვნელი სახელის ძველი, **მ-ელ** აფიქსებით წარმოებისაც გვაქვს (**მეგვიბტელი**); ჩვეულებრივია ერთისა და იმავე ფუძისაგან პარალელური წარმოება სხვადასხვა აფიქსებით (**სინაზე** და **ნაზობა, სიგრძე** და **გრძელობა...**) და მრავალი სხვა.

განსაკუთრებული ინტერესის აღმძვრელია ზედსართავ სახელთა უფროობითი ხარისხის ფორმების წარმოება „ვეფხისტყაოსანში“. პოემაში ორგვარი წარმოება დადასტურდა: ერთი, რომელიც ახალი ქართულისათვის წარმოადგენს ერთადერთ ფორმას, ძველი სალიტერატურო ქართულის ფორმის გამარტივებული სახეობაა, დიფთონგის გამონოფთონგების შედეგად მიღებული, და მაწარმოებლბად **უ-ე, უ-ო** აფიქსები აქვს, რომელთაც ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტი დაერთვის, – და მეორე, უამფორმანტო, რომელშიაც ოდენ **უ-** პრეფიქსი და **-ე** ან **-ო** სუფიქსი გვაქვს მაწარმოებლად. პირველი სახის წარმოება ჩვეულებრივი და ძირითადია „ვეფხისტყაოსანში“, მეორე სახისა – შედარებით იშვიათი. სულ ოცდახუთიოდე ფორმა და ოთხმოციოდე მაგალითია პოემაში უფროობითი ხარისხისა და ამათგან მხოლოდ ხუთი ფორმა და თორმეტი მაგალითი

გვხვდება ოდენ **უ-ე** აფიქსებიანი წარმოებისა და ერთი მაგალითიც **უ-ო** აფიქსებიანი წარმოებისა. ერთი შეხედვით, თითქოს განსხვავებული სინტაქსური ფუნქციებიც გააჩნიათ ამ ორ სხვადასხვაგვარი წარმოების სახელებს. როგორც ცნობილია, უფროობითი ხარისხის ფორმები გარკვეულს სინტაქსურს დამოკიდებუელბაშია შესადარებლად აღებული საგნის სახელთან: ხარისხის ფორმა ბრუნვაში მართავს ამ სახელს. აი, სწორედ ამ მხრივ შეიმჩნევა თითქოს განსხვავება ზემოდასახელებულ ორგვარ წარმოებას შორის „ვეფხისტყაოსანში“: ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტდართული ფორმა უფროობითი ხარისხისა ნათესაობით ბრუნვაში მართავს სახელს, ხოლო უფორმანტო – მიცემითში.

ერთი მხრივ გვაქვს:

- „მე სიძესა **ავთანდილის** უკეთესსა ვპოვებ ვერა“.
- „მე შევუთვალე: „მეფეო, ვარ უმაგრესი **რვალისა**“.
- „ბროლი და ლალი შევიქმენ მე ულურჯესი **ლალისა**“.
- „არ სასმენლისა მოსმენა არს უმჟავესი **წმახისა**“.
- „მე რად გავწირო მოყვარე, ძმა უმტკიცესი **ძმობისა**“.
- „მითხრა: „შენ ჩემთვის, დედაო, ხარ უმჯობესი **დედისა**“.
- „ტარიელ პირსა ციმციმი აქს, უნათლესი **ზაზმისა**“.
- „ხელთა ნაჭედი მათრახი ჰქონდა უსხოსი **მკლავისა**“.
- „არს გული თქვენი საჩემო უფროსი **ძმისა** სრულისა“.
- „ბროლი და ლალი გასრულვარ **ქარვისა** უყვითლესადრე“.
- „ნუცა მე მომკლავ ჭირითა, **ამისგან** უარესითა“ და სხვა.

ხოლო მეორე მხრივ:

- „ვინ **მზესაცა** უნათლეა, ისრე ვითა ბროლი **ფისსა**“.
- „პირი მისი უნათლეა **სინათლესა** ზესთა-ზესა“.
- „რა უამეა პირის-პირ საყვარელისა **ჭვრეტასა**“.
- „რა უარეა **მამაცსა** სულ-დიდსა, წასვლა-გვიანსა“.
- „რა უარეა **მამაცსა**, ომშიგან პირის-მხმეჭელსა“

მაგალითების დიდ უმრავლესობაში შესადარებელი საგნის სახელი არაა წარმოდგენილი წინადადებაში და, მაშასადამე, მოკლებული ვართ საშუალებას გავარკვიოთ, თუ რომელ ბრუნვაში მართავს ასეთ სახელს საერთოდ ხარისხის ფორმა, მაგრამ სადაც ასეთი სახელი გვაქვს, თითქოს ზემოაღნიშნული ტენდენცია შეიმჩნევა.

მეორეცა და: ერთი შეხედვითვე ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ოდენ **უ-ე** ან **უ-ო** აფიქსებიანი ფორმები უფროობითი

ხარისხისა მხოლოდ შედგენილი შემასმენლის შემადგენლობაში იხ-
მარებოდეს, ამ შემასმენლის სახელად ნაწილად*.

„შენ **უმართლე ხარ**, ემდურვი, შენ გაეყარე ძმობილსა“.

„ყმაძან უთხრა: **უმართლე ხარ**, არ მამართლო მდურვად
მისად“.

„მან უბრძანა: „რაცა გითქვამს, **უმართლე ხარ** მეტიმეტად“.

„**უმართლეა**, ვერ მჭურეტელმან თუ პატიჟნი იასოცნეს“.

„ვინ მზესაცა **უნათლეა**, ასრე ვითა ბროლი ფისსა“.

„პირი მისი **უნათლეა**, სინათლესა ზესთან-ზესა“.

„მაგრამ მეტი **უარეა** არა თქმა და ჭირთა მალვა“.

„რა **უარეა** მამაცსა სულ-დიდსა, წასვლა-გვიანსა“.

„რა **უარეა** მამაცსა, ომშიგან პირის-მხმეჭელსა“ და სხვ.

ასეა ეს ერთი შეხედვით. მაგრამ თუ ჯეროვნად ჩავუკვირდე-
ბით საქმის ვითარებას, დავრწმუნდებით, რომ აქ რაიმე კანონზომი-
ერ დიფერენციაციასთან საქმე არა გვაქვს. მხოლოდ „ვეფხისტყაოს-
ნის“ მასალაც კი დაგვაეჭვებდა ამაში. საქმე ისაა, რომ პოემაში ოდენ
უ-ე, უ-ო აფიქსებიანი ფორმები უფროობითი ხარისხისა ყოველთვის
მიცემით ბრუნვაში არ მართავს შესადარებლად აღებულს საგნის სა-
ხელს, გვაქვს შემთხვევა ნათესაბით ბრუნვაში მართვისაც:

„იგი მით აკრთობს ელვასა **მზისაცა** უთამამოსა“.

ამ შემთხვევაში ოდენ **უ-ო** აფიქსებიანი წარმოება გვაქვს, მაგ-
რამ შესადარებლად აღებულს საგნის სახელი ნათესაობით ბრუნვა-
შია მართული. ერთ მაგალითში კიდევ აღარ ხერხდება იმის გარკვე-
ვა, ნათესაობით ბრუნვაშია მართული შესადარებლად აღებულს სა-
გნის სახელი, თუ მიცემითში, რადგან **-თ** სუფიქსიანი მრავლობითის
ფორმითაა იგი წარმოდგენილი:

„მოკვეე, მამაო, მე შენთვის შვილი, ყოველთა უარე...“

ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტდართული ფორმა უფროო-
ბითი ხარისხისა რომ მიცემითში მართავდეს სახელს, ამისი მაგალი-
თი „ვეფხისტყაოსანში“ არა გვაქვს.

რაც შეეხება მეორე საკითხს, აქ უფრო ნათელია საქმის ვითა-
რება. ზემოდასახელებული მაგალითების გვერდით, როცა ოდენ **უ-ე**
აფიქსიანი ფორმა უფროობითი ხარისხისა შედგენილი შემასმენლის

* დაახლოებით ასეთი აზრი გამოუთქვამს ს. ყაუხჩიშვილს ზემოაღნიშნული მოხსე-
ნების გარშემო გამართული მსჯელობისას.

სახელადს ნაწილად იყო წარმოდგენილი, გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა ამგვარი წარმოების სიტყვა შედგენილი შემასმენლის ნაწილს არ წარმოადგენს:

„მოკვვე, მამაო, მე შენთვის შვილი, ყოველთა უარე...“

„ფრიდონ უთხრა: „რასა სდეგით? მოგელოდი უწინარე“.

ამას გარდა, ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტდართული ფორმებიც გვხვდება შედგენილი შემასმენლის სახელადს ნაწილად; მეშველი ზმნა ხშირად სახელადი ნაწილის წინაა დასმული:

„**არს უკეთესი**, რაცალა სწადს განგებასა ზენასა“.

„ვართ **უმოყვრესნი** მე და შენ ყოველთა პატრონ-ყმათასა“.

„არ სასმენლისა მოსმენა **არს უმეავესი** წამხისა“.

„ზროხა და ცხვარი დაკლული არს **უმრავლესი** ხავსისა“.

„მითხრა: „შენ ჩემთვის, დედაო, ხარ **უმოჯბესი** დედისა“ ...

მართალია, ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითები ბევრია, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ საერთოდ ოდენ **უ-ე, უ-ო** აფიქსებია-ნი წარმოების მაგალითებიც რამდენიმეა.

ყოველგვარი ეჭვი გაიფანტება, თუ რუსთველის ეპოქის და აგრეთვე შემდეგდროინდელი ზოგი ძეგლის ჩვენებასაც მოვიშველიებთ. ზემოთ ჩვენ საშუალება გვქონდა გვეჩვენებინა, რომ სავსებით ვეფხისტყაოსნისებური წარმოება გვხვდება უფროობითი ხარისხის ფორმებისა იოანე პეტრიწის თხზულებებშიც. იქაც გვხვდება ოდენ **უ-ე, უ-ო** აფიქსებიანი წარმოება. კიდევ მეტი: პეტრიწის ნაწერებში გაცილებით უფრო ხშირია ასეთი ფორმები*.

ასეთი ფორმების ფუნქციები პეტრიწთანაც ისეთივეა, როგორიც „ვეფხისტყაოსანში“, ოღონდ აქ მეტი სიცხადით დასტურდება, რომ ზემოთ წარმოდგენილი დიფერენციაცია მოჩვენებითი ხასიათისაა. მართალია, ერთი მხრივ, გვაქვს მიცემით ბრუნვაში მართვის შემთხვევები: ... რამეთუ მი ი ხ ე ხ ს ა უადრეა მიზეზოანი“ (II ტ.,

* ამ ფაქტს ყურადღება მიაქცია ს. ყაუხჩიშვილმა. მან აღნიშნა, რომ პეტრიწთან შედარებით ხარისხის ჩვეულებრივი წესით წარმოების გვერდით „საკმაოდ ხშირია შემთხვევა უსანო წარმოებისა“. ამის შესახებ მკვლევარი წერდა: „როგორც ჩანს, **უ-ეს**-ის გვერდით ცოცხალი იყო ხალხში **უ-ე** ფორმები“-ო. მანვე აღნიშნა, რომ „ვეფხისტყაოსანშიც“ საკმაოდ ხშირია **უ-ე**-თი ნაწარმოები შედარებითი ხარისხი და სათანადო მაგალითებიც მოიყვანა პოემიდან (იოანე პეტრიწის შრომები, ტ. I, სიმ. ყაუხჩიშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და ლექსიკონით, ტფილისი, 1937, LX, I-II შენიშვნა. II, 1940).

91, 3), რამეთუ უმარტივე არს მიზეზი მ ი ზ ე ზ ო ა ნ ს ა (ტ. II, 80, 33), მაგრამ ამის გვერდით, მეორე მხრივ, ნათესაობით ბრუნვაში მართვის შემთხვევა გვხვდება: ... ხოლო რომელიმე ვითარ უარე ც ხ ო ვ - ლ ო ბ ი ს ა (II, 151, 18); არის ისეთი შემთხვევებიც, როცა გარჩევა არ შეიძლება: ... ვითარმედ პირველნი და მოახლენი თვსთა დასაბამთადასა უსრულე არიან თვსთა უ შ ე მ დ გ ო მ ე ს თ ა (II, 81, 18). ამას გარდა, ისეთი შემთხვევებიც გვხვდება, როცა ერთსა და იმავე წინადადებაში ორნაირი ფორმა არის ერთად: „რამეთუ ყოველი ძალი და მოქმედება მიზეზთა შორის უ წ მ ი დ ე და უ ი ლ ი კ რ ი ნ ე ს ჰ გიეს ვიდრე მიზეზთანთა შორის“ (II, 55, 20).

კიდევ უფრო ცხადი გახდება ყველაფერი, თუ ზოგიერთი სხვა ძეგლის ჩვენებასაც მივმართავთ. საკმაოდ ხშირია ოდენ **უ-ე** აფიქსებიანი წარმოება უფროობითი ხარისხისა „ვისრამიანში“. თუ „ვეფხისტყაოსანში“ და იოანე პეტრიწთან მაინც ამგვარი ფორმების მიერ სახელის მიცემით ბრუნვაში მართვის შემთხვევები სჭარბობდა ნათესაობით ბრუნვაში მართვის შემთხვევებს, „ვისრამიანში“ საწინააღმდეგო სურათს ვხვდებით: აქ ნათესაობით ბრუნვაში მართვის შემთხვევები გაცილებით მეტია, ვიდრე მიცემით ბრუნვაში მართვისა.

შესადარებლად აღებული საგნის სახელი მიცემით ბრუნვაშია მართული შემდეგ მაგალითებში:

„...გაზაფხულ წალკოტი თუცა კეკლუცია, რამინის პირი ათასჯერ მ ა ს უტურფე იყო“ („ვისრამიანი“, გვ. 53, სახელგამის გამოცემა 1938 წლისა, აღ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედაქციით).

„ერთმანეთისა მოკვლისათუის მოყუარე მ ტ ე რ ს ა უარე იყო (გვ. 25).

„უკეკლუცე იყო ნ ა რ გ ი ს ს ა ნ ა მ ი ა ნ ს ა“ (გვ. 62).

მაგრამ შესადარებლად აღებული სახელი ნათესაობით ბრუნვაშია მართული შემდეგ მაგალითებში:

„ლარი და საჭურჭლე მათი მთისაგან უმძიმესი იყო და შეჭირვება ზ ო ს ა გ ა ნ უსუბუქე“ (გვ. 6).

„და შენ თუით შელოცვა უკეთუ იგი ყ ო ვ ლ ი ს ა კაცისაგან“ (გ.ვ. 59).

„ახალ ს ძ ლ ი ს ა გ ა ნ ც ა უკეკლუცენიცა იყვნეს... – ყველა ერთ მ ა ნ ე რ თ ი ს ა გ ა ნ უკეკლუცე იყო“ (გვ. 6).

„რათგან მისი ნანადირები ქუეყანასა ზედა ცისა მ ზ ი ს ა გ ა ნ უკველუცე იყო, ჳამდა მისთვის დიდი ჳირის ნახვა“ (გვ. 36).

„შუენება ს ა მ ო თ ხ ი ს ა უამეა მაგას, რომელ შენ მაწუევ“ (გვ. 81).

„წედ ციხესა და ქ ა რ ი ს ა გ ა ნ ც ა უმაღ მიდი ორასის კაცი-თა“ (გვ. 156).

„შიკრიკმან გამოულო წიგნი და ქ ა რ ი ს ა გ ა ნ უმაღე იარა“ (გვ. 192).

„მოეკიდა რამინ და ზე გავიდა ვ ე ფ ხ ი ს ა გ ა ნ ც ა უკისკა-სედ“ (გვ. 142).

„რა გავფიცხდი, ჳ რ მ ლ ი ს ა გ ა ნ უმკუეთე ვიყავ“ (გვ. 191).

ოლონდ ეს კია, რომ უმეტეს შემთხვევაში **-გან** თანდებულიანი ნათესაობითია.

ერთი შემთხვევა ოდენ **უ-ო** აფიქსებით წარმოებისაც გვაქვს და აქაც ხარისხის ფორმა შესადარებლად აღებული საგნის სახელს ნათესაობით ბრუნვაში მართავს:

„მამისა ჩემისა ტკივილი ა მ ი ს ა გ ა ნ უმცრო არ ეგების“ (გვ. 49).

მაგრამ კიდევ მეტი: ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტიანი ფორმა უფროობითი ხარისხისა მიცემით ბრუნვაში მართავს შესადა-რებლად აღებულ სახელს:

„არცა შე ე თ უ ლ ი ლ ო ბ ა შე ნ ს ა უამესი მასმია“ (გვ. 140)*.

სავსებით ანალოგიური ვითარება გვაქვს უფრო გვიანდელი ხანის ზოგიერთ ძეგლშიც. მაგალითად, „რუსუდანიანშიც“ გვხვდება ოდენ **უ-ე** აფიქსებიანი წარმოება ხარისხებისა:

„უ ფ ი ც ხ ლ ე დ და უ ფ ი ც ხ ლ ე დ იბრძოდიან მეფენი“ (სა-ქართველოს ცენტრარქივის ხელნაწერი № 102, იოანე ბატონიშვილი-სეული, გვ. 102 U).

* ამისგან დამოუკიდებლად ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ „ვისრამიანში“ არა ერთი შემთხვევა გვაქვს, როცა უფროობითი ხარისხის ფორმები არსებით სახელთა და მიმ-ლობათა ფუძეებისაგანაა ნაწარმოები: „ახლად კულა აელვდა დარბაზი ჳელმწიფეთა ჳელმწიფისა მთუარეთა **უმთუარესისა** ვისის პირისაგან“ (გვ. 156); „ჳე, ჳელმწიფეთა **უკელმწიფესო!** შენისა სიძობისაგან უკეთესი ჩუენ არა წავგვეკიდების“ (გვ. 7); „აჳა, თავი ჩემი შენსა წინაშე მონისაგან **უმონესია**“ (გვ. 54); „ჳე, საყუარელო მოყუარეო, სულთაგან **უსარჩევესო**“ (გვ. 323).

„იყო მიჯლიში ყოველთა მიჯლიშთა უ დ ი დ ე და ყოვლის-
თანა რიგი და წესი უ ტ უ რ ფ ე და უ მ რ ა ვ ლ ე“ (იქვე, გვ. 111 Z, საქ.
მუზეუმის ხელნაწერი S 3698, დ. ჩუბინაშვილისეული, გვ. 239) და
მრავალი სხვა.

„რუსუდანანშიც“ გვხვდება შემთხვევები შესადარებლად
აღებული საგნის სახელის მიცემით ბრუნვაში მართვისა:

„რა უამეა ორთავე ჩემთა დათა ერთად ნ ა ხ ვ ა ს ა ო“ (იაონე
ბატონიშვილისეული ხელნაწერი, გვ. 106 Z).

მაგრამ უფრო ხშირია ნათესაობით ბრუნვაში მართვის შე-
მთხვევები: „უბოძა... ორმოცი ცხენი ქ ა რ ი ს ა გ ა ნ უფიცხე, ოქროს
იარადითა დაკაზმული“ (დ. ჩუბინაშვილისეული ხელნაწერი,
გვ. 233).

„მის ახლისა კელმწიფისა ს უ ფ რ ი ს ა გ ა ნ უდიდე იყო მისი
სუფრა, სუფრის იარადი უმრავლე“ (დ. ჩუბინაშვილისეული ხელნა-
წერი, გვ. 233). და ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტდართული ფორ-
მის მიერ სახელის მიცემით ბრუნვაში მართვის შემთხვევებიც
გვაქვს:

„ნებამყოფელი პატრონყმობა უამესია ყ ო ვ ე ლ ს ა ს ა -
ყ ვ ა რ ლ ო ბ ა ს ა“ (იაონე ბატონიშვილისეული ხელნაწერი, გვ. 113
U, დ. ჩუბინაშვილისეული ხელნაწერი, გვ. 243).

ასეთივე სურათია „დიდმოურავიანშიც“: „თან დავიდევნო
ლაშქარი, უმრავლე ზ დ ვ ი ს ა ქ ვ ი შ ი თ ა“* („დიდმოურავიანი“
იოსებ ტფილელისა, გ. ლეონიძის რედაქციით, თბილისი, 1939; 39/2)
და სხვაგანაც, მაგრამ, ვფიქრობთ, მოყვანილი ნიმუშებიც საკმარი-
სია.

როგორი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს აქედან? მხოლოდ ის,
რომ შთაბეჭდილება, თითქოს ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტ-
დართულ და უამფორმანტო წარმოებას განსხვავებული სინტაქსური
ფუნქციები ჰქონდეს „ვეფხისტყაოსანში“, მოჩვენებითია. ამას ეწინა-
აღმდეგება, ჯერ ერთი, თვით „ვეფხისტყაოსნის“ მასალა და, მეორეც,
ასეთ დასკვნას სავსებით აბათილებენ სხვა ძეგლების ჩვენებანი.
ოდენ უ-ე, უ-ო აფიქსებიანი ფორმა უფროობითი ხარისხისა მართავს

* ქ ვ ი შ ი თ ა აქ მოქმედებით ბრუნვაშია წარმოდგენილი, მაგრამ ეს სრულიად
ხელოვნური ფორმაა, რითმის საჭიროებით გამოწვეული; რა თქმა უნდა, ნათესაო-
ბითი ბრუნვის ფორმა უნდა ყოფილიყო.

შესადარებლად აღებული საგნის სახელს მიცემით ბრუნვაშიც და, არა უფრო იშვიათად, თუ უფრო ხშირად არა, ნათესაობით ბრუნვაშიც. ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტდართული ფორმა, მართალია, უამეტეს შემთხვევაში ნათესაობით ბრუნვაში მართავს სახელს, მაგრამ არც მიცემით ბრუნვაში მართავს გამორიცხული. გარდა ამისა, ერთიცა და მეორეც შეიძლება შედგენილი შემასმენლის სახელადს ნაწილად მოგვევლინოს, მაგრამ შეიძლება არც ერთი არ შედიოდეს ასეთი შემასმენლის შემადგენლობაში.

მაინც როგორ უნდა აიხსნას უფროობითი ხარისხის ფორმების მიერ სახელის ორ ბრუნვაში მართვა? ვფიქრობთ, აქ საქმე უნდა გვეკონდეს იმავე რიგის მოვლენასთან, რომელიც სახელის ფუძეს შერწყმული ზოგიერთი თანდებულისა და გათანდებულეული ზმინსართის მიერ სახელის ბრუნვაში მართვისას აქვს: სახელი ზოგჯერ მიცემით ბრუნვაშია მართული და ზოგჯერ ნათესაობითში, ე. ი. ანალოგიური ვითარებაა იმისა, როგორიცაა, ვთქვათ, იმავე „ვეფხისტყაოსანში“, ერთი მხრივ, რომ არის „შემოვიდა მასა წინაშე თინათინის მონა ზანგო“ ან: „ზღვათა მეფესა წინაშე გაგზავნა მხარობელი“... და, მეორე მხრივ: „დღისით ვიყვი მის წინაშე, გამიშვებდის არცა ძილსა“.

რაც შეეხება უფროობითი ხარისხის ფორმას დესი („აწ მოყვარე გიპოვნევიარ დისაგანცა უფრო დესი“), იგი ორმხრივია საინტერესო: ერთი მხრივ, იმით, რომ არსებითი სახელისაგანაა ნაწარმოები უფროობითი ხარისხის ფორმა, და, მეორე მხრივ, იმით, რომ უპრეფიქსო წარმოება გვაქვს. არსებითი სახელისაგან ხარისხის წარმოების თვალსაზარისით „ვეფხისტყაოსანი“ განმარტოებით არა დგას, ასეთი ფორმები სხვაგანაც გვხვდება და უფრო ხშირადაც: იოანე პეტრიწის თხზულებებში, „თამარიანში“, „ვისრამიანში“... რაც შეეხება უპრეფიქსოდ წარმოებას, ამ მხრივ ეს ერთადერთი ფორმაა არამარტო „ვეფხისტყაოსანში“, არამედ მთელ ქართულ სალიტერატურო ენაშიც არ გვეგულება და არც დიალექტებში გვხვდება. ცხადია, აქ ხელოვნურ წარმოებასთან გვაქვს საქმე, რომელიც ისე მოხდენილად არის ნახმარი რუსთველის მიერ, რომ არც კი გვეხამუშება.

მასდარის განხილვისას ყურადღებას იპყრობს მათი უპრევერბოდ ხმარება, რაც, თავის მხრივ, უკავშირდება ზმნების უპრევერბოდ ხმარებას პოემაში. უფრო საყურადღებოა მასდარის სისტემატურად -5 სუფიქსიან მრავლობითში ხმარება, რაც უმთავრესად

ლექსის მოთხოვნით არის განსაზღვრული და ხელოვნური ხასიათის მქონეა. ყურადღებას იპყრობს აგრეთვე მასდარის წარმოებისას ამოსავლად სხვადასხვა ფუძის აღება – ხან აწმყოს ფუძისა და ხანაც ნამყო წყვეტილისა – და ერთისა და იმავე ზმნის მასდარის სხვადასხვა ფორმის პარალელურად ხმარება.

მიმღეობის წარმოებისას ფორმათა დიდი სიუხვე გვაქვს „ვეფხისტყაოსანში“. ამისი მიზეზი, ერთი მხრივ, ისაა, რომ რუსთველი ერთისა და იმავე ტიპის მიმღეობის წარმოებისას ამოსავლად ზმნის სხვადასხვა ფუძეს იყენებს (აწმყოსას, ნამყო წყვეტილისას, მასდარში გამოვლენილს...), ხოლო, მეორე მხრივ (და ეს უმთავრესია), ის, რომ საწარმოებელი აფიქსებია გამოყენებული თავისებურად. ხშირად ეს აფიქსები ჩვეულებრივ ხმარებული აფიქსებია, მაგრამ პოეტი მათ ნებისმიერად იყენებს: ერთი ტიპის მიმღეობის საწარმოებელ აფიქსებს მეორე ტიპის მიმღეობის საწარმოებლად იღებს და პირუკუ. ერთისა და იმავე ზმნისაგან ერთისა და იმავე ტიპის მიმღეობები სხვადასხვა აფიქსებითაა ნაწარმოები. ხშირად ისეთი აფიქსები გვხვდება, რომლებიც ჩვეულებრივ არ არის გამოყენებული ენაში. ყველაფერი ეს იწვევს მიმღეობის წარმოების ტიპთა სიუხვესა და მრავალფეროვნებას პოემაში. ბევრ შემთხვევაში ფორმები ხელოვნურია და ლექსის მოთხოვნილებებითაა განსაზღვრული.

მაგრამ კიდევ უფრო თავისებურია და საყურადღებო „ვეფხისტყაოსანში“ სახელთაგან ზმნების წარმოება. აქ იშლება პოეტის სიტყვათშემოქმედება მეტისმეტად ფართოდ, აქ პოულობს იგი ფართო გასაქანს. რუსთველი მეტყველების ყოველგვარი ნაწილისაგან აწარმოებს ზმნის ფორმებს და ვირტუოზულად იყენებს მათ თავისი მიზნებისათვის.

ჩვენ ვნახეთ, რომ რუსთველი განმარტოებით არ დგას. მსგავსი მოვლენები (და ხშირად უფრო ფართოდ წარმოდგენილი) გვხვდება იოანე პეტრიწის თხზულებაში (და აქედან შემდგომ პეტრიწონული სკოლიდან გამოსულ ძეგლებში), მეხოტბებთან და სხვაგან. მაშასადამე, აქ პოეტის ენის ინდივიდუალურ თავისებურებებს არ შეიძლება გადამჭრელი მნიშვნელობა მიენიჭოს. ამ ფორმათა წყარო სხვაგან უნდა დაიძებნოს. რა თქმა უნდა, ინდივიდუალურ თავისებურებებს დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ასეთი თავისებურებები ამ ფორმათა გამოყენებისას იჩენს უფრო თავს. რუსთველიც და, ვთქვათ, პეტრიწიც, მათი ეპოქის სალიტერატურო ენის შესაძლებლობებიდან

ამოდიან, ენაში არსებულ თუ შესაძლებელ ფორმებს გამოიყენებენ. ამით აიხსნება ის დიდი მსგავსება, რომელიც მათ შორის აღმოჩნდა. მაგრამ სხვა მათი მიზნები და შესაძლებლობანიც. ეს ქმნის დიდ განსხვავებას მათ შორის.

რუსთველი და პეტრიწი იმ ეპოქაში ცხოვრობდნენ, როცა ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში ძირეული გარდატეხა ხდებოდა. მკვიდრი შენობა ძველი ქართული სალიტერატურო ენისა ნგრევას იწყებდა. ირღვეოდა ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, ახალი ნორმები მკვიდრდებოდა სალიტერატურო ენაში. ამის ძირითად მიზეზად სალიტერატურო ასპარეზზე ახალი დიალექტების გამოსვლა უნდა ჩაითვალოს. ეს პროცესი თვით ძველი ქართული სალიტერატურო ენის ფარგლებში შეიმჩნევა, მაგრამ განსაკუთრებით ცხადი და ხელშესახები ხდება იგი XI-XII საუკუნეებში. ძველი ქართულის ადგილს იჭერს საშუალო ქართული, რომელიც აღარაა მკვიდრად ჩამოყალიბებული ნორმების მქონე სალიტერატურო ენა – მასში შეიმჩნევა რთული პროცესი სხვადასხვა დიალექტთა ჭიდისა და ბრძოლისა. ამ ბრძოლამ გასტანა მანამ, სანამ საბოლოოდ არ გაიმარჯვა ახალმა სალიტერატურო ქართულმა. ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების პროცესი ხანგრძლივი იყო. ალბათ იგი გაცილებით ადრე დამთავრდებოდა, სხვადასხვაგვარი ხასიათის ბევრ ხელისშემშლელ გარემოებას რომ არ ჰქონოდა ადგილი. ამრიგად, საშუალო ქართული გარდამავალ საფეხურზე მდგომი სალიტერატურო ენა და ამდენად მას მტკიცედ ჩამოყალიბებული ნორმების მაგივრად პარალელურ და ერთმანეთის მოქიშპე ფორმათა სიუხვე ახასიათებს. ეს კი აძლევდა მწერალს ფართო შესაძლებლობას არჩევანი ეწარმოებინა და თავისი მიზნების შესაბამისად ესა თუ ის ფორმა გამოეყენებინა. იოანე პეტრიწი ფილოსოფიური აზროვნების საფუძველმდებელია ჩვენში. იგი ფართო მთარგმნელობითს თუ ორიგინალურ შემოქმედებითს მოღვაწეობას ეწეოდა ამ მიმართულებით. ბუნებრივია, რომ ყველაფერს ამას ქართულ ენობრივ ყალიბებში ჩამოსხმა სჭირდებოდა და პეტრიწმა ფართოდ გამოიყენა მისი თანამედროვე სალიტერატურო ენის შესაძლებლობანი ამ მხრივ. ბუნებრივია, რომ იგი მძლავრ გავლენას განიცდიდა ბერძნული ენისას და ამან თავისი დალი დაასვა მის ენასაც. მისი ფილოსოფიური ტერმინოლოგია ხელოვნური წარმოების ნიმუშებითაა დატვითრული, სინტაქსი და სტილი მძიმე

და ხელოვნურია. მაგრამ ძირითადად პეტრიწის ენაში ახალი ენობრივი მოვლენები პოვებენ გამოხატულებას, მორფოლოგიური მოვლენებიდან ბევრი რამ ახალია*.

სულ სხვა იყო რუსთველის მიზნები. **გენიოსი პოეტი ქმნიდა ლექსს, რომლის მსგავსი არ იცოდა და არ იცის ქართულმა პოეზიამ.** ბუნებრივია, რომ მან ამ მიზნით გამოიყენა მისი თანამედროვე სალიტერატურო ენის მთელი შესაძლებლობანი. თავისი ვირტუოზული ლექსისათვის რუსთველი იყენებს ენაში არსებულ თუ შესაძლებელ ყველა ფორმას იმისდა მიხედვით, თუ როგორია ლექსის მოთხოვნილება. მისი თანამედროვე სალიტერატურო ენა კი ამის ფართო შესაძლებლობას იძლეოდა. მეტიც: სიტყვაწარმოებაში რუსთველი ერთი ტიპის სიტყვათა საწარმოებელ აფიქსებს მეორე ტიპისათვის იყენებს, მისი სიტყვათშემოქმედებაც ფართო გასაქანს პოულობს, პოეტი ახალ-ახალ სიტყვებს აწარმოებს, რა თქმა უნდა, ენაში არსებული ყალიბების მიხედვით, თუმცა ამ ყალიბებსაც ზოგჯერ უგულვებლყოფს ხოლმე. აქედან ვიღებთ მთელ რიგ ნიმუშებს ხელოვნური წარმოებისას „ვეფხისტყაოსანში“ (დ ე ს ი, შ ე უ შ რ ო - ბ ი ლ ი, დ ა ს ა ღ რ ე ჯ ი ლ ი და მრავალი სხვა). ასეთი ხელოვნური ფორმების არსებობა, რა თქმა უნდა, ლექსთწყობისა და რითმის მოთხოვნილებით არის გამოწვეული**. მაგრამ დიდი მგოსანი ისე გვაჯადოებს, ამ ფორმებს ისე ოსტატურად გვახვევს თავს, რომ ძალაუნებურად ეს ფორმები ხელოვნურად და უჩვეულოდ აღარც კი გვეჩვენება. გამოთქმა „დ ი ს ა გ ა ნ ც ა უფრო დ ე ს ი“ რომ თუნდაც პეტრიწის ენაში გვეკონოდა, დაიწყებოდა მსჯელობა ბერძნული ენის გა-

* ამდენად, არ არის მთლად მართალი პეტრიწის ენის შესახებ გავრცელებული აზრი, თითქოს პეტრიწისა და მისი სკოლის „ფონეტიკა, ეტიმოლოგია, სინტაქსი და ლექსიკა აგებულია ბერძნული ენის ნორმებზე და ჩამოსხმულია ბერძნულ ყაიდაზე“ (კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტსუ შრომები, I, 1936, გვ. 109). სხვა არა იყოს რა, ფონეტიკის „ბერძნულ ნორმებზე აგების“ შესახებ ლაპარაკი უხერხულია.

** სხვათა შორის, არაა მართებული ჩვენში დამკვიდრებული შეხედულება, რომლის თანახმად, რაკი რუსთველი დიდი პოეტი იყო, ხელოვნური ფორმები მის პოემაში მოსალოდნელი არ არის, რომ მას ყოველთვის შეეძლო ხელოვნური ფორმები თავიდან აეცილებინა. რა თქმა უნდა, შეეძლო აეცილებინა, მაგრამ, რუსთველი ლექსის უდიდესი ოსტატი რომ იყო, სწორედ ამიტომ არ ერიდებოდა იგი მეტად თამამ და თუნდაც ხელოვნურ ფორმებს. ნეოლოგიზმებს ენაში ყოველთვის დიდი მწერლები ქმნიან.

ვლენის შესახებ, ღვარჰნილი ფორმების შესახებ და სხვა, მაგრამ რუსთველის შესახებ ასეთი რამ არავის მოუვა აზრად, ისეთ მხატვრულ ეფექტს აღწევს მგოსანი ამ ტაეპში: „აწ მოყვარე გიპოვნისვარ, დისაგანცა უფრო დესი“.

„ვეფხისტყაოსნის“ სიტყვაწარმოების განხილვისას თვალშისაცემია ის ფაქტი, რომ ნაწარმოები სიტყვების დიდი სიუხვეა პოემაში. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკურ მარაგში ნაწარმოები სიტყვები ჭარბობს. ამასთან, ძალიან ხშირად, ნაწარმოები სიტყვები სარიტმო სიტყვებს წარმოადგენენ, ანდა ლექსწყობაში რაიმე სხვა ფუნქციას ასრულებენ. შოთა რუსთველი რიტმის დიდი ოსტატია, მაგრამ შეცდომა იქნებოდა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ყველგან იშვიათი რიტმები გვეძებნა. მდიდარი რიტმები კი ძალიან ბევრია პოემაში. რიტმის სიმდიდრეს რუსთველი სწორედ იმით აღწევს, რომ სარიტმო სიტყვებად ერთისა და იმავე აფიქსებით ნაწარმოები სიტყვები აქვს გამოყენებული. რამდენიმე მაგალითი ამაში დაგვარწმუნებდა:

„იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან ს ვ ი ა ნ ი,
მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყ მ ი ა ნ ი,
მოსამართლე და მოწყალე, მორჰმული, გ ა ნ გ ე ბ ი ა ნ ი,
თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი წ ყ ლ ი ა ნ ი“.

სარიტმო სიტყვებად ყველგან -**იან** სუფიქსით ნაწარმოები სახელებია გამოყენებული.

ასეთივეა 37-ე სტროფის სარიტმო სიტყვები: **ბერობა, ჯერობა, ფერობა, მტერობა**, სადაც რიტმა მდიდრდება იმით, რომ ყველგან -**ობ-ა** სუფიქსიანი წარმოება გვაქვს; 41-ე სტროფის სარიტმო სიტყვებად -**ულ** სუფიქსით ნაწარმოები მიმღეობებია, ვითარებით ბრუნვაში დასმული: **დამალულად, ფერ-ნაკულად, წყლულად, სულ-მოკლულად**; 43-ე სტროფის სარიტმო სიტყვებად -**ელ** სუფიქსიანი მიმღეობები გვაქვს მოთხრობით ბრუნვაში: **მფლობელმან, მშობელმან, მანათობელმან, შემამკობელმან**; 48-ე სტროფში - **ილ** სუფიქსიანი მიმღეობები: **თხრობილი, ხმობილი, მინდობილი, ცნობილი**; 53-ე სტროფში -**ელ** სუფიქსიანი მიმღეობები; 56-ე სტროფში -**ობა-ა** სუფიქსიანი სახელები; 72-ე სტროფში -**ოსან** სუფიქსიანი სახელები; 88-ე სტროფში -**არ** სუფიქსიანი მიმღეობები; 91-ე სტროფში -**ობ-ა** სუფიქსიანი მიმღეობები; 123-ე სტროფში -**ო** სუფიქსიანი სახელები, 144-ეში -**ობ-ა** სუფიქსიანი სახელები და ა. შ.

მე-7 სტროფში სარიტმო სიტყვებად არის -**ილ** სუფიქსით ნაწარმოები მიმღებები: **შობილი, სობილი, წყობილი**. მეოთხე სარიტმო სიტყვად -**ელ** სუფიქსიანი მიმღება უნდა ყოფილიყო: **შეუშრობელი**, მაგრამ, რაკი ეს რითმას არღვევს, რუსთველი უყოყმანოდ ხმარობს უჩვეულო, ხელოვნურ ფორმას – **შეუშრობილი**: ერთი ტიპის მიმღებობის საწარმოებელ სუფიქსს სხვა ტიპის მიმღებობის საწარმოებელი სუფიქსით ცვლის. ასეთივე მოვლენას აქვს ადგილი მე-16 სტროფში: სამი სარიტმო სიტყვის: **მოშაირეთა, მონადირეთა, მცირეთა** მეოთხედ **გასაგმირეთა** მოგვევლინა. 91-ე სტროფში გვაქვს **მწყრომარე, მდგომარე, მჯდომარე**, მეოთხედ **საომარე** გამოჩნდა. 212-ე სტროფში **უადგილოსა, საგაზრდილოსა, საადგილოსა** სარიტმო სიტყვებმა განსაზღვრეს, რომ მეოთხე სარიტმო სიტყვად ყოფილიყო **დასადრეჯილოსა**. რითმის მოთხოვნილებითვე გამოწყვეტილი მასდარის ფორმა -**ნ** სუფიქსიან მრავლობითში: **ცნობანი, ნადიმობანი, დიადობანი, გმობანი** (390); კნინობითობის -**ა** სუფიქსის ხშირი გამოყენება: **ქველანი** და **ველანი ყველანი**-სა და **შველან**-ის გვერდით (427). ამითვეა გამოწყვეტილი ერთისა და იმავე ფუძისაგან სხვადასხვაგვარად წარმოება ახალი სიტყვებისა: 461-ე სტროფში გვაქვს **რაულად, რადგან** ამას განსაზღვრავს სარიტმო სიტყვები: **სასწაულად, ორხაულად, შენართაულად**, მაგრამ 1075-ე სტროფში – **რულად, რადგან** ამას განსაზღვრავს სარიტმო სიტყვები: **სრულად, სულწასრულად, გაბასრულად** და ა. შ.

მაგრამ ერთისა და იმავე აფიქსით ნაწარმოები სიტყვები ფართოდაა გამოყენებული ტაეპის შიგნითაც ალიტერაციისა თუ რაიმე სხვა მიზნით. 23-ე სტროფში რომ **სი**-ე აფიქსებით ნაწარმოები ხუთი სახელია თავმოყრილი, ეს ქმნის დიდ მხატვრულ ეფექტს:

„მიჯნურსა თვალად ს ი ტ უ რ ფ ე, მართებს მით ვითა მზეობა,
ს ი ბ რ მ ნ ე, ს ი მ დ ი დ რ ე, ს ი უ ხ ვ ე, ს ი ყ მ ე და
მოცალეობა“.

ასეთივე ეფექტის მომცემია **სა**- პრეფიქსიანი ხუთი სიტყვის თავმოყრა მე-17 სტროფში:

„მესამე ლექსი კარგია ს ა ნ ა დ ი მ ო დ, ს ა მ დ ე რ ე ლ ა დ,
ს ა ა შ ი კ ო დ, ს ა ლ ა ლ ო ბ ო დ, ამხანაგთა
ს ა თ რ ე ვ ე ლ ა დ“.

მაგალითების გამრავლება ნებისმიერად შეიძლებოდა, მაგრამ ესეც კმარა იმის ნათელსაყოფად, თუ რამდენად დიდია ნაწარმოები

სიტყვების ხვედრითი წონა პოემაში, კერძოდ, ლექსთწყობის თვალსაზრისით.

სიტყვათშემოქმედება ახალი ენობრივი ერთეულების შექმნას ვარაუდობს, ენაში ნეოლოგიზმების შემოტანას გულისხმობს. ნეოლოგიზმის შესაქმნელად არ არის აუცილებელი ენისთვის უჩვეულო ფორმების შეთხზვა. პირიქით, ასეთი ნეოლოგიზმი სრულიად არაბუნებრივი იქნებოდა და ვერასოდეს ვერ მიიღებდა საზოგადოებრივს დასტურს. კარგი ნეოლოგიზმი ყოველთვის ენაში საყოველთაოდ ცნობილ მასალაზე კეთდება ცნობილივე ენობრივი საშუალებებით, უმეტეს შემთხვევაში სიტყვის საწარმოებელი აფიქსების გამოყენებით. ასე რომ, უმეტეს შემთხვევაში შეიძლება ნეოლოგიზმი მორფოლოგიურად ახალს არაფერს შეიცავდეს. სიახლე სტილისტიკური ხასიათისაა და ზოგჯერ სემასიოლოგიური ხასიათისაც შეიძლება იყოს. ასეთია სიახლე სიტყვის მნიშვნელობის შეცვლის თვალსაზრისით. მაგალითად, ერთი მეტყველების ნაწილის მეორედ ქცევა და სხვ. ასე რომ, ნეოლოგიზმების შექმნა, სიტყვათშემოქმედება ვარაუდობს ენაში არსებული საშუალებების ცნობილ მასალასთან ისეთ დაკავშირებას (ეს დაკავშირებაა სწორედ თავისებური ხასიათისა), რომლის შედეგადაც ახალი, ენაში ჯერ უცნობი ერთეული მიიღება.

თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ „ვეფხისტყაოსნის“ ენას, დავრწმუნდებით, რომ რუსთველი ვირტუოზი სიტყვათშემოქმედი. ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ რუსთველის სიტყვაწარმოებისათვის დამახასიათებელია სწორედ ჩვეულებრივი წარმოების ისეთი გამოყენება, რომელიც მნიშვნელობის ვარიაციებს იძლევა, საყოველთაოდ ცნობილი აფიქსების ისეთ ფუძეებზე დართვა, რომლებიც ამ აფიქსებს ჩვეულებრივად არ დაირთავენ და მნიშვნელობის თვალსაზრისით განსხვავებული ან ახალი ნიუანსის მქონე სიტყვის მიღება; მეტყველების ერთი ნაწილის მეორედ გარდაქცევა (სახელთა ფუძეებისაგან და თვით უფორმო სიტყვებისგანაც კი ზმნათა ფართოდ წარმოება, მაგალითად); ნაზმნარ სახელთა – მიმღეობისა და მასდარის – უხვად და თავისებურად გამოყენება, კერძოდ, მიმღეობის მრავალნაირი და თავისებური ფორმების წარმოება და სხვ.

ნეოლოგიზმებისათვის რუსთველი თავისი თანამედროვე სალიტერატურო ენის მასალას იყენებდა. მისი ნეოლოგიზმები მომხიბლავია იმიტომ, რომ ძირითადად ისინი არ ეწინააღმდეგებოდნენ ამ ენაში არსებულ კანონებს, ხოლო ზოგჯერ თუ ჰქონდა ადგი-

ლი ასეთ წინააღმდეგობას, ამ შემთხვევაში პოეტის ვირტუოზობა ასრულებდა გადამწყვეტ როლს. ლექსიკური ნეოლოგიზმები რუსთველის ენაში მეტწილად მაინც სალაპარაკო ხალხური ენის განვითარების ტენდენციებს ასახავენ.

არ შეიძლება განსაკუთრებით არ გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ რუსთველი შესანიშნავად მიჯნავს ერთმანეთისაგან გამოყენების თვალსაზრისით სახელებსა და ზმნებს. როცა თხრობას სტატიკურ-აღწერილობითი ხასიათი აქვს, მაშინ შეიმჩნევა დიდი სიუხვე ზედსართავი სახელებისა, კერძოდ, ნაწარმოები ზედსართავებისა, რომელთაგან ბევრი ჩვეულებრივი წარმოების ნიმუშს წარმოადგენს, ბევრი კი წმინდა რუსთველური წარმოების ზედსართავებია. მაგრამ საკმარისია სტატიკური ხასიათი თხრობისა დინამიკურობით შეიგვალოს, რომ მყისვე ჩნდება ზმნური ფორმები, ძალიან ხშირად რუსთველურად წარმოებული ნასახელარი ზმნები, მიუხედავად იმისა, რომ არ იყო შეუძლებელი იმავე შინააარსის გადმოცემა სახელებით.

ასეთია, მაგალითად, როსტევეანის ამბის დასაწყისი:

„იყო არაბეთს როსტევეან, მეფე ღმრთისაგან ს ვ ი ა ნ ი,
მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყ მ ი ა ნ ი,
მოსამართლე და მოწყალე, მორჭმული, გ ა ნ გ ე ბ ი ა ნ ი,
თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი წ ყ ლ ი ა ნ ი“.

მთელ სტროფში მხოლოდ ერთი ფორმაა ზმნისა და ისიც მეშველი ზმნისა; მთელი სტროფი სახელებით, პირველადი თუ ნაწარმოები სახელებით, არის დატვირთული.

ასეთივეა ავთანდილის აღწერაც:

„ავთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირ-სპასალარისა,
საროსა მჯობი, ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთვარისა,
ჯერ უწვერული, სადარო ბროლ-მინა საცნობარისა...“

აქაც მხოლოდ ერთი მეშველი ზმნაა, სტროფი ისევ სახელებით, უმთავრესად ნაწარმოები სახელებით, არის სავსე.

ანდა როსტევეანის მიერ ნესტან-დარეჯანის ქება:

„ეტყვის: „მზეო, ვითა გაქო, ნათელო და დარიანო,
შენთვის ხელნი გონებანი არა ცუდად არიანო,
მზიანო და მთვარიანო, ეტლად რაო და რიანო...“

მზიანი, მთვარიანი, დარიანი ამ შემთხვევაში მშვენიერ ნეოლოგიზმებს წარმოადგენენ, თუმცა საყოველთაოდ ცნობილ ფუძეებს საყოველთაოდ ცნობილი აფიქსები დაერთვის. სიტყვათშემოქმედე-

ბა ამგვარი წარმოების სიტყვების ნესტანის ეპითეტებად გამოყენებაში მდგომარეობს.

მაგრამ საკმარისია მოვლენათა დინამიკის გადმოცემა მონდომოს პოეტმა, რომ მაშინვე ზმნები იჭერენ დომინანტურ მდგომარეობას ფრაზაში:

„ცხენთა მათთა ნატერფალნი მზესა შუქსა წაუხმიდეს:
მიჰხოცდეს და მიისროდეს, მინდორს სისხლთა მიასხმიდეს;
რა ისარი დაელივის, მონანიყე მიაართმიდეს,
მხეცნი, მათგან დაკოდილნი, წაღმა ბიჯსა ვერ წასდგმიდეს.
იგი ველნი გაირბინეს, ჯოგი წინა შემოისხეს,
დახოცეს და ამოწყვიტეს, ცათა ღმერთი შეარისხეს,
ველნი წითლად შეეღებნეს, ნადირთაგან სისხლი ისხეს...“

ან: „კარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ, ჩავაქარაბაკე,
ყმასა ფერჯთა მოვეკიდე, თავი სვეტსა შევუტაკე“.

ან კიდევ: „დადრკა, სკამნი შემოსტყორცნა, ჰკრა კედელსა, შეალეწნა;
დააცდუნა, მაგრამ მისთვის აალმასნა, არ აძეწნა“.

და განსაკუთრებით:

„ახლოს მივე, შემომხედეს, შმაგიაო, ესე თქვესა,
მუნ მივჰმართე, მკლავ-მაგარმან, სად უფროსი ჯარი დგესა,
კაცს შუბი ვჰკარ, ცხენი დავეც, მართ ორნივე მიჰხდეს მზესა,
შუბი გატყდა, ხელი ჩავყავ, ვაქებ, ხრმალო, ვინცა გლესა!“
„შიგან ასრე გავერივე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი,
კაცი კაცსა შემოვსტყორცნე, ცხენ-კაცისა დავდგი გორი;
კაცი, ჩემგან განარტყორცი, ბრუნავს, ვითა ტანაჯორი...“
„ერთობილნი მომეხვივნეს, მრგვლივ შეიქმნა ომი დიდი;
ვჰკრი რასაცა, ვერ დამიდგის, სიხლსა მჩქეფრსა

აღმოვღვრიდი;

ცხენსა კაცი გაკვეთილი მანდაკურად გარდავჰკიდი...“

ამ დინამიკურობის გადმოსაცემადაა, რომ პოეტი გასაოცარი სითამამით აწარმოებს ზმნებს სახელთა ფუძეებისაგანაც:

თავსა ჭირი **უათასეთ**, რადმც **უშვიდეთ** ანუ **ურვეთ**.

შეასხეს ქება ტარიელს, მან მადლი **გაუათასა**.

ჭირი ბევრჯერ **გაათასე**, ლხინი ჩემი **ვაერთხელი**.

ბროლ-ბადახში **გააღაწვეს** და გიშერი **აწამწამეს**.

თავნი მათნი **გაალომნეს**, მათი მბრძოლნი **იშვლეს**, **ითხეს**.

მზე აღარ **მზეობს** ჩვენთანა, დარი არ **დარობს** დარულად.

ნახვა მჭკვრეტელთა ახელებს, ტანი **ლერწამობს** რხევითა.
მუნ პირი ჩემი **გაბროლდა** და ღაწვი **გამელალოდა**.
მონაქროლმან ვარდი დაზრა, წამწამთაგან ბუქი **ბუქდა**.
აქა ჭირი დაღრეჯილსა **უათასდა**, არ **უათდა**.
ვარდმან ფერი განანათლა, ბროლი **ბროლდა**, სათი **სათდა**.
ერთგან შენთვის დამალულნი სპანი ასჯერ **ათასობენ**.

ავილოთ თუნდაც უკანასკნელი მაგალითი. იმის ნაცვლად, რომ ჩვეულებრივ მოსალოდნელი „ასჯერ ათასია“ ეთქვა, პოეტი ზმნურ ფორმას ირჩევს; **ათასობენ**, თუმცა ამნაირი ზმნა ჩვეულებრივად არ გვხვდება ენაში, პოეტმა ნეოლოგიზმი შექმნა, რომ ზმნის საშუალებით წარმოედგინა გადმოსაცემი აზრი.

ყველა ზემომოყვანილ მაგალითში მოქმედების **დინამიკურობის** გადმოცემა იყო აუცილებელი. ამითაა გამოჩვეული ზმნური ფორმების ხმარებაც*.

ესა თუ ის ზმნა, რომელიც ნეოლოგიზმს წარმოადგენს „ვეფხისტყაოსანში“, ძალიან ხშირად, თუ ყოველთვის არა, მხოლოდ იმ ფორმით შეიძლება იქნეს ნახმარი, რომლითაც პოემაში გვხვდება, სხვა ფორმების გაკეთება ძნელდება. ასეთია, მაგალითად, რომელიმე „ბროლი **ბროლდა**, სათი **სათდა**“ და მრავალი სხვა. დაახლოებით ესევე ითქმის ისეთ შესანიშნავ ნეოლოგიზმზე, როგორიცაა – „ფატმანს უხსნია ჩემი მზე, **სდედება** და **სდება**“ და მრავალ სხვაზედაც.

„ვეფხისტყაოსნის“ ენა მრავალმხრივაა საყურადღებო. გარდა თავისთავადი მნიშვნელობისა, „ვეფხისტყაოსნის“ ენა წარმოგვიდგენს მთელ ეპოქას ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში. „ვეფხისტყაოსნის“ ენა დიდი მწერლის ენაა, დიდი ინდივიდუალური თავისებურებებითაც დატვირთული. რუსთველი გვჩიბლავს ამ თავისებურებებით მაშინაც კი, როცა თავისებურება ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ახდენს. რომელიმე **შეუშრობილი** ან სხვა ამნაირადვე ხელოვნურად წარმოებული სიტყვა არ გვხვამუშება მხოლოდ იმიტომ, რომ იგი რუსთველის სტროფშია ხმარებული. „დიდი მწერლები იმასვე უშვრებიან სიტყვებს, რასაც ოდესღაც მეფეები უშვრებოდნენ ლითონის ფულს: ისინი სიტყვებს უწესებენ

* ამასთან დაკავშირებით არ იქნებოდა ზედმეტი იმის აღნიშვნა, რომ ჩვენი ეპოქის დიდი რუსი პოეტის ვლ. მაიაკოვსკის სიტყვათშემოქმედება სწორედ სახელთა გაზმნავების გზით იყო წარმართული.

ღირებულებას, როგორც მათ მოესურვებათ, და განამტკიცებენ მათ კურსს, რომლის მიხედვითაც ყველა ვალდებულია მიიღოს ეს სიტყვები“ (Ж. Вандриес, Язык, Москва, 1937, გვ. 252).

**ზოგი დადესტნური ეთნონიმის ტრანსლიტერაციის
შესახებ ქართულში. III**

კავკასიელ ხალხთა ეთნიკური სახელების ქართული ტრანსკრიფციისა და ტრანსლიტერაციის საკითხების სათანადოდ შესწავლა რამდენადაც საშურია, იმდენად არაჯეროვნად არის დამუშავებული, რასაც მოწმობს ქართულენოვან მხატვრულ ლიტერატურაში და, რაც მეტად საგანგაშოა, სამეცნიერო ნაშრომებში არაიშვიათად თავჩენილი მცდარი დაწერილობები და უზუსტობები. ცალკეულ მონოგრაფიებში წარმოდგენილი მოკლე მიმოხილვები, ადრეული ტრანსკრიპციები და თითო-ოროლა წერილი არსებით ვითარებას ვერ ცვლის¹. ამ ნაკლის მეტ-ნაკლებად აღმოსაფხვრელად ჩვენ უწინ შევვხეთ დადესტნური ეთნონიმების – ხალხთა ეთნიკური იდენტობის გამომხატველი სახელების – ერთ ნაწილს², ამჯერად განვიხილავთ ლეზგიურ ენებზე მეტყველ ხალხთა აღმნიშვნელ ტერმინებს, რომელთაც შეიძლება სხვადასხვაგვარი წარმომავლობა და ქართულში მრავალგვარი დაწერილობა მოეპოვებოდეს.

ხუნძურ-ანდიურ-დიდოური და ლაკურ-დარგუული ეთნონიმების ანალოგიურად, ლეზგიურ ენობრივ გარემოცვაში მოქცეულ იბერიულ-კავკასიური მოდგმის მცირერიცხოვან ხალხთა აღსანიშნავადაც უპირატესად ორი სახის ეთნონიმი დასტურდება: 1) ენდოეთნონიმები და 2) ტოპონიმური ეთნონიმები.

1) ლეზგიური ქვეჯგუფის ენებზე მოლაპარაკე ხალხების ეთნიკურ სახელად დასტურდება ოთხი ენდოეთნონიმი: **ლეზგი**, **უდი**, **წახი** და **აფლი**. მათგან თავისი მრავალრიცხოვნობით გამორჩეული ეთნოსია **ლეზგები**, რომელთა აღსანიშნავად ქართულში გავრცელებულია მცდარი ტოპონიმური ფორმები **ლეზგიელი** (მრ. **ლეზგი-**

¹ იხ. [ჯავახიშვილი 1992:104-131; ჩიქობავა 1965: 5-14; Мегрелидзе 1942: 175-188...].

² ჩვენ ადრე გვქონდა შესაძლებლობა, გაგვეანალიზებინა ხუნძურ-ანდიურ-დიდოური და ლაკურ-დარგუული ეთნონიმები და წარმოგვედგინა ჩვენეული მოსაზრებები მათ ქართულ დაწერილობათა შესახებ [იხ. არდოტელი 2018: 9-14; 2019: 9-12].

ელ-ებ-ი) და **ლეზგინი** (რუსულის გავლენით¹, შდრ. **უდინი**). საყურადღებოა, რომ ივ. ჯავახიშვილი ლეზგთა თვითსახელწოდებად **ლეზღ** ფორმასაც კი ადასტურებს [ჯავახიშვილი 1992: 39]. ეთნონიმი **ლეზგი**, გარდა საკუთრივ დღევანდელი ლეზგებისა, ისტორიულად დაღესტნის არაერთი ეთნოსის აღსანიშნავადაც გამოიყენებოდა და, ამდენად, ზოგადეთნიკური ტერმინის ფუნქცია მოეპოვებოდა. იგი სპეციალურ ლიტერატურში კარგად არის ცნობილი და ენდოეთნონიმურ სახელთა ტიპს განეკუთვნება [ჩიქობავა 1965: 10; აბდულაევი 2015: 432-445...]. საანალიზო ეთნიკური ტერმინი, ფუნქციური გადააზრინებისა და სემანტიკური გადაწევა-დავიწროების შედეგად, მოგვიანებით ქვეულა უშუალოდ იმ ეთნოსის აღმნიშვნელ სახელად, რომლის ძირითადი ნაწილი განსახლებულია მათ ისტორიულ მიწა-წყალზე, დაღესტნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილსა (კასუმქენტის, მაჰარამქენტის, ქურახის, ხივის, რუთულის რაიონები) და ჩრდილოეთ აზერბაიჯანში (გუსარის, ყუბის, ხუდათის რაიონები). სპეციალურ ლიტერატურაშიც და ზეპირმეტყველებაში გაბატონებულია მართებული ფორმა **ლეზგ-ი** (მრ. **ლეზგ-ებ-ი**), რაც ქართულად ასევე უნდა ითქმოდეს და იწერებოდეს. ვარაუდობენ, რომ ამ ეთნონიმში გამოიყოფა ირანული წარმომავლობის სუფიქსი **-ზ** და ძირეულ მორფემად აღდგება **ლზგ** [აბდულაევი 2015: 440-441]. ამასთანავე, მისივე აზრით, უნდა მომხდარიყო მეტათეზისი: **ლზქზ** > **ლზქზრ** > **ლზზგრ** > **ლეზგი**. მართალია, ამ ფორმათა ურთიერთკავშირი რეალური ჩანს, თუმცა ეთნონიმთა საწარმოებელი სუფიქსის გენეზისი, ბოლოკიდური **ი**-ს წარმომავლობა და ზოგი შუალედური საფეხურის ვარაუდი, ჩვენი შეხედულებით, სინამდვილეს არ უნდა ასახავდეს. კერძოდ, ამ ეთნონიმის საწარმოებელ სუფიქსად გამოიყოფა არა ოდენ **-ზ**, არამედ **-ზი**, რომელიც სხვა დაღესტნური ენებისთვისაც ნიშანდობლივია (შდრ. ცე-**ზი** „დიდოელი“, ჰინუ-**ზი** „ჰინუხელი“...).

რაც შეეხება მცდარ ფორმებს², მათგან **ლეზგიელი** შედარებით ხშირად დასტურდება, **ლეზგელი** უფრო ნაკლებად შეიმჩნევა, ხო-

¹ რუსული ენის გავლენით ბევრ ენაში გავრცელდა **-ინ** სუფიქსდართული ფორმა [იხ. აბდულაევი 2015: 437].

² ეთნონიმთა წარმოების კანონზომიერებით, ენდოეთნონიმიდან (**ლეზგი**) ტოპონიმური ეთნონიმის (**ლეზგიელი**, **ლეზგელი**, **ლეზგინელი**) წარმოება, თუ პირველი ფორმა გეოგრაფიული პუნქტის ფუნქციითაც არ გამოიყენება (შდრ. **დიდო** (= დოდო-

ლო **ლეზგიელი** იშვიათად იჩენს თავს. ისეთი უნიკალური შემთხვევაც გვაქვს, რომელშიც ერთმანეთის გვერდით გვხვდება სამივე (**ლეზგი**, **ლეზგიელი**, **ლეზგელი**) ფორმა, მაგ.: „ლეზგები დაღესტნის ერთ-ერთი ძირძველი მოსახლეობაა“, „უკანასკნელი წლების მონაცემებით, დაღესტანში 204, 4 ათასი ლეზგიელი მკვიდრობს (რუსეთის ფედერაციაში – 257, 3 ათასი)“, „ლეზგელი მეცხვარეები საზამთრო სამოვრებზე ცხვარს აზერბაიჯანში მიერეკებოდნენ“ [თოფჩიშვილი 2007: 136, 138].

მეორე ენდოეთნონიმი არის **უდი** (resp. **უტი**¹), რომელსაც მრავლობით რიცხვში ფორმოზივი სახესხვაობები უდასტურდება: **უდი-ებ-ი**, **უდ-ებ-ი**, **უდინ-ებ-ი**. კავკასიის ამ მცირერიცხოვანი ხალხის ისტორიული საცხოვრისი აზერბაიჯანია, თუმცა, სხვადასხვაგვარი მიგრაციული პროცესების გამო, ისინი გაიფანტნენ და ამჟამად ცხოვრობენ აზერბაიჯანის, საქართველოს, რუსეთის, სომხეთის, უკრაინისა და ყაზახეთის სახელმწიფოებში. აღსანიშნავია, რომ უდიები მიიჩნევიან კავკასიის ალბანელთა შთამომავლებად, რაც მტკიცდება სხვადასხვა სახის ლინგვისტური მონაცემებით, მეტადრე სინას მთაზე, წმინდა ეკატერინეს ლავრაში, აღმოჩენილი პალიმფსესტის ჩვენებათა საფუძველზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ეთნონიმი **უდი** ხმოვანფუძიანი სახელია და ამიტომ მისი მრავლობითი რიცხვის ფორმა **უდ-ებ-ი**, ცხადია, უმართებულოა. მცდარი ფორმაა აგრეთვე **უდინი** (მრ. **უდინ-ებ-ი**), რომელიც რუსულად გაფორმებული ეთნონიმის (მდრ. Удин „id.“) გავლენით გავრცელდა და ტრადიციით განმტკიცდა². გარდა ამისა, ქართულ ისტორიულ წყაროებში დასტურდება **ტ**-ს შემცველი და ქრონოლოგიურად უფრო ადრეული ფონეტიკური ვარიანტი **უტი** (მრ. **უტი-ებ-ი**), თუმცა ამგვარი ფორმით ამ ხალხს დღესდღეობით აღარავინ მოიხსენიებს. მაშასადამე, გვრჩება ერთადერთი სწორი სახეობა **უდი** (მრ. **უდი-ებ-ი**), რომელიც თანამედროვე ქართულ-

ეთი) > **დიდოელი**), ამგვარად გაფორმებული სახელი (**ლეზგიელი**), სიტყვაწარმოების თვალსაზრისით, უმართებულოა.

¹ **ტ**-ს შემცველი ფორმა უფრო ფოლკლორულ ტექსტებში და ზოგ ისტორიულ წყაროში იჩენს თავს.

² მანგლელი მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე იყენებს ამ ეთნონიმის სამ ვარიანტს (**უდები**//**უდინები**//**უდიელები**), რომელთაგან ყველა მათგანი უმართებულოა [ჯაფარიძე 2018: 686, 730].

ში ტრანსლიტერაციისას ამავე წესით უნდა გამოვიყენოთ და დავამკვიდროთ.

გარდა ზემოთ წარმოდგენილი სატომო სახელისა, ენდოეთნონიმური რიგისა ჩანს **წახ-ი**, მრ. **წახ-ებ-ი**, რომლებიც სამხრეთ დაღესტანსა და ჩრდილოეთ აზერბაიჯანში ცხოვრობენ. სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, ირკვევა, რომ **წახ-** ფუძიდან ნაწარმოები „**წახური** (ენა)“ სწორია, თუმცა „**წახურული** (ენა)“ უმართებულოდ არის მიჩნეული. კერძოდ, ევგ. ჯეირანიშვილი წერს: „...სატომო სახელია (ამგვარი სახელის ფუძეა) წახ= (წახ=), საიდანაც უნდა იწარმოებოდეს ამ ტომისა თუ ხალხის ენის სახელი“. ანდა: „ხოლო „წახურ“, საიდანაც წარმოიქმნა ტრადიციით და შეცდომით დამკვიდრებული ტერმინი „წახურული ენა“, სახელია... ერთ-ერთი აულისა, უნდა დარჩეს ამ აულის მკვიდრთა მეტყველების – როგორც ერთ-ერთი კილოს აღმნიშვნელად“ [ჯეირანიშვილი 1984: 18-19].

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ქართულ ენაში საერთოეთნიკური სახელი **წახ-ი** (მრ. **წახ-ებ-ი**) გადმოვა ამ ფორმით, ხოლო მცდარად ნაწარმოები და საერთო-სატომო სახელად ტრადიციით გავრცელებული სახესხვაობათა (**წახურელი**, **წახ რული**, **წახური**¹) გამოყენება მიზანშეწონილი არ უნდა იყოს. ცხადია, ქართულად გადმოტანისას **წახ** ფორმაში დადასტურებული ფარინგალიზებული **ა** ხმოვანი სადა **ა**-თი გადმოიცემა. რაც შეეხება **წახრელ** ფორმას, იგი **ა**. დირის ნაშრომთა ზეგავლენით ჩანს გავრცელებული, უმართებულო და უგულვებელსაყოფია.

სამხრეთ დაღესტნის მაღალმთიანეთში, ალულისა და ქურახის რაიონებში, არიან განსახლებული **ალულები**. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ მცირერიცხოვანი ხალხის ეთნიკურ სახელად, გარდა **ალულისა** [ხუციშვილი 2002: 11; თოფჩიშვილი 2007: 139...], გვხვდება **ალულელი** (ალულელნი) [ჯავახიშვილი 1992: 45; ხუციშვილი 2002: 11]. თუ მათ თვითსახელწოდებას (მხ. **ალულ**, **ალულ შუა**, მრ. **ალულარ**) დავყვრდნობით, მაშინ **ალული** აშკარად ენდოეთნონიმია და მეორე ვარიანტი (**ალულელი**) არ იქნება ბოლომდე მართებული. ამასთან ერთად, ჩვენთვის ცნობილია დაღესტანში **ალულის** რა-

¹ ბოლო ფორმა ეთნონიმის ფუნქციით სამეცნიერო ტექსტებში შეიმჩნევა [თოფჩიშვილი 2007: 147], რაც მიუღებელი ჩანს, ვინაიდან **-ურ** სუფიქსით, როგორც წესი, რა კატეგორიის სახელები იწარმოება. გარდა ამისა, არც ის არის გამორიცხული, რომ ოიკონიმი **წახური** ქართული მოდელის მიხედვით იყოს ნაწარმოები: **წახ** > **წახ-ურ-ი**.

იონისა და მათი ერთ-ერთი სოფლის – **აღულდერეს** არსებობა, რაც ზოგ სპეციალისტს აფიქრებინებს ამ ეთნონიმის წარმოშობას გეოგრაფიული სახელიდან. ჩვენი შეხედულებით, საანალიზო ეთნონიმის ვარიაციულობის პირობებში, როცა ორივე სახესხვაობის (**აღული** – **აღულელი**) არსებობას აქვს გარკვეული საფუძველი (ქართულში გავრცელებულია ორივე ფორმა), საცილობელი ფორმებიდან შეიძლება ორივე მათგანი მართებულად ვცნოთ, თუმცა უპირატესობა მივანიჭოთ პირველს, ხოლო მეორე დასაშვებად მივიჩნიოთ.

2) დანარჩენი ეთნიკური სახელები, რომლებითაც ლეზგიურ ენათა ქვეჯგუფის ხალხები აღინიშნება, ფუნქციურ-სემანტიკური თვალსაზრისით, ოიკონიმური წარმომავლობისაა და, ამდენად, ტოპონიმურ ეთნონიმებს წარმოადგენენ. კერძოდ, ჩვენს ყურადღებას იქცევს ეთნონიმი **თაბასარანელი** (მრ. **თაბასარანელ-ებ-ი**), რომელიც ცნობილია კავკასიის ალბანეთის ხანიდან როგორც ერთ-ერთი მხარე (ამჟამად ხივის რაიონთან ერთად თაბასარანელთა რაიონულ ცენტრს წარმოადგენს) დაღესტნისა და ითვლება ამ ხალხის ზოგადეთნიკურ სახელად. აღსანიშნავია, რომ 1310 წლის მაღალაშვილისეული სახარების მინაწერში ნახსენებია ნახევრად წაშლილი ტოპონიმი „თა...სარანი“. სწორედ ამ გეოგრაფიული პუნქტის სახელის მიხედვით შეერქვა თაბასარანულ ენაზე მეტყველ მოსახლეობას გრამატიკულად ყოველმხრივ გამართული სახელი – **თაბასარანელი**. რაც შეეხება მოგვიანებით გავრცელებულ ტ-ს შემცველ ვარიანტ „ტაბასარანს“, იგი რუსული ტ-ს ქართულში მცდარი ტრანსლიტერაციის შედეგი ჩანს (რუს. Табасаран > ქართ. ტაბასარანი).

დაღესტნის ერთ-ერთი მცირერიცხოვანი და ერთაულიანი ხალხის სახელწოდებად დასტურდება მრავალვარიაციული ტოპონიმური ეთნონიმი **არჩიბელი//არჩიელი//არჩელი//არჭელი//არჩინელი**. არჩიბელები ოდითგანვე მკვიდრობდნენ დაღესტნის იმ ერთადერთ სოფელში, რომელსაც ოფიციალურად ხუნძურად გაფორმებული სახელი – **არჩიბი** ჰქვია (თავად მას არშას ეძახიან). ამ სოფლის გარდა, გადასახლებული არჩიბელები ამჟამად ცხოვრობენ რუსეთში, აზერბაიჯანსა და ყაზახეთში [კახაძე 1979: 8].

ყურადღებას იქცევს თავად სოფლის სახელის ფონეტიკური სახესხვაობანი, რაც ამ ოიკონიმის მეზობელ (ხუნძურად – **არჩიბ**, ლაკურად – **არჩი**) თუ არამეზობელ (რუსულად – **Арчин**) ენებზე ტრანსლიტერაციასთანაც ჩანს დაკავშირებული. კერძოდ, **არჩიელი** ლა-

კური ენის ფორმას მიჰყვება, **არჩინელი** აშკარად რუსული ენის მიხედვით ფორმდება (შდრ. რუს. **Арчинец**), ხოლო **არჩელი** (**არჩელი**), რომელსაც ივ. ჯავახიშვილიც იყენებს [ჯავახიშვილი 1992: 46-48, 638], ლაკური ფორმის თანხმოვანფუძიანად მიჩნევით უნდა იყოს შეპირობებული.

საყურადღებოა, რომ ქართულ სამეცნიერო თუ მხატვრულ ლიტერატურაში გავრცელებული და მეტ-ნაკლებად დამკვიდრებულია **არჩიელი**//**არჩიელი**. ამ საცილობელი ფორმებიდან ფაქტობრივ ორივე სწორია, თუმცა უპირატესობა შეიძლება მიენიჭოს **არჩიბელს**, როგორც მათი სოფლის ოფიციალური სახელიდან ნაწარმოებ-სა და ქართულშიც უფრო მეტად დამკვიდრებულს [კახაძე 1979: 8].

ცნობილია, რომ ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში **რუთულელი** (რუთულური ენა) და **მუხადელი** (მუხადური ენა) ერთმანეთის სინონიმებს წარმოადგენენ. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ცნობილი სპეციალისტები – ა. დირი, ივ. ჯავახიშვილი, ევგ. ჯეირანიშვილი ამ ენის აღსანიშნავად **რუთულურს** იწუნებენ. კერძოდ, ამ ენის მკვლევარი ევგ. ჯეირანიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს: „ტერმინი „რუთულური ენა“ არ არის სწორი, მის ნაცვლად უნდა შემოდებულ იქნეს მუხადური ენა,– ანდა: მუხადური (წახური ვარიანტის კვალობაზე), ანდა მუხადური (თავად „რუთულელთა“ ვარიანტი). უპირატესობა მაინც უკანასკნელს... მუხადურს უნდა მიენიჭოს – როგორც აგრეთვე მართებულს, ამასთან უფრო გამჭვირვალესა და ადგილობრივ (თვითონ „რუთულელებში“) გავრცელებულს“ [ჯეირანიშვილი 1983: 17]. ვფიქრობ, გასაზიარებელია ავტორისეული არგუმენტაცია ამ ტერმინის შესახებ ერთი შენიშვნით: ევგ. ჯეირანიშვილს ცოტა ქვემოთ იგევე ტერმინი „**მუხადები**“-ს სახით აქვს გამოყენებული. ამასთან, თავადვე ა. დირის პირით გვამცნობს, რომ „რუთულს აქვს მგხად, რუთულელს კი – მგხაშურა“. მაშასადამე, მგხად (ქართული ტრანსლიტერაციით - მუხად) ოიკონიმად გვევლინება და მისგან ნაწარმოები ტოპონიმური ეთნონიმი იქნება არა **მუხადი**, არამედ **მუხადელი**.

რაც შეეხება დანარჩენ მცირერიცხოვან, ე. წ. „შაკდაღის ჯგუფის“ ხალხებს – ბუდუხელებს, ხინალუდელებს, კრიწელებს – ისინი ძირითადად აზერბაიჯანის ჩრდილოეთ მაღალმთიანეთში სახლობენ და მათი სატომო სახელები ტოპონიმურ ეთნონიმთა რიცხვს მიეკუთვნება. ქართულ ენაში ამ ხალხთა სახელებად გავრცელებული და და-

მკვიდრებულია მართებული ფორმები: **ბუდუხელი** (სოფ. **ბუდუხის** მკვიდრი), **ხინალუღელი** (სოფ. **ხინალუღის** მკვიდრი), **კრიწელი** (სოფ. **კრიწის** მკვიდრი). ამასთანავე, სპეციალურ ლიტერატურაში ხანდახან უმართებულო ფორმებსაც ვაწყდებით: **ბუდუხი** (მრ. ბუდუხები), **ხინალუღი** (მრ. ხინალუღები) და **კრიწი** (მრ. კრიწები), რაც ფაქტობრივ მათი განსახლების გეოგრაფიულ პუნქტთა სახელებს თანხვდება. ზემოწარმოდგენილი სწორი ტოპონიმური ეთნონიმებიდან ყურადღებას იქცევს **კრიწელის** ფონეტიკური ნაირსახეობა **კრიზელი** (მრ. **კრიზელნი**) [ჯავახიშვილი 1992: 45]. სავარაუდოა, ამგვარი ვარიანტი (კრიზელი) ინდოევროპულ ენათა, სახელდობრ, რუსული ენის გავლენას მიეწეროს (მდრ. რუს. Крызы „კრიწელები“, Крызский язык „კრიწული ენა“).

ამრიგად, ლეზგიურ ენებზე მეტყველი ხალხების სატომო სახელებად ორი ტიპის ეთნონიმი გამოიყოფა: 1) ენდოეთნონიმები და 2) ტოპონიმური ეთნონიმები.

1) ენდოეთნიკური სახელებიდან ქართულ ენაში გადმოტანისას მართებულ ფორმებად მიიჩნევა: **ლეზგ-ი** (მრ. **ლეზგ-ებ-ი**), **უდი** (მრ. **უდი-ებ-ი**), **წახ-ი** (მრ. **წახ-ებ-ი**), **ადულ-ი**/**ადულელი**¹ (მრ. **ადულ-ებ-ი**/**ადულელები**).

2) ტოპონიმური ეთნონიმების მართლწერა ქართულში ასე გვესახება: **თაბასარანელი** (მრ. **თაბასარანელები**), **არჩიბელი** (მრ. **არჩიბელები**), **მუხადელი** (მრ. **მუხადელები**), **ბუდუხელი** (მრ. **ბუდუხელები**), **ხინალუღელი** (მრ. **ხინალუღელები**), **კრიწელი** (მრ. **კრიწელები**).

ზემოგანხილული ეთნონიმების გადმოქართულებისას თავს იჩენს ზოგ თავისებურ ბგერათა ტრანსლიტერაციის სიძნელე და მათი სათანადო ქართული ტრანსკრიპციული შეუსაბამობა. კერძოდ, საანალიზო ეთნონიმებში თანხმოვანთა თანხვდენა გვაქვს, მაგრამ დასტურდება სპეციფიკური ხმოვნები, რომლებიც შემდეგნაირად გადმოიტანება და დაიწერება: **ჰ > ა**, **რ > ი**, **ჰ > ა**, **რ > ი**, **გ > უ**. ცხადია, გადმოქართულებისას, თითოეული ეთნონიმის მართლწერის გარდა, მეტ-ნაკლებად შესაბამისი ტერმინის ისტორიასა და გამოყენების ტრადიციასაც ექცევა სათანადო ყურადღება.

¹ ცხადია, პარალელურად დასაშვებია ფორმის გავრცელების საკითხს ენობრივი უზუსი განსაზღვრავს.

ლიტერატურა

აბდულაევი 2015 – Абдуллаев И. Х., Междагестанские и межкавказские языковые контакты, Махачкала.

არდოტელი 2018 – ნ. არდოტელი, ზოგი დადესტნური ეთნონიმის ტრანსლიტერაციის შესახებ ქართულში, I. – ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეთვრამეტე, თბილისი.

არდოტელი 2019 – ნ. არდოტელი, ზოგი დადესტნური ეთნონიმის ტრანსლიტერაციის შესახებ ქართულში, II. – ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეცხრამეტე, თბილისი.

თოფჩიშვილი 2007 – რ. თოფჩიშვილი, კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, თბილისი.

კახაძე 1979 – ო. კახაძე, არჩიული და მისი ადგილი დადესტნის მონათესავე ენათა შორის, თბილისი.

მეგრელიძე 1942 – Мегрелидзе И. В., Дидойцы и название Дидо. – Труды пед. инст. им Пушкина, т. II. Тбилиси.

ჩიქობავა 1965 – არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბილისი.

ხუციშვილი 2002 – ნ. ხუციშვილი, დადესტანი, თბილისი.

ჯეირანიშვილი 1983 – ევგ. ჯეირანიშვილი, წახური და მუხადური ენები, I. ფონეტიკა, თბილისი.

ჯაფარიძე 2018 – მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია ჩრდილოეთ კავკასიაში, თბილისი.

Nodar Ardoteli

On the Transliteration of the some Dagestanian Ethnonyms into Georgian. III

Summary

Two types of ethnonyms are distinguished as tribal names of peoples speaking Lezgian languages: 1) endoethnonyms and 2) toponymic ethnonyms.

1) When transliterating into Georgian, the correct endo-ethnonymic forms are: *lezg-i* (plural *lezg-eb-i*), *udi* (plural *ud-eb-i*), *çax-i* (plural *çax-eb-i*), *açul-i* // *açuleli* (plural *açul-eb-i* // *açulel-eb-i*).

2) In our opinion, the spelling of toponymic ethnonyms is as follows: *tabasaraneli* (plural *tabasaranelebi*), *arçibeli* (plural *arçibelebi*), *muxadeli* (plural *muxadelebi*), *buduxeli* (plural *buduxelebi*), *xinaluyeli* (plural *xinaluyelebi*), *krıçeli* (plural *krıçelebi*).

We have consonant equivalence in the above-mentioned ethnonyms, but specific vowels are attested which are transliterated and written as follows: $\check{a} > a$, $\check{y} > i$, $a_0 > a$, $\check{o} > o$, $\check{e} > u$. When transliterating ethnonyms, in addition to the spelling of each ethnonym, the history of a term and the tradition of its use are taken into consideration.

თეა ბურჭულაძე

შერწყმული დანართის მართლწერა

დანართი განსაზღვრების ერთ-ერთი სახეობათაგანია. მას ისეთ განსაზღვრებას უწოდებენ, რომელიც არსებითი სახელით არის წარმოდგენილი (არსებითი სახელი განსაზღვრავს არსებით სახელს). ამ ტიპის მსაზღვრელი დანართის სახელით არის ცნობილი.

გამოყოფენ ურთიერთობის ორგვარ სახეობას. ერთ შემთხვევაში არსებითი სახელი და მსაზღვრელი არსებითი სახელი (დანართი) ისეთივე დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან, როგორშიც ჩვეულებრივი ხმოვანფუძიანი მსაზღვრელი და საზღვრული, შესაბამისად, ეს ტიპი ცალ-ცალკე იწერება: რკინა კაცი, ზღვა ხალხი, ჭიქა წყალი (შდრ.: **პატარა** გოგო, **პატარა** გოგომ, **პატარა** გოგოს...), მეორე შემთხვევაში კი თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი არსებითი სრულად დაირთავს ბრუნვის ნიშნებს სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში, ხოლო მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში ბრუნვის ნიშანს მთლიანად იკვეცს. მაშასადამე, დანართი მსაზღვრელთან ერთად იბრუნვის ისე, როგორც ხელობა-პროფესიის აღმნიშვნელი სახელები. ამ ტიპის დანართი მსაზღვრელებია: **ექიმი** ფაღვა, **გენერალი** მაზნიაშვილი, **ქალაქი** ბათუმი, **პროფესორი** ბარამიძე და სხვ. მესამე შემთხვევაშიც ისევ მსაზღვრელ-საზღვრული გვაქვს, მაგრამ ორივე ერთ სიტყვადაა გააზრებული, გაკომპოზიტებულია. ასეთებია: ვირთხა, **სირაქლემა**, **ვაშლატამი** და მისთ.

შეგადართ:

სახელობითი	ქალაქ-ი ბათუმ-ი	გენერალ-ი მაზნიაშვილ-ი
მოთხრობითი	ქალაქ-მა ბათუმ-მა	გენერალ-მა მაზნიაშვილ-მა
მიცემითი	ქალაქ ბათუმ-ს	გენერალ მაზნიაშვილ-ს
ნათესაობითი	ქალაქ ბათუმ-ის	გენერალ მაზნიაშვილ-ის
მოქმედებითი	ქალაქ ბათუმ-ით	გენერალ მაზნიაშვილ-ით
ვითარებითი	ქალაქ ბათუმ-ად	გენერალ მაზნიაშვილ-ად
წოდებითი	ქალაქ-ო ბათუმ-ო	გენერალ-ო მაზნიაშვილ-ო

სახელობითი	ვირთხა
მოთხრობითი	ვირთხა-მ
მიცემითი	ვირთხა-ს
ნათესაობითი	ვირთხ-ის
მოქმედებითი	ვირთხ-ით
ვითარებითი	ვირთხა-დ
წოდებითი	ვირთხა-ვ

ქართულში ძალიან მოიკიდა ფეხი ერთი სახის შერწყმულმა დანართმა: **სახლ-მუზეუმი, წევრ-კორესპონდენტი, ციხე-ქალაქი...** დასტურდება დაწერილობის ორი ვარიანტი: ერთ შემთხვევაში რთული სიტყვის პირველი ნაწილი ფუძის სახითაა წარმოდგენილი, ხოლო მეორეში – სახელობითი ბრუნვის ფორმით. ერთი მხრივ, გვაქვს: **სახლ-მუზეუმი, წევრ-კორესპონდენტი, ტელეფონ-ავტომატი**, ხოლო, მეორე მხრივ, **სახლი-მუზეუმი, წევრი-კორესპონდენტი, ტელეფონი-ავტომატი**.

ქართულში შეიმჩნევა ტენდენცია, რომ რთული სიტყვის პირველი წევრი გადმოიცეს ფუძის სახით და ორივე შემადგენელი ნაწილი იბრუნვოდეს ერთად, როგორც ერთი სიტყვა. წერისას ერთგვარობის დასაცავად უნდა გატარდეს შემდეგი წესი:

1. ქართულში გაჩენილი უცხო ენიდან შემოსული შერწყმული დანართის პირველი წევრი გადმოიცეს ფუძის სახით და დაიწეროს საზღვრულთან ერთად დეფისით [ნორმები 1970: 159]. მაშასადამე, გვექნება: **მუზეუმ-ნაკრძალი, წევრ-კორესპონდენტი, სახლ-მუზეუმი, აკადემიკოს-მიდიანი, პოეტ-აკადემიკოსი** და სხვ.
2. შერწყმული დანართი უნდა იბრუნვოდეს მთლიანად – როგორც ერთი სიტყვა [ნორმები 1970 : 160]:

სახელობითი	წევრ-კორესპონდენტ-ი
მოთხრობითი	წევრ-კორესპონდენტ-მა
მიცემითი	წევრ-კორესპონდენტ-ს
ნათესაობითი	წევრ-კორესპონდენტ-ის
მოქმედებითი	წევრ-კორესპონდენტ-ით
ვითარებითი	წევრ-კორესპონდენტ-ად
წოდებითი	წევრ-კორესპონდენტ-ო

თანამედროვე ეპოქაში ახალი ტექნოლოგიების შემოსვლამ თუ უცხო სიტყვების დანერგვამ არაერთი რთული სიტყვა დაამკვიდრა. საქმე ეხება ისეთ კომპოზიტურ ფორმებს, რომელთა პირველ შემადგენელ ნაწილად გარკვეული სტატუსის, სახელწოდებისა თუ დანიშნულების აღმნიშვნელი სიტყვები დასტურდება: **პრემიერ-მინისტრი/პრემიერმინისტრი, პრემიერ-ლიგა/პრემიერლიგა, ვიცე-პრეზიდენტი/ვიცეპრეზიდენტი, ვიცე-პრემიერი/ვიცეპრემიერი, ფოტო-გადაღება/ფოტოგადაღება, მედია-სკოლა/მედიასკოლა. ვებ-გვერდი/ვებგვერდი, ვებ-საიტი/ვებსაიტი, ინტერნეტ-ჟურნალი/ინტერნეტჟურნალი, ინტერნეტ-გამოცემა/ინტერნეტგამოცემა, ექს-პრეზიდენტი/ექსპრეზიდენტი, ექს-მინისტრი/ექსმინისტრი...**

როგორც ჩანს, დეფისიანი დაწერილობის მიზეზი ის არის, რომ ამგვარი ფორმები გარკვეული სოციალური სტატუსის, სახელწოდებებისა თუ დანიშნულების აღმნიშვნელია, თუმცა მათი ფუძეები ერთნაირად დამოუკიდებელი მნიშვნელობისა როდია. საკითხიც ასე დაისმის – ორცნებიანია ეს კომპოზიტები თუ ერთცნებიანი? გასარკვევია, დასახელებულ შემთხვევებში პირველ შემადგენელ კომპონენტს აქვს თუ არა სრული, დამოუკიდებელი მნიშვნელობა. აღსანიშნავია ისიც, რომ ისინი ფაქტობრივად ცალკე აღებული არ გამოიყენება (თუ არ ჩავთვლით **პრემიერს** და **ინტერნეტს**). მოყვანილ კომპოზიტებში მათ შემადგენელ ნაწილებს არ აქვთ დამოუკიდებელი მნიშვნელობა. ასევე შეუძლებელია მათ შორის **და** კავშირის ჩასმა – **ვებ და გვერდი, ფოტო და გადაღება, პრემიერი და ლიგა, ვიცე და პრეზიდენტი, ვიცე და მერი, ვიცე და კაპიტანი...** ამ ნიშნის მიხედვით ისინი ერთმნიშვნელობიანი არიან და, შესაბამისად, ერთად უნდა დაიწეროს, როგორც ეს ყველა ერთცნებიანი კომპოზიტის დაწერილობისას გვაქვს.

აღნიშნულის გათვალისწინებით ერთად უნდა დაიწეროს შემდეგი სახის შერწყმულდანართიანი სიტყვები:

პრემიერ- ფუძით შედგენილი სახელები:

პრემიერლიგა, პრემიერკლასი... გამონაკლისია **პრემიერ-მინისტრი**, რადგან დასახელებული კომპოზიტის პირველი ნაწილი (პრემიერი) ქართულში ცალკე, დამოუკიდებლად გამოიყენება და, გარდა ამისა, ტრადიციულად დამკვიდრებულია მისი დეფისიანი გაფორმება: **პრემიერმა/პრემიერ-მინისტრმა** განაცხადა, **პრემიერ-**

მა/პრემიერ-მინისტრმა გამოსცა ბრძანება. დასაშვებია მისი ერთად დაწერილობაც – **პრემიერ-მინისტრი** (//**პრემიერმინისტრი**).

ვიცე- ფუძით დაწყებული სიტყვები (**ვიცე** რთული სიტყვის შემადგენელი ნაწილია, აღნიშნავს **მოადგილეს, შემცვლელს**. ის დამოუკიდებლად არ გამოიყენება):

ვიცეპრეზიდენტი, ვიცეპრემიერი, ვიცემერი, ვიცესპიკერი, ვიცეთავმჯდომარე, ვიცეკანცლერი, ვიცეადმირალი, ვიცეუზბერნატორი, ვიცეკონსული, ვიცეკაპიტანი, ვიცეპოლკოვნიკი...

ექს- ფუძით შედგენილი რთული სიტყვები (**ექს** რთული სიტყვის შემადგენელი ნაწილია, აღნიშნავს **ყოფილს**):

ექსპრეზიდენტი, ექსპრემიერი, ექსმინისტრი, ექსმერი, ექსსპიკერი, ექსთავმჯდომარე, ექსუზბერნატორი, ექსკაპიტანი, ექსადმირალი, ექსკონსული, ექსპოლკოვნიკი...

ვებ- ფუძით შედგენილი რთული სიტყვები:

ვებგვერდი, ვებსაიტი, ვებდიზაინი, ვებდიზაინერი, ვებსტუდია, ვებკამერა, ვებპროგრამა, ვებპროგრამირება, ვებტექნოლოგია, ვებპროექტი, ვებმისამართი, ვებრესურსი...

კინო- ფუძით შედგენილი რთული სიტყვები:

კინომუსიკა, კინორეჟისორი, კინოგახმოვანება, კინოსტუდია, კინოფილმი, კინოხელოვნება, კინოფონდი, კინოსარეჟისორო, კინოკლუბი...

პრეს- და **მედია**- ფუძეებით შედგენილი რთული სიტყვები:

პრესცენტრი, პრესსპიკერი, პრესკონფერენცია, პრესრელიზი, პრესმდივანი, პრესატაშე, პრესსამსახური...; მედიაკომპანია, მედია-მენეჯერი, მედიაცენტრი, მედიამონიტორინგი, მედიაბიზნესი, მედიაპლურალიზმი, მედიასაშუალება, მედიაპროდუქტი, მედიაშეფასება, მედიამფლობელი, მედიამართვა, მედიაგამოხმაურება...

ბიზნეს- ფუძით შედგენილი რთული სიტყვები:

ბიზნესცენტრი, ბიზნესგარემო, ბიზნესგეგმა, ბიზნესფორუმი, ბიზნესიდეა, ბიზნესრეგისტრაცია, ბიზნესპარტნიორი, ბიზნესექსპორტი, ბიზნესშეხვედრა, ბიზნესსესხი, ბიზნესკლუბი...

ინტერნეტ- ფუძით შედგენილი რთული სიტყვები:

ინტერნეტგამოცემა, ინტერნეტგაზეთი, ინტერნეტპორტალი, ინტერნეტპაკეტი, ინტერნეტმომხმარებელი, ინტერნეტჟურნალი,

ინტერნეტმომსახურება, ინტერნეტმაღაზია, ინტერნეტბანკი, ინტერნეტკომპანია...

ტელე-, **რადიო-**, **ვიდეო-** და **აუდიო-** ფუძეებით შედგენილი რთული სიტყვები:

ტელეგადაცემა, ტელეკომპანია, ტელეწამყვანი, ტელემაუწყებელი, ტელეჟურნალისტიკა, ტელესახე, ტელეინდუსტრია, ტელემომხილვა, ტელეკამერა, ტელეოპერატორი, ტელესტუდია...; რადიოგადაცემა, რადიოკომპანია, რადიომაუწყებელი, რადიოჟურნალისტიკა, რადიოინდუსტრია, რადიომომხილვა, რადიოწამყვანი...; ვიდეომასალა, ვიდეოფონდი, ვიდეოკოლაჟი, ვიდეოგადაღება, ვიდეობრიფინგი, ვიდეობარათი, ვიდეომონტაჟი, ვიდეოგახმოვანება, ვიდეორგოლი, ვიდეოზარი, ვიდეომიმართვა, ვიდეოჩართვა...; აუდიომასალა, აუდიომოწყობილობა, აუდიოჩანაწერი, აუდიოწიგნები, აუდიოსისტემა, აუდიოტექნიკა, აუდიომაღაზია...

ფოტო- ფუძით შედგენილი რთული სიტყვები:

ფოტოსესია, ფოტოგადაღება, ფოტოპირი, ფოტორობოტი, ფოტოკოლაჟი...

ვებ- ფუძით შედგენილი რთული სიტყვები:

ვებაფთიაქი, ვებკლინიკა, ვებქიმი, ვებმომსახურება...

ავტო- ფუძით შედგენილი რთული სიტყვები:

ავტოგაქირავება, ავტოსესხი, ავტომომსახურება, ავტოლომბარდი, ავტოსამრეცხაო...

სერვის- ფუძით შედგენილი რთული სიტყვები:

სერვისცენტრი, სერვისადმინისტრატორი, სერვისკომპანია...

პოპ-, **როკ-**, **ჯაზ-**, **მეგა-** და **გალა-** ფუძეებით შედგენილი რთული სიტყვები (**გალა** რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილია და აღნიშნავს **დიდ საზეიმო სანახაობას**; **მეგა** რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილია და აღნიშნავს **დიდი ზომისას, უზარმაზარს**):

პოპმუსიკა, პოპმუსიკოსი, პოპმომღერალი, პოპშემსრულებელი...; როკმუსიკა, როკმუსიკოსი, როკმომღერალი, როკშემსრულებელი...; ჯაზმუსიკა, ჯაზმუსიკოსი, ჯაზშემსრულებელი, ჯაზმომღერალი, ჯაზორკესტრი...; მეგაშოუ, მეგაპროექტი, მეგასანახაობა, მეგავარსკვლავი, მეგატექნიკა, მეგატური, მეგადიზაინერი, მეგადიზა-

ინი, მეგაკონკურსი...; გალაკონცერტი, გალადაჯილდოება, გალაგალერეა...

ტრენინგ- და **ბონუს-** ფუძეებით შედგენილი რთული სიტყვები:

ტრენინგკურსი, ტრენინგცენტრი, ტრენინგსემინარი...; ბონუს-ქულა, ბონუსხარატი, ბონუსპროგრამა...

ელექტრო- და **ექსტრა-** ფუძეებით შედგენილი რთული სიტყვები:

ელექტრომომარაგება, ელექტროტექნიკა, ელექტრომომსახურება, ელექტროსკუტერი, ელექტროხელსაწყო, ელექტრომასალა, ელექტროღუმელი, ელექტროგიტარა, ელექტროინსტრუმენტები, ელექტროავტომობილი...; ექსტრაორდინარული, ექსტრამოცულობა, ექსტრამგრძნობიარე, ექსტრადღიერი...

თანამედროვე ქართულში მრავლად დასტურდება აგრეთვე ორმაგ სახელწოდებათა შემცველი სიტყვები. მათ განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ. შესაბამისად, დეფისით უნდა დაიწეროს შემდეგი სახის რთული სიტყვები:

ექსპერტ- ფუძით შედგენილი:

ექსპერტ-ლინგვისტი, ექსპერტ-კრიმინალისტი, ექსპერტ-კონსულტანტი, ექსპერტ-აუდიტორი, ექსპერტ-კინოლოგი, ექსპერტ-შემფასებელი, ექსპერტ-ენციკლოპედისტი, ექსპერტ-ადმინისტრატორი, ექსპერტ-ინჟინერი, ექსპერტ-ხულალტერი...

ორმაგ სახელწოდებათა შემცველი რთული სიტყვები:

პატრულ-ინსპექტორი, მეან-გინეკოლოგი, გენერალ-გუბერნატორი, გენერალ-მაიორი, გენერალ-ადიუტანტი, მოლარე-ოპერატორი, ექიმ-ეპიდემიოლოგი, ექიმ-ინფექციონისტი...

დეფისით უნდა დაიწეროს **სახლ-მუზეუმი, ციხე-კოშკი** ტიპის კომპოზიტებიც, რადგან მათი შემადგენელი ნაწილები განსხვავებული მნიშვნელობის გამომხატველია. მათ შორის და კავშირი თავისუფლად ჩაისმის: **ციხე-კოშკი, ციხე-ხურჯი, ციხე-ქალაქი, ციხე-გაზაფანი, ციხე-გოდოლი, ციხე-დარბაზი, სახლ-მუზეუმი.**

ცალკე დგას **ციხესიმაგრის** დაწერილობის საკითხი. დღემდე არსებული ნორმის მიხედვით, ზემოთ წარმოდგენილ კომპოზიტთა შორის ის ერთადერთია, რომელიც ერთად იწერება. ასეა ის შემდეგ ლექსიკონებში: „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“, „მართლწერის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი“ (გარ-

და „საჯარო მოხელის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონისა“, რომელშიც დასახელებული ორთოგრაფია დეფისიანი დაწერილობითაა გაფორმებული). ერთად დაწერილობის მიზეზი სიტყვის ერთცნებიანობაა, თუმცა აღსანიშნავია, რომ ერთგვაროვნებისა თუ სიმარტივის გათვალისწინებით შესაძლებელია ისიც დეფისით დაიწეროს.

ცალკე დგას ერთცნებიან კომპოზიტებად გააზრებული შემდეგი რთული სიტყვები: **რკინაბეტონი, რკინაქვა, აზბესტმუყაო, აზბესტსაღებავი, აზბესტცემენტი...** მაგალითად, სიტყვაში **რკინაბეტონი რკინა** და **ბეტონი** ცალ-ცალკე არ მოიაზრება, ისევე როგორც დამოუკიდებლად არ აღვიქვამთ **რკინასა** და **ქვას, აზბესტსა** და **მუყაოს, აზბესტსა** და **საღებავს**, ან **აზბესტსა** და **ცემენტს** კომპოზიტებში **რკინაქვა, აზბესტმუყაო, აზბესტსაღებავი, აზბესტცემენტი**.

თხზული სიტყვის – **ასო-ბგერა** – შემადგენელი კომპონენტები დამოუკიდებელი მნიშვნელობის შემცველია: **ასო** გრაფიკულ გამოსახულებას გულისხმობს, ხოლო **ბგერა** – ფონეტიკურს. რაც შეეხება **ასონიშანს**, ის ერთმნიშვნელობიან რთულ სიტყვადაა გაგებული და, შესაბამისად, ერთადაც იწერება, რადგან სამეტყველო ბგერის გრაფიკულ ნიშანს აღნიშნავს (იგივეა, რაც ასო). ასევე გაფორმდება კომპოზიტები **სახესიმბოლო** და **სიტყვაფორმა**.

საყურადღებოა ზოგი სხვა კომპოზიტური შერწყმული დანართის დაწერილობის საკითხიც. დეფისით დაიწერება შემდეგი კომპოზიტები: **ვაგონ-რესტორანი, ვაგონ-სახელოსნო, ვაგონ-ცისტერნა, ვაგონ-ბიბლიოთეკა, სალონ-ვაგონი...** დასახელებულ რთულ სიტყვებში დაწერილობის ერთგვაროვნებისა და კავშირის ჩასმის პრინციპით უნდა ვიხელმძღვანელოთ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო პერიოდში მომრავლდა შემდეგი სახის თხზული სიტყვები: **კანონპროექტი, ჩარჩოხელშეკრულება, ჩარჩოპროექტი, ჩარჩოდოკუმენტი...** ისინი ერთმნიშვნელობიანი რთული სიტყვებია, რომელთაც ერთგვარი იურიდიული ტერმინის დანიშნულება აქვთ. მათი შემადგენელი ნაწილები ერთ მთლიან ოდენობად აღიქმება (არ იგულისხმება **ჩარჩო** და **პროექტი, ჩარჩო** და **ხელშეკრულება...**), კომპონენტები ერთიმეორეს ავსებენ შინაარსობრივად და, შესაბამისად, ერთად დაიწერება.

სპეციფიკურია ისეთი კომპოზიტებიც, რომელთა შემადგენელი ნაწილები ორმაგი სახელწოდებით გამოიხატება, რაც განაპირო-

ბეზს მათ დეფისით დაწერილობას: წევრ-კორესპონდენტი, აკადემიკოს-მდივანი, მეცნიერ-თანამშრომელი, მეცნიერ-ხელმძღვანელი, მეცნიერ-მუშაკი, პოეტ-აკადემიკოსი, ავტორ-შემდგენელი, ავტორ-რედაქტორი, ოსტატ-ხელოსანი...

ლიტერატურა

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, 1970, I, თბილისი.

მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის, 2016, თბილისი.

საჯარო მოხელის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი, 2017, თბილისი.

ქართული ენის ორთოგრაფული ლექსიკონი, 1998, თბილისი.

Tea Burchuladze

On Spelling Compounds

Summary

In Georgian, there is a tendency for the first part of a compound word to be presented as a base and both parts to be declined together as one word. The following rule should be followed to maintain uniformity in writing:

The first member of a Georgian or a foreign compound that entered the language should be presented as a base and written with a hyphen along with a head word, e.g. *muzeum-naḡrḡali* “museum-reserve”, *ḡevr-ḡorespondenti* “corresponding member”, *saxl-muzeumi* “house-museum”, *aḡademiḡos-mdivani* “academician-secretary”, *poet-aḡademiḡosi* “poet-academician”, etc.

A compound must be declined as a single word

Compounds derived from the following bases are written as a single combined word (*premier-ministri* is an exception): premier-, vice-, eks-, video-, audio-, tele-, radio-, media-, veb-, kino-, pres-, biznes-, internet-, pofo-, vet-, avto-, servis-, jaz-, rok-, pop-, mega-, gala-, elektro-, trening-, etc.

Compounds containing words with similar meanings are written with a hyphen, e.g. *patrul-inspektori* “patrol-inspector”, *ekspert-lingvisti* “expert-linguist”, *ekim-epidemiologi* “doctor-epidemiologist”, *mecnier-xelmzyvani* “researcher-director”, etc.

The compounds *asonišani* “letter”, *saxesimbolo* “symbol”, *siqvaporma* “word form” are written as a single combined word as they contain words with the same concepts.

kanonproekti “draft law”, *čarčoxelšeqruleba* “framework agreement”, *čarčoproekti* “framework project”, *čarčodoğumenti* “framework document” are unambiguous compounds that have the purpose of a kind of legal terms. Their constituent parts are perceived as one whole, the components complement each other in content and, therefore, they are written together.

გიორგი გოგოლაშვილი

იოსებ ყიფშიძე და ქართული მართლწერა

იოსებ ყიფშიძის სამეცნიერო მოღვაწეობა სულ რაღაც ათიოდე წელს მოიცავს. გავიხსენოთ: 1906 წელს ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე; 1907 წელს ნიკო მარის დახმარებით გადავიდა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სომხურ-ქართულ განყოფილებაზე და შეუდგა ენათმეცნიერების შესწავლას. 1909-1910 წლებში უნივერსიტეტის მიერ სტუდენტი ი. ყიფშიძე მივლინებულ იქნა სამეგრელოსა და ლაზეთში ენის შესასწავლად და ლინგვისტური მასალის შესაგროვებლად... ფაქტობრივ ასე დაიწყო მისი ლინგვისტური მოღვაწეობა... [ქართ. ენც. 1986; კ. დანელია 1985, გ. გოგოლაშვილი 2015].

ფასდაუდებელია ი. ყიფშიძის წვლილი მეგრულ-ლაზურის შესწავლის საქმეში [იხ. არნ. ჩიქობავა 2008; კ. დანელია 1985] (შენიშნავთ, ი. ყიფშიძე მეგრულსა და ჭანურს დამოუკიდებელ ენებად განიხილავდა)... ასევე მნიშვნელოვანია მისი წვლილი ქართული ფილოლოგიის წინაშე; ამაში იოლად დარწმუნდება მკითხველი, თუ გაეცნობა 1994 წელს კ. დანელიას მიერ გამოცემულ იოსებ ყიფშიძის „რჩეულ თხზულებებს“ [ყიფშიძე 1994]. ამ გამოცემაში კ. დანელია აღწერს იმ შრომებსაც (ნაბეჭდსა თუ ხელნაწერს), რომელთა დაბეჭდვა ვერ მოხერხდა „რჩეულ თხზულებებში“. საბედნიეროდ, 2015 წელს მოხერხდა ამ მასალების (როგორც ადრე დაბეჭდილებისა, ისე ხელნაწერთა) შეკრება და ერთ წიგნად შეკვრა – პირობითად შეიძლება მას II ტომი ვუწოდოთ [იხ.: ყიფშიძე 2015: 742, სარედაქციო ჯგუფის ხელ-ლი ზ. გაიპარაშვილი, სამეცნიერო რედაქტორი გ. გოგოლაშვილი]. სამწუხაროდ, მოცულობის სიდიდის გამო ამ ტომშიც ვერ მოხერხდა ყველა ნაშრომის დაბეჭდვა; მაგ. – „ქართული ენის გრამატიკისა“, რომელიც პეტერბურგში გამოიცა 1911 წელს. ეს არის ლითოგრაფიული გამოცემა ქართული ენის პრაქტიკული კურსისა. როგორც თავად ავტორი აღნიშნავს, არსებითად ემყარება ნ. მარის მიერ შედგენილ და 1908 წელს პეტერბურგში გამოცემულ წიგნს „ძირითადი ტაბულები ძველი ქართული ენის გრამატიკისა“. როგორც კ. დანელია შენიშნავს, „უნდა ითქვას, რომ დიდი მასწავლებლის ია-

ფეტური თეორიის გავლენა ნაკლებად ეტყობა ნიჭიერი მოწაფის ამ ნაშრომს, [დანელია 1985: 18]... ეს წიგნი საინტერესო იმითაცაა, რომ „ძველი ქართული ენის გრამატიკის ტაბულების“ მიხედვით შედგენილია ახალი ქართული ენის გრამატიკის პრაქტიკული კურსი; ფაქტობრივ ხდება „შედარება“, სხვაობის წარმოჩენა, რაც ახალ ქართულს განასხვავებს ძველისაგან... კ. დანელია ი. ყიფშიძის შესახებ გამოცემულ თავის წიგნაკში მიმოიხილავს ამ წიგნსაც [დანელია 1985: 18-21], მაგრამ, სამწუხაროდ, ამ კუთხით არ ხდება ყურადღების გამახვილება... ჩაღრმავებული ანალიზი ამ პრაქტიკული კურსისა, ვფიქრობთ, საჭიროა. ერთ მაგალითს მოვიყვან: კ. დანელია წერს – წიგნში „გამოყოფილი და დახასიათებულია ზმნათა უღლებადი ფორმების სამი ჯგუფი: პირველი (I სერია): 1. აწმყო, 2. აწმყო უსრული (უწყვეტელი), 3. I კავშირებითი; მეორე (II სერია): 1. აორისტი (წყვეტილი), 2. მომავლის კავშირებითი (II კავშირებითი); მესამე (III სერია): 1. აწმყო სრული (I თურმეობითი), 2. წინარეწარსული (II თურმეობითი), 3. ნამყო კავშირებითი (III კავშირებითი)“ [დანელია 1985: 20]. აქ საინტერესოა ის ფაქტი, რომ ი. ყიფშიძე მიიჩნევს: დროკილოთა სისტემა ძველსა და ახალ ქართულში ერთგვარია, რომ ახალ ქართულში 8 მწკრივი უნდა გამოიყოს (შდრ. ა. შანიძის დროკილოთა სისტემა – ა. შანიძე 1930)... მოკლედ, ი. ყიფშიძის „ქართული ენის გრამატიკის“ დაწვრილებითი ანალიზი შესაძლებლობას მოგვცემს, შევაფასოთ ი. ყიფშიძე, როგორც ქართული ენის გრამატიკოსი. როგორც ჩანს, სწორედ ამას გულისხმობს კ. დანელია, როცა წერს: „ი. ყიფშიძის „ქართული ენის გრამატიკის“ სასწავლო კურსი მაინც იმსახურებს გარკვეულ ყურადღებას. სხვა რომ არა, ის ქართული გრამატიკული აზრის განვითარების ისტორიის ორგანული ფურცელია და აქამდე მისი სრული იგნორირება, სამწუხაროდ, წარსული მემკვიდრეობისადმი მიუტყეველ გულგრილობად მოჩანს“ [დანელია 1985: 21].

ჩვენ ამჯერად ი. ყიფშიძის მოღვაწეობის ერთ ასპექტზე შევაჩერებთ ყურადღებას – იოსებ ყიფშიძე და ქართული მართლწერა. ვემყარებით 2015 წელს გამოცემულ წიგნში [ყიფშიძე 2015] გამოქვეყნებულ სამ მასალას:

1. ქართული მართლწერა – გვ. 37-39;
2. ი. ყიფშიძის პირადი წერილი ს. გორგაძეს – გვ. 478-482;

3. ს. გორგაძის პირადი წერილი ი. ყიფშიძეს – გვ. 539-546.

სამივე ამ წერილის ხელნაწერის დედანი დაცულია საქართველოს ლიტერატურის მუზეუმში. I მათგანის შესახებ საკმაოდ ვრცელი მიმოხილვა შემოგვთავაზა კ. დანელიამ და თვითონ წერილის ძირითადი ნაწილიც გადმობეჭდა ამ მიმოხილვაში [დანელია 1985: 82-85]. კ. დანელია დაასკვნის: „არსებითი მაინც ისაა, რომ ზემომოყვანილი მასალებით საცნაური გახდა ი. ყიფშიძის მოღვაწეობის დღემდე თითქმის უცნობი მხარე – ქართული მართლწერის უბანი“ (დანელია 1985: 86)...

შევეცდებით, „ი. ყიფშიძის დღემდე თითქმის უცნობ მხარეზე“ უფრო მეტი წარმოდგენა შევიქმნათ...

* * *

იოსებ ყიფშიძის არქივში დაცულია ხელნაწერი ნაშრომი „ქართული მართლწერა“ (საქართველოს ლიტერატურის მუზეუმი, ხელ. № 24093), რომელიც აღწერა (მიმოხილა) კ. დანელიამ [დანელია 1985: 76]. ეს ნაშრომი გამოქვეყნდა 2015 წელს [ყიფშიძე 2015: 37-39].

ხელნაწერი არ არის დათარიღებული. კ. დანელია მიიჩნევს, რომ ეს ნაშრომი ი. ყიფშიძემ თბილისის უნივერსიტეტში მოღვაწეობის დროს შექმნა. „1918 წლის გაზაფხულზე (?) დაარსებული ქართული უნივერსიტეტი და მისი ერთ-ერთი უპირველესი ქართული ენის კათედრა ენის მეცნიერულ შესწავლასთან ერთად გადაუდებელ სამუშაოდ თვლიდა მართლწერის საკითხების მოგვარებას. ქართული ენის პრაქტიკული საკითხების თაობაზე უნივერსიტეტის არსებობის პირველი წლიდანვე იმართებოდა საგანგებო სხდომები, რომლებზეც ი. ყიფშიძე გამოდიოდა მოხსენებებითა და პროექტებით. მეცნიერის არქივში დაცულია ასეთი მოხსენება-პროექტის („ქართული მართლწერა“) ავტოგრაფი. სამწუხაროდ, არა ჩანს, როდის და რომელ სხდომაზეა ეს მოხსენება წაკითხული“ [დანელია 1985: 77].

ის ფაქტი, რომ ხელნაწერს არა აქვს მინიშნება, სად და როდის იქნა წაკითხული, ეჭვს აღძრავს, რომ ამ წერილის დანიშნულება სწორედ ეს იყო, რასაც კ. დანელია წერს („მოხსენება-პროექტი“), მით უმეტეს, ი. ყიფშიძის მსგავსი პაუზისმგებლობის პირისათვის ამ სახით „პროექტის“ შედგენა თითქოსდა არ არის დამაჯერებელი...

საინტერესოა ისიც, რომ არქივში ამ ხელნაწერთან ერთად ინახება „შავად სამუშაო ცალკე ფურცლებზე ამოწერილი მასალები, რომელიც ი. ყიფშიძეს მოუკრებია სხვათა (ს. ხუნდაძის, თ. ჟორდანიას, თ. სახოკიას...) გრამატიკული შრომებიდან, ან ასეთ შრომებზე დაწერილი (პ. ჭარაიას, ი. აბულაძის...) პოლემიკური სტატია-რეცენზიებიდან“ [დანელია 1985: 77]... რგორც ჩანს, თითოეულ საარქივო ფურცელზე არის მინაწერები, შენიშვნები, ჩანიშვნები მართლწერის საკითხებზე. ასევე, ი. ყიფშიძის არქივში არის უხვი მასალა საგაზეთო სტატიებიდან ამოწერილი. როგორც ჩანს, იგი საგანგებო ყურადღებას აქცევს პარალელურ ფორმებს...

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ი. ყიფშიძის არქივში შემორჩენილი ორი პირადი წერილი – სერგი გორგაძისა იოსებ ყიფშიძისადმი (თარიღი: 1915 წ. 9 თებერვალი) და იოსებ ყიფშიძისა სერგი გორგაძისადმი (თარიღი – 26 თებერვალი, 1915 წ.).

სერგი გორგაძე იოსებ ყიფშიძის უახლოესი ადამიანია (როგორც თავად წერს, „ერთგული ძმა-ქვისლი“). სერგი გორგაძის ეს წერილი ასე მთავრდება: „საზოგადოთ, გთხოვთ თქვენი აზრი შემატყობინოთ თვით **ამ კრებათა** შესახებ (ხაზი აქაც და შემდგომაც ჩვენია – გ.გ.) და ამ საკითხის წამოყენების შესახებ: პირადათ მე იმ აზრისა ვიყავი (კრებაზედაც), რომ ცოტაც რომ დაგვეცადნა (სანამ **თქვენი სკოლის** გრამატიკები გამოვიდოდეს), უმჯობესი იქნებოდა. მაგრამ **აქ ჩქარობენ** და სულ გაჩუმებას და ნეიტრალიტეტს ისევ ჩარევა ვარჩიე, თუკი მოვახერხებ მათთან მუშაობას. ვნახოთ, **რა მიმართულებას მიიღებს ეს საქმე** უახლოეს კრებებზე და **კომისიაში**. იმედი მაქვს, მანამდე მოკლეთ **შენს აზრს მაცნობებ**“ [ყიფშიძე 2015: 545].

სანამ უშუალოდ თემაზე საუბარს გავაგრძელებთ, ვფიქრობთ, საჭიროა განვმარტოთ რამდენიმე საკითხი:

1. რა კრებებზეა საუბარი;
2. რა სკოლაზეა საუბარი;
3. ვინ ჩქარობს აქ...
4. რა საქმის რა მიმართულებაზეა საუბარი;
5. ვინ არის და რა პასუხისმგებლობა აქვს ს. გორგაძეს...

სერგი გორგაძე იყო ცნობილი ქართველი ლიტერატურათმცოდნე, ისტორიკოსი, ენათმეცნიერი, პედაგოგი (ქართ. ენც. 1979); ავტორი წიგნებისა „ქართული სადასიტყვაობა“ (1915), „ქართული მართლწერა“ (1916), „ქართული ლექსი“ (1930) და სხვა. სერგი გორგაძე იყო ერთ-ერთი მთავარი ფიგურა „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებაში“... ვინაიდან ამ საზოგადოების საქმიანობას უშუალო კავშირი აქვს ჩვენს განსახილველ საკითხთან, შევეცდებით, საკმაოდ ვრცლად ვისაუბროთ მასზე:

ქართული სალიტერატურო ენის პრობლემების მოგვარების შესახებ სერიოზული ზრუნვა ფაქტობრივ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება. სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საკითხი ერთ-ერთი მთავარი საფიქრალია იმ დროისათვის. იმართება პოლემიკები; სტანდარტიზაციის მოთხოვნა აქტუალურია ჟურნალ „ცისკარში“; ალ. ჯამბაკურ-ორბელიანს წერილი გამოუქვეყნებია „ქართული უბნობა ანუ წერა“ [„ცისკარი“ 1860, № 6]; მოუწოდებდა თურმე: „ვინც გამოჩენით იციან ქართული ენა, ხანდისხან შეიყარონ ქართული სიტყვიერების განსჯისა და მისი წარმატებისათვისო“ [ლეჟავა 2004: 158]. 80-იან წლებში განსაკუთრებით გააქტიურდა „ივერია“; გაზეთის რედაქციის ინიციატივით 1886 წლის 8 მარტს კრება მოიწვიეს, სადაც ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხები იყო განსახილველად წარმოდგენილი [ლეჟავა 2004: 159] და ა. შ...

XX საუკუნის დასაწყისში ამ საქმეში განსაკუთრებულია წვლილი **„ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებისა“**. ეს საზოგადოება ჩამოყალიბდა მოსკოვის უნივერსიტეტში 1907 წელს შექმნილი „ქართული კულტურის მოყვარულთა წრის“ ბაზაზე. ამ წრის ინიციატორი იყო მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი გიორგი ჟორდანიანი. ამ წრეს 1909 წელს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით მიენიჭა ილია ჭავჭავაძის სახელი... უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1912 წელს, ამ წრის წევრები ბრუნდებიან თბილისში და „წრე“ „საზოგადოებად“ ჩამოყალიბდეს. ამ საზოგადოების მნიშვნელობა უადრესად ფასეულია [იხ.: გოდერიძე 1970; ლეჟავა 1988]; „ქვე საზ-ბა მეცნიერულ-პოპულარული ხასიათის ნებაყოფლობითი ორგანიზაცია იყო, რომელშიც სულ მალე გაერთიანდა ქართველი ინტელიგენცია“ [ლეჟავა 1988: 9]. საზ-ის წესდებიდან: საზო-

გადოების მიზანი იყო ყოველმხრივ შეესწავლა ქართული კულტურა (სახელდობრ: ენა, მწერლობა, საზოგადოებრიობა, სამართალი, ეთნოგრაფია) და გაეცნო იგი რუსეთის საზოგადოებისათვის (იქვე). საზოგადოების საპატიო წევრები იყვნენ: აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, თ. ჟორდანიას, ალ. ცაგარელი, ე. თაყაიშვილი, მარჯორი უორდროპი, კ. ბალმონტი, კ. მარჯანიშვილი და სხვა... ამას იმიტომ მივაპყრობთ ყურადღებას, რომ ნათელი გავხადოთ ქკმ საზ-ის სერიოზულობა და მისი მნიშვნელობა.

საზოგადოების საქმიანობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ქართულ სალიტერატურო ენას. „ქკმ საზ-ბამ შეძლო მოენახა პრაქტიკული გზა ქართული მართლწერის საჭირობოტოტო საკითხების გასარკვევად და მოსაგვარებლად... 1915-1916 წლებში საზოგადოების კრებებზე, რომლებსაც ხშირად ასზე მეტი კაცი ესწრებოდა, ძალზე აქტიურად განიხილებოდა სალიტერატურო ქართულის სადავო საკითხები. „ენის მცოდნეებთან“ ერთად საქმეში ჩაერთო ფართო საზოგადოებაც“ [ლექავა 1988: 11].

საინტერესოა ისიც, რომ საზოგადოების კრებების ვრცელი ოქმები ქვეყნდებოდა იმდროინდელ პრესაში („კლდე“, „საქართველო“, „განათლება“, „სახალხო ფურცელი“); ასე რომ, ინფორმაცია ამ საქმიანობის შესახებ ხელმისაწვდომი იყო ყველა დაინტერესებული პირისათვის. ამ ფაქტზე ყურადღებას იმიტომაც ვამახვილებთ, რომ დღევანდელ საზოგადოებას გავაცნოთ, თუ როგორი ინტერესი იყო საუკუნის წინათ ქართული სალიტერატურო ენის მიმართ და როგორ იბრძოდნენ (დიახ, იბრძოდნენ!) ქართული სალიტერატურო ენის შესწავლის, ნორმალიზაციისა და მიღებული ნორმების დამკვიდრებისათვის. თავიდან კრების ოქმებს ილია ბაკურაძე ადგენდაო; 1915 წლის 8 მაისის კრების ოქმში ასეთი რამ იკითხება: „კრებამ მაღლობა გადაუხადა სამი კრების მდივანს ილ. ბაკურაძეს მშვენიერი ოქმების შედგენისათვის... აგრეთვე ადგილობრივი გაზეთების რედაქციებს კრებების ანგარიშების ბეჭდვისათვის და დაავალა საბჭოს, სთხოვოს რედაქციებს შემდეგი ოქმები უფრო ვრცლად ბეჭდონ (განსაკუთრებით მოხსენებები და კამათი) და, თუ მოსახერხებელია, განსაკუთრებული განყოფილება გაიჩინონ გაზეთში ან ჟურნალში **საგრამატიკო საკითხების მოწესრიგების საქმის სისტემატური სამსახურისთვის**“ [იხ. ლ. ლექავა 1988: 12].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ს. გორგაძე 1915 წ. 9 თებერვლით დათარიღებულ წერილში სთხოვდა ი. ყიფშიძეს, „თქვენი აზრი შემატყობინეთ თვით ამ კრებათა შესახებო“. აქ, როგორც ჩანს, იგულისხმება:

1. ქკმ საზ-ის კრება, რომელიც გაიმართა 1915 წლის 15 იანვარს. „კრება პირველად მიემდვნა მთლიანად მართლწერის საკითხებს... მსჯელობა ძირითადად ორგანიზაციული და პრინციპული ხასიათისა იყო“ [ლექვა 1988: 13].

2. მეორე კრება გამართულა 10 დღის შემდეგ, 1915 წლის 25 იანვარს. „მართლწერის საკითხებზე ბაასის გასაგრძელებლად კვლავ იმუშავა საერთო კრებამო“ – წერდა თურმე 1915 წ. 28 იანვრის გაზეთი „სახალხო ფურცელი“ [ლექვა 1988: 13].

ამ ორ კრებაზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, სწორედ ამის თაობაზე სთხოვს ს. გორგაძე აზრს ი. ყიფშიძეს.

იოსებ ყიფშიძის ნაშრომი „ქართული მართლწერა“ ასე იწყება: **„წინა ორ კრებაზე** მიღებული იქნა ორი დებულება“... აქ სწორედ ქკმ საზ-ის ზემომოყვანილი ორი კრება იგულისხმება. ამიტომ ი. ყიფშიძის ნაშრომი „ქართული მართლწერა“ დაწერილია სწორედ 1915 წლის 9 თებერვლიდან (ასეა დათარიღებული ის წერილი, რომელშიც ს. გორგაძე სთხოვს ი. ყიფშიძეს აზრი გამოთქვას პირველ ორ კრებაზე დასმულ საკითხებზე) 1915 წლის 18 მარტამდე. სწორედ 18 მარტით დათარიღებულ პირად წერილში სწერს ს. გორგაძე ი. ყიფშიძეს: „შენმა მოკლე, მაგრამ საფუძვლიანმა შენიშვნებმა „მართლწერის“ შესახებ დიდად მასიამოვნა და ბევრს რაზედმე დამაფიქრა“ [ყიფშიძე 2015: 548].

ასე რომ, უტყუარი ჩანს ის, რომ ი. ყიფშიძის წერილი „ქართული მართლწერა“ არის ს. გორგაძის ინიციატივით ქკმ საზ-ის მიერ გამართულ დისკუსიებზე წამოჭრილ საკითხებზე იოსებ ყიფშიძის ჩართვის ფაქტი.

აქედან გამომდინარე, არა ჩანს მართებული კ. დანელიას ვარაუდი იმის შესახებ, რომ „ქართული მართლწერის“ დაწერა ი. ყიფშიძემ ქართულ უნივერსიტეტში საქმიანობას დაუკავშირა...

* * *

როგორც ითქვა, ქკმ საზ-ის საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობს ს. გორგაძე. ი. ყიფშიძესთან ახლო ურთიერთობის წყალო-

ბით, ს. გორგაძე ცდილობს საზ-ის საქმიანობაში ჩააბას „მისი სკოლა“ (აქ ს. გორგაძე გულისხმობს პეტერბურგში იმჟამად მოღვაწე მეცნიერებს – ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, ი. ყიფშიძე...); განსაკუთრებით ეიმედება აკაკი შანიძის დახმარება: „მოკითხვა გადაეცი ჩემგან ბ-ნს აკაკი შანიძეს და უთხარი, ნუ დაიშურებს მართლწერის შესახებ თავისი აზრი მაცნობოს“ [ყიფშიძე 2015: 546].... ერთ-ერთ წერილში სწერდა კიდეც ი. ყიფშიძეს: „აკ. შანიძეს აქვს კარგი მასალები და ვთხოვ თავისი მოსაზრებანი მომაწოდოს, თუ ეს მისთვის საძნელო არ იქნება“ [ყიფშიძე 2015: 545]. 1915 წლის 15 იანვრის კრებაზე ს. გორგაძეს ამგვარი საკითხების განხილვა ნაადრევად მიაჩნია თბილისში „საჭირო ძალების უქონლობის გამო“. ამიტომ კერძო წერილებით ცდილობს ამ ხარვეზის ამოვსებას. ს. გორგაძე მიიჩნევს, რომ პეტერბურის სკოლას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს (კრებებზეც კი!) ქართული საგრამატიკო საკითხების მოგვარებაში: „პირადად მე, – სწერს ს. გორგაძე ი. ყიფშიძეს, – იმ აზრისა ვიყავი, რომ ცოტაც რომ დაგვეცადნა (სანამ თქვენი სკოლის გრამატიკები გამოვიდოდეს), უმჯობესი იქნებოდა“... ანდა: „ვიცი, შენც ბევრი საქმით ხარ დატვირთული, მაგრამ ეს საქმეც არანაკლებ საჭირ-ბოროტო საქმეა და მისი რიგიანად მომართვა მხოლოდ თქვენს სკოლას შეუძლია“ [ყიფშიძე 2015: 545-6]... II წერილიდან: „მანც ბ-ნი შანიძის გამოკვლევას (როგორც ჩანს, ივარაუდება მისი ნაშრომი პრეფიქსების შესახებ – გ. გ.) ამ საგნის შესახებ მოუთმენლად ველოდები“ (იქვე, 11); ანდა: „თქვენი სკოლა სასწაულებს მოახდენს, თუ „ციხე შიგნიდან არ გატეხეს“ (იქვე, 551)... აქვე ძალიან საინტერესო მინაწერიც: „რაღა თქმა უნდა, ჩვენთვის უფრო საინტერესო იქნებოდა თვით მარრის აზრი, მაგრამ ჯერ-ჯერობით იმას როგორ შევაწუხებთ“ (იქვე, 546).

საგანეთო ინფორმაციებიდან ირკვევა, რომ სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საკითხებთან დაკავშირებით, ქკმ საზ-ში ყველაზე აქტიური სერგი გორგაძე იყო. 25 იანვრის კრებაზე სწორედ მან ითხოვა წინასწარ ორი საკითხის გამოკვლევა:

1. უფლებამოსილია თუ არა ეს კრება, საბოლოოდ გადაწყვიტოს წამოყენებული საკითხები, თუ ასეთი გადაწყვეტა მიენდობა სპეციალისტთა ყრილობას.

2. არის თუ არა განსხვავება სალიტერატურო ენასა და მართლწერას შორის, არსებობს თუ არა მართლწერა, როგორც გრამატიკის დარგი [ლეჟავა 1988: 13]...

საზოგადოებაში არსებულ ვითარებასა და შექმნილ მდგომარეობას აცნობს ს. გორგაძე ი. ყიფშიძეს, საკმაოდ დეტალურად გააცნობს თავის აზრს და შექმნილ ვითარებას... აი, რა ვითარებაზეა საუბარი:

ს. გორგაძე წერს, რომ ერთი ჯგუფი საზოგადოებისა (დ. კარიჭაშვილი, პ. მირიანაშვილი...) „პრინციპიალურათ უარყოფენ ორთოგრაფიას როგორც **განსაკუთრებულს ელემენტს ქართულის სალიტერატურო ენისა**“ (ხაზი ავტორისაა). მათი სიტყვით, ქართული ორთოგრაფია არ არსებობს: **არის მხოლოდ მართლმეტყველება და ვინც მართლმეტყველებს, ის მართლადაც სწერსო**. ამათთვის არ არსებობს განსხვავება ენის ფონეტიკასა და წერას შორის. „როგორც იქნა, მრავალი მაგალითით დავარწმუნეთ საზოგადოება, რომ, სანამ არსებობს ცოცხალი ქართული ენა და სანამ თანამედროვე სალიტერატურო ენა იმ ცოცხალი ენიდან (და მისი კილოებიდან) იღებს საზრდოს, მანამ ქართულ სალიტერატურო ენაში მუდამ იქნება განსხვავება ორთოგრაფიასა და ფონეტიკას შორის. მე ისიც კი დავუმატე, რომ არამც თუ შესაძლებელი არაა ეს განსხვავება მოისპოს, ეს არც სასურველია-მეთქი, რადგან პრინციპი: „სწერე ისე, როგორც გამოთქვამ, და გამოთქვი ისე, როგორც სწერია“ (კარიჭაშვილისა და მირიანაშვილის პრინციპია) – ეს პრინციპი ერთი მხრით აბსურდია და მეორე მხრით – დამლუპველიც იქნებოდა ცოცხალის, მოქნილისა და ფონეტიკურათ მდიდარ-მუსიკალურის ენისათვის; ეს იქნებოდა ენის ფონეტიკურ-მუსიკალური სიმდიდრის ჩაკვლა-ჩახრჩობა სულ რაღაც 33 ან 40-იოდე სამწერლო ნიშანში“ (გვ. 541). სხვათა შორის, აქ სქოლიოში ასეთ შენიშვნას აკეთებს: „ამას გწერ, რადგან ამაზე შენი აზრიც შევიტყო: ხომ არ გადამიჭარბებია რა“.

მთავარი კითხვა სწორედ ეს არის – არსებობს თუ არა მართლწერა, როგორც გრამატიკის დარგი, ქართული ორთოგრაფია? ს. გორგაძისათვის (და მიაჩნია, რომ ი. ყიფშიძისათვისაც) ეს საკითხი სადავო არ არის და ამიტომაც უფრო კონკრეტულ კითხვებს უგზავნის იოსებს:

1. „რახან ორთოგრაფია არსებობს როგორც განსაკუთრებული, ე.ი. ფონეტიკისაგან განსხვავებული (= არა ადეკვატური), ელემენტი

სამწერლო ენისა, – იკითხება: რას უნდა ემყარებოდეს ეს ორთოგრაფია – მორფოლოგიას თუ სინტაქსის? თუ სამივეს: მორფოლოგიასაც, სინტაქსისაც და ფონეტიკასაც? და თუ სამივეს უნდა ემყარებოდეს, რომელს მათგანს უნდა დაეთმოს უპირატესობა?“ (542)

2. „რა ადგილი უნდა დაეთმოს სადავო საკითხების გადაწყვეტაში ისტორიულს ორთოგრაფიას, საზოგადოთ, ენის ფონეტიკისა და მორფოლოგიის ისტორიას?“ (542)

3. „ცოცხალი ენის რომელ კილოკავს უნდა ვარგუნოთ ეს უპირატესობა: ქართლ-კახურს, თუ გურულ-იმერულს, ფშავ-თუშურ-ხევსურულს, თუ მონათესავე ენებიც (მეგრულ-ჭანური, სვანური) უნდა მოვიშველიოთ?“ (543)

4. კონკრეტული საკითხებიდან: **მოვიდნენ** თუ **მოვიდენ**?

კარგად თუ **კარგათ**?

უთხარი თუ **ვუთხარი** (მე მას)?

დაწერა თუ **დასწერა**?

ვთქვი თუ **ვსთქვი**?

თქვი თუ **სთქვი**?

თქვა თუ **სთქვა**?

ეს იყო ძირითადად ის საკითხები, რომელთა შესახებაც ს. გორგაძეს ი. ყიფშიძის აზრი აინტერესებდა. ს. გორგაძე დიდად კმაყოფილი დარჩა იოსების პასუხით: „შენმა მოკლე, მაგრამ საფუძვლიანმა შენიშვნებმა „მართლწერის“ შესახებ დიდად მასიამოვნა და ბევრს რაზედმე დამაფიქრა“ – სწერდა საპაუხო წერილში ს. გორგაძე (1915, III, 18) და ზოგ საკითხზე თავის აზრს უზიარებს... ჩვენთვის ამჯერად სწორედ იოსების აზრია საინტერესო...

* * *

იოსებ ყიფშიძე, „ქართული მართლწერა“: „თზულებანი“, 2015, გვ. 37-39.

ი. ყიფშიძე არ იზიარებს კრებაზე გამოთქმულ აზრს იმის შესახებ, რომ მართლმეტყველება და მართლწერა ერთი და იგივეა, არ უნდა განვასხვავოთ.

„ზოგიერთები მართლმეტყველებასა და მართლწერას ერთმანეთში ურევენ: ისე უნდა ვწეროთ, როგორც ვმეტყველებთ და ისე უნდა ვიმეტყველოთ, როგორც ვსწერთო. პრინციპების ამგვარი აღ-

რევა შეუწყნარებელია. რაგინდ მართლადაც ვმეტყველებდეთ, ჩვენ მაინც ვერ დავსწერთ ისე, როგორც გამოვთქვამთ სიტყვებს; და რაგინდ მართლადაც ვსწერდეთ, მაინც სასურველი არაა და არც მოსახერხებელია, მთლად ისე გამოვსთქვათ სიტყვები, როგორც დაწერილია. წმინდა ფონეტიკური პრინციპის გაბატონება ორთოგრაფიაში და წმინდა ორთოგრაფიული პრინციპის გაბატონება დიქციაში – აბსურდია. იგი არც შესაძლებელია და არც სასურველი. ორთოგრაფია მუდამ არსებობდა და იარსებებს ქართულ სამწერლობო ენაში, როგორც ფონეტიკისა და მორფოლოგიის აუცილებელი, მაგრამ მათგან მაინც განსხვავებული დამატება, რომელსაც მიზნად აქვს ერთმანეთში მოარიგოს-მოათანხმოს ენის მუდამ ცოცხალი, მდიდარი და ელასტიური ფონეტიკური მხარე“ (37-38).

აქ ერთი ისტორიული ფაქტის გახსენებაც შეიძლება: ანტონ კათალიკოსი თავისი გრამატიკის შესავალში წერდა: „**არარაჲ მოყუარება სიბრძნისა იქმნების თვნიერ მართლუბნობისა და წესიერწერისა**“ [ანტონი 1997: 8]. მართლუბნობა და წესიერწერა იგივეა, რაც ი. ყიფშიძესთან განხილული „მართლმეტყველება და მართლწერა“... საკითხის ასე დასმა მნიშვნელოვანი მგონია სადღეისოდაც...

ი. ყიფშიძესთან ეს ზოგადი მსჯელობა უფრო კონკრეტდება შემდგომ:

„წმინდა ფონეტიკური პრინციპის გაბატონება ორთოგრაფიაში შეუძლებელია და არც სასურველია. მაშ რა უნდა დაედოს საფუძვლად ჩვენს მართლწერას? რას უნდა ვემყარებოდეთ წერის დროს: ენის რომელ მხარეს?“ (38).

ი. ყიფშიძე რამდენიმე კონკრეტულ მაგალითს ასახელებს:

ა) ტფილისი (ძვ.) /
თბილისი (ქართლ-კახეთი) /
თფილისი (იმერეთი).

ბ) იგინი გუშინ მოვიდეს (ძვ.) / მოვიდნენ (ქ.-კახეთი) / მოვიდენ (იმერეთი).

„იკითხება: როგორი გზით გამოვიდეთ ამ მრავალგვარობიდან? რას დავემყაროთ: ფონეტიკას თუ მორფოლოგიას? თუ ფონეტიკას, – როდინდელს, ან რომელს? ძველს თუ ახალს? იმერულს, თუ ამერულს? აგრეთვე – მორფოლოგიას რომელს: ძველებურს თუ ახალს? იმერულს თუ ამერულს?“

ჩვენ უნდა შევეხოთ მხოლოდ იმდენათ, რამდენათაც მათთან კავშირი აქვს ორთოგრაფიას“ (38).

ი. ყიფშიძე საგანგებო ყურადღებას ამახვილებს მართლწერასთან დაკავშირებით სინტაქსის საკითხებზე:

„სინტაქსისთან დაკავშირებულია ორთოგრაფიის მთელი ერთი მხარე: **სასვენ ნიშანთა ხმარება**; (...) აგრეთვე **რთული სიტყვებისა და თანდებულების გადაბმა** (თუ გადაუბმელობა), აგრეთვე შემოკლებულის ზმნისა ა (< არის) და სხვისი ნათქვამის „**ო“-სი და „თქო“-სი და „მეთქი“-სა**“ (39).

ამ საინტერესო ნაშრომს (ალბათ აჯობებდა გვეთქვა ჩანაწერებს-თქო, ანდა ჩანიშვნებს) ერთვის ძალზე საინტერესო „რეზიუმე“:

„ავიღოთ ორი ფრაზა:

1. აუცილებლად საჭიროა – ენის ევოლუციას მივყდით.
2. მამა შვილსა ღწვრთნის: ყველაფერში სიმართლე უნდა ადვიართლ.

ამ ფრაზებში სავსებით დაცულია ყველა ზემოჩამოთვლილი პრინციპი: **გრაფიკულ-ფონეტიკური, ეროვნული, ევოლუციური, გენეტიკურ-კულტურული, სინტაქსურ-ლოდიკური, საერთაშორისო და საპუნქტუაციო**“ (აქ ხაზი ჩვენია – გ. გ.) (39).

როგორც ვხედავთ, ი. ყიფშიძე „თავისი მართლწერის“ თვალსაზრისით გამართულ ორ წინადადებას წარმოადგენს და იმ პრინციპებს ჩამოთვლის, რაც უნდა იქნეს გათვალისწინებული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისას! ასე მრავალმხრივი, ასე სრულყოფილი ჩამონათვალი პრინციპებისა სხვაგან არ შემხვედრია...

და მაინც ვფიქრობთ, რომ ეს არის სამუშაო მასალა. სწორედ ამის საფუძველზე დაიწერა ის ვარიანტი, რომელიც ი. ყიფშიძემ ს. გორგაძეს პირად წერილში მისწერა (26/II 1915).

ფაქტობრივ, ეს არის პასუხები იმ კითხვებზე, რომლებიც ს. გორგაძემ გაუგზავნა (ზემოთ რომ წარმოვადგინეთ).

ი. ყიფშიძე აქაც ცდილობს დაასაბუთოს ქართული მართლწერის არსებობა: „რასაკვირველია, არსებობს ქართული მართლწერაც. წინააღმდეგ შემთხვევაში არც თვით ასეთი საკითხი წამოყოფდა თავს და არც ის არევ-დარევა იქნებოდა წერის დროს როგორც ეს არის დღეს მთელ ჩვენს ლიტერატურაში და ჟურნალ-გაზეთობაში და რომლის არშემჩნევა მხოლოდ უსინათლოს თუ ეპატივება“ (479).

აქ ი. ყიფშიძე სვამს ძალიან საინტერესო საკითხს: რა განსხვავებაა დიალექტურ მართლწერასა და სალიტერატურო მართლწერას შორის; უფრო სწორად, ესაა საკითხის დასმა „დიალექტური ნორმისა“ და „სალიტერატურო ნორმის“ თაობაზე [ამის შესახებ იხ.; ბ. ჯორბენაძე 1989: 36, 192...]: „მართლწერის უარყოფა რამოდენიმედ კიდევე შესაძლოა ამა თუ იმ კილო-კავის ფარგალში, სადაც საუკეთესოდ არის მიჩნეული ფონოგრაფიული ჩაწერა, ე. ი. გამოთქმასა და მის ნიშნებით აღნიშვნაში სრული თანხმობა, მაგრამ ყოვლად უსაფუძვლოა და ფაქტების წინააღმდეგი მართლწერის უარყოფა სალიტერატურო ენაში...“ (479). ი. ყიფშიძე იძლევა საინტერესო განმარტებას სალიტერატურო ენისა: სალიტერატურო ენა „ერთგვარი ხელოვნური სინტეზია სხვა და სხვა კილოკავთა და ენათა თავისებურებისა“ (იქვე).

ს. გორგაძემ კითხვა დაუსვა: რას უნდა ემყარებოდეს მართლწერა? ი. ყიფშიძის პასუხი: „სრულიად მართალია, რო სინტაქსს ნაკლები მნიშვნელობა აქვს ამ შემთხვევაში. სასვენი ნიშნები ზოგიერთ ენაში სრულად არ არსებობს და ქართველებმაც უნდა შევამციროთ მათი ხმარება, თორემ რუსულ ყაიდაზე შემოღებულმა „მძიმეებმა“ ლამის მთლად დაამძიმოს ჩვენი ენა!“ (იქვე). ამ საკითხის დასმაც ფასეული მგონია (და სადღეისოც!).

მართლწერისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, როგორც ეს წინა წერილში იყო, ფონეტიკასა და მორფოლოგიას ანიჭებს: „უმთავრესი, რასაკვირველია, ფონეტიკა და მორფოლოგიაა, მაგრამ ხშირად მათში ცილობა ხდება და არ იცი, რას მისცე უპირატესობა“ (479).

საგანგებო ყურადღება მახვილდება ისტორიულ პრინციპზე: „საკითხს ართულებს აგრეთვე ისტორიული მართლწერის არსებობა“ (იქვე).

ი. ყიფშიძე შორს არის იმ აზრისაგან, რომ ქკმ საზ-ის კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება საბოლოო შეიძლება იყოს და სავალდებულო ყველასთვის: „ძლიერ აჩქარებული მიმართვა საკითხის **საბოლოოდ** გარდაწყვეტა, როგორც ეს ზოგიერთებს მოუსურვებიათ მაგ. ხელთ არა გვაქვს არც ისტორიული გრამატიკა და არც კილოკავების დღევანდელი სახის შესწავლა, არც საუკეთესო მწერლების კრიტიკული გამოცემა; მით უფრო აჩქარებულად მიმართა, რომ მარის გრამატიკა ქართული ენისა ამ წლის ბოლომდის უსათუოდ და-

იბეჭდება შემოკლებულად მაინც. შანიძემ თავის გამოკვლევის ბეჭდვა უკვე დაიწყო და მალე (ამ ზაფხულში მაინც) დამთავრდება. მეც ვაპირობ ამ ზაფხულში ამ საკითხზე წამუშავებას, რადგან უნდა შევადგინო სახელმძღვანელო კურსებზე ჩემი მსმენელებისათვის. **ასეთი საკითხის „ხმის უმეტესობით“ გადაწყვეტა არ იქნება, მით უმეტეს არ იქნება ის საბოლოო“** (479-480) (ხაზი აქ ჩვენია – გ. გ.).

ვვიქრობთ, ავტორის მსჯელობა ლოგიკურია და დამაჯერებელი...

აქ რამდენიმე კონკრეტულ საკითხსაც განიხილავს ი. ყიფშიძე. თუ რამდენად მეცნიერულია და სარწმუნო ავტორის მსჯელობა, მოვიყვანთ ერთ კონკრეტულ მაგალითს: „მამ ფონეტიკა თუ მორფოლოგია? სახლითგან თუ სახლიდგან? თუმც მორფოლოგია მოითხოვს სახლითგან და მას მხარს უჭერს ისტორიული ორთოგრაფიაც, მაგრამ ჩემის აზრით აქ უპირატესობა უნდა მიეცეს მეორე ფორმას და აი რატომ... (აქ ვრცელი განხილვაა ამ ფორმათა ურთიერთმართებისა და ისტორიისა და მიღებულია ლოგიკური დასკვნა)...სახლიდან. ეს უკანასკნელი შემოკლებული ფორმა ჩემის აზრით ყველას სჯობია და მას რო გავაბატონებდეთ, კარგი იქნება, ანდა ვიხმაროთ ორივე“ (480). როცა დიალექტურ ფორმათაგან ერთ-ერთის უპირატესობაზე საუბრობს, წერს: „ქართლ-კახურ კილოს უპირატესობა, რასაკვირველია, შერჩება, მაგრამ ეს უპირატესობა ბატონობად არ უნდა გადაიქცეს“...

ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე კონკრეტულ მაგალითზე:

წერს: „გაცილებით უკეთესია იმერული „მოვიდენ“ და სხ. ვინემ ქართლური „მოვიდნენ“ (481). ეს იმდენადაა საინტერესო, რომ 30-იან წლებში ნორმათა დამდგენი კომისიის სხდომაზე არნ. ჩიქობავამ სწორედ ეს დასკვნა წარადგინა, მაგრამ მწერალ მ. ჯავახიშვილის დაჟინებული მოთხოვნით ნორმად იქნა მიჩნეული „მოვიდნენ“...

სავსებით ლოგიკურია ი. ყიფშიძის მსჯეობა I სუბიექტური პირის ნიშნის მართლწერასთან დაკავშირებით: „რაც შეეხება ზმნას პირველ პირში, ჩემის აზრით, „ვ“ ყოველთვის უნდა იწერებოდეს. აქ მორფოლოგიას უნდა მიეცეს უპირატესობა, მით უმეტეს რო **უთხრი**-ს თან ერთად პირველ პირში **ვუთხარი**-ც ხშირად ისმის“ (481)... და კიდევ: „მესამე პირის ობიექტის მაჩვენებელი „ს“ (3) უსა-

თუოდ უნდა იწერებოდეს, როდესაც ის უჩვენებს მიცემით ბრუნვას: მისწერა (მას), მისცა (მას), დასცა (ძირს) და სხ. ხოლო როდესაც ის უჩვენებს სახელობით ბრუნვას, ჩემის აზრით, უკეთესი იქნება სულ არ დაიწეროს; მან თქვა, მან მოკლა და სხ. აკაკი შანიძე ცდილობს დაამტკიცოს, რომ არც ხევესურულში და არც ძველ მწერლობაში მესამე პირის ობიექტი, როდესაც ის სახელობით ბრუნვაშია დასმული, აღნიშნული არ არის, არამედ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის დასმულია მიცემით ბრუნვაშიო. **შეიძლება ასეთი მტკიცება გადაჭარბებული იყოს, მაგრამ ასე რომ უფრო მარტივდება საკითხი, ეს ცხადია“...**

განსაკუთრებით ფასეული გვეჩვენება ჩვენ მიერ ხაზგასმული ეს უკანასკნელი მსჯელობა; ნორმათა დადგენისას ეს „პრინციპი“ გასათვალისწინებელია...

ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ ი. ყიფშიძე ნორმას არ მიიჩნევს „საბოლოოდ გადაწყვეტილ“ ვარიანტად, მით უმეტეს, მსგავსი კრებების მიერ „დადგენილ“: „რასაკვირველია, საბოლოო არ იქნება მაგ კომისიის გარდაწყვეტილება. თუკი თვით ფრანგები, უკიდურესი კონსერვატორები ამ შემთხვევაში და მიმდევარნი ისტორიული მართლწერისა, დროგამოშვებით მაინც იძულებულნი ხდებიან, ცოტა რამ ცვლილება შეიტანონ მართლწერაში, მით უმეტეს, ჩვენ დაგჭირება საკითხის კიდევ ბევრჯერ გადასინჯვა“... (482). ეს თავისთავად იმასაც ნიშნავს, რომ ი. ყიფშიძის აზრით, ნორმა არ შეიძლება იყოს მუდმივი, იგი ცვალებადი ფენომენია, მაგრამ ცვლილება უნდა ემყარებოდეს მკაცრად განსაზღვრული პრინციპების მიხედვით პროფესიონალურ, გონივრულ განსჯას...

ლიტერატურა

ანტონი 1997 – ანტონ პირველი (ბაგრატიონი), ქართული გრამატიკა, თბილისი.

გოგოლაშვილი 2015 – გ. გოგოლაშვილი, „ჩვენ შენში ვგლობობთ ჩვენს უნივერსიტეტს“: ი. ყიფშიძე, თხზულებანი, თბილისი.

გოდერიძე 1970 – ლ. გოდერიძე, ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების მოღვაწეობის ისტორიიდან: „მნათობი“, № 1.

დანელია 1985 – კ. დანელია, იოსებ ყიფშიძე – ცხოვრება და მეცნიერული მემკვიდრეობა, თბილისი.

დანელია 1994 – კ. დანელია, ბიბლიოგრაფიული ცნობები ი. ყიფშიძის თხზულებებზე: ი.ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბილისი.

ლექავა 1988 – ლ. ლექავა, ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორიიდან: ქსკს, VIII, თბილისი.

ლექავა 2004 – ლ. ლექავა, ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორია და პრინციპები, თბილისი.

ქართ. ენც. 1979 – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3, თბილისი.

ქართ. ენც. 1986 – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10, თბილისი.

ყიფშიძე 1994 – ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბილისი.

ყიფშიძე 2015 – ი. ყიფშიძე, თხზულებანი, თბილისი.

შანიძე 1930 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, თბილისი.

ჩიქობავა 2008 – არნ. ჩიქობავა, იოსებ ყიფშიძე, როგორც ენათმეცნიერი: არნ. ჩიქობავა, ტ.III, თბილისი.

ჯორბენაძე 1989 – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი.

Giorgi Gogolashvili

Joseb Kipshidze and Georgian Spelling

Summary

Joseb Kipshidze's manuscripts are preserved in the Museum of Georgian Literature. One of them, titled as "Georgian Spelling" (not dated) has attracted our attention. The manuscript consists of three pages. J. Kipshidze's ideas expressed in this manuscript are extended in a personal letter to S. Giorgadze (written on February 26, 1915). The letter is a response to S.

Girgadze's letter (February 9, 2015) and the questions included in it. The dates of these letters identify the date of writing "Georgian Spelling". We published all three manuscripts in Josep Kipshidze's "Collected Works" in 2015 (TSU Press).

Josep Kipshidze expresses very interesting thoughts about Georgian spelling in these manuscripts. Some of them have not lost their relevance even today.

თამარ ვაშაკიძე

არ, არა, არც ნაწილაკ-ფორმანტთა მართლწერისათვის

სამეცნიერო ლიტერატურაში ჩვენ მიერ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია ორი ნაშრომი: ლ. გელენიძის „არ-/არა- ნაწილაკიანი სახელები ქართულში“ და ლ. ლეჟავას „კავშირთა ხმარების საკითხი (არა მარტო – არამედ...-ც, არა მხოლოდ – არამედ...-ც)“. პირველში გაანალიზებულია ტექნიკურ ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული **არ-** და **არა-** ნაწილაკიანი ფორმები (არადრეკადი, არალითონები, არგამტარი, არწამრეცხი...), რომლებიც, ბუნებრივია, უნდა დაიწეროს ერთად. ამავე წერილში წარმოდგენილია **არ** და **არა** ნაწილაკების განაწილების შემთხვევები, ხოლო დასკვნითი ნაწილი ეძღვნება **არ-** და **არა-** ნაწილაკიან სახელებს „ვეფხისტყაოსანში“ [გელენიძე 1984: 167-174]. რაც შეეხება მეორე ნაშრომს – ლ. ლეჟავას სტატიას („კავშირთა ხმარების საკითხი“), აქ გაანალიზებულია სინტაქსურ-სტილისტიკური პრობლემები **არა მარტო – არამედ, არა მხოლოდ – არამედ** და **არათუ – არამედ** წყვილ კავშირებთან მიმართებით. სტატია წარმოდგენილია ნორმის პროექტის სახით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის მიერ 1987 წელს. დასკვნა ასეთია: წყვილი კავშირების (არა მარტო – არამედ..., არა მხოლოდ – არამედ...) გამოყენებისას შესაპირისპირებელი ან დასაჯგუფებელი წევრები წყვილი კავშირების შესაბამისი ნაწილების შემდეგ უნდა იხმარებოდეს, მაგალითად, ასე: ეს არა მარტო გააუმჯობესებდა ორი სახელმწიფოს ურთიერთობას, არამედ დიდად შეუწყობდა ხელს ევროპის დამაბულობის შენელებასაც [ლეჟავა 1987: 54].

როგორც ითქვა, აღნიშნული საკითხი სინტაქსურ-სტილისტიკურ სფეროს განეკუთვნება და, ბუნებრივია, მასში საუბარი არ არის იმის შესახებ, **არა მარტო** და **არა მხოლოდ** ერთად უნდა დაიწეროს თუ ცალ-ცალკე, თუმცა მსჯელობისას დასახელებული კავშირები ყველგან ცალ-ცალკე დაწერილობით არის წარმოდგენილი.

თანამედროვე ქართულში **არ**, **არა**, **არც** ნაწილაკები ორი დანიშნულებით გამოიყენება: ერთ შემთხვევაში ისინი მხოლოდ ნა-

წილაკებისათვის დაკისრებულ ფუნქციას ასრულებენ და გარკვეული სახის უკუთქმითობის შინაარსს სძენენ გამონათქვამს, ხოლო სხვა შემთხვევაში სიტყვამაწარმოებელი ფორმანტის სტატუსით გვევლინებიან და, შესაბამისად, წარმოქმნიან ახალ ლექსიკურ ერთეულებს, რაც განაპირობებს მათთან დაკავშირებულ მართლწერის პრობლემებს.

უპირველეს ყოვლისა, დავასახელებთ ისეთ შემთხვევებს, როცა ისინი (**არ**, **არა**, **არც**) ნაწილაკების ფუნქციას ასრულებენ.

არ ნაწილაკი წარმოაჩენს:

ა) უკუთქმით ბრძანებითობას (**არ** წავიდეს! **არ** უპასუხოწ!);

ბ) მარტივ უარყოფას (**არ** დადის; **არ** სწავლობენ...);

გ) გაოცებას (ნახეთ, აქ ბალახი სულ **არ** ყოფილა!);

დ) აღტაცებასა და გაკვირვებას, როცა მოქმედება დადებითად არის წარმოდგენილი (ძლივს შუბლგახსნილი **არ** ვნახე! – ილია)...

არა ნაწილაკი ძირითადად გამოხატავს:

ა) მიგებითობა-უკუთქმითობას (ჩემთან გაქვს საქმე? – **არა**, შენი ჭირიმე; არ იტყვი, რა დაგემართა? – **არა**!);

ბ) მარტივ უარყოფას (იმედი **არა** მაქვს...).

საინტერესო ჩანს **არა** ნაწილაკის გამოყენება ერთი სახის დიალოგურ კონტექსტში. **არა** ამ შემთხვევაშიც უკუთქმით-მიგებითი ნაწილაკია, თუმცა ის დასმულ შეკითხვას კი არ უპასუხებს (უარყოფითად), არამედ აბსოლუტურად ცვლის სასაუბრო თემას. ამგვარი **არა** ხშირად ელიფსური კონსტრუქციის წევრია და ძირითადად გამოხატავს შემდეგ შინაარსს: „რა დროს ეგ არის“; „ეგ კი არადა...“; „მაგას თავი დაანებე და...“, მაგ., „გიორგის როდის ეტყვი ამ ამბავს? – **არა**, როდის ჩამოხვედი, ბიჭო?“ ან კიდევ: „რა გადაწყვიტე? – **არა**, შენ დამირეკე გუშინ?“

თანამედროვე სასაუბრო მეტყველებაში (ძირითადად ახალგაზრდების) გააქტიურებულია კიდევ ერთი სახის არა- ნაწილაკიანი ელიფსური კონსტრუქცია, რომელიც ასევე დიალოგში მქლავნდება და გულისხმობს შემდეგ კონტექსტს: „ხომ არ გინდა?“ / „არ გინდა?“

– სადა ხარ?

– გზაში, დავიღალე.

– აქ რომ მოხვიდე – **არა**?

ან კიდევ:

– როგორ ხარ?

- კარგად.
- შენ?
- მეც.
- მაგრა მომენატრე.
- რომ შემოგვიარო – არა? და ა. შ.

რაც შეეხება არც ნაწილაკს, ის, როგორც წესი, გაძლიერებულ უარყოფას წარმოაჩენს (ძირითადად ჩამოთვლისას): „**არც** გვართ, **არც** ვაჟკაცობით, **არც** სიმდიდრით, **არც** ქონებით, ჰაჯი-უსუბ ცნობილია მხოლოდ ჭკუით და გონებით“ (აკაკი) ...

როგორც ითქვა, **არ**, **არა**, **არც** ნაწილაკები სიტყვამაწარმოებელი ფორმანტების ფუნქციასაც ასრულებენ.

არა ნაწილაკი დაერთვის: არსებით სახელს (არაკაცი, არათითი...), ზედსართავს (არაზუსტი, არასწორი...), რიცხვითს (არაერთი მასწავლებელი ესწრებოდა ამ სხდომას...), ნაცვალსახელს (არავინ, არარა), წარმოქმნილ სახელებს, კერძოდ: აბსტრაქტულს (-ობა/-ება სუფიქსიანებს: არაკაცობა, არაზომიერება...; სი-ე თავსართ-ბოლოსართიანებს: არასიზუსტე, არასიმდიერე...), მქონებლობის (-იან სუფიქსიანებს: არახარისხიანი, არაბორცვიანი...; -იერ (> -იელ) სუფიქსიანებს: არაწესიერი, არახორციელი...; -ოსან სუფიქსიანებს: არამედალოსანი, არაფრთოსანი...; -ოვან სუფიქსიანებს: არასრულწლოვანი, არასრულფასოვანი...), წარმომავლობის (-ელ სუფიქსიანებს: არაქართველი, არაევროპელი...; -ურ (>-ულ) სუფიქსიანებს: არაადამიანური, არალიტერატურული...; -ეულ სუფიქსიანებს: არამამისეული, არამორეული...; -იურ სუფიქსიანებს: არამქვეყნიური, არაწლიური...), დანიშნულების (სა-ო თავსართ-ბოლოსართიანებს: არასამთავრობო, არასამეწარმეო...)... **არა** დასტურდება ბრუნვის ნიშნებით წარმოქმნილ სახელებთანაც (არამშრომითი, არადრეკადი, არაძირითადი...). ის მაწარმოებლად დაერთვის -ივ ფორმანტით გავრცობილ თანდებულიან სახელებსაც (არაჩვეულებრივი, არაზნეობრივი...), ასევე – **ნაირ** და **გვარ** ფუძეთაგან წარმოქმნილებს (არაერთგვარი, არაერთნაირი...). **არა** უშუალოდაც დაერთვის **ნაირ** და **ფერ** ფუძეებს (არანაირი, არაფერი).

სიტყვამაწარმოებელი **არა** დასტურდება სასუბიექტო და საობიექტო მიმღეობებთანაც (არამშენებელი, არამობილიზებული...), აგრეთვე – ზმნასთან (არამკითხე მოამბეო, მიტყიპე და მიაგდეო). **არა**

ასევე დაერთვის ზმნისართსა (არაერთგზის, არაერთხელ...) და კავშირს (არადა, არათუ).

აღსანიშნავია ისიც, რომ **არა** რთული კავშირების შემადგენელ კომპონენტადაც გვევლინება (**არამართო, არამხოლოდ, არათუ**).

რაც შეეხება არ ნაწილაკს, ის მაწარმოებელი ფორმანტის ფუნქციით დაერთვის:

- ა) სასუბიექტო მიმღეობას (არმცოდნე, არმყოფი...);
- ბ) საობიექტოს (არნახული, არგაგონილი...);
- გ) მასდარს (არდავიწყება, არმოსვლა...);
- დ) ნაცვალსახელურ კითხვით ზმნისართებს (არსაიდან, არსად...).

არც ნაწილაკი სადერივაციო ფორმანტად დაერთვის:

- ა) რიცხვით სახელს (არცერთი);
- ბ) ნაცვალსახელს (არცრა, არცვინ);
- გ) ზმნისართს (არცერთხელ);
- დ) კავშირს (არცთუ).

აღსანიშნავია ისიც, რომ **არ, არა, არც** ნაწილაკები მრავლად დაჩნდება ფრაზეოლოგიურ გამოთქმებსა თუ ზღაპრის, ფიცისა და წყევლა-დალოცვის ფორმულებში („ყურებზე ხახვი **არ** დამაჭრა“; „ბუზს **არ** აიფრენს“; „**არც** მეტი, **არც** ნაკლები“; „**არც** აცივა, **არც** აცხელა“; „იყო და **არა** იყო რა“; „სად იყო და სად **არა**“; „შენც **არ** მომიკვდე“; „დედა **არ** მომიკვდეს“; „**არ** გაიხაროს“; „ღმერთმა დაგლოცოთ და სიკეთე **არ** მოგიშალოთ“...).

დასახელებული ნაწილაკების მართლწერასთან დაკავშირებით დაისმის რამდენიმე შეკითხვა (ამათგან ზოგი საკითხი გარკვეულია, ნაწილი კი, როგორც ჩანს, საჭიროებს დამატებით რეკომენდაციებს):

1. **არაერთი** თუ **არა ერთი, არაერთხელ** თუ **არა ერთხელ, არაერთგზის** თუ **არა ერთგზის**;
2. **არაუადრეს** თუ **არა უადრეს, არაუგვიანეს** თუ **არა უგვიანეს, არაუმეტეს** თუ **არა უმეტეს**;
3. **არცერთი** თუ **არც ერთი, არცერთხელ** თუ **არც ერთხელ** (აგრეთვე – **ვერცერთი** თუ **ვერც ერთი, ნურცერთი** თუ **ნურც ერთი**);
4. **არამართო** თუ **არა მართო, არამხოლოდ** თუ **არა მხოლოდ**.

ვ. თოფურიასა და ივ. გიგინეიშვილის „ქართული ენის ორ-
თოგრაფიულ ლექსიკონში“ **არაერთი, არაერთხელ** და **არაერთგზის**
ასეა წარმოდგენილი:

არაერთი (მაგრამ **არა ერთი** და ორი წელი);

არაერთხელ (მაგრამ **არა ერთხელ** და ორჯერ);

არაერთგზის (მაგრამ **არა ერთგზის** და ორგზის).

მამასადამე, როცა **არაერთი, არაერთხელ** და **არაერთგზის** ერ-
თად დაწერილობით არის გათვალისწინებული, **არა** სიტყვამაწარმო-
ებლის ფუნქციას ასრულებს.

ამავე ლექსიკონში („ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსი-
კონი“) **არა უადრეს, არა უგვიანეს, არა უდიდეს, არა უმეტეს** ცალ-
ცალკე დაწერილობით არის წარმოდგენილი. მხოლოდ ერთ შემთ-
ხვევაში ორთოგრაფიასთან მითითებულია ის ვარიანტიც, როცა **არა**
ნაწილაკი მომდევნო კომპონენტთან შერწყმულად უნდა დაიწეროს:
არა უმაღლეს, მაგრამ: **არაუმაღლესი** ხარისხისა.

როგორც ვხედავთ, **არა**- ნაწილაკიანი ორთოგრაფია ერთად და-
წერილობით წარმოდგენილია მაშინ, როცა ორი კომპონენტის (**არა**
ნაწილაკისა და უფროობითი ხარისხის ზედსართავის) შერწყმით
ახალი ლექსიკური ერთეული მიიღება, კერძოდ, ზედსართავი სახე-
ლი (**არაუმაღლესი**). ასეთივე სიტყვამაწარმოებელი ფორმანტის
ფუნქციით გვევლინება **არა** ნაწილაკი **არაუადრეს, არაუგვიანეს, არა-
უმეტეს** ლექსიკურ ერთეულთა შემთხვევებშიც – იმ განსხვავებით,
რომ აქ წარმოიქმნება ზმნისართები და ისინიც, რა თქმა უნდა, დაი-
წერება ერთად. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ახალ
რედაქციაში **არაუადრეს, არაუგვიანეს, არაუმეტეს** წარმოდგენილია
შერწყმული დაწერილობით. ასეთივე სახით არის გათვალისწინებუ-
ლი დასახელებული ზმნისართები არნ. ჩიქობავას სახელობის ენათ-
მეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის
განყოფილების მიერ მომზადებულ და 2011 წელს გამოცემულ „ქურ-
ნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკურ ლექსიკონში“ (II ნაწი-
ლი), რომელიც მიემდგნა პრესის ენას.

არცერთი, არცერთხელ ლექსიკური ერთეულები მხოლოდ
ერთი სახით – ცალ-ცალკე დაწერილობით (**არც ერთი, არც ერთხელ**)
– არის წარმოდგენილი ვ. თოფურიასა და ივ. გიგინეიშვილის „ქარ-
თული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ (ბუნებრივია, ანალოგი-
ური ვითარება გვაქვს „ვერც ერთისა“ და „ნურც ერთის“ შემთხვევებ-

შიც). პირველად **არცერთი** და **არც ერთი**, **ვერცერთი** და **ვერც ერთი**, **ნურცერთი** და **ნურც ერთი** დაწერილობის თვალსაზრისით ერთმანეთისაგან გაიმიჯნა ზემოთ დასახელებულ „ჟურნალისტიკის ორთოგრაფიულ-სტილისტიკურ ლექსიკონში“:

არც ერთი: „ღმერთმა ხომ იცოდა, რომ **არც ერთი** იყო არაბი და არც მეორე – ვენეციელი“ (უიარ.), მაგრამ: **არცერთი** არგუმენტი არ არის მისაღები.

მაშასადამე, **არც ერთი** ცალ-ცალკე დაიწერება მაშინ, როცა ის მხოლოდ გამლიერებული ნაწილაკის ფუნქციით გამოიყენება (არც ერთი და არც მეორე), მაგრამ – **არცერთი** არ გამოცხადდა, **არცერთი** არგუმენტი არ იყო მისაღები და სხვა მსგავს კონტექსტებში **არცერთი** უარყოფითი ნაცვალსახელის ბადალია (უარყოფითი ნაცვალსახელებია აგრეთვე **ვერცერთი** და **ნურცერთი**).

ანალოგიური ვითარება გვექნება **არცერთხელ** ლექსიკური ერთეულის შემთხვევაშიც: **არც ერთხელ** და არც მეორედ, მაგრამ: **არცერთხელ** არ გამოცხადდა (**არცერთხელ** და **ვერცერთხელ** დაემატება ჯერობითი ზმნისართების სიას).

დაბოლოს, **არამართო** და **არამხოლოდ** – ერთად თუ ცალ-ცალკე? ან – რა შემთხვევაში ერთად და რა შემთხვევაში ცალ-ცალკე?

„ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ **არა მართო** წარმოდგენილია მხოლოდ ცალ-ცალკე დაწერილობით. ორთოგრაფიულ ფრხილებში მიწერილი აქვს საილუსტრაციო კონტექსტი (**არა მართო** ეს, არამედ...). რაც შეეხება **არამხოლოდ** რთულ კავშირს, ის ლექსიკონში გათვალისწინებული არ არის.

აღსანიშნავია, რომ ყოველთვის, როცა დასახელებული რთული კავშირების (**არამართო** და **არამხოლოდ**) დაწერილობა განიხილება, უპირველეს ყოვლისა, კითხვა დაისმის იმის შესახებ, მოსდევს თუ არა მათ **არამედ** კავშირი, რომლის საშუალებითაც თითქოსდა ერთმანეთს უნდა გაემიჯნოს ამ ლექსიკურ ერთეულთა ერთად და ცალ-ცალკე დაწერილობის შემთხვევები, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ თანამედროვე ქართულში **არამართო** და **არამხოლოდ** „არამედ“ კავშირის გარეშე ფაქტობრივად არც გამოიყენება. შეიძლება ეს უკანასკნელი (არამედ) გამოტოვებული იყოს წინადადებაში გარკვეული სტილებრივი (თუ სინტაქსური) თვალსაზრისით, მაგრამ ის ყოველთვის იგულისხმება (მაგ.: მოვიდნენ **არამართო** ნათესავები – თანამშრომლებიც). ვფიქრობთ, სწორედ ეს გარემოება (შესაპირის-

პირებელი კონტექსტის უქონლობა) უნდა ყოფილიყო მიზეზი იმისა, რომ **არა მარტო** მხოლოდ ცალ-ცალკე დაწერილობით (როცა მის შემდეგ იგულისხმება **არამედ**) არის გათვალისწინებული „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“.

არა- ნაწილაკიანი მაჯგუფებელი კავშირი, რომელსაც ყველა შემთხვევაში მოჰყვება **არამედ**, სულ სამია: **არა მარტო – არამედ, არა მხოლოდ – არამედ, არათუ – არამედ**. საენათმეცნიერო ლიტერატურაში მათ წყვილ კავშირებს უწოდებენ.

თუ **არამედ** კავშირის მუდმივი თანხლება არის მიზეზი იმისა, რომ **არა მარტო** ცალ-ცალკე დაწერილობით მიჩნეულიყო ერთადერთ სწორ ვარიანტად, მაშინ **არათუ** კავშირიც ცალ-ცალკე უნდა დაიწეროს. ალბათ არც ის არის გამორიცხული, ცალ-ცალკე თუ ერთად დაწერილობის მიზეზი დასახელებული ლექსიკური ერთეულების სიგრძე-სიმოკლე იყოს: **არათუ** მოკლე სიტყვაა, **არამარტო** და **არამხოლოდ** – გრძელი, თუმცა მაინც ვფიქრობთ, რომ **არამარტო** ლექსიკური ერთეულის ცალ-ცალკე თუ შერწყმულად დაწერილობის შესახებ მსჯელობისას ამოსავალი უნდა იყოს არა **არამედ** კავშირის „გულისხმობა-არგულისხმობა“, არამედ ის, თუ რა ფუნქციით გამოიყენება წინადადებაში ლექსიკური ერთეული **მარტო** – ზმნისართია თუ გამორჩევითი ნაწილაკი. პირველ შემთხვევაში (ზმნისართის ფუნქციით) **არა მარტო**, ბუნებრივია, ცალ-ცალკე დაიწერება, მაგ.: გიორგი მოვიდა **არა მარტო**, არამედ – შვილთან ერთად (ამგვარი კონტექსტები, რა თქმა უნდა, ხელოვნურია. ბუნებრივი იქნება: გიორგი **მარტო** კი არ მოსულა...), მეორე შემთხვევაში კი (როცა **მარტო** გამოყენებულია გამორჩევითი ნაწილაკის ფუნქციით) **არამარტო** წარმოადგენს მაჯგუფებელი წყვილი კავშირის ერთ-ერთ კომპონენტს (**არამარტო** – არამედ), შესაბამისად, ის ერთად უნდა დაიწეროს ისევე, როგორც **არათუ**.

რაც შეეხება **არამხოლოდ** რთულ კავშირს, მასთან მიმართებით აღსანიშნავია შემდეგი: თანამედროვე ქართულში „მხოლოდ“ ლექსიკურ ერთეულს ძირითადად ერთი ფუნქცია აქვს – გამორჩევითი ნაწილაკისა (იშვიათად ის **ოღონდ** კავშირის მნიშვნელობასაც იძენს) და ამავე ფუნქციით (ე. ი. ნაწილაკის) დასტურდება ის რთული **არამხოლოდ** კავშირის შედგენილობაშიც. შესაბამისად, დაიწერება ერთად (ისევე, როგორც **არამარტო** და **არათუ**).

აკრძალვა უნდა მოეხსნას **არამართო** და **არამხოლოდ** როდესაც კავშირთა ერთად დაწერილობის შემთხვევებს.

ლიტერატურა

გელენიძე 1984 – ლ. გელენიძე, არ/არა ნაწილაკიანი სახელები ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეექვსე, თბილისი.

კვაჭაძე 2010 – ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

ლეჟავა 1987 – ლ. ლეჟავა, კავშირთა ხმარების საკითხები (არა მართო – არამედ...-ც, არა მხოლოდ – არამედ...-ც), თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, ბიულეტენი № 3, თბილისი.

შანიძე 1973 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.

Tamar Vashakidze

On Spelling the Particle-Affixes *ar, ara, arc*

Summary

The paper analyzes the issues of spelling the particle-affixes *ar, ara, arc*. It should be noted that in one case, the mentioned elements are used directly as particles, while in another case, they function as formative affixes. When using the elements as particles, they are written separately, e.g. *arc erti da arc meore* “neither of them”, *ara erti da ori magaliti* “not one or two examples”, etc., but when using them as affixes, they are written together, e.g., *arcerti argumenti ar iqo sçori* “None of the arguments were correct”, *araerti studenti daesçro lekcias* “A lot of students attended the lecture”, *aramarço dyes, aramed sxva šemtuxevešic* “Not only today, but also on other occasions”, etc

**დარღვევებისათვის ერთი სახის კომპოზიტა
დაწერილობისას**
(კომპოზიტის პირველი ნაწილი რიცხვითი სახელია)

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ „ქართულში, ისევე როგორც სხვა ენებში, ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოსაქმნელად ფართოდ გამოიყენება კომპოზიცია – ანუ თხზვა, რაც გულისხმობს ორი ან მეტი ფუძის (ან სიტყვის) შეერთებას. თუ დერივაციის დროს ახალი ლექსიკური ერთეულები წარმოიქმნება დერივაციული, მნიშვნელობის მცვლელი, აფიქსების დართვით, კომპოზიციის დროს ახალი ფუძეები იქმნება დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულების შეერთებით. მათი შერწყმის შედეგად ვიღებთ რთულ სიტყვას ანუ კომპოზიტს“... [მორფ. 2011: 247].

ქართულში კომპოზიტა მიღების სამი გზა არსებობს: ერთია ფუძის გაორკეცება, მეორე – ორი ან მეტი ფუძის შეერთება, მესამე – ორი სიტყვის შეერთება. ორი ან მეტი ფუძის შეერთებით ვიღებთ კომპოზიტებს, რომელთა პირველი ნაწილი შეიძლება იყოს ზედსართავი სახელის ან მიმღეობის, არსებითი ან რიცხვითი სახელის ფუძე, ხოლო მეორე ნაწილი – ზედსართავი (ხშირად – წარმოქმნილი) ან მიმღეობაა. მაგ.: **მოკლესახელოებიანი, შავსათვალიანი, მაღალქუსლიანი, მოხატულგულისპირიანი, თვალეზანთებული, ხელებდაკაპიწებული, ორადგილიანი, რვასათინი, მეოთხეკურსელი, მეცხრეკლასელი** და ა. შ.

ორი ან მეტი სხვადასხვა ფუძის შეერთების შედეგად მიღებულ კომპოზიტთაგან საყურადღებოა იმ ტიპის შემთხვევები, როცა კომპოზიტის პირველი კომპონენტი რიცხვითი სახელია, მეორე ნაწილი კი ნაწარმოებია **-ა, -იან, -ოვან, -ელ** სუფიქსებით.

აღნიშნული სახის კომპოზიტები არაერთგზის ყოფილა მკვლევართა განხილვის საგანი, თუმცა ნორმების თვალსაზრისით დასახელებული საკითხი, ვფიქრობთ, დამატებით რეკომენდაციებს საჭიროებს. ამდენად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი გადახედვა თანამედროვე ქართული ენის მონაცემთა გათვალისწინებით.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ხშირად დასტურდება ერთი სახის ერთცნებიანი რიცხვითი სახელის შემცველი კომპოზიციები სხვადასხვაგვარი დაწერილობით. ერთი და იგივე კომპოზიტი იწერება როგორც ერთად (ერთ სიტყვად), ასევე – დეფისით და ცალ-ცალკევ. დარღვევები განსაკუთრებით თვალშისაცემია ინტერნეტსივრცეში (იშვიათად პრესაშიც), მაგ.: **ასლარიანი // ას ლარიანი, ათკილომეტრიანი // ათ კილომეტრიანი, 20- ლარიანი // 20 ლარიანი, მეცხრეკლასელი // მეცხრე კლასელი, მეოთხეკურსელი // მეოთხე კურსელი, ოთხ- და ხუთსართულიანი // ოთხ და ხუთსართულიანი, ხუთ, ექვს და შვიდსართულიანი // ხუთ-, ექვს- და შვიდსართულიანი, სამგუმბათოვანი // სამ გუმბათოვანი // სამ-გუმბათოვანი...**

„რიცხვითი სახელი შერწყმულ ქონებისაში ყოველთვის წინ არის მოქცეული და, რა თქმა უნდა, ფუძის სახით არის წარმოდგენილი“ – წერს აკაკი შანიძე და წარმოგვიდგენს შემდეგ კომპოზიტებს: **ორ-პირი** (კაცი, ხმალი), **ორ-კაპი**, **ოთხ-ფეხი** (ცხოველი, რომელსაც ოთხი ფერი აქვს) და სხვა. და დასძენს, რომ ასეთ სახელებს შეიძლება ა დაერთოს ბოლოს: **სამ-ფეხა, თორმეტ-გოჯა, ას-ფურცელა...** „ყველა ერთმნიშვნელობიანი კომპოზიტი უნდა დაიწეროს ერთად, ერთ სიტყვად, ხოლო ორ- და მეტმნიშვნელობიანი – დეფისით“, – აღნიშნულია „თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენის ნორმებში“, ეს წესი ვრცელდება როგორც -ა სუფიქსდართულ, ისე სხვა სუფიქსიან (-იან, -ოვან, -ელ) კომპოზიტებზე, თუმცა ხშირია ამ წესიდან გადახვევის შემთხვევებიც.

საანალიზო მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ დაწერილობის თვალსაზრისით დარღვევები შეინიშნება შემდეგ შემთხვევებში:

1. რაოდენობითი რიცხვითი სახელი, კომპოზიტის პირველი ნაწილი, სიტყვიერად არის წარმოდგენილი, მეორე კომპონენტი კი ნაწარმოებია -იან (ან -ოვან) სუფიქსით.

საილუსტრაციო მაგალითები:

„მათ ჟურნალი „ანაბეჭდი“ ერთი წლით გამოიწერეს და **ასლა-რიანი** სალაპარაკო დრო დაიმსახურეს“ (lib.ge), შდრ.: „**ას ლარიანი** ათ თუმნიანებად გადავახურდავე და უკან გამოვბრუნდი“ (lib.ge); „**ათ კილომეტრიანი** სპრინტი კაცებში ნორვეგიელმა იოჰანეს ბომ მოიგო“ (1 tv.ge.news), შდრ.: „...ვერანაირ კმაყოფილებას ვერ მოგვგვრის **ათკილომეტრიანი** გზის ახალი მონაკვეთი“ („ახალი თაობა“,

2009); „მსოფლიომ აღიარა, რომ **რვა საათიანი** სამუშაო დრო ნორმალურია, ამაზე მეტი რისკებს შეიცავს“ (1tv.ge), შდრ.: „**რვასაათიანი** განუწყვეტელი ღამის ძილი ადამიანისათვის არაბუნებრივია“ („საქ. რესპუბლიკა“, 2014)... „რეკონსტრუქციების შედეგად ტაძარი **სამგუმბათოვანი** გახდა“ (tbiliselebi.ge), შდრ.: „ისტორიულად კომპლექსში შედის **სამ გუმბათოვანი** ეკლესია რუსული სტილით“ (realsiti.ru), შდრ.: „მე-20 საუკუნის დასაწყისში აგებული **სამ-გუმბათოვანი** გოთიკური ტიპის ტაძრის ფრესკა წლებია დაზიანებულია“ (ajaratv.ge)...

2. რაოდენობითი რიცხვითი სახელი, კომპოზიტის პირველი კომპონენტი, ციფრით არის წარმოდგენილი, ხოლო მეორე ნაწილი ნაწარმოებია -**იან** სუფიქსით.

საილუსტრაციო მაგალითები:

„პოლიციამ ავტომანქანები მალევე დააბრუნა და **20 ლარიანი** ჯარიმა **10 ლარიანი** ჯარიმით შეცვალა“ (tavisufeba.org.), შდრ.: „სექტემბრიდან ბიუჯეტში აისახა პენსიის **20-ლარიანი** მატება და **10-ლარიანი** დახმარება ამიტომ შეჩერდა“ („საქ. რესპუბლიკა“, 2012); „**3 ოთახიანი** ბინის ფასად იყიდებოდა ქარხნები“ („ახალი თაობა“, 2005), შდრ.: „ვაკეში **3-ოთახიანი** ბინა მაქვს 130 კვ/მ ფართით“ („თბილისი“, 2005); „კორპუსი იქნება **9 სართულიანი**, დასრულდება 2020 წლის აგვისტოში“ (copala.ge), შდრ.: „...აქ 2008-2009 წლებში აშენდა **9-სართულიანი** სახლი“ („საქ. რესპუბლიკა“, 2008)...

3. კომპოზიტის პირველი ნაწილი რიგობითი რიცხვითი სახელია, ხოლო მეორე კომპონენტი ნაწარმოებია -**ელ** სუფიქსით.

საილუსტრაციო მაგალითები:

„**მეცხრეკლასელი** ფრონტზე მოხალისედ წავიდა და მძიმედ დაიჭრა“, შდრ.: „მე ერთი **მეცხრე კლასელი** ბიჭი ვიყავი, რომელიც არაფრით გამოვირჩეოდი ჩემი თანატოლებისგან“ („ახალი თაობა“, 2012); „სველიელ დალაქში პირველად წარმოჩნდნენ „მსხვილი პლანი“ **მეოთხეკურსელი** ძმები გოჩა და უჩა აბულაძეები“, შდრ.: „მაგრამ ოჯახურმა გარემომ თავისი გაიტანა და **მეოთხე კურსელი** ფსიქოლოგი იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსზე აღმოვჩნდი“ („ახალი თაობა“, 2010); „საწერი მაგიდის უჯრაში აღმოვაჩინე **მეორეკლასელი** ნათიას სარვამართო მისალოცი დედისადმი“ („საქ. რესპუბლიკა“, 2013), შდრ.: „ახალი სასწავლო წლიდან **მეორე კლასე-**

ლი მოსწავლეებისთვის საგაკვეთილო პროცესი 5 წუთით შემცირდება“ (speqtri.ge)...

4. ერთმანეთს მოსდევს ორი ან მეტი ისეთი კომპოზიტი, რომელთა მეორე კომპონენტი ერთი და იმავე სიტყვითაა წარმოდგენილი და სიმოკლისათვის მხოლოდ ერთხელ არის გამოყენებული.

საილუსტრაციო მაგალითები:

„აღნიშნული პროექტის ფარგლებში, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის **ოთხ და ხუთსართულიანი** საცხოვრებელი კომპლექსი აშენდა“ (mdf.org.ge), შდრ.: „დედაქალაქში 1200 **ოთხ- და ხუთსართულიანი** „ხრუმოვკის“ ტიპის სახლია, მათ შორის 450 ავარიულად ითვლება“ (radiotavisufleba.ge); „შეუმჩნეველი არ დაგვრჩება მდიდრული, **ორ და სამსართულიანი** კეთილმოწყობილი სახლები“ („საქ. რესპუბლიკა“, 2011), შდრ.: „შთამბეჭდავ სურათს ქმნის ქობაის **ორ- და სამსართულიანი** ძველი სახლები“ (kvirispalitra.ge); „სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე წარმოდგენილია ორი პროექტი, კერძოდ, **ხუთ, ექვს და შვიდსართულიანი** სასტუმროებისა“ (netgazeti.ge) , შდრ.: „სურათები, **ხუთ-, ექვს- და შვიდსართულიანი** ნაგებობებისთვის“ (laterna.ge)...

კომპოზიციის განსაკუთრებით დამახასიათებელია ტერმინოლოგიური სისტემისათვის, – აღნიშნავს ვარლამ თოფურია. სწორედ კომპოზიციის გზითაა მიღებული მრავალი სამეცნიერო თუ ტექნიკური ტერმინი, რომელთა შორის ყურადღებას იქცევს რიცხვითი სახელით ნაწარმოები **-იან** სუფიქსიანი ტერმინები სხვადასხვაგვარი დაწერილობის გამო, მაგ.: **ორცილინდრიანი, ორხიდიანი, სამგანზომილებიანი**... ისინიც, მსგავსად ზემოთ წარმოდგენილი ლექსიკური ერთეულებისა, თანამედროვე ქართულში დასტურდება სხვადასხვაგვარი დაწერილობით: ერთად და ცალ-ცალკე (იშვიათად დეფინითაც).

საილუსტრაციო მაგალითები:

„**ორცილინდრიანი** ძრავის მქონე ავტომობილი პოპულარული გახდა“ („ხვალინდელი დღე“, 2002), შდრ.: „ბელკა“ ექსპერიმენტალური ეკონომიური წვის, **ორ ცილინდრიანი** პატარა ზომის ავტომობილი, მოტოციკლების ქარხანაში აეწყო“ (espersona.ge)...

„იტყობინებიან მსოფლიოში პირველი **სამგანზომილებიანი** ტელემაუწყებლობის გამოშვების შესახებ“ (tavisufleba.org), შდრ.: „**სამ გან-**

ზომილებიანი ექოკარდოგრაფიის კლინიკური აპრობაცია საქართველოში: მეთოდის უპირატესობები და შეზღუდვები“ (medikus. ge)...

„აგროფირმის ხელმძღვანელს უნდა ემსახურებოდეს **ორხიდიანი** ავტომანქანა“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 2020), შდრ.: „მონასტრის წევრები და მომლოცველები **ორ ხიდიანი** მანქანით ახერხებენ გადაადგილებას“ (geotimes. ge) და სხვა.

ამდენად, რიცხვითსახელიან კომპოზიციტა (მაშასადამე, როცა კომპოზიტის პირველი ნაწილი რიცხვითი სახელია) დაწერილობასთან დაკავშირებული დარღვევების თავიდან ასაცილებლად გასათვალისწინებელია შემდეგი რეკომენდაციები:

1. „ერთცნებიანი კომპოზიტი (რამდენი ფუძისგანაც უნდა შედგებოდეს იგი) ყოველთვის ერთად უნდა ვწეროთ. ფუძეთა შორის პატარა ხაზის (დეფისის) ხმარება, ან მითუმეტეს მათი ცალცალკე წერა არ იქნება სწორი“ [თოფურია 1933: 79]. მაგ.: **რვასათიანი** (და არა: **რვა საათიანი**), **ორადგილიანი** (და არა: **ორ ადგილიანი**), **მეცხრეკლასელი** (და არა: **მეცხრე კლასელი**). ანალოგიური წესი ვრცელდება ტერმინებთან მიმართებითაც: **სამგანზომილებიანი** (და არა: **სამ განზომილებიანი**), **სამგუმბათოვანი** (და არა: **სამ გუმბათოვანი**, **სამ-გუმბათოვანი**) და სხვა.

2. თუ „კომპოზიტის პირველი ნაწილი რიცხვითი სახელია და იგი ციფრებით არის წარმოდგენილი, ციფრსა და მეორე ნაწილს შორის (მეორე ნაწილი სიტყვიერია) იწერება დეფისი...“ [ქსკს 1988: 100]. მაგ.: **10-ლარიანი** (და არა: **10 ლარიანი**), **3-ოთახიანი** (და არა: **3 ოთახიანი**) და ა. შ.

3. „როდესაც ერთმანეთს მოსდევს ორი ან მეტი ისეთი კომპოზიტი, რომელთა ბოლო შემადგენელი ნაწილი ერთი და იგივე სიტყვაა და სიმოკლისათვის მხოლოდ ერთხელ მოჰყავთ, პირველ ნაწილს (ნაწილებს) უნდა ახლდეს დეფისი“ [ქსკს 1988: 100]. მაგ.: **ორ-და სამსართულიანი** (და არა: **ორ და სამსართულიანი**), **ხუთ-, ექვს-და შვიდსართულიანი** (და არა: **ხუთ, ექვს და შვიდსართულიანი**) და სხვა.

ლიტერატურა

თოფურია 1933 – ვ. თოფურია, ქართული ენა, განაკვეთი III და IV, თბილისი.

მორფ. 2011 – თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, თბილისი.

ნორმები 1970 – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი.

ქეევი – ქართული ენის ეროვნული კორპუსი.

ქსკს 1988 – ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, თბილისი.

შანიძე 1973 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.

Maka Labartkava

On Improper Spelling of One Type of Compounds (The First Part of the Compounds Is a Numeral)

Summary

The paper discusses the type of cases when the first part of a compound is a numeral and the second part is derived with the suffixes **-a**, **-ian**, **-ovan**, **-el**. This Type of compounds is called either possessive (Arn. Chikobava, V. Topuria), asset-related (A. Shanidze) or the one with a determiner (A. Kiziria).

Several cases are distinguished:

1. When the numeral or the first part of a compound is presented as a word and the second part is derived with the suffix **-ian**, e.g. *mat žurnali “anabečdi” erti člit ganoiçeres da aslariani salaparaço dro daimsaxures* “They subscribed the journal Anabechdi for a year and received a hundred lari speaking time” (lib.ge), cf.: *as lariani at tumnianebad gadavaxurdave da ičan gamovbrundi* “I exchanged a hundred lari note

into 10 lari notes and came back” (lib.ge). The attention is also paid to the terms derived from numerals with the suffix *-ian*, e.g. *orcilindriani* // *or cilindriani*, *orxidiani* // *or xidiani*, *samganzomilebiani* // *sam ganzomilebiani*, etc.

2. When a cardinal number or the first part of the compound is presented by a number, the second part is derived with the suffix *-ian*, e.g. *3 otaxiani binis pasad ipideboda karxnebi* “The factories were sold at the same price as three-room flats” (Akhali Taoba, 2005), cf.: *vaḳeṣi 3-otaxiani bina makvs 130 kv/m partit* “I own a 130 square meter three-room flat in Vake” (Tbilisi, 2005), etc.

3. When the first part of the compound is an ordinal number and the second part is derived with the suffix *-el*, e.g. *seviliel dalakṣi pirvelad ḳarmoḳndnen msxvili planit meotxeḳurseli zmebi goḳa da uḳa abulaḳeebi* “Brothers Gocha and Ucha Abuladze, the fourth-year students, widely appeared in “The Barber of Seville” for the first time”, cf.: *magram oḳaxurma garemom tavisu gaiḳana da meotxe ḳurseli psikologi iuridiuli paḳulḳetis meore ḳursze aymovḳndi* “But the family environment gained its end and a fourth-year psychology student found myself on the second year of the low school” (Akhali Taoba, 2010), etc.

4. When two or more compounds follow each other, the last component of which is the same word and only one compound is fully presented to make the phrase shorter, e.g. *ayniṣnuli proeḳtis pargleḳṣi, izulebit gadaadgilebul pirtatvia otx da xutsartuliani saxovrebeli ḳompleksi aṣenda* (mdf.org.ge) “Within the framework of this project, a four and a five-storey residential buildings were built for IDPs” (mdf.org.ge), cf., *dedakalakṣi 1200 otx- da xutsartuliani xruṣḳovḳis tipis saxlia, maḳ ṣoris 450 avariulad iḳvleba* (radiotavisufleba.ge) “There are 1,200 four and five-storey Khrushchev-type blocks of flats in the capital and 450 out of them are considered to be damaged”

The paper also presents the rules of spelling related to compounds derived from numerals.

ვახტანგ მალრაძე

უცხოურ სახელწოდებათა უმართებულოდ გამოყენების ერთი შემთხვევისათვის

ბოლო ათწლეულების განმავლობაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები, ბუნებრივია, ენაშიც აისახა მეტნაკლებად, შესაბამისად, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენაც შეივსო დიდძალი ახალი ლექსიკით. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, განსაკუთრებით იმატა უცხო ენებიდან შემოსული ლექსიკური ერთეულების უმართებულოდ გამოყენების შემთხვევებმა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ფუძის სახით წარმოდგენილი უცხოენოვანი სახელწოდებანი (თანხმოვანფუძიანი სახელები გვაქვს მხედველობაში), რომლებიც სახელობითი ბრუნვის ფუნქციას ასრულებენ, მაგალითად:

აის-ვოჩ¹ – **ice-wotch** (რუსთაველის გამზ. №40); **აუტოქომ ჯაპან** (ბულაჩაურის ქ. №2); **აფინოქს** (მარკეტი); **ზარბეკიუ ქიჩენ** (პეკინის ქ. №4); **ზორუსან** (ამერიკის საელჩოსთან); **ელეგანტ რუმ** (ჭავჭავაძის გამზ. №34); **ენზა ჰოუმ** (მაღაზია აღმაშენებლის ხეივანში); **ესთეტიქ ქორნერ** (ბულაჩაურის ქ. №2); **ვენდის** (კვების ობიექტი ტექნიკური უნივერსიტეტის I კოპუსის გვერდით); **ვოგგ** (პეკინის ქ. №5); **ნაით ჰაუს** (მარშალ გელოვანის გამზირზე); **კელეზევ** (აღმაშენებლის ხეივანი); **ლავ რეფაბლიქ – LOVE REFABLIC** (რუსთაველის გამზ. №20); **ლითლ ვან** (ჭავჭავაძის გამზ. №9); **ლოფთ ჰოსელ – LOFT HOSEL** (რუსთაველის გამზ. №36); **ლორის – LORIS** (რუსთაველის გამზ. №26, სუნამოები); **მისტერ ქუუქ** (ლესია უკრაინკას ქ. №5); **ნექსთ** (ბიზნესცენტრი ჭავჭავაძის გამზირზე); **ოფენ დოორ** (წერეთლის გამზირზე); **პლაზა პოლინ;** **რეფრემ** (კანდელაკის ქ. №7); **სკინ**

¹ აღსანიშნავია, რომ ეს სიტყვები (სახელწოდებები) ქართულში ერთად უნდა დაიწეროს (მაგ.: შაურმაჰაუსი...), რადგან თარგმანის გარეშე ისინი ერთ საკუთარ სახელს, ოდენობას წარმოადგენენ. მათ ორსიტყვიანი კომპოზიტის ან შესიტყვების გაგება არ გააჩნია (იხ. „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, წიგნი მეთექვსმეტე, თბ., 2016, გვ. 80-86, ვ. მალრაძე, „ნასესხები შესიტყვება-კომპოზიტები, მ. ჭაბაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონის“ მიხედვით“), ხოლო თუ ქართული თარგმანით წარმოვადგენთ (მაგ.: შაურმის სახლი), მაშინ, ბუნებრივია, ცალ-ცალკე დაიწერება.

ქეარ – SKINCARE¹ (პუშკინის ქ. №3); **სპარ** (მარკეტი თბილისის არა-ერთ უბანში); **სუპერ** (მარკეტი სპორტის სასახლის წინ); **ფლაუნგენტაინ** (წერეთლის გამზირზე); **შაურმა ჰაუს** (სააკადის მოედანი, პოლიტექნიკური უნივერსიტეტის წინ); **ჰოლიდეი ინ** (სასტუმრო „აჭარა“); **ჰოლი ქიდს** (ჭავჭავაძის გამზ. №31).

ჯერ ერთი, უცხოური დაწერილობა წარმოდგენილი უნდა იყოს ქართული სახელწოდების (სიტყვისა თუ შესიტყვების) შემდეგ – შედარებით მომცრო ასოებით. რაც შეეხება ქართულად გაფორმებას, ყველა შემთხვევაში თანხმოვანფუძიანი სახელწოდებები წარმოდგენილი უნდა იყოს სახელობითი ბრუნვის ფორმით, ანუ – **ი** ბრუნვისსანიშნიანი დაბოლოებით: **აფინოქსი, ვენდისი, ლორისი, ნექსთი, სპარი, სუპერი, ფლაუნგენტაინი...**

ანალოგიური შეცდომები მრავლად დაჩნდება პრესის ფურცლებზეც:

„...ვიმღერე „**ფოლენ**“... რომელსაც ალიმეთი ასრულებს...“ (იქვე, N51, 2005); „...კინოეკრანებზე გამოვიდა დამოუკიდებელი დრამა „**ფიქს**“, რომელიც... ნარკოტიკებს ეხება...“ (იქვე, N48, 2009); „...მანამდე გვექონდა თურქეთიდან მიწვევა, ერთ-ერთი სერიალისათვის – „**დირილიმ**“, რომელიც რეიტინგებში პირველ ადგილზეა“ (იქვე, N32, 2015); „ჟურნალმა „**ფიფლ**“ მსოფლიოს 50 ლამაზ ქალს შორის ჯულია რობერტსი ულამაზესად დაასახელა“ (იქვე, N24, 2006); „...ჰოლივუდის ორ ფილმში გამოჩნდა – „ჰოლიდეი ინ მეხიკო“ და „იზი თუ **ვედ**“ („სარკე“, N49, 2013); „...როკჯგუფს კი „**ზი მინთს**“ („ზი მინთს“ – ინგლ. წუთები) ჰქვია“ (იქვე, N20, 2014); „რიჩარდ რაიტმა და ნიკ ნეისონმა ალტერნატიული მუსიკალური მიმართულების ჯგუფი შექმნეს – „**სიგმან**“ (იქვე, N19, 2007); „...მათ მიუძღვნეს სიმღერა „**ბექ თუ იუესესარ**“ (იქვე, N8, 2009); „ვალმერთებ „სთარ **თრექს**“, – თქვა მან“ („TV პროგრამა“, N22, 2007); „...გაიმართება კონცერტი: ვილი **ნელსონ** და მეგობრები“ (იქვე, N51, 2012)...

ამ პრინციპს თუ მივყვებით, უნდა ვწეროთ: დიდი პოპულარობით სარგებლობდა „**ბიტლზ**“; უამრავმა მაყურებელმა ნახა სულისშემძვრელი „**ტიტანიკ**“; ფრანგმა ბიზემ შექმნა უკვდავი „**კარმენ**“;

¹ ყურადღებასიქვეცვია ისიც, რომ ზოგჯერ ინგლისურად ერთ სიტყვად დაწერილი სახელი ქართულად ორ სიტყვად გადმოაქვთ (იხ. ზემოთ დასახელებული ნაშრომი).

უილიამ შექსპირმა დაწერა: „**ჰამლეტ**“, ჯეკ ლონდონმა – „**მარტინ იდენ**“, თომას მანმა – „**ბუდენბროკ**“, დოსტოევსკიმ – „**იდიოტ**“...

იშვიათად (მაგრამ მაინც) ქართულ პრესაში უცხოურიდან გადმოტანილი სწორად გაფორმებული სახელწოდებებიც დასტურდება. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ბრუნვის ნიშანი და თანდებულდართული ფორმები:

„...პოპულარულ კოსმო-საგაში „**ენტერპრაიზი**“ ამ ვარსკვლავ-მფრენის მთავარი ინჟინერი განასახიერა“ („TV პროგრამა“, N17, 2007); „კინოკომპანია „იუნივერსალ **ფიქჩერი**“ ადასტურებს“ (იქვე, N15, 2007); „**აუტსაიდერი**“ ანსამბლის სახელწოდებაა“ („სარკე“, N16, 2009); „როგორც „**ასოშეიტედ პრესი**“ იუწყება... შერიფმა... გადასცა მსახიობს პოლიციელის ნიშანი...“ („თბილისელები“, N2, 2006); „კომპანია „**ნიუ სთარი**“ წარმოგიდგენს“ (იქვე, N25, 2009); „...ნინო ცქიტიშვილის სამოდელო სააგენტოში „**ლუკს მოდელო**“ ვმუშაობ“ („გზა“ N18, 2014); „**იგ სენ ლორანი**“ – დიზაინერული სახლი აწყობს ჩვენებას“ („ელიტარული ქრონიკა“, N16, 2005); „ჯგუფი „**დაიარ სთრეითი**“ როკ მიმდინარეობის წარმომადგენელია“ (იქვე, N16, 2005); „2013 წელი ფარმაცევტული კომპანია „**ეგისი**“-სთვის საიუბილეო წელია“ („სარკე“, N44, 2013)...

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ უცხო ენებიდან გადმოტანილი თანხმოვანფუძიანი სახელები, რომლებიც სახელობითი ბრუნვის ფუნქციას ასრულებენ, აუცილებლად სახელობითი ბრუნვის ფორმით უნდა წარმოვადგინოთ.

შენიშვნა: ბეჭდვით მედიაში არის ისეთი შემთხვევებიც, როცა თანხმოვანფუძიანი საზოგადო სახელი წოდებით ბრუნვაშიც ფუძის სახით არის გამოყენებული: „ვიცი, რომ თქვენი ვალია, ყველა შეამოწმოთ. ნახვამდის, **შერიფ**...“ („თბილისელები“, N51, 2005) და სხვ.

ლიტერატურა

გზა – ჟურნალი „გზა“, N18, 2014.

ელიტარული ქრონიკა – ჟურნალი „ელიტარული ქრონიკა“ N16, 2005.

თბილისელები – ჟურნალი „თბილისელები“, N51, 2005; N2, N24, 2006; N34, 2008; N25, N48, 2009; N32, 2015.

მადრაძე 2016 – ვ. მადრაძე, „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, წიგნი მეთექვსმეტე, თბილისი.

სარკე – ჟურნალი „სარკე“ N19, 2007; N8, N16, 2009; N44; N49, 2013; N20, 2014.

TV პროგრამა – გაზეთი „TV პროგრამა“ N15, N17, N22, 2007; N51, 2012.

Vakhtang Maghradze

On a Case of Using Foreign Names Incorrectly

Summary

The paper deals with the cases of using foreign consonant-base names without a case marker (as a base), when they perform the function of a nominal case. We conclude that such names must be added by a nominative case marker, e.g., *vogi*, *vendisi*, *neksti*, etc.

თამარ სუხიშვილი

ურიცხო სახელთა მრავლობითობის ტენდენცია ქართულში

სახელის რიცხვი ქართულ ენაში გამოიხატება როგორც გრამატიკულად (მორფემების საშუალებით), ასევე სემანტიკურად (ლექსიკური საშუალებით).

რამდენიმე ჯგუფის სახელებს ქართულში გრამატიკული რიცხვის კატეგორია არ ეწარმოება. ამ სახელებს არა აქვს თვლადობის შინაარსი და, შესაბამისად, არც მრავლობითობის გაგება. როგორც წესი, მათთან არ გამოიყენება მრავლობითობის აღმნიშვნელი მორფემა.

ა. შანიძე ასეთ სახელებს ურიცხო სახელებს უწოდებს და განმარტავს, რომ „გრამატიკული რიცხვის გაგება სახელთაგან მხოლოდ ისეთს ახლავს, რომელიც აღნიშნავს საგანს, რომელიც დაითვლება...“, თუ საგანი არ დაითვლება, მას გრამატიკული რიცხვის გაგება არ ახლავს. „ასეთებია: ჰაერი, ნაცარი, ხილი, რძე და მისთ. ეს უკანასკნელი სახელები მხოლოდ ფორმით არიან მხოლობითი, თორემ საპირისპირო მრავლობითის უქონლობის გამო, ბევრიდან ერთ ცალ საგნად არ გამოიყოფიან და იმიტომ მათს „მხოლობითის ფორმას“ არ ახლავს სათანადოდ ერთის გაგების შინაარსი და, მაშასადამე, არსებითად ისინი ურიცხო სახელებია“ [შანიძე 1973: 46].

ა. შანიძის განმარტებით, ურიცხო სახელთა ჯგუფს მიეკუთვნება: საკუთარი სახელები (გარდა გვარებისა), აბსტრაქტული სახელები, ნივთიერებათა სახელები და ნაცვალსახელებისა და საწყისების დიდი ნაწილი [შანიძე 1973: 50]. შესაბამისად, ამ სახელებს მრავლობითის ფორმა არ ეწარმოება.

მიუხედავად ამისა, ქართულ სასაუბრო ენაში დიდი ხანია შემამჩნევია მრავლობითი რიცხვის გამოყენება იმ სახელებთან, რომლებსაც მრავლობითი არ ეწარმოება. ამგვარი შემთხვევები საკმაოდ ხშირია და თავს იჩენს არა მხოლოდ ზეპირ მეტყველებაში, არამედ წერილობითი სახითაც.

ნიშანდობლივია, რომ ურიცხო სახელების მრავლობითობის გამოხატვის ტენდენციას ენაში თავისი საფუძველი აქვს: გამონაკ-

ლისთა რაოდენობა არცთუ ისე მცირეა. გამონაკლის შემთხვევებს ა. შანიძე „უჩვეულო შემთხვევებს“ უწოდებს და აღნიშნავს, რომ საერთო წესის დარღვევის ეს შემთხვევები განსაკუთრებით თავს იჩენს ხელოვნურ ენაში, პოეზიაში. საილუსტრაციოდ მკვლევარს მოჰყავს აბსტრაქტული სახელების მრავლობითობის მაგალითები „ვეფხისტყაოსნიდან“: „სინატიფე-სიტურფენი“, „სიფიცხენი“, „გაქნევ კარგთა სიშმაგეთა“, „მე გავეკვირვე ჭვრეტასა მის ყმისა სინაზეთასა“, „მუნ იყო არ სიწყნარები“ [შანიძე 1973: 78-79], და იქვე ასახელებს მრავლობითში დასმულ საწყისებსაც: „ამა ცეცხლისა დებანი“, „შეჰრჩეს დაწვისა ბანანი“, „აღარ შემზადა ლიქნები“, „რბენანი“, „კბენანი“ (ბესიკი) და სხვ.

როგორც ჩანს, ურიცხვო სახელების მრავლობითობისკენ მიდრეკილების ტენდენცია ტრადიციულადაც არ არის უცხო ქართული ენისთვის. ამგვარ სახელთა მრავლობითი რიცხვის ფორმებს შეიძლება ჰქონდეს ფუნქციური – სტილისტიკური დატვირთვა: პოეტური ან სამეცნიერო.

ურიცხვო სახელების მრავლობითობის ფორმების გაჩენა შეიძლება უკავშირდებოდეს სახელის მნიშვნელობის ცვლილებასაც. რიგ შემთხვევებში აბსტრაქტულობის, ზოგადობის, კრებითობის, ერთი მთლიანის შინაარსი კონკრეტულ, სახეობრივ შინაარსამდე დაიყვანება და, შესაბამისად, სახელი უთვლადიდან თვლადად იქცევა. ასეთ შემთხვევაში მრავლობითობა დასაშვებად მიიჩნევა.

„აბსტრაქტულმა სახელმა შეიძლება მნიშვნელობა იცვალოს და კონკრეტული შინაარსი მიიღოს, მაშინ, რა თქმა უნდა, რიცხვის გაგებას შეიძენს: სიმაგრე – სიმაგრეები, სიმაღლე – სიმაღლეები და მისთ. შეიძლება ასეთმა სახელმა ისეთი მოვლენა აღნიშნოს, რომ ის სხვადასხვა სახისა იყოს და დათვლა შეიძლებოდეს, მაშინ შესაძლებელი იქნება მრავლობითის წარმოება: სნეულებანი, სიძნელებები და სხვ.“ [შანიძე 1973: 79].

როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, ნივთიერებათა სახელიც შეიძლება ერთი მნიშვნელობით ურიცხვო იყოს, მეორე მნიშვნელობით კი – რიცხვიანი: „წყალი ურიცხოა, როცა ვლაპარაკობთ გარკვეულ სითხეზე, რომელსაც ვსვამთ; ითქმის: „წყალს ვსვამ“, მაგრამ არ ითქმის: წყლებს ვსვამ.“ სამაგიეროდ ითქმის: „მინერალური წყლები“, რადგანაც აქ სხვადასხვა წყალი იგულისხმება... წყალი მდინარესაც აღნიშნავს და ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ: საქართველოში ბევრია

წყლები.“ რაც წყალზე ითქვა, ასეთი რამე შეგვიძლია ზოგ სხვა სახელზედაც ვთქვათ: ესენია: რკინა, სპილენძი, რძე, თაფლი, მარილი, ძმარი და სხვ. სოფლელი კაცისთვის არსებობს მარტო „მარილი“ (მხოლოებითის ფორმით), ქიმიკოსს კი მარილებთან აქვს საქმე [შანიძე 1973: 80].

მრავლობითის წარმოება შეუძლია საწყისებსაც. „თუ საწყისი მრავლობითს ადვილად იკეთებს, ისე რომ ხელოვნურობა არ ჩანდეს, ეს იმას ნიშნავს, რომ მას გაუწყვეტია კავშირი ზმნასთან და არსებობაში გადასულა: ლოცვა – ლოცვები, სხდომა – სხდომები, კრება – კრებები და სხვ.“ [შანიძე 1973: 79].

მაგრამ ეს ახსნა არ არის საკმარისი წესის დასადგენად: როგორ უნდა გავარკვიოთ, ადვილად იკეთებს თუ არა ფორმა მრავლობითს? ან: როგორ უნდა შევავსაოთ ფორმის ხელოვნურობა? და შესაბამისად, არ გვაქვს პასუხი კითხვაზე: როგორ უნდა გავარჩიოთ ერთმანეთისგან ხელოვნური და ბუნებრივი ფორმები. მაგალითად, თუ გვაქვს მილოცვის ფორმულაში დამკვიდრებული ფორმა – *სურვილები* (*კეთილი / საუკეთესო სურვილებით*), რატომ არის მიუღებელი ანალოგიური ფორმების – *სიხარულები*, *სიყვარულები* და *მისთ*. გამოყენება? ენაში მომრავლებული მრავლობითი რიცხვის ფორმებისა და არცთუ მცირე რაოდენობის გამონაკლისი შემთხვევების ფონზე, ბუნებრივია, დგება საკითხი: სად გადის ზღვარი? ვინაიდან თეორიულად ნებისმიერმა უთვლადმა სახელმა შეიძლება შეიძინოს თვლადის შინაარსი.

ქვემოთ წარმოვადგენთ ე. წ. ურიცხვო სახელთა მრავლობითი რიცხვით გამოყენების მაგალითებს (ერთ მცირედ ნაწილს). ეს არის აბსტრაქტული სახელები, საწყისები, ნივთიერებათა სახელები, ე. წ. არანივთიერი მასის სახელები და გეოგრაფიული სახელები.

აბსტრაქტული სახელები და საწყისები

აქ ერთად მიმოვიხილავთ აბსტრაქტულ სახელებსა და ძველი და ახალი წარმოების საწყისებს: ა. შანიძის განმარტების მიხედვით, ძველი წარმოების (-ილ ბოლოკიდურიანი) საწყისები დღევანდელ ენაში უფრო აბსტრაქტულ არსებით სახელებს მიეკუთვნება, ვიდრე საწყისებს.

შ. აფრიდონიძე ყურადღებას ამახვილებს გასული საუკუნის 90-იანი წწ. გარკვეული მოვლენების ამსახველი აბსტრაქტული სახე-

ლებისა და საწყისების მრავლობითი რიცხვის გამოყენების შემთხვევებზე, რომლებიც ენობრივ დარღვევებად მიიჩნევა. ეს ფორმები: *შიშები, წნევები, შუქები, სროლები, გამორთვები // გამოთიშვები...* მკვლევარი მრავლობითის ფორმების ამგვარ ხმარებას სოციალურ და ფსიქოლოგიურ მოტივაციას უძებნის: მრავალგზისობა, მოქმედების მრავალჯერადი განმეორება, სიხშირე-რეგულარობის გამოხატვის სურვილი. იგი აღნიშნავს იმასაც, რომ აქ ეკონომიურობის პრინციპიც თამაშობს გარკვეულ როლს, „მაგრამ ეკონომიური მეტყველება ყოველთვის ვერ იძლევა სასურველ ეფექტს... განა გამოთქმა - „ამ ბოლო დროს შიშები (წნევები) მაქვს“ – უკეთესად გამოხატავს სათქმელს, ვიდრე, მაგ.: „ამ ბოლო დროს შიში მიპყრობს (ან დამჩმდება)“, ანდა „წნევა მაწუხებს“? [აფრიდონიძე 2009: 90].

ანალოგიური ფორმები (აბსტრაქტული სახელები და საწყისები მრავლობით რიცხვში) ენაში სულ უფრო და უფრო მატულობს. განსაკუთრებით ხშირია მრავლობითობა ზეპირმეტყველებაში და ზეპირმეტყველებიდან წერილობით ტექსტებშიც იკიდებს ფეხს. აბსტრაქტული შინაარსი აქ თითქოს დაკონკრეტებულია. მაგალითად, აბსტრაქტული „სიხარულის“ მრავლობითი ფორმა „სიხარულები“ შეიძლება აღნიშნავდეს რამდენიმე სასიხარულო ამბავსა და მოგონებას, ან სიხარულის განცდის სხვადასხვაგვარ გამოხატულებას.

თითქოს ხელახლათ ესმოდა ძველი ფათერაკი და **სიხარულე-ბი...** [კორპუსი: ა. მორჩილაძე, მუსა ყასიმი და მისი ოთხი ცოლი].

პირველად სწორედ ამერიკელთა ყოფაში ჩნდება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა წარმოებაში დანერგვის „**სიკეთე-ები**“, როგორცაა ელექტროხელსაწყოები – მტვერსასრუტი, უთო, მაცივარი და სხვ. [კორპუსი, ისტორია 12].

მაგისტანა **სისულელები** გაკლდა და ეგეც დაიწყე [კორპუსი: შ. შამანაძე, ღია შუშაბანდი].

შეიყვარეთ თქვენი შვილების **სიყვარულები...** – ეს პირველი რიგში ისევ თქვენ გაგხდით ბედნიერს [მშობ. 2020].

ნახეთ რა **სილამაზეები** დაგზვდებათ ცნობილ მოედანზე [ფორტუნა 2019].

„...თანხლები **ავადმყოფობების** არსებობის შემთხვევაში, 24%-ში დაავადების მიმდინარეობა იყო მძიმე ან კრიტიკული“, - ნათქვამია ანგარიშში [საქ. რესპ. #95, 2020: 2].

ვერცხლისწყალი... ხვდება თავის ტვინში, რაც სერიოზულ ნევროლოგიურ **დარღვევებს** იწვევს [საქ. რესპ. #95, 2020: 4].

ბერლინის ქუჩებში ათასობით ადამიანი შეიკრიბა მთავრობის მიერ დაწესებული **შეზღუდვების** გასაპროტესტებლად [საქ. რესპ. №96, 2020: 9].

...რა **მოლოდინები** არსებობს და არის თუ არა ჩვენს საარქივო მასალებში შემონახული დოკუმენტები საკმარისი [საქ. რესპ. №96, 2020: 6].

ასეთია ბუნების სასტიკი რეაქცია მის მექანიზმებში ადამიანის უხეშად ჩარევის ანთროპოგენურ **მცდელობებზე!** [საქ. რესპ. №144, 2019: 6].

ჯანმრთელობაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციები აგრძელებდნენ **მოწოდებებს** მოქალაქეობრივი თვითშეგნების გამოჩენისკენ და **გაფრთხილებებს** ვირუსის გავრცელების შემთხვევაში მოსალოდნელი მიმდებარე შედეგების თაობაზე [საქ. რესპ. №96, 2020: 8].

ქრისტიანობაშიც და ისლამშიც უფრო ძველი, ნახევრადწარმართული **გავლენები** იგრძნობოდა [ქურხული 2017: 11].

მასობრივ **დახვერტებს** არც კომუნარები წუნობდნენ [აკუნინი 2013: 97].

გარკვეულ შემთხვევებში აბსტრაქტული სახელებისა და საწყისების მრავლობითობის გამოყენებას საუბარში ემოციური დატვირთვა აქვს: ერთგვარად კნინობითობის ფუნქციას ასრულებს. ეს შეიძლება იყოს კნინობითობა დადებითი ან უარყოფითი ნიშნით. ორივე შემთხვევაში ჩანს მოსაუბრის დამოკიდებულება საგნისა თუ მოვლენის მიმართ.

ა) **კნინობითობა დადებითი ნიშნით:** მრავლობითი რიცხვი ხშირად გამოიყენება კნინობით-ალერსობითი მიმართვის ფორმებში კუთვნილებით ნაცვალსახელთან ერთად.

ახლა წადით, **ჩემო სიცოცხლეებო, ჩემო სიხარულებო...** [კვ. პალ. 2019].

აბა, როგორ ხართ, **ჩემო სიცოცხლეებო?** [მშობ. 2014].

ჰოდა, ასე, **ჩემო სიხარულებო**, ვქექით მსოფლიოს სანაგვეები! [გუგეშვილი].

ბ) **კნინობითობა უარყოფითი ნიშნით:** ამ შემთხვევაში მრავლობითობა გამოიყენება ირონიული ეფექტის შესაქმნელად. მრავლობითობით თითქოს დამცრობილია ცნების შინაარსი.

ღამის 2 საათზე ლუდზე **დაპატიყვები** მოსულა? და მანქანით **გასეირნებები**... [ფორუმი].

სასაუბრო ენაში ამის მაგალითები ბევრია: *დამიწყო ახლა ჭკუის სწავლებები, მომინდომა სიყვარულები, დამიწყო ახლა დარიგებები*... ამ ტიპის ირონიული ფრაზები განსაკუთრებით დამახასიათებელია ახალგაზრდების მეტყველებისთვის (უმეტესად, ჟარგონისთვის). ჟარგონისათვის მისაღებია ენობრივი დარღვევების საგანგებოდ გამოყენება, შდრ.: ტეხავს, გლეჯავს || გლიჯავს, და სხვ.

სამეცნიერო ლიტერატურაში მრავლობითის ტერმინოლოგიური ფუნქციით გამოყენება ხელს უწყობს ენაში აბსტრაქტული სახელებისა და საწყისების მრავლობითი ფორმების მომრავლებას. შ. აფრიდონიძე მაგალითად ასახელებს მედიცინაში მიღებულ ფორმებს: *დაავადებანი, ჩივილები და მისთ.*, მაგრამ იქვე დასძენს, რომ აქაც გარკვეული შეზღუდვა არსებობს [აფრიდონიძე 2009: 91].

ბოლო დროს სამეცნიერო ტერმინოლოგიაში ასეთი ფორმები თანდათანობით მრავლდება (ნაწილობრივ უცხოენოვანი ტერმინოლოგიის გავლენით): მაგალითად, სოციალურ მეცნიერებებში – ქვევები, შიშები, ლტოლვეები, განცდები, სწრაფვები და ა.შ. სპეციალური ენიდან ეს ფორმები სასაუბრო ენაშიც სულ უფრო მეტად გადადის.

„დოსტოევსკის რთული პიროვნებიდან სამი ფაქტორი გამოვყავით... მისი მოჭარბებული აფექტურობა, პერვერსიული **ლტოლვები**... და მისი შემოქმედებითი ნიჭი“ [ფროიდი 2018: 423-424].

„მძიმე **შეტევები**, რომლებსაც თან ახლავს ენის მოკვნეტა... შეიძლება შესუსტდეს და ხანმოკლე **შეტევებში**... გადაიზარდოს“ [ფროიდი 2018: 425].

საწყისების მრავლობითობის ფორმები ბოლო პერიოდში განსაკუთრებით უხვად ჩნდება ე.წ. საქმიანი ქაღალდების ენაში: საბანკო, საბუღალტრო, სავაჭრო და სხვა სახის დოკუმენტაციაში: *გაყიდვები, გადარიცხვები, გადახდები, გასხვისებები, მომსახურებები, გადაზიდვები*... აქვე შემოდის უცხო ენიდან პირდაპირ გადმოტანილი სიტყვები ქართული მრავლობითის მორფემით: *სერვის-ებ-ი, სეილ-ებ-ი, ტრანსფერ-ებ-ი*... ამგვარ ფორმათა გამოყენება კიდევ უფ-

რო მეტ ხელოვნურობას ანიჭებს აღნიშნულ სფეროში გამოყენებულ ისედაც ზედმეტად ხელოვნურ სტილს. მათი მომრავლება ქართულ წერილობით დოკუმენტაციაში გარკვეულწილად უცხო ენიდან (კერძოდ, ინგლისურიდან) კალკირების შედეგაცაა. იხ. sales, transactions, transfers, payments, services და ა. შ. (აქ ინგლისური ენისთვის მრავლობითობა ბუნებრივია).

უთვლად სახელთა ერთი ჯგუფი (არანივთიერი მასის სახელები)

სტატიაში – „საზღვრული სახელის რიცხვი ორ და მეტ მსაზღვრელთან“ – ც. კალაძემ გაამახვილა ყურადღება მრავლობითის ხმარების ტენდენციაზე იმ სახელებთან, რომლებსაც არა აქვს მრავლობითი რიცხვის წარმოების უნარი. ეს სიტყვებია: პრესა, არენა, საზოგადოებრივი აზრი, დისციპლინა (წესრიგის მნიშვნელობით), პროზა, პოეზია, შემოქმედება, მუსიკა, ქსელი, ხელოვნება, ხუროთმოძღვრება, შრომა (გარჯის მნიშვნელობით), მწერლობა, ლიტერატურა, ცივილიზაცია, ეპოსი, მეთოდისა, წონა, სამყარო, ტემპერატურა... [კალაძე 1979: 132-133]. მრავლობითის უმარტებულო გამოყენებაზე ამ ტიპის სიტყვებთან (აბსტრაქტული სახელებისა და საწყისების გავლენით) მიანიშნებს შ. აფრიდონიძეც: მუსიკები, პრაქტიკები, კენჭისყრები... [აფრიდონიძე 2009: 91].

ეს ის სახელებია, რომლებსაც არა აქვს ერთის შინაარსი. ისინი უთვლადია და განზოგადებული შინაარსი აქვს, გარკვეული თვალსაზრით, აბსტრაქტულიც კი. თუმცა მორფოლოგიური კლასიფიკაციის მიხედვით, აბსტრაქტული სახელები არ არის. ამგვარი სახელები, ო. იესპერსენის კლასიფიკაციით, არანივთიერი მასის სახელების რიგს მიეკუთვნება: „ენაში არსებობს დიდი რაოდენობა სიტყვებისა, რომლებიც არ გვიქმნიან წარმოდგენას რაიმე საგანზე, რომელსაც აქვს კონკრეტული ფორმა და ზუსტი საზღვრები.“ ასეთ სიტყვებს ო. იესპერსენი მასის სახელების (mass words) სახელწოდებით წარმოგვიდგენს და ორ ჯგუფს გამოყოფს: ნივთიერებათა სახელები (ვერცხლი, წყალი, ჰაერი, გაზი...) და არანივთიერი სახელები (მუსიკა, ტაქტი...). ო. იესპერსენის მიხედვით, არანივთიერი მასის სახელებია ზმნისა და ზედსართავისგან ნაწარმოები აბსტრაქტული სახელებიც (satisfaction – კმაყოფილება, admiration – აღფრთოვანება, safety – უსაფრთხოება, justice – სამართალი) [იესპერსენი 1958: 229]. ქარ-

თულში ე.წ. არანივთიერი მასის სახელების მრავლობითობის შემთხვევებიც სულ უფრო და უფრო იზრდება:

...შეამციროს იმ საქონლის **მარაგები**, რომელზედაც არ არის მოთხოვნა.

თუმცა პოლიმერების ღირებულების **ტემპერატურები** ახლოა ერთმანეთთან.

თავიდან ქვეყანაზე არსებობდა ერთადერთი ჯიში – გერმანული ნაგაზი, რომელსაც ჰქონდა თავისი **სტანდარტები**, ანუ **ზომები, წონები**, ბეწვის სიგრძე, შეფერილობა და სხვა მონაცემები.

... ვერ გაითვალისწინა, რომ პწკარედის იმედად მიტოვებული საბჭოთა კავშირის ხალხთა **ლიტერატურები** მეორეხარისხოვანი მწერლობის ჩრდილქვეშ აღმოჩნდებოდნენ.

პირველი ჩინური **ცივილიზაციები** წარმოიქმნა სამი დიდი მდინარის – ხუანხეს (ყვითელი მდინარის), იანძისა და ქსი ძიანის აუზებში [კორპუსი]

ნივთიერებათა სახელები

ა. შანიძის მიხედვით, ნივთიერებათა სახელები: წყალი, რკინა, სპილენძი, რძე, თაფლი, მარილი, ძმარი... – რიცხვიანიც შეიძლება იყოს. რიცხვიანი ნივთიერებათა სახელებია ასევე: ღვინო, ოქრო... რიცხვიან ვარიანტში იგულისხმება ამა თუ იმ ნივთიერების სხვადასხვა სახეობა, ან ამა თუ იმ ნივთიერებისაგან დამზადებული პროდუქტის ნაირსახეობა: ღვინოები – სხვადასხვა სახის ღვინო, ღვინის ბოთლები; ოქროები – ოქროს ნივთები (მონეტები, მედლები, სამკაული და ა. შ.):

ოქროები გამომართვა და შემპირდა, რომ შესაფერ ტანსაცმელს ჩავიცვამ, თმასა და წვერს გავიკრეჭ და მოვალო [კორპუსი: ო. ფამუქი, მე წითელი მქვია].

ქართველმა ძიუდოისტებმა **ოქროები** გაასამეს [აჭარასპორტი 2017].

იცოცხლე, შვილო, ამ ჭურბში შარშან **ღვინოები** ჩაისხა!.. საპალნე რატომ ოცი მანეთიც არ ღირდა, ისეთი რამ მშვენიერი იყო [კორპუსი: დ. კლდიაშვილი, ქამუშაძის გაჭირვება].

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასადგენია იმ ნივთიერებათა სახელების ჩამონათვალი, რომელთაც შეიძლება, რომ ეწარმოოს რიცხვიანი ფორმები. ა. შანიძის განმარტებიდან გამომდინარე,

თეორიულად ასეთი ვარიანტი ნებისმიერ ნივთიერებათა სახელს შეიძლება ჰქონდეს. ამიტომ, ვფიქრობთ, ეს საკითხიც დაზუსტებას საჭიროებს.

გეოგრაფიული სახელები

სასაუბრო ენაში გვხვდება გეოგრაფიულ სახელებთან (კონტინენტის, ქვეყნის, ქალაქის სახელწოდების აღმნიშვნელ სახელებთან) მრავლობითი რიცხვის უმართებულო გამოყენების შემთხვევები. ყოფით მეტყველებაში არცთუ იშვიათად შეიძლება მოვისმინოთ ფრაზები: *წავედი სალონიკებში, ათენებში, პარიზებში, მილანებში, ევროპებში, ამერიკებში...* სამეტყველო ენაში ამგვარ ფორმათა არსებობას ადასტურებს ის ირონიული გამონათქვამებიც, რომლებიც ამ ტიპის შეცდომებზეა აგებული. ინტერნეტსივრცეში მარტივად იძებნება ამის მაგალითები:

„**ევროპებში** მოჩქეინე“ ახალგაზრდებო, გამოფხიზლდით! ახლა თქვენ უნდა აგვარებდეთ, თუ როგორ ქვეყანაში გასურთ ცხოვრება [გურიის მოამბე].

„წავედი **ევროპებში**“ – ასეთი წარწერაა აქსესუარების ერთ-ერთი კომპანიის მიერ გამოშვებულ მედალიონზე (Travel With Us Accessories, აქსესუარები, რომელიც შეიქმნა „იმოგზაურე ჩვენთან ერთად პროექტის ფარგლებში“).

პარიზებში გაზრდილი კაცია. მიდი, ხელი ჩამოართვი, შედეგის მიუხედავად ერთად ვიშრომით ქვეყნისთვის-თქო [მეტრ. 2018].

მოსკოვების და **ხარკოვების** ნაცვლად **ლონდონებში** და **ნიუ-იორკებში** დაგზავნილი შვილები სასწავლებლად... [ჯორჯიან ტაიმსი 2020].

ამ მაგალითებში მცდარი ფორმა (გეოგრაფიული სახელების მრავლობითობა) მიზანმიმართულადაა შერჩეული. აქ მრავლობითობა გამოიყენება სოციალური ირონიის ფუნქციით, რასაც სხვადასხვა მოტივაცია შეიძლება დაეძებნოს: მდარე მეტყველების გაქილიკება, მოსაუბრის დაბალ სოციალურ სტატუსზე ირონიული მინიშნება, ორი სამყაროს – მშობლიურისა და უცხოს, „ცულისა“ და „კარგის“ ირონიზება და დაპირისპირება... სხვათა შორის, ასეთი მაგალითები გვხვდება რუსულშიც (იხ. ო. დიმოვი “В Европах”, ა. ავერჩენკო “Русский в Европах”).

ქვემოთ შევხებით უცხოენოვანი ტოპონიმების მცდარად გადმოტანის რამდენიმე შემთხვევას, რაც სავარაუდოდ უცხო ენის გავლენა ჩანს.

ქართულში ერთმანეთის პარალელურად გვხვდება ორი ფორმა: „ნიდერლანდი“ და „ნიდერლანდები“:

იმსჯელეთ შემდეგ საკითხებზე: რას ედავება **ნიდერლანდი** ესპანეთს? [კორპუსი: ისტორია 11].

ნიდერლანდების მეფე, ვილემ-ალექსანდერი გამოტყდა, რომ ტახტზე ასვლის შემდეგაც კი ინკოგნიტოდ რეგულარულად მართავდა სამგზავრო ავიახაზის თვითმფრინავს [ახ. თაობა 2017].

აქედან სწორ ფორმად მიჩნეულია მხოლობითის ფორმა – ნიდერლანდი, ისევე როგორც ეს არის ჰოლანდიურში: Nederland [ცნობარი 2002: 252]¹. თუმცა მასობრივად ეს სახელწოდება მრავლობითის ფორმით გამოიყენება, ამას მოწმობს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდი და სხვა ოფიციალური დოკუმენტები. ამ სახელწოდების მრავლობითის ფორმით გადმოტანა უცხო ენიდან (ინგლ. the Netherlands, გერმ. die Niederlande, რუს. Нидерланды) თარგმნის დროს კალკირების შედეგი უნდა იყოს.

ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, საყურადღებოა ბერძნული ტოპონიმის - ათენის მაგალითი. ძვ. ბერძნულში ათენი αι Ἀθήνα pluralia tantum-ის სახელთა ჯგუფს განეკუთვნება და, შესაბამისად, მრავლობითის ფორმითაა წარმოდგენილი, ახალ ბერძნულში ის უკვე მხოლობითის ფორმით გვხვდება η Ἀθήνα. მრავლობითობის ფორმითვეა გადმოტანილი ეს ტოპონიმი ზოგიერთ ენაში, მათ შორის რუსულშიც (ინგლ. Athens, რუს. Афины). ამიტომ სასაუბრო ენაში ზოგჯერ გამოიყენებული ფორმა „ათენებში“ სწორედ რუსულის კალკი უნდა იყოს.

რუსულში pluralia tantum-ის სახელადაა გააზრებული ბერძნული ტოპონიმი სალონიკი (თესალონიკის – η Θεσσαλονίκη - შემოკლებული ფორმა) – в Салониках, о Салониках, მიუხედავად იმისა,

¹ „ნიდერლანდები და ნიდერლანდი – იმ მიზნით, რომ განასხვავონ შუა საუკუნეების, ფართობით უფრო დიდი, „დაბალი ქვეყნებისაგან“ – ნიდერლანდებისაგან (den Nederlanden) – თავიანთი დღევანდელი ქვეყანა, ჰოლანდიელები ამ უკანასკნელს უწოდებენ ნიდერლანდს (Nederland), ანუ იყენებენ მხოლობით რიცხვს [კორპუსი: ისტორია 11, 2012].

რომ ბერძნულში ის მხოლობითის ფორმითაა წარმოდგენილი. როგორც ჩანს, ბოლოკიდური -ი [i] (ბერძნულში ნომინატივის დაბოლოება მდებრობითი სქესის სახელთათვის) რუსულის -ი [i] მრავლობითი რიცხვის ნომინატივის დაბოლოებასთანაა გაიგივებული და მისი ბრუნებაც მრავლობითის ბრუნებას მიჰყვება.

ქართულ ზეპირმეტყველებაში გაპარული მცდარი ფორმები: „სალონიკები“, „სალონიკებში“ რუსულის კალკი ჩანს. ეს მცდარი ფორმა ქართულ ვიკიპედიაშიც აღმოჩნდა: „შემდეგ ავსტრიელებმა მოითხოვეს დაზავება. ისევე შეუტის ბულგარელებსაც სალონიკებში. 3 ნოემბერს ავსტრია-უნგრეთმა კაპიტულაცია გამოაცხადა“ [ვიკიპედია: პირველი მსოფლიო ომი].

ამგვარი კალკირების შედეგია საზოგადო სახელთა ერთი რიგიც. მ. ჭაბაშვილი ყურადღებას ამახვილებს არსებით სახელთა ერთ ნაწილზე, რომლებიც ხშირად მრავლობითის ფორმითაა წარმოდგენილი (ისინი პარალელურად მხოლობითის ფორმითაც გვხვდება), თუმცა მრავლობითობის გაგება მათ არ ახლავს: ჯინსები, კურანტები, აპლოდისმენტები... ეს მრავლობითის ფორმები რუსულის გავლენითაა ფეხმოკიდებული ქართულ ენაში. რუსულში ისინი pluralia tantum-ის ჯგუფის სიტყვებია, მაგრამ ვინაიდან ეს მოვლენა ქართულისთვის არ არის დამახასიათებელი, ისინი ჩვეულებრივ მხოლობითი რიცხვის ფორმით გადმოდის. ამ კატეგორიის მრავლობითის ფორმით გადმოსული სიტყვები ქართულში ბარბარიზმებადაა კვალიფიცირებული¹. „იმ სიტყვებს, რომლებსაც რუსულში მხოლოდ მრავლობითი რიცხვი აქვს, შეესაბამება ძველთაგანვე დამკვიდრებული სიტყვები მხოლოობითი რიცხვის ფორმით. მაგ.: чернила – მელანი, весы – სასწორი, часы – საათი, шахматы – ჭადრაკი, брюки – შარვალი, ясли – ბაგა და სხვ. (უცხო ენაში – მრავლობითი, ქართულში – მხოლოობითი)“... [ჭაბაშვილი 1972: 116]².

¹ რუსულის გავლენითაა ფეხმოკიდებული ქართულში სათვალეებიც, რაც უკვე მცდარ ფორმად ითვლება. „სათვალეები“ მე-19 საუკუნეში შემოვიდა რუსული „ოჩკის“ გავლენით ჯერ ზეპირმეტყველებაში და მერე ლიტერატურაშიც [ჭაბაშვილი 1972: 108-109].

² გამონაკლისია ორი სიტყვა: არდადეგები და არჩევნები. არდადეგები ძველად მხოლობით რიცხვში იხმარებოდა და სულ სხვა მნიშვნელობა ჰქონდა. დღეს ის მრავლობითი რიცხვის ფორმით გამოიყენება და სხვა მნიშვნელობა აქვს. არჩევნები მე-19 საუკუნის შუა წლებში მხოლოობითის ფორმით გვხვდება, მაგრამ მე-19-მე-20

pluralia tantum-ის ჯგუფის სიტყვებთან მიმართებით ქართულში იკვეთება ტენდენცია: „სიტყვა თუ აღნიშნავს ერთ საგანს ან მოვლენას და მხოლოობითშიც გვხვდება და მრავლობითშიც (ოღონდ ისე, რომ მრავლობითის გაგება არა აქვს), უპირატესობა უნდა მიეცეს მხოლოობითს [ჭაბაშვილი 1972: 118]. ეს წესი ქართულში შემოსულ გეოგრაფიულ სახელებზეც ვრცელდება.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სასაუბრო ენაში მრავლობითი რიცხვი ბოლო დროს უკვე ხშირად გამოიყენება მართული მსაზღვრელ-საზღვრულით წარმოდგენილი გეოგრაფიული სახელების შემოკლებისას: კანარის კუნძულები – კანარები, მალდივის კუნძულები – მალდივეები, ბერმუდის კუნძულები – ბერმუდები და ა. შ. ესეც რუსულის კალკია: на Канарах, на Мальдивах...

ფორმების – *ამერიკები* და *ევროპები* – გაჩენას ალბათ ხელს უწყობს ამ სახელების კრებითი შინაარსით გააზრებაც: ამერიკები – ამერიკის შეერთებული შტატები ან ამერიკის კონტინენტის ქვეყნები, ევროპები – ევროპის ქვეყნები.

ამ ტიპის (კანარები, მალდივეები...) შემოკლებები ყოფით მეტყველებაში მხოლოდ გეოგრაფიულ სახელებთან არ გვხვდება, შდრ. ასევე: „*ქართულებში ვემზადები*“ – იგულისხმება საგნები: ქართული და ენა და ლიტერატურა, ან „*ქართულები ჩავრთე*“ – იგულისხმება ქართული სიმღერები და ა.შ. თუ რამდენად მისაღებია ენაში ეკონომიურობა ამგვარი შეცდომების ხარჯზე, ეს უკვე ცალკე საკითხია. ამგვარი ფორმები ლიტერატურაში შესაძლოა პერსონაჟის სოციალური სტატუსის დახასიათებისთვის იქნეს გამოყენებული: „უჩქესსაც ძევიტი ჰყავდა... – ნომრით 100, მაგნიტაფონით – პიონერი, მუსიკით – **რუსულები**“ [კორპორა: დ. კოვზირიძე, გელუჩა].

ზემოთ დასახელებული მაგალითები მხოლოდ ერთი მცირედი ნაწილია ქართულში ურიცხვო სახელების რიცხვიანი ფორმით (მრავლობითი რიცხვის ფორმით) გამოყენებისა. ეს ტენდენცია უკვე დიდი ხანია თავს იჩენს ქართულში (როგორც წერილობითი, ისე ზეპირი სახით). მიუხედავად იმისა, რომ ურიცხვო სახელების მრავ-

საუკუნეების მიჯნაზე უკვე მრავლობითის ფორმით გამოიყენება [ჭაბაშვილი 1972: 116].

ლობითის ფორმები ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ენობრივ დარღვევად კვალიფიცირდება, აღნიშნული ტენდენცია მზარდია.

ურიცხვო სახელებში მრავლობითობის გაჩენის მიზეზი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს:

- სახელის მნიშვნელობის ცვლილება (უთვლადობის შინაარსი > თვლადობის შინაარსი: **წყალი** > **მინერალური წყლები**, **ღვინო** > **ღვინოები**...)
- სტილისტიკური დატვირთვა: ემოციური დამოკიდებულების (კეთილგანწყობა, ირონია...) გამოხატვა, გამოყენება ჟარგონში და ა. შ. (ალერსობითი: **ჩემო სიხარულებო**, **ჩემო სიყვარულებო**... ირონიული: იყავი **ვეროპებში** (**პარიზებში**...)?
- უცხო ენიდან კალკირება (**გადარიცხვები**, **გადაზიდვები** (transactions, transfers), გაყიდვები (sales)...
- ანალოგია: **ჰანგები**, **სიმღერები** – **მუსიკები**...

როგორც უკვე აღინიშნა, ენაში არსებული ტრადიცია - პოეტური და სამეცნიერო დანიშნულებით მრავლობითის გამოყენებისა, და გამონაკლისების არცთუ მცირე რაოდენობით არსებობა ხელს უწყობს იმ სიტყვათა მრავლობითის ფორმების მომრავლებას, რომელთაც წესით მრავლობითი არ ეწარმოება.

მიზეზთა სხვადასხვაობის გამო წესის დადგენაც რთულდება. ურიცხვო სახელების მრავლობითის გამოხატვის საკითხი ქართულში შემდგომ კვლევას საჭიროებს.

უთვლადი სახელების თვლადად გარდაქმნის პროცესი ზოგადად ენებისთვის დამახასიათებელი მოვლენაა. როგორც ო. იესპერსენი განმარტავს [იესპერსენი 1958: 231], უთვლადი სახელი ხშირად თვლადი საგნის სახელი ხდება (მაგალითად, განსაზღვრული მასალის მნიშვნელობით ინგლ. cloth (*ქსოვილი*) მასის აღმნიშვნელი სახელია, მაგრამ თუ ის აღნიშნავს *სუფრას*, ის თვლად სახელად გარდაიქმნება და იძენს მრავლობითი რიცხვის ახალ ფორმას - cloths (*სუფრები*). ფორმა cloths დამოუკიდებელ სიტყვად უნდა განვიხილოთ), და ამ თვალსაზრისით ენებს შორის საგრძნობი განსხვავებაც არსებობს.

P.S. აქვე ყურადღებას მივაქცევთ მართლწერის ერთ საკითხს, რომელიც სტატიაზე მუშაობისას გამოიკვეთა: რომელია სწორი ფორმა: **ურიცხვო** თუ **ურიცხო**? (ა. შანიძე რიცხვის უქონელ სახე-

ლებს **ურიცხო** სახელებს უწოდებს. ორთოგრაფიულ ლექსიკონში არცერთი ფორმა არ არის შეტანილი).

როგორც ცნობილია, სახელის ფუძის ბოლოკური **ვ**-თანხმოვანი ხშირად იკარგება ბაგისმიერი ო და უ ხმოვნების წინა პოზიციაში. **ვ** ქრება -ობა და -ურ სუფიქსების დართვისას (ხევი – ხეობა, პასივი – პასიური), გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მას თანხმოვანი უძღვის წინ (ბავშვი – ბავშვობა, ბავშვური) [არაბული 2008: 154-155].

ორთოგრაფიულ ლექსიკონში წარმოდგენილი უქონლობის სახელების მაგალითებს შორის (**უბეწვო, უდავო, უთავო, უზაკვო, უმზითვო, უმოძრაო, უმჟაო, უნიავო, უსხივო, უფესვო, უძარღვო, უჭკუო**) მხოლოდ სამი სიტყვაა, რომლებშიც **ვ** იკარგება: **უმოძრაო, უჭკუო და უმჟაო**. აქედან: *უმოძრაო* ფორმაში **ვ** შესაძლოა უმოძრაობა ფორმის ანალოგიით იყოს დაკარგული, უჭკუო ფორმაში **ვ**-ს დაკარგვა ორ ბაგისმიერს შორის პოზიციას (ო–უ) უნდა უკავშირდებოდეს (ამასთან, აქ დღეს უკვე ამოსავალ ფუძეშია დაკარგული ვ: ჭკუვა > ჭკუა). უმჟაო ნაწარმოებია **ე**-ხმოვანფუძიანი სახელიდან (მჟავე) მარცვლის ამოვარდნით: მჟავე > *უმჟავეო > უმჟაო.

ამ მაგალითების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ უ–ო პრეფიქს-სუფიქსების დართვისას **ვ**-ს მყარი პოზიცია უჭირავს, ძირითადად აქ ფუძისეული ვ (თანხმოვანფუძიანებში – ფუძის ბოლოკიდური, ხმოვანფუძიანებში კი ბოლოკიდური ხმოვნისწინა თანხმოვანი) შენარჩუნებულია. აქედან გამომდინარე, სწორი ვარიანტი ჩანს **ურიცხო**.

თუმცა შანიძისეული **ურიცხო** ფორმის არსებობას მხარს უჭერს რიცხვ- ფუძიდან ნაწარმოები რიცხოზრივი (ქეგლში ორივე ფორმაა დადასტურებული: რიცხოზრივიც და რიცხოზრივიც, მაგრამ ორთოგრაფიულ ლექსიკონში ნორმად რიცხოზრივია მიჩნეული) [ქეგლი VI, 1960; ორთ. ლექს. 1998]; ასევე, **ვ** არ ჩანს შედარებით გვიან დამკვიდრებულ ფორმაში: რიცხოვნობა. ამავე დროს, იგივე ვ შენარჩუნებულია ფორმაში: რიცხვული, მაგრამ ამოვარდნილია ფორმაში: **დარიცხული**. ასე რომ, რიცხვ- და მსგავს ფუძეებში **ვ**-თანხმოვნის დაკარგვა-შენარჩუნების საკითხი ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გარკვეული.

ლიტერატურა

არაბული 2008 – ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, მეორე გამოცემა, თბილისი.

აფრიდონიძე 2009 – შ. აფრიდონიძე, ჩვენი ენა ქართული, თბილისი.

იესპერსენი 1958 – О. Есперсен, Философия Грамматики, перевод В. Пассека и С. Сафроновой, Москва.

კალაძე 1979 – ც. კალაძე, საზღვრული სახელის რიცხვი ორ და მეტ მსაზღვრელთან (დიდი და პატარა სახლი თუ დიდი და პატარა სახლები?), ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეორე, თბილისი.

ორთ. ლექს. 1998 – ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, მეორე შევსებული გამოცემა, თბილისი.

ქეგლი VI, 1960 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტომი VI, თბილისი.

შანიძე 1973 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები I, მორფოლოგია, მეორე გამოცემა, თბილისი.

ცნობარი 2002 – ჟურნალისტის სტილისტიკური ცნობარი, გამოსაცემად მომზადდა არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტში, თბილისი.

ჭაბაშვილი 1972 – მ. ჭაბაშვილი, მრავლობით რიცხვში ხმარებული ზოგი არსებითი სახელის შესახებ ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი პირველი, თბილისი.

წყაროები

აკუნინი 2013 – ბ. აკუნინი, გრ. ჩხარტიშვილი, სასაფლაოს ამბები, თ. კოტრიკაძის თარგმანი, თბილისი.

ახ. თაობა 2017 – გაზეთი „ახალი თაობა“, 18.05.2017: <https://akhalitaoba.ge>

აჭარასპორტი 2017 – სპორტული ინტერნეტგამოცემა „აჭარასპორტი“, 01.03.2017: <https://adjarasport.com>

გუგეშაშვილი – ნ. გუგეშაშვილი, ავთვისებიანი საშუალო: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თანამედროვე ქართული ლიტერატურა, პროზა: <http://old.press.tsu.ge>

გურიის მოამბე – ინტერნეტგამოცემა გურიის მოამბე: http://guriismoambe.com/?m=68&news_id=38169

ვიკიპედია – ქართული ვიკიპედია: პირველი მსოფლიო ომი: <https://ka.wikipedia.org>

კვ. პალიტრა 2019 – გაზეთი „კვირის პალიტრა“, 04.09.2019: <https://www.kvirispalitra.ge>

კორპუსი – ქართული ენის კორპუსი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი: <http://corpora.iliauni.edu.ge>

მეტრ. 2018 – საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინტერნეტგაზეთი „მეტრონომი“, 21.11.2018: <https://metronome.ge>

მშობ. 2014, 2020 – ინტერნეტგამოცემა „მშობლები“, 04.07.2014; 28.06.2020: <https://www.mshoblebi.ge>

საქ. რესპ. 2019, 2020 – გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №144, 18 ივლისი 2019; №95, 1-3 აგვისტო, 2020; №96, 4-5 აგვისტო, 2020.

ფორტუნა 2019 – რადიო „ფორტუნა“, 24.12.2019: <https://fortuna.ge>

ფორუმი – თბილისის ფორუმი: <https://forum.ge>

ფროიდი 2018 – ზ. ფროიდი, რჩეული შრომები, მ. ბადრიძის თარგმანი, თბილისი.

ქურხული 2017 – ბ. ქურხული, სკანდარა და სხვა მოთხრობები, თბილისი.

ჯორჯიან ტაიმსი 2020 – გაზეთი „ჯორჯიან ტაიმსი“, 17.03.2020: <https://geotimes.com.ge>

Tamar Sukhishvili

A Tendency to Use Plural Forms of the Uncountable Nouns in Georgian

Summary

The paper focuses on the recent tendency to use plural forms of the uncountable nouns in Georgian. The uncountable words discussed in the paper include abstract nouns, infinitive forms of the verbs, mass words and geographical names. These words generally do not make their plural forms in Georgian. However, there are the forms like *joys*, *breakings*, *silvers* or *Europes* in the colloquial language. And though the forms of this type are identified as violations of language standards they are growing in numbers.

There can be a variety of reasons explaining the occurrences of these plural forms, such as: **meaning changes** (uncountable > countable: *water* – *mineral waters*), **stylistic functions** (expressing emotional approach, either positive (*you are my joys, my loves, etc.*) or negative (with an ironic implication: *he's grown up in Europes*), **uses in a particular communicative context such as slang** (*shut up and stop your teachings*), **foreign language influence** (through the calques like *transfers, sales, etc.*), **analogy** (using pl. *musics* by the analogy with pl. *songs*), etc. This tendency has been increasing due to the large number of special cases in the Georgian language, i.e. exceptions to the rules including special terms.

თეა ტეტელოშვილი

„საერთო“ შემცველი კომპოზიტიური სიტყვების დაწერილობისათვის

„საერთო“ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის 8-ტომულის მიხედვით არის ის, „რაც ყველას (ყველაფერს) განეკუთვნება, ახასიათებს ან ეხება, – საზოგადო, საყოველთაო“. თავისთავად „საერთო“ რიცხვითი სახელი „ერთისგან“ დანიშნულების „სა-ო“ კონფიქსის დართვის შედეგად მიღებული ზედსართავი სახელია, რომელიც, რა თქმა უნდა, ძირითადად მსაზღვრელის ფუნქციით გამოიყენება: **საერთო საცხოვრებელი, საერთო მტერი, საერთო სამზარეულო, საერთო ზედი, საერთო კალაპოტი** და ა. შ. ჩამოთვლილ მაგალითებში „საერთო“ სხვა წევრთან შესიტყვებას ქმნის და, ცხადია, დამოუკიდებლად იწერება. გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც „საერთო“ მომდევნო სიტყვასთან ერთად მიემართება საზღვრულს მსაზღვრელად: **საერთოსახელმწიფოებრივი** ამოცანები, **საერთოქართველური** ენა, **საერთოადმოსავლური** კულტურა, **საერთოგამაჯანსაღებელი** მეცადინეობები, **საერთოსაკაცობრიო** ღირებულებები და სხვ. „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“ [ქეოლ 1998: 435] ამგვარი რთული სიტყვებისათვის მართებულად დეფისიან დაწერილობას მიიჩნევს, თუმცა კორპუსული¹ მონაცემების მიხედვით დეფისიანი ფორმები შესაბამის უდფისო ვარიანტებს დაახლოებით 1,5-ჯერ აღემატება. დაისმის კითხვა, როგორი დაწერილობა უნდა მივიჩნიოთ ჩამოთვლილი ერთეულებისათვის მართებულად: ორ სიტყვად, ერთად თუ დეფისით.

დასახელებულ მაგალითებში ორივე კომპონენტი მიმართებითი ზედსართავი სახელია, მაგრამ საგულისხმოა ის, რომ პირველი მეორის მიმართ მსაზღვრელს წარმოადგენს და ისინი ერთად მიემართებიან მომდევნო საზღვრულ წევრს. ასე მაგალითად, საერთოეროვნული ღირებულებები საერთო და ეროვნულ ღირებულებებს კი არ ნიშნავს, არამედ ერისათვის საერთო ღირებულებებს; **საერთო-ქართველური** ენა ასევე არ გულისხმობს **საერთო** და **ქართველურ**

¹ ვგულისხმობთ ქართული ენის ეროვნულ კორპუსს (gnc.gov.ge).

ენას, არამედ „საერთო“ „ქართველურის“ მსაზღვრელია და ქართველურისთვის საერთო ენას ნიშნავს. მეტიც, მათ შესიტყვებადაც ვერ მივიჩნევთ, რადგან ამგვარი ერთეულების შემადგენელ ნაწილთა გათიშვა (გადასმით ან შიგ სხვა სიტყვის ჩართვით) შინაარსობრივ ბუნდოვანებას ქმნის. შესაბამისად, ორ სიტყვად დაწერა გამოირიცხება.

ჯერ განვიხილოთ დეფისით თუ უდეფისოდ დაწერის შესაძლებლობები. როგორც ცნობილია, რთული სიტყვა დეფისით უნდა დაიწეროს, თუ ერთცნებიანია ან შემადგენელ კომპონენტებს შორის „და“ კავშირის ჩასმაა შესაძლებელი. ჩვენ მიერ მოპოვებული მასალის მიხედვით, „საერთო“ რთულ სიტყვას უმთავრესად ქმნის მომდევნო მიმართებით ზედსართავთან ერთად. ამგვარი მიმართებითი ზედსართავები მიღებულია **-ებრივ, -ობრივ, -ურ/ულ, სა-ო** მაწარმოებლების დართვის შედეგად.

მაგალითები:

-ებრივ

საერთოსახელმწიფოებრივი
საერთოღვთაებრივი

-ობრივ

საერთოენობრივი

-ურ/ულ

საერთოადამიანური
საერთოქართველური
საერთოგლობალური
საერთოევროპული
საერთოეროვნული
საერთოკულტურული

სა-ო

საერთოსაკაცობრიო
საერთოსაკელესიო
საერთოსაკავშირო
საერთოსალიტერატურო

საერთოსამთავრობო
საერთოსახალხო
და სხვ.

ზემოთ ჩამოთვლილ მაგალითებში ჭირს „და“ კავშირის გააზრება. შდრ.: **საერთო და სახელმწიფოებრივი, საერთო და ღვთაებრივი, საერთო და ენობრივი, საერთო და ადამიანური, საერთო და ქართველური, საერთო და გლობალური, საერთო და ევროპული, საერთო და ეროვნული, საერთო და კულტურული, საერთო და საკაცობრიო, საერთო და საეკლესიო, საერთო და საკავშირო, საერთო და სალიტერატურო, საერთო და სამთავრობო** და სხვ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებულ რთულ სიტყვებს ერთცნებიანად ნამდვილად ვერ მივიჩნევთ. „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ თანახმად, „ერთმნიშვნელობიანია კომპოზიტი, რომლის ფუძის (რთული ფუძის) მნიშვნელობა არ უდრის შემადგენელი ფუძეების მნიშვნელობათა ჯამს, როცა რთული ფუძე სულ სხვა საგნობრივი მნიშვნელობის შემცველია, ვიდრე მისი შემადგენელი ფუძეები თუ სიტყვები, თუნდაც მისი მნიშვნელობა შემადგენელი ფუძეების მნიშვნელობათაგან გამომდინარეობდეს, თუნდაც იგრძნობოდეს კავშირი რთული ფუძის მნიშვნელობასა და შემადგენელი ფუძეების მნიშვნელობათა შორის. ასეთ შემთხვევაში რთული ფუძის შემადგენელ ფუძეებსა და სიტყვებს შორის არ შეიძლება დაისვას **და** კავშირი, რთული ფუძე არ შეიძლება შევცვალოთ **და** კავშირიანი (საერთოდ მაერთებელკავშირიანი) სიტყვათშეერთებით“ [ნორმები 1986: 148]. მეორე მხრივ კი, დასახელებულ ერთეულებში **და** კავშირის ჩასმა, როგორც უკვე ვუჩვენეთ, შეუძლებელია. თ. უთურგაიძე რთული სიტყვების მართლწერის შესახებ აღნიშნავს: „თუ რთულ სიტყვაში **ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი**, ან **არსებითი სახელი + ზედსართავი სახელი** თანამიმდევრობა შეიძლება სხვა სიტყვის მსაზღვრელადაც იქნეს გამოყენებული, მათ შორის დეფისი არ დაიწერება“ [უთურგაიძე 2013: 40]. მართალია, ჩვენ მიერ ჩამოთვლილი ერთეულების ორივე კომპონენტი ზედსართავი სახელია, მაგრამ ამ ფუძეთა თანამიმდევრობა სხვა სიტყვის მსაზღვრელად გვხვდება. შესაბამისად, მათზეც თუ განვავრცობდით თ. უთურგაიძის მიერ შემუშავებულ წესს, მაშინ ეს სიტყვებიც ერთად უნდა დავწეროთ. ამას გარდა, ყურადღებამისაქცევია კიდევ ერთ-

თი ფაქტი – ჩამოთვლილი სიტყვები დამოუკიდებელი წინადადების წევრები კი არ არიან, არამედ ისინი ერთობლივად, როგორც ერთი წევრი, ისე გამოიყენებიან წინადადებაში. დასახელებული კრიტიერიუმი „ნორმების“ მიხედვით ერთ-ერთი უმთავრესია კომპოზიტა დაწერილობისას: „კომპოზიტი, მიუხედავად მისი ფუძის შედგენილობისა, ერთ სიტყვას წარმოადგენს; როგორც მორფოლოგიური, ისე სინტაქსური თვალსაზრისით იგი ისეთსავე როლს ასრულებს, როგორც მარტივი ან ნაწარმოები ფუძის შემცველი სიტყვა, კერძოდ, როგორც ამ კომპოზიტის შემადგენლობაში შემავალი ფუძე. ეს ფაქტი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა კომპოზიტების დაწერილობის საკითხის გადაჭრის თვალსაზრისით“ – ვკითხულობთ კრებულში [ნორმები 1986: 149]. შდრ.:

სწორედ ასეთ ვითარებაში ჩნდება საერთოსახელმწიფოებრივი ამოცანების გადაწყვეტის ერთპარტიული ინტერესების ფარგლებში პრევალირების საშუალება (ქეევი 1).

სწორედ საერთოქართველური ენის ფუნქციონირება უნდა იყოს საფუძველი ქუჯისა და ფარნავაზის „ნათესავით ერთობისა“ (ქეევი 2).

ევროპის საბჭოს ანგარიში შეიცავს მოწოდებას საბჭოს უწყებებისადმი, რომ შეიმუშაონ საერთოევროპული სტრატეგია ორგანოების ტრაფიკინგის წინააღმდეგ... (ქეევი 3)

იმ დღეებში უნგრეთის დედაქალაქში კლასიკური შეიარაღებული საერთოსახალხო ანტიკომუნისტური აჯანყება ბოზოქრობდა (ქეევი 4).

სხვათა შორის, ის, რასაც ჩვენში „საერთოსაკაცობრიო ღირებულებებს“ უწოდებენ, სინამდვილეში არის არა „საერთოსაკაცობრიო“, არამედ ევროპული ღირებულებები (ქეევი 5).

დასასრულ, შეიძლება დაისვას კითხვა ამგვარ სიტყვათა სიგრძესთან დაკავშირებით და დეფისიანი დაწერილობა იქნეს მიჩნეული უპირატესად სიტყვის სეგმენტაციისა თუ შემადგენელ კომპონენტთა გამიჯვნის (უკეთ აღქმის) მიზნით. ასეა წარმოდგენილი ჩამოთვლილი სიტყვები „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“. ჩვენი აზრით, დეფისიანი დაწერილობა ამგვარ სიტყვათა შინაარსს უფრო აბუნდოვანებს და რთულ სიტყვათა დაწერილობის დადგენილ წესს (და კავშირის ჩასმის შესაძლებლობით) სხვა კომპოზიტებთანაც საორჭოფოს ხდის. შესაბამისად, მიუხედავად იმისა,

რომ რთულ სიტყვათა დეფისით თუ უდეფისოდ დაწერის ყველა წესი სიტყვა „საერთოს“ შემცველი კომპოზიტებისთვის ერთნაირად მხარდამჭერი არ არის, ვფიქრობთ, მათი უდეფოსოდ, ერთ სიტყვად წარმოდგენა უმართებულოდ არ უნდა იქნეს მიჩნეული.

ლიტერატურა და წყაროები

ნორმები 1986 – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი 1986

უთურგაიძე 2013 – თ. უთურგაიძე, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი 13, თბილისი 2013

ქეევი 1 – ქართული ენის ეროვნული კორპუსი:
<http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=248969869073194&cpos=144600238&corpus=grc>

ქეევი 2 – [http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id = 248969869073194&cpos=105461683&corpus=grc](http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=248969869073194&cpos=105461683&corpus=grc)

ქეევი 3 – ქართული ენის ეროვნული კორპუსი:
<http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=248969869073194&cpos=31764475&corpus=grc>

ქეევი 4 – ქართული ენის ეროვნული კორპუსი:
<http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=248969869073194&cpos=134300806&corpus=grc>

ქეევი 5 – ქართული ენის ეროვნული კორპუსი:
<http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=248969869073194&cpos=66223700&corpus=grc>

ქეოლი 1998 – ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, თბილისი 1998

On Spelling the Compounds Containing the Word *saerto*

Summary

saerto “common” as an adjective is mainly used as a modifier, e.g. *saerto saxovrebeli* “dormitory”, *saerto mteri* “common enemy”, *saerto samzareulo* “common kitchen”, *saerto bedi* “common destiny”, *saerto kalapoṭi* “common riverbed”, etc. In the given examples, the word forms a syntagm with another member and is written separately. There are cases where the word *saerto* is a part of a compound that is a modifier of a head word, e.g. *saertosaxelmçipoebrivi amocanebi* “common state tasks”, *saertokartveluri ena* “the proto-Kartvelian language”, *saertoaḡmosavluri ḡulḡura* “common oriental culture”, *saertosaçacobrio ḡirebulebebi* “common human values”, etc.

The question arises as to what kind of spelling should be considered correct for the listed lexical units: as two words, together with a hyphen or without a hyphen. We cannot consider such units as syntagms, because disconnecting the constituent parts (by changing the position or inserting another word in it) creates an ambiguity. Therefore, writing them as two words is excluded. As for the possibilities of writing them with or without a hyphen, we should use the rules already established.

It is known that a compound word should be written with a hyphen if it is unambiguous or the connector *da* “and” can be put between the constituents. Analysis of the above-mentioned material shows that in such lexical units it is difficult to understand the connector “and”, although we can not really consider them as unambiguous compounds. Nevertheless, they are used in the sentence as one member. Consequently, writing compounds that contain the word *saerto* as a single word should not be considered incorrect.

**მიზეზისა და მიზნის მრჩობლად აღბეჭდილი
სინტაქსური ფუნქციის გამო ქართულში**

„მიზეზისა“ და „მიზნის“ სემანტიკის შემცველ ქართულ ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეთა საფუძვლიანი შესწავლა საჭიროებს კვლევის რამდენიმე მიმართულების კომპლექსურად გათვალისწინებას, კერძოდ:

შესაბამისი ქართული ლექსიკური მარაგის, ქართული დიალექტური შესატყვისებისა და მათი სინონიმის შევსება-გადამოწმება; ამ ლექსიკასთან დაკავშირებული საღვთისმეტყველო, ფილოსოფიური, ლოგიკური და სხვა ექსტრალინგვისტური მონაცემები, დეფინიციები და პოსტულატები (მაგალითად: მიზეზი ↔ მიზეზოვანი; მიზეზი ↔ მიზანი; მიზანი ↔ საშუალება; მიზეზი ↔ შედეგი; მიზანი ↔ თვითმიზანი; სული ↔ ხორცი; დრო ↔ სივრცე; ჰორიზონტალი ↔ ვერტიკალი (→ ჯვარი); ერთი ↔ მრავალი და სხვ.

წინამდებარე ნაშრომში განიხილება მიზეზისა და მიზნის მრჩობლად (წყვილად) გამომხატველი ის უაღრესად საგულისხმო ლექსიკურ-სინტაქსური ფუნქცია, რომელიც სხვადასხვაგვარ სინტაქსურ ერთეულთა მეშვეობით უკვე ძველ ქართულ ენაში ხორციელდებოდა მაღალი სიხშირით და დღეისათვის ნაწილობრივ მოქმედებს.

I. **-თვს**-თანდებულიანთა თავისებური ლექსიკურ-სინტაქსური ფუნქციონირება და მასთან დაკავშირებული ლექსიკოგრაფიული პრობლემა ქართულში:

ძველ ქართულში მოიპოვება მიზეზისა და მიზნის თავდაპირველი მრჩობლი მორფო-სინტაქსური ფუნქციონირების მქონე **-თვს**-თანდებულიანი კითხვითი ნაცვალსახელის, ზმნიზედისა და კავშირის გარკვეული სემანტიკური ჯგუფი: **ამის[ა]თვს, მისთვს; ამის პი-**

რის[ა]თვს, ამის ჯერის[ა]თვს¹, რომელსაც მიერთვის ამავე მრჩობლი სემანტიკის შემცველი თანდებულები: **-თვს** „«ძლით», «-გან», «გამო», შესახებ“, **-გან** „«-თვს», «მიერ», «ძლით»“ [იხ.: აბულაძე 1973]².

ძველი აღთქმის წიგნში „ფსალმუნნი“ დადასტურებულ **-თვს-** თანდებულიანთა 90-მდე სინტაქსურ ერთეულთაგან ერთი მესამედით (35%-მდე) გადმოიცემა მოქმედების მიზანი (სამიზნე საგანი ან ობიექტი), დანარჩენით კი (65%-მდე) – მოქმედების მიზეზი (მოტივი ან მამოძრავებელი ძალა). შესაბამისად: ჯრუჟკ-პარხლისა და ადიშის ოთხთავებში იმავე **-თვს-** თანდებულიანთა 60-მდე სინტაქსურ ერთეულთაგან ერთი მეხუთედი (17%-მდე) მოქმედების მიზნის გამოხატველია, ოთხი მეხუთედი (83%-მდე) კი – მოქმედების მიზეზისა, შდრ.:

ერთი მხრივ, „**ამიტომ, ამის გამო**“ (რა მიზეზით? რის გამო? რატომ?):

→ „ღმერთო, ღმერთო ჩემო, მომხედენ მე; **რამსათვს** დამიტყვე მე?“ (ფსალმუნი 21, 2), ანუ → „ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! მომხედე მე; **რატომ** მიმატოვე?“;

→ „და მოიყიდეს მითა აგარაკი იგი მეკეცისად საფლავად უცხოთა. **ამისთვს** ეწოდა აგარაკსა მას აგარაკი სისხლისად ვიდრე აქა დღემდე“ (მათე 27,7-8), ანუ → „და იყიდეს იმით მეთუნის მიწა უცხოთა სასაფლაოსთვის. **ამიტომ** ეწოდება ამ მიწას სისხლის მიწა დღემდე“;

→ „მხილებათა მიერ **უშჯულოებისათვს** განსწავლე კაცი და დაადნვე, ვითარცა დედაზარდლისა ქსელი, სული მისი“ (ფსალმუნი 38,12), ანუ → „**ურჯულოების გამო** მხილებით დასაჯე ადამიანი და დაადნე მისი სული, ვითარცა ობობას ქსელი“;

→ „მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: არა **ამისთვს** სცთებითა, რამეთუ არა იცნით წიგნნი, არცა ძალი ღმრთისად? (მარკოზი 12,24), ანუ → „იესომ პასუხად მიუგო მათ: **იმიტომ** ხომ არ სცდებით, რომ არც წერილს იცნობთ და არც ღმერთის ძალას?“;

¹ ასევე, ფრაგმენტულად **-გან-** თანდებულიანი **ამისგან, ამისგანად** „ამის გამო; ამისთვის“, **მისგანად** „მის გამო, მისთვის“ [აბულაძე 1973].

² შდრ.: ძვ.ქართ.: **გამო** „თანდებული **-გან-** მიზეზით; გამოსობით; -ით; -იდან; «-თვს»“ [აბულაძე 1973; სარჯველაძე 2001].

მეორე მხრივ, **„ამ მიზნით, ამისთვის“** (რა მიზნით? რისთვის?):
→ „და მე არა ვიცოდე იგი, არამედ რაათა გამოეცხადოს ისრაჴლსა, **ამისთვის** მოვედ მე წყლითა ნათლის-ცემად“ (იოანე 1,31), ანუ → „მე არ ვიცნობდი მას, მაგრამ რათა მოვლენოდა ისრაელს, სწორედ **ამისთვის** [ამ მიზნით] მოვედი წყლით ნათლისცემად“;

→ „ხოლო თავადმან ჰრქუა მათ, ვითარმედ: სხუათაცა ქალაქ-თა ჯერ-არს ჩემდა ხარებად სასუფეველი ღმრთისად, რამეთუ **ამისთვის** მოვივლინე“ (ლუკა 4,43), ანუ → „ხოლო იესომ უთხრა მათ: სხვა ქალაქებსაც ხომ უნდა ვახარო ღმრთის სასუფეველი, რადგან **ამისთვის** [ამ მიზნით] ვარ მოვლინებული“;

→ „ხოლო ვითაცა ესმა იესუს, თქუა: ესე სნეულებად არა არს სასიკუდინე, არამედ **დიდებისათვის** ღმრთისა, რაათა იდიდოს მე ღმრთისად მისგან“ (იოანე 11,4), ანუ → „ეს რომ გაიგო იესომ, თქვა: ეს სნეულება სასიკვდილო კი არ არის, არამედ [**იმ მიზნით**], რათა მის მიერ იდიდოს მე ღმრთისა“;

→ „შვიდგზის დღესა შინა გაქებდი შენ **განკითხვათათვის**¹ სიმართლისა შენისათა“ (ფსალმუნი 118, 164), ანუ → „დღეში შვიდგზის გაქებ შენ – შენი სიმართლის **ასარჩევად, მისაღებად**“.

ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა ის ლექსიკოგრაფიული არჩევანი, რომელიც **-თვის**-თანდებულიანთა განმარტებისას არაერთგვაროვნად აისახება ძველი ქართული ენის ლექსიკონებში, კერძოდ:

-თვის და **-გან** თანდებულებთან ერთად, ზემოხსენებული ლექსიკურ-სემანტიკური ერთეულები – **ამის[ა]თვის, ამის პირის[ა]თვის, ამის ჯერის[ა]თვის, მით, მისთვის** – ერთი მხრივ, **არ განიხილება** დამოუკიდებელ ლექსებებად, მეორე მხრივ კი, როგორც ეს უკანასკნელნი, ისე **ამისგან, ამისგანად, მისგანად** – წარმოდგენილია დამოუკიდებელ ლექსებებად, რომელთაგან ნაწილი (-თვის, მისგანად, მით, მისთვის) განიმარტება **მრჩობლად**: „1. ამისთვის, მისთვის; 2. ამის გამო, მის გამო“, ხოლო დანარჩენი ნაწილი (ამის[ა]თვის, ამით, ამისგან, ამისგანად, ამის პირის[ა]თვის, ამის ჯერის[ა]თვის) განიმარტება **ოდენ მიზეზის** გამომხატველად: „ამიტომ, ამის გამო, ამ მიზეზით“ [იხ.: აბულაძე 1973, სარჯველაძე 2001; სამოციქულოს სიმფო-

¹ ძვ. ქართ. **განკითხვა** – ავ: „გამორჩევა, არჩევა; მიღება“ [აბულაძე 1973; სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი 2009].

ნია-ლექსიკონი 2009; იმნაიშვილი 1975; სინური მრავალთავი 1959: 239, 31].

ამასთან ერთად, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ პირველი რედაქცია არა მარტო ითვალისწინებს მიზნის კავშირის (ქართ. **ამისთვის**) სინტაქსური ფუნქციის მრჩობლობას, არამედ საგანგებოდ (გასაყოფი ნიშნით – ||) დაურთავს განმარტებით უწყებას მის მიერ მოქმედების **მიზეზის** უმართებულოდ გამოხატვის თაობაზე, შდრ.:

„**ამისთვის** – (-**თვის**-თანდებულიანი ნაცვალსახელი ამის).

1. ამის გულისთვის. ამისთვის არაფერს დაიშურებს. – ამისთვის არა ხარჯი არ დაზოგა (ილია). რა ფიცი მიწდა ამისთვის? (ვაჟა). 2. მიზნის კავშ. **ამ მიზნით**. – „საგანგებოდ ამისთვის მოვედი, რომ ეს წიგნი გადმომეცა“. || ზოგჯერ შეცდომით ხმარობენ **მიზეზის** აღსანიშნავად – **ამიტომ**-ის ადგილას. – „ავად იყო. ამისთვის მეცადინეობა გაუცდა“ (უნდა კი ითქვას: „ ... ამიტომ ... გაუცდა“) [იხ.: ქეგლ 1950-1964]¹.

მიზეზისა და **მიზნის** მრჩობლად გამოხატვის თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს ძვ. ქართ. **ამის პირის[ა]თვს**, მნიშვნელობებით: „1. ამ მიზნით, ამისთვის; 2. ამ მიზეზით, ამის გამო, ამიტომ“. ნიშანდობლივია ამ ძველი ქართული ორწევრა სემანტიკური ერთეულის მეორე კომპონენტის მორფო-სემანტიკა, კერძოდ: **მიზნის** აღმნიშვნელი ძვ. ქართ. **პირისგან** იწარმოება კვლავაც „მიზნის“ სემანტიკის შეცველი **-თვს**-თანდებულიანი დამოუკიდებელი ლექსემა – **პირის[ა]თვს**, რომელიც უკვე ვითარცა ორწევრა შესიტყვების კომპონენტი – **ამის პირის[ა]თვს** – საგანგებოდ იმოსება **მიზეზისა** და **მიზნის** მრჩობლად გამომხატველი მორფო-სინტაქსური ფუნქციით.

ძვ. ქართ. **ამის პირისათვს** საგულისხმოდაა აღბეჭდილი წმიდა გიორგი მთაწმიდელის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში – „ცხოვრე-

¹ შდრ. საკუთრივ თანდებულები: „-**თვის** – 1. გადმოსცემს დანიშნულებას, - (ვისიმე ან რისამე) გულისთვის; (რისამე ან ვისიმე) გ ა მ ო. წიგნი იყიდა შვილისთვის. – შენობა ააშენეს სკოლისათვის. – პასუხისგებაში მისცეს ჩადენილი დანაშაულისათვის“ [ქეგლი 1950-1964] და „**გამო** – თანდებული (იხმარება ნათესაობით ბრუნვაში დასმულ სახელთან): მიზეზით, მიზეზისათვის; ... -**თვის**. მის **გამო**. – ამის გამო. – შენს გამო. – ჩემს გამო. – შორიდან სროლა... სიბნელის გამო არ შეიძლება-და (ლ.ქიაჩ.)“ [ქეგლი 1950-1964; შდრ.: ქეგლი ახ.რედ.].

ბად ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი“, რომლის დასკვნით ნაწილში ავტორი წარმოაჩენს ბერძენთა სასტიკ, უკეთურ დამოკიდებულებას ათონის ივერთა მონასტერში მყოფ ქართველთა მიმართ, და გულმტკივნეულად შენიშნავს:

→ „და **ამის პირისათჳს**, რადთა ესევეთარი ესე ბოროტი, რომელი მოაწიეს ჩუენ ზედა ბერძენთა, არა დავიწყებულ იქმნას, და კუალად შემდგომად ჩუენსა მომავალნი ესევეთარსავე ჭირსა შთაცჳვენ, ამისთჳს ზოგადითა განზრახვითა ყოველნი ძმანი ერთად შევკერბით“ [გიორგი მთაწმიდელი 2011: 611].

ბერძენთაგან ქართველთა თავს დატეხილი „ბოროტი ჭირის“ სამხილებლად და მოსალოდნელი მსგავსი ბოროტებისგან თავის დასაღწევად, ავტორი მოიმარჯვებს **მიზეზისა** და **მიზნის** მრჩობლად გამომხატველ ზემოხსენებულ **თჳს**-თანდებულიან მორფო-სინტაქსურ ერთეულებს – **ამის პირისათჳს** და **ამისთჳს**. მათაგან პირველი (ამის პირისათჳს) მრჩობლად იტევს **მიზეზსაც**: → „**ესევეთარი ესე ბოროტი**, რომელი მოაწიეს ჩუენ ზედა ბერძენთა“ და **მიზანსაც**: → „**ესევეთარი ესე ბოროტი**... არა დავიწყებულ იქმნას, და კუალად შემდგომად ჩუენსა მომავალნი ესევეთარსავე ჭირსა შთაცჳვენ“.

აქ მრჩობლად შეზიარებული **მიზეზისა** და **მიზნის** გადამკვეთი სინტაგმა – „ესევეთარი ესე **ბოროტი** / ესევეთარსავე **ჭირსა**“, შდრ.: → „**ესევეთარი ესე ბოროტი**, რომელი მოაწიეს ჩუენ ზედა ბერძენთა, არა დავიწყებულ იქმნას, და კუალად შემდგომად ჩუენსა მომავალნი ესევეთარსავე ჭირსა შთაცჳვენ“, რომელსაც უშუალოდ მიემართება ამჯერად უკვე ძვ. ქართ. **მიზეზ-შედეგობითი** ორწევრა კავშირი – ამის პირისათჳს.

რაც შეეხება მეორე მორფო-სინტაქსურ ერთეულს – **ამისთჳს**, მას ამ კონტექსტში ეკისრება შემკრებლობითი, დამაგვირგვინებელი სინტაქსური დანიშნულება და მრჩობლადვე გვითითებს წმიდა ბერების შეკრების როგორც **მიზეზზე**, ანუ უკვე მოწეულ „ესევეთარ ბოროტებასა და ჭირზე“, ისე **მიზანზე**, ანუ ამ „ბოროტებისა და ჭირის“ მსგავსი განსაცდელისაგან თავის დაღწევაზე მომავალში. წმიდა მამა ამიტომ დასძენს ხაზგასმით: → „**ამისთჳს ზოგადითა განზრახვითა** ყოველნი ძმანი ერთად შევკერბითო“, ანუ: „**ამ მიზეზითა** და **ამ მიზნით** შევიკრიბეთო ყველანი ერთად – ჩვენი საერთო საფიქრალით შეწუხებულნი“.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ამ ამონარიდის შინაარსის ახალ ქართულად გადმოცემა, სათანადო ლექსიკის გარდა, ითხოვს ამგვარ მორფო-სინტაქსურ გამოხატვას: → „და **ამისათვის**, რომ არ დავივიწყოთ ის ბოროტება, რაც ბერძნებმა დაგვაწიეს, და მომავალშიც რომ არ ჩავცვივდეთ ამგვარ გასაჭირსა და განსაცდელში, – **ყოველივე ამის გამოისობით**¹ შევიკრიბეთ ერთად ჩვენ, ყველა ძმა“.

ამავე თხზულებაში სხვა არაერთი მაგალითიც აღიბეჭდება, სადაც მორფო-სინტაქსური ერთეული **[ამის] პირის[ა]თვის** გამომხატველია, ერთი მხრივ, „მიზნისა“ – „ამ მიზნით, ამისთვის“ (რა მიზნით? რისთვის?), მაგალითად:

→ „შეუძლებელ არს ჩემი მეფეთა წინაშე წარსლვაჲ, რამეთუ მე ვიცი, თუ **რომლისა პირისათვის** მიჰმობენ“ [გიორგი მთაწმიდელი 2011: 572], ანუ → „არ შეიძლება ჩემი წასვლა მეფეთა წინაშე, რადგანაც ვიცი, **რისთვისაც, რა მიზნით, რომელი საქმისათვის** მიხმობენ“;

→ „და **ამის პირისათვის** წარვიდა ვიდრე ავიდოსამდე, რადთა მიერ პოვოს ნავი, კერძოთა სპანიისათა მიმავალი“ [გიორგი მთაწმიდელი 2011: 578], ანუ → „და **ამ მიზნით** მიაღწია ავიდოსს, რათა ეს-პანეთისაკენ მიმავალი ხომალდი მოეძებნა“;

და მეორე მხრივ, „მიზეზისა“ – „**ამიტომ, ამის გამო**“ (რა მიზეზით? რის გამო? რატომ?), მაგალითად:

→ „ვინაჲცა ვევედრები ღირსებასა თქუენსა, ღმერთმემოსილნო მამანო, რადთა არა ბრალეულ ვიქმნე **ამის პირისათვის**“ [გიორგი მთაწმიდელი 2011: 567], ანუ → „ვინაიდან გევედრებით, ღირსეულნო ღმერთმემოსილნო მამანო, რათა არ დავისაჯოთ **ამის გამო, ამ საქმის გამო**“;

→ „მუნ ჟამადმდე ძნიად უზნობნ ქართულად და ფრიად მწუხარე ვიყავ **ამის პირისათვის**“ [გიორგი მთაწმიდელი 2011: 584], ანუ → „იმ დრომდე ძლივს ლაპარაკობდა ქართულად და **ამ მიზეზით** ვიყავი შეწუხებული“.

მიზეზისა და **მიზნის** მრჩობლად გამომხატველ ძვ. ქართ. სინტაქსურ ერთეულთა **პირის[ა]თვის** და **ამის პირის[ა]თვის** სრული

¹ შდრ.: „**გამოისობით** საუბ. ზმნს. (იხმარება წინამავალ ნათესაობით ბრუნვაში დასმულ სახელთან) მიზეზის გამო. მიზეზით. **გულისთვის; -თვის**“ [ქეგელი 1950-1964; ქეგელი ახ. რედ.].

სინონიმია ძვ. ქართ. **ჯერ**-ისგან¹ ასევე **-თვს** თანდებულის დართვით ნაწარმოები – ძვ. ქართ. **ჯერის[ა]თვს** „მიზანი, მიზნით; მიზეზი, მიზეზით“ და ძვ. ქართ. **ამის ჯერის[ა]თვს** „ამ მიზნით, ამისთვის; ამის გამო, ამის მიზეზით“, შდრ.:

ერთი მხრივ, მნიშვნელობით – „**იმ მიზნით, იმისათვის**“:

→ „არა ესე არსა, რომელი იგი ტყუენვიდა იერუსალჴმს შინა, რომელნი ხადოდეს სახელსა იესუმსსა, და აქაცა მის **ჯერის[ა]თვსვე** მოსრულ იყო, რადთა კრულნი აღიყვანნეს იგინი მღდეღთ-მოდღუართა თანა?“ [იხ.: აბულაძე 1973], ანუ → დამასკოს განცვიფრებული მკვიდრნი ახალმონათლულ წმიდა მოციქულ პავლეზე ამას ამბობენ: „განა ეს არ არის, იერუსალიმში მუსრს რომ ავლებდა იესო ქრისტეს სახელის მხმობელთ? აქაც ხომ **იმ მიზნით, იმისთვის** მოვიდა, რომ შეეკრა და მღვდეღმთავართათვის მიეგვარა ისინი?“;

მეორე მხრივ, მნიშვნელობით – „**რა მიზეზით, რის გამო**“:

→ „რომლისა **ჯერისათვს-მე** გუაშრომებს ჩუენ დედოფალი ესე?“ (სინური მრავალთავი 1959: 239,31), ანუ → „**რის გამო, რა მიზეზით** გვაშრომებს ამდებს ჩვენი დედოფალი?“.

ქართველ ლექსიკოგრაფს ძვ. ქართ. **ჯერ**-ის ქვეშ მოჰყავს საილუსტრაციო მასალა „საქმწ წმიდათა მოციქულთადა“ a რედაქციის ტექსტიდან (9, 12), რომელშიც დასტურდება „მიზნის“ მნიშვნელობის ვე-ნაწილაკდართული **-თვს**-თანდებულიანი **ჯერის[ა]-თვსვე**, ხოლო გიორგი მთაწმიდისეულ რედაქციაშია ამავე მნიშვნელობის **-თვს**-თანდებულიანი მისთვის: → „არა ესე არსა, რომელი იგი ტყუენვიდა იერუსალჴმს შინა, რომელნი ხადოდეს სახელსა იესუმსსა, და აქაცა **მისთვის** მოსრულ იყო, რადთა კრულნი აღიყვანნეს იგინი მღდეღთ-მოდღუართა თანა?“ [აბულაძე 173; 011; 019; ბიბლია 2015].

¹ ძვ. ქართ. **ჯერ**-ი: „დრო; მიზეზი; გამო; რიგი; წესი; რიგი, ხვედრი; საქმე; მსგავსი, სახე“ [იხ.: იმნაიშვილი 1986; აბულაძე 1973; სარჯველაძე 2001; სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი 2009; ჩუბინაშვილი ნ. 1961]; შდრ.: ძვ. ქართ. **ჯერთაგან** „«-თვს»; გამო“ [აბულაძე 1973].

II. **მიზეზისა და მიზნის** თავდაპირველი მრჩობლი ლექსიკურ-სინტაქსური ფუნქციონირების მქონე ძველ ქართულ ლექსიკასთან დაკავშირებული რამდენიმე ექსტრალინგვისტური მონაცემი:

მიზეზისა და მიზნის თავდაპირველი მრჩობლი ლექსიკურ-სინტაქსური ფუნქციონირების პირველწყარო საძიებელია საკუთარივე **მიზეზისა და მიზნის** ექსტრალინგვისტური მონაცემებით აღბეჭდილ დეფინიციებსა და პოსტულატებში.

ა) ძვ. ქართ. **მიზეზო[ვ]ანი** (< ბერძნ. αἰτία τόν): „მიზეზისაგან გამომდინარე, თავის თავში მიზეზის მქონებელი, შ ე დ ე გ ი“ [ძვ. ქართ-ძვ. ბერძნ. ლექსიკონი 2010]¹.

ნიკო ჩუბინაშვილი ძვ. ქართ. **მიზეზოვანის** განსამარტავად მიმართავს იოანე პეტრიწისეული **მიზეზობრიობის** კონცეფციით ნასაზრდოებ სულხან-საბასეულ განმარტებას², და საილუსტრაციოდ იმოწმებს ბერძნულიდან მომდინარე ტერმინ **მიზეზოვანის** წმინდა საღვთისმეტყველო (ლოგიკურ-თეოლოგიურ) დეფინიციას – „მიზეზი მიზეზისა მიზეზი არს მიზეზოვანისა“, შდრ.:

„**მიზეზოვანი წარმოი** მიზეზისაგან, произведение или действие, causatum (კუალად § 128, დადებ. 3). მიზეზი მიზეზისა მიზეზი არს მიზეზოვანისა причина причины бывает причиною или действия оной“ [ჩუბინაშვილი ნ. 1961: 281], შდრ.: „მიზეზიანი, მიზეზოვანი, ზედ. მიზეზის მქონე, причинный, винословный, содержащий в себе причину, ლოდიკ. 128; კატიდ. 65; კავშ. 100“ [ჩუბინაშვილი დ. 1984].

¹ „ძველქართულ-ძველბერძნულ ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ტერმინოლოგიის დოკუმენტირებულ ლექსიკონში“ აღბეჭდილია ძვ.ქართ. **მიზეზო[ვ]ანის** რამდენიმე თვალსაჩინო ილუსტრაცია პროკლე დიოდოხოსის შრომათა იოანე პეტრიწისეული თარგმანებიდან, მაგალითად:

„საჭირო არს, რადთა **მიზეზიანი** თან იქონებდეს მიზეზსა, ვითარ მის გამო მქონებელი არსებისად (პრ., კავშ., პეტრ., 28; 24.12-13);

„ყოველი **მიზეზიანი** ჰგვის შორის მიზეზსა თვსსა და იწარმოებს მისგან და უკუნეიქვევის მისდადვე. ხოლო ეგოს თუ ოდენ, არადთ განეყოს მიზეზსა, იყოს განუყოფელ მისგან (პრ., კავშ., პეტრ., 35; 27.29-34)“ [ძვ. ქართ-ძვ. ბერძნ. ლექსიკონი 2010].

² „**მიზეზოვანი წარმოი** შეისწავე, სამ სახედ განიც(ა)დების: პირველად თვისსა მიზეზსა შორის, რამეთუ პირველად (პირველ A B) წა(რ)მოყენებისა მიზეზსა შორის ეგოს მიზეზიანი“ [სქოლიოშია მითითება: „აღებულია იოანე პეტრიწის თარგმანებიდან (30-ე თავი II გვ. 79, 34-80, 4)“] [სულხან-საბა I-II].

ამ სალექსიკონო განმარტებაში ხაზგასმით აისახება **მიზეზობრიობის** ამოსავალი დებულება ღვთივდადგენილი სამშემადგენლიანი „მიზეზობრივი კავშირის“ შესახებ – მისი უმაღლესიდან უდაბლესამდე დადმავალი იერარქიით:

მიზეზი მიზეზისა → მიზეზი → მიზეზოვანი,

რაც წმიდა იოანე პეტრიწის მიერ უდაბლესიდან უმაღლესამდე აღმავალი იერარქიით მოგვეწოდება:

მიზეზოვანი ← მიზეზი ← მიზეზი მიზეზისა,

შდრ.: „ყოველ **მიზეზოვანზე** უხესთაესი – **მიზეზია**, ყოველ **მიზეზზე** უხესთაესი კი – **უმიზეზო** [ანუ **მიზეზი მიზეზისა**]“ [იხ.: იოანე პეტრიწი 1999: 62; ავალიანი 2016: 56].

ამ სამშემადგენლიანი მიზეზობრივი კავშირის უმაღლეს საფეხურზეა **მიზეზი მიზეზისა**, ანუ – ღვთაებრივი **პირველმიზეზი** და უხენაესი შემოქმედი ღმერთი ყოველივე არსებულისა, მათ შორის – მიზეზობრივი კავშირის მეორე დადმავალ იერარქიულ საფეხურზე მდგომი **მიზეზისაც** და მესამე დადმავალ იერარქიულ საფეხურზე მდგომი **მიზეზოვანისაც**, რომელთაგან საკუთრივ **მიზეზი** – ღვთივმონიჭებული „შემოქმედი ძალისა და მოქმედების უნარის მქონეა“, ხოლო საკუთრივ **მიზეზოვანი** – წარმოებულია მისი წინამავალი **მიზეზისგან** [ავალიანი 2016: 55-56].

თავის მხრივ, მიზეზობრივი კავშირის ეს ორი შემადგენელი – **მიზეზი** და **მიზეზოვანი**, მათი ოდენ წარმომავლობის ნიშანდებიდან გამომდინარე, – ასევე ერთად აღებულ იმ სიმრავლედ განიხილება, რომელიც წმიდა იოანე პეტრიწის მიერ სახელდებულია ტერმინით **მიზეზო**[ვ]ანნი, ანუ „პირველი მიზეზიდან წარმოშობილნი და მისი მქონენი“, შდრ.: „ყველა დანარჩენი მიზეზი „მიზეზოვანებია“, ანუ **პირველი მიზეზის შედეგებს** წარმოადგენს, და მისგან არის ნაწარმოები (იქვე).

ტერმინ **მიზეზ-ოვან**-ის მორფო-სემანტიკასთან დაკავშირებით, საყურადღებოა **-ოვან** მაწარმოებლის სემანტიკური მრავალფუნქციონირება ძველ ქართულში, კერძოდ: გარდა სიმრავლისა (მრავალთა ქონებისა) და საგნის კრებულისა (ძვ.ქართ.: **ნერგ-ოვანი** „ხშირი ტყე“, **ნამ-ოვანი** „ნამკვებიანი ადგილი“, **ნიგუზ-ოვანი** „ნიგვზ-ნარი“...), **-ოვან** სუფიქსი თვისებისა და მსგავსების გამომხატველიცაა – უმთავრესად, მწიგნობრულ მეტყველებაში, შდრ.: „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა **კლდოვანი**“ [ვეფხისტყაოსნის

ტყაოსანი 1992]. საგულისხმოდ აღინიშნება ისიც, რომ მეცნიერების სხვადასხვა დარგში -**ოვან**-სუფიქსი განსაკუთრებით „ცნებების აღმნიშვნელ ტერმინთა შესაქმნელად“ გააქტიურდა, ამასთან – სწორედ თვისებისა და სისტემური სიმრავლის მრჩობლად თანაზიარი სემანტიკით: მაგ.: **მრგლ-ოვან-ი, თანხმ-ოვან-ი, ხმ-ოვან-ი, მარცვლ-ოვან-ი; კუნთ-ოვან-ი; ხრტილ-ოვან-ი; წახნაგ-ოვან-ი** [იხ.: ტუსკია 1993:123-125; ჯიბუტი 1993: 171-172].

ღვთაებრივი მიზეზობრივი კავშირის ზემოთ წარმოდგენილი პეტრიწისეული თარგმანების გათვალისწინებით, სარწმუნოდ წარმოჩნდება ამ ორი შემადგენლის – **მიზეზისა** და **მიზეზოვანის** მიერ საკვირველად აღბეჭდილი მრჩობლი ლექსიკურ-სემანტიკური ფუნქციონირება, შდრ.:

ერთი მხრივ – **მიზეზი** არის **მიზეზთა მიზეზისგან** ქმნილი „შედეგ“ და **მიზეზოვანის** წარმომშობი „მიზეზიც“, რაც იმას ნიშნავს, რომ საკუთრივ **მიზეზი** თავის თავში მრჩობლად შეიცავს „მიზეზსაც“ და „შედეგსაც“;

მეორე მხრივ – **მიზეზთა მიზეზისგან** ქმნილი **მიზეზოვანიც** ასევე მრჩობლად შეიცავს როგორც „მიზეზს, მიზეზის მქონეობაც“, ისე „შედეგს“, ვითარცა საკუთრივ **მიზეზისგან** ნაწარმოები.

შედეგისა და **მიზნის** ურთიერთმიმართების თვალსაზრისით, ყურადღება იქცევს თომა აქვინელის „Summa Theologica“-ში ჩაწერილი 5 მტკიცებულება რწმენის (თეიზმის), ანუ ღმერთის არსებობის შესახებ, რომელთაგან მე-5 – ტელეოლოგიური მტკიცებულება: „გამომდინარეობს სამყაროს მოწყობიდან. მაგალითად, ბუნებრივი სხეულები ყოველთვის ან თითქმის ყოველთვის მიისწრაფვიან რაღაც მიზნისკენ, რათა მიაღწიონ საუკეთესო შედეგს (უმაღლეს ინტელექტს)... ის, ვისაც ცოდნის ნაკლებობა აქვს, ვერ დაიწყებს უმაღლესისაკენ სვლას, თუკი მას ბიძგი არ მისცა იმან, რომელსაც ეს ცოდნაც და ინტელექტიც მოეპოვება, – მსგავსად იმ ისრისა, რომელიც ნიშნულისაკენ მიიწევს, თუმცა ეს ისარი – მშვიდოსნის მიერაა ნასროლი. ასე რომ, უნდა არსებობდეს ინტელექტუალური არსება, რომლის გამოც ყველა სხეული მიმართულია მიზნისკენ.

და ეს ის არსებობა, რომელსაც **ღმერთს** ვუწოდებთ“ [თომა აქვინელი 2011]¹.

ასე რომ, ქართველ ლექსიკოგრაფთა მიერ შემოთავაზებულ სა-
ლექსიკონო განმარტებათა გათვალისწინებით, ბერძნ. αἰτιατόν τόν-
ის შესატყვისი ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინი **მიზე-
ზო[ვ]ანი** არის: „პირველი მიზეზისგან გამომდინარე შედეგი“, და,
მამასადაძე – „მიზეზისა“ და „შედეგის“² მრჩობლად მქონე,

ბ) უაღრესად საგულისხმოდ გვესახება წმიდა პავლე მოციქუ-
ლის სწავლება ყოველივეს **პირველმიზეზის** შეცნობის შესახებ –
ჭეშმარიტი მიზეზისა და **ჭეშმარიტი მიზნის** შეცნობის ღვთივდაწე-
სებულ საქმეში.

„რამეთუ უხილავნი იგი მისნი დაბადებითგან სოფლისადათ
ქმნულთა მათ შინა საცნაურად იხილვებიან – სამარადისოდ იგი
ძალი მისი და ღმრთეებად“ (რომაელთა მიმართ 1; 20), ანუ – წმიდა
მოციქული ბრძანებს: „მისი [შემოქმედი ღმერთის] უხილავი
სრულყოფილება, წარუვალი ძალი და ღვთაებრიობა, ქვეყნიერების
დასაზამიდან, მისსავე ქმნილებებით შეიცნობა და ხილული ხდება“.

ამ ახალაღმოჩენილ უწყებაში – „სამარადისოდ იგი ძალი
მისი“ – ის უხილავი მარადიული ძლევა მოსილებაა, რომელიც ჩვენ,
კაცთა, ღვთის მიერ ქმნილი ხილული მრავალსახე სამყაროს
მეშვეობით უნდა შევიცნოთ, მისი „ღმრთეებით“ კი უნდა ვიგულოთ
ღვთაებრივი სათნოებანი: სიბრძნე, სიკეთე, სამართლიანობა,
სიწმინდე, შდრ.: „რამეთუ მას [ქრისტეს] შინა დამკვდრებულ არს
ყოველივე სავესებად ღმრთეებისად ჯორციელად“ (კოლასელთა მი-
მართ 2, 9).

წმიდა პავლე მოციქული რომაელთა მიმართ ეპისტოლეში
შემოქმედი ღმერთის იმ სარწმუნო გზას განგვიცხადებს, რომლის მე-
ოხებითაც ჭეშმარიტების მამიებელმა უზეშთაესი ღვთაებრიობა უნ-
და განიცადოს – გულისყურით და განჭკვრიტოს – გონებისთვალთ,

¹ ასევე იხ.: ეპისკოპოსი გაბრიელი: §72. მოკლე შენიშვნა მიმართებების ცნებათა შესახებ;

² შდრ.: ძვ. ქართ. **შედეგი** – „მეორე; შემდეგი, შემდგომი; შესრულება ნაკლებისა“ და ძვ. ქართ. **შედგინება** – „განგრძობა შედეგისა“ [სულხან-საბა I-II; ჩუბინაშვილი დ. 1984; ჩუბინაშვილი ნ. 1961; აბულაძე 1973; სარჯველაძე 2001]. შდრ.: რუს. следствие „შედგომილება, შედრგინება. დატკიცება. || გამოძიება, გამოჩხრეკა. Вследствие чего რო მ ლ ის გ ა მ ო , ა მ ის გ ა მ ო“ [ჩუბინაშვილი ნ. I-II].

რათა ყოველთა პირველმიზეზი განასხვავოს საწუთისოფლო მიზეზისგან, და ამ სარწმუნო გზით უცდომლად შეიცნოს, თუ რა არის ღვთის მიერ ქმნილ სამყაროში **ჭეშმარიტი მიზეზი** და რა – **ჭეშმარიტი მიზანი**, რამეთუ „ყოველივე ღმრთისაგან არს“ (1 კორინთელთა მიმართ 11,12; იხ.: ლოპუხინი 1911-1913: 409-410), შდრ.:

„სამყარო მხატვრული ქმნილებაა, რომლის ჭკრეტაც ყველას შეუძლია, და რომლის მეშვეობითაც შემოქმედის სიბრძნეც შეიცნობა“ [ბასილი დიდი 2002: 212].

გ) **ღვთაებრივი მიზეზისა** და **ღვთაებრივი მიზნის** თავდაპირველი თანაარსობის საღვთისმეტყველო შინაარსი ასევე აღიბეჭდება ძველადექიმისეული უწყებით „სოფლის შესაქმის“ შესახებ.

წმიდა მამათა აღიარებით, ყოვლისშემძლე შემოქმედი ღმერთი ერთდროულად ჭკრეტდა „სოფლის“ შესაქმის მიზეზსაც და მიზანსაც, რაზეც „შესაქმის“ წიგნში რამდენიმეგზის გვითითებს სინტაქსურად შეწყვილებული – „თქუა“ და „იქმნა“: „და თქუა ღმერთმან ... და იქმნა ეგრეთ ...“ (შესაქმე 1, 3-15; 19-31).

ორივე ზმნური ფორმა („თქუა“ და „იქმნა“) – ანუ საღმრთო **სიტყვა** და საღმრთო **საქმე**, ერთმანეთის მიმართ სრული შესატყვისობა და იგივეობაა, რამეთუ, როგორც წმიდა გრიგოლი ნოსელი განვიმარტავს: „სიტყუად ღმრთისად – საქმე არს, და ყოველივე დაბადებული სიტყვთა მისითა დაიბადების“ [გრიგოლი ნოსელი 1989: 207]¹, რაც იმას ნიშნავს, რომ ნივთიერი სოფლის „მყისსა შინა“ დაბადებისას **თანადროულად ხორციელდებოდა ღვთაებრივი მიზეზიც** და **ღვთაებრივი მიზანიც** [იხ.: გრიგოლი ნოსელი 1989: 348-349; თეოფილაქტე 2000; ლოპუხინი 1904-1907].

დ) **მიზეზისა** და **მიზნის** თავდაპირველი მრჩობლად თანაარსებობის კიდევ ერთ საგულისხმო ექსტრალინგვისტურ ნიმუშად გვესახება მუცლადღებული დედის წიაღში დავანებული ნაყოფის „საღმრთო-საწუთისოფლო“ ხატება:

დედის წიაღში ნაყოფის აღმოცენებით (მუცლადღებით) მრჩობლად აღიბეჭდება მუცლადღების **ღვთაებრივი მიზეზიც** და **ღვთაებრივი მიზანიც**, ანუ ღვთის ნება და განგება (ღვთაებრივი მიზეზი) – ეს შვილი ამ დედისგან იშვას (ღვთაებრივი მიზანი).

¹ შდრ.: „რამეთუ მან თქუა და იქმნეს, თავადმან ამცნო და დაებადნეს“ (ფსალმუნნი 32,9).

ამასთან, აქ **კაცობრივი მიზეზი** – მუცლადღებულის დედაა, **კაცობრივი მიზეზი** კი ცხადდება თავად მუცლადღებულის ნებით – შვას ან არ შვას შვილი. სწორედ ღვთაებრივ და კაცობრივ ნებათა (resp. მიზეზთა) კეთილნაყოფიერი სინერგიით („მიზეზითა ყოველთა მიზეზისადათა“) განხორციელდებული **კაცობრივი მიზეზისა** სათნო – ღვთისათვის, და კეთილი – კაცთათვის, რამეთუ – იშვება ღვთის შვილი!

ლიტერატურა

აბულაძე 1973 – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები)“, თბილისი.

ავალიანი 2016 – ს. ავალიანი, იოანე პეტრიწი მიზეზობრიობის შესახებ, სამეცნიერო-საღვთისმეტყველო ჟურნალი „რელიგია“, № 3.

ბასილი დიდი 2002 – კესარია-კაპადოკიის მთავარეპისკოპოსი, ფსალმუნთა განმარტებანი, ჰომილიები ექვსი დღისათვის; ძველი ბერძნულიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო გვანცა კობლატაძემ, მეორე გამოცემა, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თსუ კლასიკური ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი, თბილისი.

ბიბლია 2015 – ბიბლია. – ყველა არსებული რედაქციისა და დაწესების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, თბილისი.

გიორგი მთაწმიდელი 2011 – წმიდა გიორგი მთაწმიდელი, „ცხორებად ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი და უწყებად ღირსისა მის მოქალაქობისა მათისად, აღწერილი გლახაკისა გეორგის მიერ ხუცესმონაზონისა“. – ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, ორიგინალური ტექსტები და თარგმანები ახალქართულად, მეორე გამოცემა, თბილისი.

გრიგოლი ნოსელი 1989 – წმიდისა გრიგოლი ნოსელ ეპისკოპოსისად პეტრეს მიმართ ძმისა თვისისა პასუხი ექუსთა მათ დღეთათვის, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და ლექსიკონები დაურთო ედიშერ ჭელიძემ. საქართველოს ეკლესიის კალენდარი.

ეპისკოპოსი გაბრიელი – წმიდა ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე), ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები, რუსულიდან თარგმნეს: ო. ტაბიძემ, თ. ბუაჩიძემ, ვ. გოგობერიშვილმა, იხ.: <http://www.orthodoxy.ge/fsiqologia/gabriel/sarchevi.htm>

ვეფხისტყაოსანი 1992 – შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, რედაქტორი ალ. ჭინჭარაული, თბილისი.

თეოფილაქტე 2000 – ნეტარი თეოფილაქტე, იოანეს სახარების განმარტება, მოსკოვი (რუსულ ენაზე).

თომა აქვინელი 2011 – თომა აქვინელი, 5 არგუმენტი ღმერთის არსებობის სასარგებლოდ, იხ.: <https://charlius.com/2011/06/17/quinqvieve/>

იმნაიშვილი 1975 – ი. იმნაიშვილი, სინური მრავალთავი. გამოკვლევა და ლექსიკონი, თბილისი.

იმნაიშვილი 1986 – ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, ა.შანიძის რედაქციით, თბილისი.

იოანე პეტრიწი 1999 – განმარტება პროკლე დიადოხოსის „ღვთისმეტყველების საფუძვლებისა“ იოანე პეტრიწისა, თანამედროვე ქართულ ენაზე გადმოიღო, გამოკვლევა, ლექსიკონი და შენიშვნები დაურთო დამანა მელიქიშვილმა, თბილისი.

ლოპუხინი 1904-1907 – Толковая Библия, А. П. Лопухина, I, Петербург.

ლოპუხინი 1911-1913 – Толковая Библия, А. П. Лопухина, 3, Петербург.

მელიქიშვილი 1993 – დ. მელიქიშვილი, ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოების ზოგადი პრინციპები და ფილოსოფიურ ტერმინთა სისტემატიზაცია გელათის სკოლაში, კრებული „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, ტ. X, თბილისი.

სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი 2009 – „ქართული სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი“, ეძღვნება აკაკი შანიძის 120 წლის იუბილეს; შეადგინეს: ლელი ბარამიძემ, რუბენ ენუქაშვილმა და ჭთეიმურაზ მეტრეველმა, თბილისი.

სარჯველაძე 2001 – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბილისი.

სინური მრავალთავი 1959 – სინური მრავალთავი 864 წლისა, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 5, სასტამბოდ მოამზა-

დეს კათედრის წევრებმა, აკაკი შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და გამოკვლევით, თბილისი.

სულხან-საბა I-II – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, 1991; II, 1993.

ტუსკია 1993 – მ. ტუსკია, სიტყვაწარმოებითი აფიქსების ფუნქციები და შეხამებადობა სახელურ ფუძეთა სემანტიკური დაჯგუფების მიხედვით, კრებული: „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, ტ. X, თბილისი.

ქეგლი 1950-1964 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით), ტ. I- VIII, თბილისი.

ქეგლი ახ. რედ. – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, მთავარი რედაქტორი ავთანდილ არაბული, ტ. I, ა-ბ., 2007; ტ. II, გ., 2010; ტ.: III, დ., 2015, თბილისი.

ჩუბინაშვილი დ. 1984 – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

ჩუბინაშვილი ნ. 1961 – ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბილისი.

ჩუბინაშვილი ნ. I-II – ნ. ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, I.–1971, II.–1973., ალ. ლლონტის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბილისი.

ძვ. ქართ-ძვ. ბერძნ. ლექსიკონი 2010 – ძველქართულ-ძველბერძნული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის დოკუმენტირებული ლექსიკონი. – Old georgian-greek documented dictionary of philosophical-theological terminology. (მასალები). ქართველო, ჰუმანიტ. და სოც. მეცნ. ფონდი რუსთაველის ფონდი; პროექტის ავტ. და სამეცნ. ხელმძღვ. დამანა მელიქიშვილი; პ/მგ რედ. ანა ხარანაული, ბერძნ. ტექსტის რედ.: ლევან გიგინეიშვილი, ვიქტორია ჯუღელი, I გამოც., თბილისი. – იხ.: www.nplg.gov.ge › gwdict

ჯიბუტი 1993 – ი. ჯიბუტი, -იან, -ოვან, -ა სუფიქსთა ფუნქციონისათვის ტერმინოლოგიურ სიტყვაწარმოებაში, კრებული „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, ტ. X, თბილისი.

On the Syntactic Function of Cause and Purpose in Georgian

Summary

The paper discusses the significant lexical-syntactic function expressing the cause and purpose (in pairs), which was already performed in the old Georgian language with high frequency through various syntactic units and is partially effective today.

On the one hand, the above-mentioned functional peculiarity of the semantic units with the old Georgian postposition -ოჴბ- reflected in the "Psalms", the Holy Four and the ecclesiastical literature is analyzed, e.g. *tys*, *amiatys*, *mistys*, *anis p̄irisatys*, *amis žerisatys*, and on the other hand, the heterogeneous lexical choices attested in Georgian dictionaries which are made to represent the same lexemes are discussed.

Since the primary source of lexical-grammatical functioning expressed as a cause and purpose is to be found in theological, philosophical, logical, and other extralinguistic data related to the cause and purpose, we cite a few of them: *mizezi* ↔ *mizezovani*; *mizezi* ↔ *mizani*; *mizezi* ↔ *šedegi* and so on.

Similar extralinguistic examples also include *mizani* ↔ *sašualeba*; *mizani* ↔ *tvitmizani*; *suli* ↔ *xorci*; *dro* ↔ *sivrce*; *horizontali* ↔ *vertiķali* (→ *žvari*); *erti* ↔ *mravali* and so on.

ვაჟა შენგელია

გზა, მეგზე...

ჩვენი მცირე ნარკვევი ეძღვნება გზების მშენებლობისა და ექსპლუატაციის სპეციალისტის აღსანიშნავად უმართებულოდ ნაწარმოებ და, სამწუხაროდ, უკვე საკმაოდ გავრცელებულ ტერმინს **მეგზევე**. შორს რომ არ წავიდეთ, 2020 წლის 10 დეკემბერს ტელევიზიაში გავიდა სიუჟეტი, სადაც ითქვა, რომ ამ დღეს **მეგზევეების** პროფესიული დღეა, ხოლო საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა სინანული გამოთქვა, რომ შექმნილი ვითარების გამო წელს სათანადოდ ვერ აღინიშნა ეს დღე, წინა წლებში კი გამორჩეული **მეგზევეების** დაჯილდოება ხდებოდაო. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 9-10 დეკემბრის ნომრის პირველ გვერდზე გამოქვეყნდა მისალმება: „საქართველოს **მეგზევეთა** საზოგადოება გულითადად ულოცავს საქართველოს **მეგზევეთა** დიდ არმიას პროფესიულ დღესასწაულს და უსურვებს მათ, ოჯახის წევრებთან ერთად, ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს, დაუღალავ შრომას და შემოქმედებით საქმიანობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ“. გაზეთის მე-5 გვერდზე რუბრიკით „10 დეკემბერი **მეგზევის** დღე“ გამოქვეყნდა სპეციალური წერილი „კარგი გზა ქვეყნის მეტი ეკონომიკური სიძლიერე, მეტი სიცოცხლე“. შემოგთავაზებთ ნაწყვეტებს ამ წერილიდან: „ქვეყანაში გამძვინვარებული კორონა ვირუსის მიუხედავად, 2020 წელი ერთ-ერთი წარმატებული წელი იყო **მეგზევეთა** ცხოვრებაში... **მეგზევეთა** მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად მრავალი საგზაო ინფრასტრუქტურული ობიექტი გადაეცა ექსპლუატაციაში... დღეს საქართველოში, ადგილობრივ **მეგზევეებთან** ერთად, მრავალი უცხო ქვეყნის ფირმები და კომპანიები საქმიანობენ... პროფესიულ დღესასწაულს ფულოცავთ დიდად პატივცემულ **მეგზევეებს**... სინანულით უნდა აღვნიშნოთ, რომ წლებანდელ დღესასწაულს ვერ მოესწრო ბევრი ვეტერანი **მეგზევე**... საქართველოს **მეგზევეთა** საზოგადოებას ინსტიტუტ „საქგზამეცნიერებასთან“ ერთად დაგეგმილი აქვთ ერთობლივად დასახონ შთამბეჭდავი ღონისძიებები...“ ამ ღონისძიებებს შორის დასახელებულია „საგზაო დარგის

მოღვაწეთა ენციკლოპედიის“, ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციისა და სახელმძღვანელოების შექმნა, გაზეთ „მარაგზისა“ და ჟურნალის „საგზაო-სატრანსპორტო სისტემები“ გამოცემა...

სიტყვა-ტერმინი **მეგზევე** სხვადასხვა ბრუნვასა და რიცხვში წარმოდგენილია „ქართული ენის ეროვნულ კორპუსში“ (ქეეკი). მოვიყვანთ მხოლოდ ნაწილს.

ალტერნატიული გზის მარშრუტი **მეგზევე** ინჟინრებმა უნდა შეარჩიონ.

გერმანიაში ადამიანს **მეგზევე** მუშის სტატუსი რომ მიენიჭოს, სამწლიანი მომზადება სჭირდება.

ბატონი ირაკლი ყანჩელი 1938 წლის 4 თებერვალს მოსამსახურის, **მეგზევე** ინჟინრის ოჯახში დაიბადა.

გაფრინდაშვილისავე თქმით, ალტერნატიული გზის მარშრუტი საბოლოოდ **მეგზევე** ინჟინრებმა უნდა შეარჩიონ.

გარდა ამისა, მეტად მნიშვნელოვანი იყო ქართველი **მეგზევე** ინჟინრის ხელმძღვანელობით მეზობელ სომხეთსა, ასევე საჩხერის რაიონში [ჩატარებული სამუშაოები].

სონდისხევეზე აშენებულ ახალ ხიდს პირველი ქართველი **მეგზევის** და საგზაო დარგის მინისტრის გიორგი რობიტაშვილის სახელი მიანიჭეს.

იგი... თავის მომავალს მთავარი **მეგზევის** ბორის სალარიძის მოადგილის რანგში ხედავს.

ბატონი გიორგი რობიტაშვილი წარმოშობით კახეთიდან იყო და **მეგზევის** დღის რეგიონებში აღნიშვნის ტრადიციაც სწორედ კახეთიდან დავიწყეთ.

ბოლო 10 წელიწადია, მყარად აღვნიშნავთ 10 დეკემბერს – **მეგზევეთა** დღეს საქართველოს **მეგზევეთა** საზოგადოება გულითა და სულით ულოცავს საგზაო დარგის ყველა მუშაკს ამ დღეს.

რუსთავში **მეგზევეთა** ტენდერი დასრულდა.

ორ სოფელში – ორბელსა და ლაჯანაში – გეოლოგები, მაშველები, **მეგზევეები** ამ დრომდე მუშაობენ.

მეგზევეები ვაიძულეთ, საკუთარი სახსრებით აყვარათ ასფალტი და ახლიდან დაეგოთ.

მთავარია, დავაფასოთ ღვაწლმოსილი, გამოცდილი **მეგზევეები**.

ვიმედოვნებ, ამ აქტუალური საკითხის თაობაზე პროფესიონა-

ლი **მეგზევეები** საკუთარ კომპეტენტურ აზრს ფართო საზოგადოება-საც გაუზიარებენ...¹

ზემოთ აღნიშნულ ყველა შემთხვევაში **მეგზევე** პროფესიის, კერძოდ, გზის სპეციალისტის აღსანიშნავად გამოიყენება. ამ და სხვა მსგავს შემთხვევებში სათანადო ტერმინის საწარმოებლად პრეფიქს-სუფიქსი (კონფიქსი) **მე – ე** გამოიყენება ორ სხვა (**მე – ურ** და **მო – ე**) კონფიქსთან ერთად, მაგრამ ზემოთ დასახელებულ შემთხვევაში კონფიქსის სუფიქსური ნაწილი **-ე** განმეორებით არის დართული სახელის ფუძეზე და მიღებული ორი **ე**-ს გასათიშად ჩასმულია ანაპტიქსური თანხმოვანი **ვ**.

მე – ე კონფიქსით ნაწარმოებ სახელებს ა. შანიძე ხელობის სახელებს უწოდებს [შანიძე 1953: 136]. 2011 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „ქართული ენის მორფოლოგია“ უფრო დაზუსტებულია: ეს სახელები აღნიშნავენ „...სახელის ფუძის გამოხატულ საგანთან ან მოვლენასთან დაკავშირებულ ადამიანს“ [ჭუმბურიძე 2011: 230-231]:

გზა საერთოქართველურ სიტყვად მიიჩნევა, რაკი ის შესატყვისებს ჰპოვებს სხვა ქართველურ ენებში [ჩიქობავა 1938: 260-261; გამყრელიძე-მაჭავარიანი 1965: 348].

გზა აქტიური მოხმარების სიტყვაა არა მხოლოდ დამოუკიდებლად, არამედ დერივატებსა და კომპოზიტებში გამოყენების თვალსაზრისით: დერივატები – გზიანი, მგზავრი, საგზური, საგზალი, მოგზაური... კომპოზიტები – გზა – კვალი; გზატკეცილი, გზააბნეული, გზაბედნიერი, გზა-ბილიკი, გზაგასაყარი, გზისპირი და სხვ.

რაც შეეხება **მე – ე** კონფიქსს, ის ფართოდ არის გამოყენებული ხელობის (პროფესიის) აღმნიშვნელი სახელების საწარმოებლად.

ა) თანხმოვანფუძიან სახელთაგან: ვენახი – **მევენახე**, პური – **მეპური**, ტივი – **მეტევე**, ზარბაზანი – **მეზარბაზნე**, მინდორი – **მემინდვრე** და მრავ. სხვა.

ბ) ა ხმოვანზე დაბოლოებულ სახელთაგან: წალა – **მეწალე**, ბამბა – **მებამბე** სტამბა – **მესტამბე**, დაზგა – **მედაზგე**, ბიგა – **მებიგე**... ფუძისეული **ა**-ს დაკარგვა **-ე** სუფიქსის დართვის შედეგია.

გ) **ე**- ფუძიან საელებში ფუძისეული **ე** შენარჩუნებულია, მაგ-

¹ სწორი **მეგზე** ფორმის ხმარების ერთადერთი შემთხვევა დასტურდება „გუგლის საძიებო სისტემაში“. „კახთა ერთი ნაწილი ლეკის მოენე და **მეგზე** იყო და ახლაც ბევრი მოეპოვებათ“. **მეგზე** აქ „მეგზურს“ ნიშნავს და არა გზის სპეციალისტს.

რამ ფუძისეულ ე-სა და სუფიქსისეულ -ე-ს შორის ჩნდება ანაპტიქსური გ: ტყე – მეტყვე, რძე – მერძე, ამწე – მამწე [ქეგლი 1958: 1462] || მემწე [ტტ 1982: 264], მაგრამ ბადე – მებადე (არა გვაქვს მე-ბადევე)...

დ) ო-ზე დაბოლოებულ სახელებში ო, ჩვეულებრივ, შენარჩუნებულია და სიტყვის ბოლოს ვიღებთ ოე კომპლექსს: თამბაქო – მე-თამბაქოე, მადარო – მემადაროე, აბანო – მებაბანოე, ალილო – მეალილოე, უდაბნო – მეუდაბნოე..., მაგრამ გვაქვს გ-ს ჩართვის შემთხვევები: ეზო – მეეზოე, მიმინო – მემიმინოე, როგო – მეროგოე [სმტ 1959: 402]... ო-ს მოკვეცის ერთადერთი შემთხვევა გვაქვს: ღვინო – მეღვინე (ისტორიულად ეს შემთხვევა იხსნება).

ე) უ- სუფიქსიანი სახელისაგან მე – ე კონფიქსით წარმოების ერთი შემთხვევა რუ – მერუე; დ. ჩუბინაშვილთან დასტურდება პარალელური ფორმები: მერუე || მერუე [ჩუბინაშვილი 1984: 705].

მასასადამე, თუ მე – ე კონფიქსიანი წარმოებისას ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი შენარჩუნებულია, ფუძისეულ ხმოვანსა და -ე სუფიქსს შორის ხშირად ჩნდება ანაპტიქსური თანხმოვანი გ, მაგრამ, თუ სახელის ფუძე ა-ზე ბოლოვდება, ეს ა -ე სუფიქსის გავლენით იკვეცება, მეორე ე-ს დართვა კი ზედმეტია. ზემოთ დასახელებული იყო ა-ზე დაბოლოებულ ორმარცვლიან ფუძეთაგან მე – ე კონფიქსით წარმოების შემთხვევები. ასეთივე მდგომარეობაა ერთმარცვლიან ფუძეთაგან წარმოების შემთხვევაშიც:

მთა – მემთე „ვინც ზაფხულობით მთაში მიჰყვება საქონელს (ცხვარს, ძროხას) მწყემსად“ [ქეგლი 1958: 177], „ზაფხულობით მთაში მყოფი საქონლის მომვლელი“ [დიალექტოლოგია 1961: 592].

თხა – მეთხე „თხების მწყემსი“ [სმტ: 4000; ლობჯანიძე 2014: 155].

ყდა – მეყდე „წიგნის ყდის გამკეთებელი“ [ქეგლი (1958: 220)].

ამას თუ დავუმატებთ მე – ე კონფიქსის სხვა ფუნქციით გამოყენების შემთხვევებს, კერძოდ, რაოდენობითი რიცხვითი სახელისაგან რიგობითის წარმოებას (რვა – მერვე, ცხრა – მეცხრე), ცხადი გახდება, რომ გზა სიტყვისაგან მე – ე კონფიქსით სათანადო სპეციალობის აღმნიშვნელი ტერმინის წარმოებისას ე-ს განმეორებით დართვის შემთხვევა არა მხოლოდ ერთადერთია, არამედ – ენობრივი კანონზომიერების საწინააღმდეგოც.

ზემოთქმულის გათვალისწინებით უნდა ითქვას და დაიწე-

როს: გზა – მეგზე, მეგზემ, მეგზეს, მეგზის, მეგზით, მეგზედ... მეგზეები, მეგზეებმა... მეგზენი, მეგზეთა... მიმართვის ფორმები: მეგზე || მეგზევ, მეგზეებო, მეგზენო!

ლიტერატურა

გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965 – თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი.

დიალექტოლოგია 1961 – ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბილისი.

გუგლი – გუგლის საძიებო სისტემა.

თოფურია, გიგინეიშვილი 1998 – ვ. თოფურია, ი. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.

ლობჯანიძე 2014 – დ. ლობჯანიძე, პაპაჩემის ლექსიკონი (მთის რაჭის იშვიათი სიტყვა-თქმანი), თბილისი.

სმტ 1959 – სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგია, 1959.

ტტ 1982 – ტექნიკური ტერმინოლოგია (ქართულ-რუსული ნაწილი), თბილისი.

ქეგლი 1951 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით), ტ. II, თბილისი.

ქეგლი 1958 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით), ტ. V, თბილისი.

ქეევი – ქართული ენის ეროვნული კორპუსი.

შანიძე 1953 – ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები. I. მორფოლოგია, თბილისი.

ჩიქობავა 1938 – არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი.

ჩუბინაშვილი 1984 – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

ჭუმბურიძე 2011 – ნ. ჭუმბურიძე, სიტყვაწარმოება. – თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია. სალიტერატურო ენა, თბილისი.

Vazha Shengelia

gza, megze...

Summary

The paper deals with the quite common term *megzeve* that is formed incorrectly and used to denote a road construction and operation specialist. As known, *me-e* is a confix used to denote a profession, which in the mentioned case is added twice to the base after apocopating the vowel *a* from the base, and the anaptyctical **v** is used to separate double **e** in the word. This is the only case of using the confix *me-e* improperly (cf. correct forms: *çaya – meçaye*, *bamba – mebambe*, *mankana – memankane*, *mta – memte*, *txa – metxe*, *gda – meqde*, etc.). Adding one and the same vowel *e* to the word twice is unjustifiable. So, it must be said and written as *gza – megze*, *megzem*, *megzes*, *megzis*, *megzit*, *megzed*, *megzeebi*, *mezeta*, etc.

ერთი პოპულარული სიტყვის შესახებ – **ფინტიკოსა – უახლეს ქართულში**

თანამედროვე სასაუბრო ქართულში ერთობ პოპულარული სიტყვაა **ფინტიკოსა** (ფონეტიკური ვარიანტებითურთ: ფინტიკოზა, ფინტიკოზა, ფინტიკოსა). ამ სიტყვის გააქტიურება და ქმედუნარიანობა უდავოდ განაპირობა იმგვარმა ხმაურიანმა (უფრო კი, „ყბადა-ღებულმა“) თემებმა, როგორცაა ფემინიზმის მახინჯი ფორმებისა და „ლიბერასტული იდეების“ პროპაგანდა. სოციალური ქსელებისა და მასმედიის მეშვეობით მისი ტირაჟირება ერთგვარი რეკლამირება-წახალისებაცაა და, შესაბამისად, სიტყვაც აქტიურობს.

სიტყვა **ფინტიკოსის** ძირითადი მნიშვნელობაა: სიყალბის ჩამდენი, ყალბის მოქმედი, თვალთმაქცი, მატყუარა. სიტყვის წარმოშობის ისტორიის კვალდაკვალ, თავდაპირველად ასე უწოდებდნენ ამორალური საქციელის, მსუბუქი ყოფაქცევის ქალებს. *ფინტიკოსოზა* კი, საერთოდ, გაყალბების აღმნიშვნელად დამკვიდრდა და, ჩვეულებრივად, ასეც გამოიყენება რაიმე ნივთის, მოქმედების ან ქცევის სიყალბის აღსანიშნავად. უახლეს სასაუბრო ქართულში, თემებიდან გამომდინარე, გააქტიურდა ამ სიტყვის გამოყენება როგორც ამორალურობის, ისე სიყალბის ჩამდენის მნიშვნელობებით (სიყალბეც ხომ ამორალურობაა!) და, ამასთან ერთად, სიტყვამ შეიძინა ირონიულ-სარკასტული (უფრო კი, სალანძღავი) კონოტაციაც და იგი გამოიყენება არამხოლოდ თვალთმაქცი, მატყუარა, ან თუნდაც მსუბუქი ყოფაქცევის ქალის აღსანიშნავად, არამედ ამავე თვისებების მატარებელი მამაკაცის აღსანიშნავადაც. ასე მაგალითად: ეს ნორმალური ქალები სწორედ **ფინტიკოსა** ქალებისაგან უნდა დავიცვათ; რაც ყველაზე საოცარია, უკვე გვყავს მამაკაცი **ფინტიკოსაც**; ქალბატონი და ბატონი **ფინტიკოსები**; ქალბატონი **ფინტიკოზა**; ორი წამყვანი **ფინტიკოსას** საუბარი და საქციელი და მრავალი სხვა.

ზოგადი მნიშვნელობიდან გამომდინარე, საგულისხმოა, რომ ფონეტიკური ვარიანტების დამკვიდრება-განმტკიცება, როგორც ჩანს, იმგვარ სიტყვათა არსებობითაცაა განპირობებული, როგორე-

ბიცაა: **ფინტი**, **ფინთი**, **ფანდი** (მნიშვნელობების მხრივ საინტერესოა ამ სიტყვათაგან ნაწარმოები ლექსიკური ერთეულებიც, მაგალითად: *ფინთად*, *ფინთობა*, *ფინთ-ფუნთი*). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ამ სიტყვათა შესახებ გვეუბნება, რომ:

ფინტი (ფინტისა) [იტალ. finta თვალთმაქცობა] სპორტ. ფეხბურთში – მოხერხებით, მარჯვედ ხელიდან გასხლტომა. „პაიჭამე ოსტატურად გადის მარცხენა ფლანგზე, მისთვის ჩვეული **ფინტით** უკან იტოვებს [მოწინააღმდეგეს]“ („ლელო“). უცხო სიტყვათა ლექსიკონების მიხედვით: **ფინტი** [ინგლ. feint] სპორტ. ფეხბურთში: ცრუ მოძრაობა [ჭაბაშვილი 1989: 526]. **ფინტი** [იტ. finta თავის მოკატუნება, გამონაგონი] 1. ცრუ მოძრაობა, ცრუ ილეთი სპორტში; 2. ეშმაკური ხრიკი [თეზელიშვილი 2005: 835].

ფინთი (ფინთისა) საუბ. ცუდი, უვარგისი. „უხინკლოდ ახალი წელი არაფერსა ჰგავს, **ფინთია**“ (ვაჟა). „ეს რა **ფინთი** ვინმე ყოფილა!“ (ა. ცაგარ.).

ფინთად ზმნს. ცუდად, ავად. „თუ მგელი ამოგვედევნა, **ფინთად** ავუშლი ბალანსა“ (რ. ერისთ.). „აღარ შემიდლიან, **ფინთადა** ვარ, უნდა დავწვე“ (ვაჟა).

ფინთობა (ფინთობისა) საუბ. ფინთის თვისება, – სიცუდე. [იმედა ეუბნება ჯავარას:] „ერთურთის შერთვით არასგზით არ გამოგვივა **ფინთობა**“ (ბაჩ.).

ფინთ-ფუნთი (ფინთ-ფუნთისა) „მრავალი ფინთი“ (საბა), – ფინთები.

ფანდი (ფანდისა) (სპ.) 1. ჭიდაობის ხერხი, ილეთი. ოსტატური **ფანდით** ბეჭებზე დასცა. 2. ხერხი, ხრიკი, ოინი. სხვადასხვა **ფანდს** მიმართა [ქეგლი 1986: 961].

ფანდი *ფანდის* 1. ჭიდაობის ხერხი, ილეთი. ფალავანმა **ფანდი** იხმარა. 2. გადატ. წინააღმდეგობის, დაბრკოლების დამღევის ხერხი, გზა, ოინი. **კარგი** ფანდი მოიგონა [ცოცანიძე, ლოლაძე, დათუკიშვილი 2014: 621].

ზემოთ ჩამოთვლილ სიტყვებთან მითითებული ლექსიკოგრაფიული პარამეტრი *საუბ.* და *სპორტ.* გამოყენების სფეროსა და გავრცელების არეალის შესაძლებლობებზეც მიანიშნებს. *თვალთმაქცობა*, *ეშმაკური ხრიკი* და *ოინი* სიტყვის წარმოშობის იმ ვერსიასაც უდევს საფუძვლად, რომლის თანახმადაც „ფინტიკოსი ერქვა იმ მასალას, რომლისგანაც დამზადდა ქალის პირველი „ჩულქები“, ანუ

ბარძაყებამდე აყვანილი წინდები. მოგეხსენებათ, ქალს მაშინ კოჭიც არ უნდა გამოსჩენოდა. ჰოდა, თურმე მსუბუქი ყოფაქცევის ქალები განგებ აჩენდნენ ამ ჩულქების იმ ნაწილს, რომლითაც ის უკვე სპეციალური სამაგრებით იყო მიმაგრებული სხეულზე, მამაკაცები, ასე ვთქვათ რომ მიეზიდათ და „დაედებილებინათ“. აი ასეთ ქალებს უწოდებდნენ თურმე ფინტიკოსა ქალებს...“ [გაზ. „საქართველო და მსოფლიო“ 2019: 8].

დასასრულ, შევნიშნავთ, რომ სიტყვის გამოყენების არეალის გაფართოებამ (რასაც ცნობილმა სიმღერამაც წააშველა ხელი) განაპირობა ის, რომ ძირითადი მნიშვნელობისა თუ ირონიული კონოტაციის მეშვეობით *ფინტიკოსამ* თავისუფლად მონახა ახალი სინონიმური რიგი; ფაქტია, რომ ამ რიგის ლექსიკურ ერთეულთაგან გამოყენების სიხშირის თვალსაზრისით დაწინაურდა კიდევ მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენა არასოდეს უჩიოდა ამგვარი მნიშვნელობის მქონე სიტყვათა ნაკლებობას.

ლიტერატურა და წყაროები

გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, 2019, № 37(508).

გუგლი – გუგლის საძიებო სისტემა: <https://www.google.ge/>

თეზელიშვილი 2005 – ს. თეზელიშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი.

ქეგლი 1986 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი.

ქეგლი 1962 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VII, თბილისი.

ცოცანიძე, ლოლაძე, დათუკიშვილი 2014 – გ. ცოცანიძე, ნ. ლოლაძე, ქ. დათუკიშვილი, ქართული ლექსიკონი, თბილისი.

ჭაბაშვილი 1989 – მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი.

Manana Chachanidze

About the Common Word *pintikosa* in Modern Georgian

Summary

In modern colloquial Georgian, the word *pintikosa* is very common (with phonetic variants: *pintikoza*, *pintikoza*, *pintikosa*). The activation and popularity of this word was undoubtedly conditioned by such noisy topics as the propaganda of ugly forms of feminism and liberal ideas. Its circulation through social networks and mass media is a kind of advertising-encouragement and, consequently, the word is actively used.

The word has the following basic meanings: a forger, a double-hearted person, a liar. Following the footsteps of the word origin, it denoted an immoral, adulterate woman. In modern colloquial Georgian, due to the topics, the use of this word with the meanings of both immorality and falsification has become more active (falsity is also immorality!) And, at the same time, the word has acquired an ironic-sarcastic (even more insulting) connotation. It is used to describe not only a woman but also a man with such qualities.

The expansion of the area of use of the word (which was also helped by the famous song) led to the fact that, through its main meaning or ironic connotation, *pintikosa* easily found a new synonymous group to be in; It is a fact that it has even advanced in terms of the frequency of use among the lexical units of this group even though the Georgian language has never “complained” about the lack of words with such a meaning.

სოფიკო ჭავჭავაძე

სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორიისათვის 1920-1921 წლებში

(საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული მასალების
მიხედვით)

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია ცნობები 1920-1921 წლებში საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის აკადემიურ ცენტრთან არსებული ორი სტრუქტურის: სასწავლო კომიტეტისა და სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს შესახებ. ორივე ორგანოს უმთავრესი ფუნქცია, სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტასთან ერთად, სალიტერატურო ენის ნორმებისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის მიღება-დამუშავება იყო.

1921 წლიდან რუსეთის მიერ საქართველოში უკანონოდ დამყარებული ახალი პოლიტიკური რეჟიმის შემდეგ განათლების კომისარიატშიც ძირეული ცვლილებები განხორციელდა. თუმცა ახალმა თანამდებობის პირებმა ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის შენარჩუნებასა და განახლებას დაუჭირეს მხარი. ერთ-ერთი ასეთი ორგანო აღმოჩნდა სასწავლო კომიტეტი. აღნიშნული საკითხი გადაწყდა განსახკომთან (განათლების სახალხო კომისარიატი – ს. ჭ.) არსებული დროებითი კოლეგიის 1921 წლის 15 მარტის სხდომაზე, ოქმი N4:

„კრებას დაესწრნენ: განათლების კომისარი ამხ. მ. ორახელაშვილი, სასწავლო კოლეგიის წევრები: ალ. წერეთელი და ნ. მგელაძე, სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ივ. ჯავახიშვილი, შ. ნუცუბიძე, ა. რაზმაძე და კ. კეკელიძე.

სასწავლო კომიტეტის შესახებ დაადგინეს: გათვალისწინებულ იქმნას ის გარემოება, რომ ამ კომიტეტს მინდობილი აქვს ქართულ სამეცნიერო ტერმინების შემუშავება, ქართული ენის მართლწერის საკითხების გამორკვევა და ახალ სახელმძღვანელოების განხილვა. ამ ყოველად საჭირო და სასარგებლო საქმიანობის შეჩერება სასურველი არ არის. დაევალოს ამ კომიტეტს განაგრძოს მუშაობა და დაენიშნოს გასამრჯელოდ მდივანს თითოეული სხდომისთვის

1500 მანეთი, კომიტეტის წევრებს 1000 მანეთი, ხოლო რომელიმე მათგანი მოხსენებას რასმე ან გამოკვლევას თუ წარადგენს 3000 მანეთი მიეცეს ყოველი მოხსენებისთვის“ (სეა, უიცა, ფ. 300, ან. 4. N2, ს. N18).

ამავე სხდომაზე ივ. ჯავახიშვილი წარდგა კოლეგების წინაშე და სასწავლო კომიტეტის საქმიანობის მთავარ მიმართულებებზე ისაუბრა:

„სასწავლო კომიტეტის მოქმედება შეწყვეტილი იყო ჩვენი სამშობლოს მიმღე ისტორიული პირობებით. თანამედროვე მდგომარეობა ყოველს ჩვენგანს, ყოველს ჩვენს დაწესებულებას უკარნახებს მაინც გაორკეცებული ენერგიით განაახლოს და განაგრძოს შეწყვეტილი მუშაობა სამშობლო ერის ბედნიერებისა და კულტურის განვითარებისთვის. სასწავლო კომიტეტი მოვალეა განაახლოს ამგვარადვე თავისი მუშაობა. მას დაკისრებული ჰქონდა სამი უმთავრესი საკითხის მოგვარება: ა) ტერმინოლოგიის შემუშავება, ბ) სალიტერატურო ენის საერთო ფორმების გამომუშავება და დაკანონება და გ) სამწერლო შრომათა გაცხრილვა და საუკეთესოს დაჯილდოვება. ამ სამი მუშაობის გაძლიერება საკმარისი სამუშაო იქნება. ასეთი მუშაობა კომიტეტის უნდა გაგრძელებული იყოს, სანამდის იგი ოფიციალურად გაუქმებული არ იქნება. ჩვენ შეგვიძლია დღეს ვიქონიოთ მსჯელობა იმაზე, თუ რომელია ამ საკითხთაგან უფრო საჩქარო და ყურადსაღები. ჩემის აზრით, სამივე ერთნაირად საჩქაროა და საჭირო. ამისთვის გეგმა მუშაობისა დარჩება ძველი“ (სეა, უიცა, ფ. 300, ან. 4. N2, ს. N18).

სასწავლო კომიტეტის შესახებ ცნობა განთავსებულია ივ. ჯავახიშვილის მიერ 1923 წელს განსახკომისადმი გაგზავნილ მოხსენებაში: „1920 წელს სასწავლო კომიტეტმა გადაწყვიტა მიეღო საერთოდ ყველასთვის სავალდებულო ტერმინოლოგია. ამისთვის კომიტეტის წევრებმა ერთმანეთს შეადარეს და შეაჯერეს სხვადასხვა სახელმძღვანელოებში გამოყენებული ტერმინები და შექმნეს საშუალო სასწავლებლების საერთო სამათემატიკო ტერმინოლოგია“ (სეა, უიცა, ფ. 471, ან. 1, ს. N123, მოხსენება განსახკომისადმი ქართული სამათემატიკო ტერმინოლოგიის დამტკიცების შესახებ, 4. VIII. 1923. ს.ს.ს. რ. განათლების სახალხო კომისარს, გვ. 4).

საარქივო მასალებში ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ სასწავლო კომიტეტის დებულებას, ამიტომ ვეცადეთ სხვადასხვა დოკუ-

მენტში არსებული ზემოაღნიშნული ინფორმაციით დაგვეზუსტებინა სასწავლო კომიტეტის ფუნქცია-მოვალეობები. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა საქართველოს განსახკომის მესვეურებმა ოფიციალურად განაცხადეს, რომ მუშაობა უნდა გაგრძელებულიყო, ივ. ჯავახიშვილმა მაინც ეჭვი გამოთქვა, რომ შესაძლოა კომიტეტი დაეხურათ, ამიტომ თანამშრომლებს მოუწოდა გაეგრძელებინათ დაწყებული მეტად მნიშვნელოვანი და საჭირო საქმიანობა. შემდეგი წლების ოქმებიდან ჩანს, რომ მეცნიერები, მართლაც, მთელი მონდომებით ცდილობდნენ, როგორმე მოესწოთ და შეესრულებინათ დაკისრებული უფლება-მოვალეობები.

განსახკომიდან ოფიციალურად მიღებული ნებართვის შემდეგ სასწავლო კომიტეტმა მუშაობა გააგრძელა და 1921 წლის 25 იანვრიდან 12 აპრილამდე სულ 8 სხდომა გამართა (25 იანვარი, ოქმი N37; 01 თებერვალი, ოქმი N38; 08 თებერვალი, ოქმი N 39; 15 მარტი, ოქმი N41; 22 მარტი, ოქმი N42; 29 მარტი, ოქმი N43; 05 აპრილი, ოქმი N 44; 12 აპრილი, ოქმი N45) (სეა, უიცა, ფ. 300, ან. 3, N5. 1921 წელი).

რამდენიმე თვის შემდეგ განსახკომის ხელმძღვანელმა პირებმა სასწავლო კომიტეტისთვის სახელწოდების შეცვლა და მისი სტრუქტურული რეორგანიზაცია გადაწყვიტეს. 1921 წლის 3 ნოემბერს გამართულ შეკრებაზე განათლების კომისარმა დავით კანდელაკმა მეცნიერებს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ნება მიბოძეთ გავხსნა პირველი სხდომა სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოსი, რომელიც დაარსებულია სახალხო განათლების კომისარიატის აკადემურ ცენტრთან, იმ მიზნით, რომ მან ხელი შეუწყოს განსახკომს განამტკიცოს, მკვიდრ ნიადაგზე დააყენოს სწავლა-აღზრდის საკითხი და საქმე საქართველოში. როგორც განსახკომი, ისე მთავრობაც ფართო ასპარეზს უთმობს საბჭოს ნაყოფიერ მუშაობისთვის. ასეთ საპასუხისმგებლო და რთულ მუშაობის პროცესში შესაძლებელია შეიქმნას რაიმე გაუგებრობა ან უთანხმოებაც საბჭოს და კომისარიატს შორის, მაგრამ გულწრფელი ურთიერთობა და სურვილი – ვემსახუროთ ჩვენ დიად საქმეს ჩვენი ახალი თაობის სწავლა-აღზრდისას, ვიმედოვნებ, ყოველთვის საშუალებას მოგვცემს დროზედ მოვსპოთ ყოველივე გაუგებრობა და უთანხმოება“.

ამავე კრებაზე სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ივანე ჯავახიშვილი, მდივნად - მიხეილ ზანდუკელი. ორივე პერიოდის ოქმების მიხედვით საბჭოს წევრებად დასახელებული იყვნენ

მეცნიერები: გ. ახვლედიანი, ა. შანიძე, ს. გორგაძე, ვ. ბერიძე, კ. კეკელიძე, მ. თაქთაქიშვილი, გ. გედევანიშვილი, მ. ზანდუკელი, მ. კონიაშვილი, გ. კონიაშვილი, ალ. ჟორჟოლიანი, დ. უზნაძე, გ. ჭუმბურიძე, ევ. ჭოლოშვილი, ილ. ყიფშიძე, მ. შალამბერიძე, ი. ყიფშიძე, ვ. კანდელაკი, რ. ნიკოლაძე-პოლიევქტოვისა, ალ. წერეთელი, ალ. მიქაბერიძე, მ. ჭავჭავანიძე, გ. ჩუბინაშვილი, ს. კაკაბაძე, თ. კიკვაძე, შ. ნუცუბიძე, ნ. მგელაძე, გ. ნათაძე, ნ. ჩიგოგიძე, ან. რაზმაძე, თ. კიკვაძე, ალ. ალადაშვილი, ი. მოსეშვილი, ალ. მდივანი, ალ. დიდებულისძე, ა. ბენაშვილი და ვ. კაკაბაძე.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ზემოაღნიშნულ მეცნიერთა ნაწილს (ვ. კანდელაკი, რ. ნიკოლაძე-პოლიევქტოვისა, ალ. მიქაბერიძე, მ. ჭავჭავანიძე, გ. ჩუბინაშვილი, თ. კიკვაძე, ალ. ალადაშვილი, ი. მოსეშვილი, ალ. მდივანი) სამეცნიერო საბჭოში არ გაუგრძელებია საქმიანობა და დოკუმენტებიდანაც არ ჩანს, ეს მათი ნებით მოხდა თუ ვინმეს მითითებით.

რეფორმის შემდეგ შედგენილ სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს დებულების მესამე პუნქტში განმარტებული იყო, რომ საბჭოს კომპეტენციაში შედიოდა:

„3) დადგენა ქართული სალიტერატურო ენის საერთო კანონებისა, აგრეთვე სამეცნიერო ტერმინოლოგიისა უმთავრესად სასკოლო დისციპლინებისთვის“ (სეა, უიცა, ფ. 300, ან. 4, N1).

ივ. ჯავახიშვილმა სამეცნიერო საბჭოს პირველ სხდომაზე ისევ მიმართა თავის თანამშრომლებს და ამჯერადაც საბჭოს მუშაობის ძირითადი მოვალეობები განუმარტა:

„თუ წარსულს გადავავლებთ თვალს, აღვადგენთ იმ დაუმთავრებელ მემკვიდრეობას, რომელიც დაგვიტოვა ყოფილმა სასწავლო კომიტეტმა, რომლის წევრებიც ჩვენ თითქმის ყველა ვიყავით და რომლის დამთავრებას გვაკისრებს ახალი წესდებაც, სახელდობრ, სამეცნიერო ტერმინოლოგიის და ქართულის საერთო ლიტერატურული ფორმების დამუშავებას, დავრწმუნდებით, რომ საქმე დიდი და საპასუხისმგებლო გვაწევს და თუ ამას მაინც შევასრულებთ, ისიც დიდი სამსახური იქნება, მასაც დიდი მნიშვნელობა ექნება. თუ ამავე საკითხებს არ დავაყენებთ პირველ რიგში და არ დავამთავრებთ ამ მუშაობას, ცუდს მდგომარეობაში დავტოვებთ როგორც დაბალ და საშუალო სასწავლებლებს, ისე უმაღლესსაც. უნდა მოისპოს ის საშინელი ენათა აღრევა, რომელიც არსებობს დღეს. აი,

უპირველესი და უახლესი მიზანი ჩვენი მუშაობისა“ (სეა, უიცა, ფ. 300, ან. 3, N1, სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმი N2, 09. 11. 1921 წ.).

სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოდ ფორმირების შემდეგ მეცნიერებმა კიდევ 4 სხდომა გამართეს (03 ნოემბერი, ოქმი N1; 09 ნოემბერი, ოქმი N2; 24 ნოემბერი, ოქმი N4; 22 დეკემბერი, ოქმი N8).

მაშასადამე, საარქივო მასალების მიხედვით 1921 წელს სასწავლო კომიტეტისა და სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს ფარგლებში სულ 12 სხდომა გაიმართა. ამ პერიოდში პროფ. ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით სალიტერატურო ენის ნორმალიზაციისა და ტერმინთშემოქმედების პროცესები აქტიურად და ნაყოფიერად მიმდინარეობდა, კერძოდ:

1. 1921 წელს აღნიშნული ორგანოების წევრებმა, ძირითადად, შეიმუშავეს ქართული სალიტერატურო ენისათვის მისაღები საერთო ფორმები;
2. 1922 წლისათვის დაიწყო მზადება ტექნიკური ტერმინოლოგიის მისაღებად;
3. 1922-1923 წლებში მეტ-ნაკლებად გამოიკვეთა ახალი ლექსიკური ერთეულების დამუშავების პრინციპები;
4. 1923 წელს სამეცნიერო საბჭო ცალ-ცალკე განიხილავდა დარგობრივ და სამეცნიერო ტერმინოლოგიასთან დაკავშირებულ საკითხებს. სამუშაო პროცესს წარმართავდნენ სხვადასხვა მიმართულების საგანგებო კომისიები, რომელთა მიერ დამუშავებული მასალები და რეკომენდაციები საბოლოოდ განიხილებოდა და მტკიცდებოდა სამეცნიერო საბჭოს მიერ.

1921 წლის სხდომათა ოქმებში მოცემულია მსჯელობა მხოლოდ სალიტერატურო ენაში დასამკვიდრებელი სწორი გრამატიკული ფორმების შერჩევისა და დაკანონების შესახებ. ყოველი საკითხის განხილვა რთული და შრომატევადი პროცესი იყო, ვინაიდან მეცნიერებს ჰქონდათ ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული მოსაზრებები, რის გამოც ხშირად ვერ ხერხდებოდა შეთანხმების მიღწევა. ისინი რამდენჯერმე უბრუნდებოდნენ ერთსა და იმავე სადავო საკითხის განხილვას. მათ მსჯელობაში მხოლოდ ორჯერ არის ნახსენები „ზოგადი პრინციპები“ (მაგ. „წინასწარ მიღებული ზოგადი პრინციპების თანახმად“... „საზოგადო პრინციპების დაცვით...“ კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი ვნებით ბრუნვაში **დ** დაბოლოე-

ბას: თავად და არა თავათ, სოფლად და სოფლათ. ნაკლოვანება და არა ნაკულოვანება, კამეჩი და არა კამბეჩი, რომელთა საფუძველზეც იღებდნენ ახალ სალიტერატურო ფორმებს, მაგრამ საარქივო მასალებში არ ჩანს, თუ რომელ კონკრეტულ დებულებებს გულისხმობდნენ მეცნიერები. ამიტომ სასწავლო კომიტეტისა და სამეცნიერო საბჭოს სხდომათა მიმდინარეობისას გამოთქმული არგუმენტები და მოსაზრებები რამდენიმე კატეგორიად დავაჯგუფეთ, რათა გამოკვეთილიყო სალიტერატურო ენის ნორმათა მიღების პრინციპები, კერძოდ:

1. ერთიანი სალიტერატურო ფორმები;
2. ბუნებრივი და კანონიერი ფორმები;
3. ცოცხალი და მკვდარი ფორმები;
4. ხალხში გავრცელებული ფორმები;
5. ძველი, ისტორიული და ძველ მწერლობაში მიღებული ფორმები;
6. პარალელური ფორმები;
7. დიალექტური ფორმები;
8. არარუსული ფორმები;
9. ახალი და მარტივი ფორმები.

წარმოვადგენთ თითოეული კატეგორიის შესაბამის იმ წინადადებებს, რომლებიც მსჯელობის დროს წარმოადგინეს სამეცნიერო საბჭოს წევრებმა (გამოყენებულია ჩანაწერები თორმეტივე სხდომის ოქმიდან):

1. ერთიანი სალიტერატურო ფორმები:

მაგ., „ჩვენ გვაქვს ერთიანი სახელმწიფო და უნდა ვეცადოთ შევქმნათ ერთი მთლიანი გასაგები სწორი ლიტერატურული ენა, ამისათვის უნდა დარჩეს ერთი ფორმა ხმარებაში ყველასათვის, როგორც სავალდებულო“.

2. ბუნებრივი და კანონიერი ფორმები:

„შეუფერებელია ქართული ენის ბუნებისთვის. ეს იქნება უკანონო ფორმა. ეს არ არის ბუნებრივი მოთხოვნილება ენისა, ეს არის შექმნილი ხელოვნურად. ორივე ფორმა კანონიერია და ლიტერატურაშიც იხმარება.“

მაგ., მწერლობაში **შე** და **მო** თავსართების საბადლოდ გვხვდება: შემოვიდა და შამოვიდა, მომივიდა და მამივიდა. კომისიამ უარ-

ჰყო მეორე რიგის უკანონო ფორმები და მიიღო პირველი. კ. კეკელიძე ამბობს, რომ თუ ენის კანონიერებას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ აკ. შანიძის პროექტი უნდა მიღებულად უნდა ჩაითვალოს“.

3. ცოცხალი და მკვდარი ფორმები:

„ეს ფორმა დღესაც ცოცხალია, როგორც ხალხის ლაპარაკში, ისე მწერლობაში. ცოცხალი აღარაა. ცოცხალია თანამედროვე საუბარსა და მწერლობაში. ეს თავსართები ცოცხალია ენაში და საჭიროა აზრის გამოსახატავდ, მათი მოსპობა საშინელ არევას შექმნის ენაში. ცოცხალმა ქართულმა ენამ უკვე დიდი ხანია გვერდი აუქცია ამ მკვდარ სისტემას, რათა გაეადვილებინა ის მძიმე სამუშაო, რომელიც მოსაუბრე ადამიანს მუდამ თავზე აწევს. მიუღებელია დავუბრუნდეთ ენის ისეთ ნორმებს, რომელნიც უკვე მე-11-12 -ე საუკუნეში მკვდარნი იყვნენ და მხოლოდ ზოგიერთ მწიგნობრის შეგნებაშიღა არსებობდნენ. ეს პრეფიქსები მკვდარია არა თუ დღეს, არამედ საშუალო ქართულშიაც, უფრო მეტიც, მათი ხმარება არეულია უკვე ძველ სალიტერატურო ქართულშიც. მართალია, ფორმა ცოცხალი აღარ არის ხალხში, მას კაბინეტური ხასიათი აქვს, მკვდარი ფორმაა და მისი დატოვება არ შეიძლება. კაბინეტურია და უნდა უარყოფილ იქმნას.“

მაგ. „მოვიდა“ ზმნისთვის საკმაოდ სცნო ერთ-ვინიანი ფორმა, მოვედი, მოვალ, წავალ და არა მოვედი, მოვვა, წავვალ, რადგან ორი ვ-ინი ამ ზმნაში დღეს უკვე ცოცხალი აღარაა და ორვინიანი ფორმის ადგილი როგორც მწერლობაში, ისე ლაპარაკში დიდიხანია ერთ ვ-ინიან ფორმას უჭირავს. ყოფილვიყო და ყოფილვიყავ დღეს უკვე ცოცხალი აღარაა“.

4. ხალხში გავრცელებული ფორმები:

„უფრო გავრცელებულია, ხალხში უფრო ხშირად იხმარება. უკვე საკმაოდ არის გავრცელებული. სასურველია გამეფდეს მხოლოდ პირველი ფორმა, როგორც მწერლობაში მიღებული და ხალხშიც გავრცელებული. ეს სიტყვები უკვე შემოვიდა და ამისთვის შეიძლება მართებულ ფორმად იყოს აღიარებული“.

5. ძველი, ისტორიული და ძველ მწერლობაში მიღებული ფორმები:

„უკვე მიღებულია ძველიდანვე განსაზღვრული მნიშვნელობით და დარჩეს ისტორიულად მიღებული სახელი; ისე უნდა დარჩეს, როგორც საუკუნეებმა გადმოგვცეს. ჩვენ იმით უნდა ვიხელმძღვანელოთ თუ როგორ იწერება ქართულში იმ სახელის ძირი, ძვე-

ლად ამ სიტყვის ფუძე იყო... მასთან ერთად სასურველია პარალელურად დარჩენილი იყოს ძველი ფორმაც; უკეთესი იქნება უკვე მიღებული ფორმა დაეტოვოს. მიღებულია ძველიდანვე განსაზღვრული მნიშვნელობით. ეს მაჩვენებლები სიტყვებში უკვე შემოვიდა და ამისთვის შეიძლება მართებულ ფორმად იყოს აღიარებული. არ არის სრულად მოსპობილი, შეგვხვდება ხოლმე კიდევ ქართულში. შეცვლა მაშინ შეგვეძლოს, თუ ახლანდელს თაობისათვის ეს ძველი გამოთქმა შეუძლებელი შეიქმნებოდა, მაგრამ ჩვენ ამას არ ვამჩნევთ. მომხრეა ისტორიული ნიადაგისა. მომხრეა დარჩეს ისტორიულად მიღებული სახელი. მის ხმარებას ისტორიული სახე აქვს. ისტორიულად სწორია. მწერლობაში ძველი დროიდანვე იხმარება. მწერლობაში ძველიდანვე ჩამოყალიბდა. ძველ ქართულშიც მაჩვენებელი ყოფილა. მწერლობაშიც არის გაბატონებული. მწერლობაშიც მიღებულია; ყოველს მწერალს თავისებურად ესმის ეს წესი და ამიტომ ენაში საშინელი სხვადასხვაობაა, რომელსაც ბოლო უნდა მოეღოს.

მაგ. გ. ახვლედიანი მომხრეა ისტორიული ნიადაგისა და სრულიად მისაღებად სთვლის ვწეროთ სატახტო ქალაქის სახელი „ტფილისი“. კომისიამ უპირატესობა მისცა: უარყოფ და ვუარყოფ, სრულყოფ და არა ვსრულყოფ, უკუუვადებ და არა ვუკუვადებ, როგორც ისტორიულად სწორსა და თან ცოცხალს თანამედროვე საუბარსა და მწერლობაში გავრცელებულს“.

6. პარალელური ფორმები:

„საჭიროა მისი დარჩენა პარალელურად რთულ ფორმასთან, რადგანაც ზოგ შემთხვევაში ძალიან მოსახერხებელი ფორმაა; მიღებულია დარჩეს ორივე ფორმა. მასთან ერთად ის სასურველად ჰხედავს პარალელურად დარჩენილი იყოს ძველი ფორმაც. კომისიამ შესაძლოდ სცნო მათი პარალელურად დატოვება თანამედროვე მწერლობაში. წარმოიშვა ანალოგიის ძალით. უნდა დარჩეს ორივე ფორმა სხვადასხვა მნიშვნელობით. პარალელურად დატოვებულ იქნა ორივე ფორმა, როგორც დიდად მიღებული და გავრცელებული, როგორც ცოცხალ საუბარში, ისე მწერლობაში. ორივე ფორმას ერთნაირი უფლება აქვთ, როგორც ერთნაირად გავრცელებულებს. ორივე ფორმა მიიღო სალიტერატურო ქართულში სახმარებლად.

მაგ. კომისიამ გაითვალისწინა „გან“ თავსართის ხმარების ისტორიული სახე, წესი და მხარი დაუჭირა მის შემოკლებულ ფორმასაც „გა“ და შესაძლოდ სცნო მიეღო პარალელური ფორმები: განვა-

თავისუფლე და გავათავისუფლე, განავითარა და გაავითარა, ხოლო ფორმები: გავანთავისუფლე, გაანთავისუფლა, ანვითარებს და მისთანანი უარჰყო. აღსარება განსაკუთრებული შინაარსით იხმარება, ცხოვრებაში შემოვიდა მეორე ტერმინიც „აღიარება“, რომელიც იხმარება პირველთან შედარებით, განსხვავებული მნიშვნელობით, ამისთვის საჭიროა დარჩეს მეორეც. თუმცა, რასაკვირველია, აქედან წარმოება „მღიარებელი“ მიუღებელია. მიღებულია დარჩეს ორივე ფორმა : აღსარება და აღიარება“.

7. დიალექტური ფორმები:

„სალიტერატური ქართულის მთავარი საფუძველი ორი თანამედროვე ცოცხალი კილოა: ქართლ-კახური და იმერულ-გურული. ახალ სალიტერატურო ქართულს საფუძვლად ზემოდხსენებულ ორ ძირითად ცოცხალ კილოსთან ერთად, საშუალო ქართულიც უძვეს. კომისია დიდ ანგარიშს უწევს ტერმინის ტერიტორიალურ გავრცელებას: მთლად აღმოსავლეთ საქართველოში იხმარება, ან ცოცხალი ფორმა მთლად დასავლეთ საქართველოში. დასავლეთ საქართველო არ ხმარობს, იქ ეს ფორმები სრულებით არ იყვნენ ან თუ იყვნენ უკვე მკვდარნი არიან. თვით აღმოსავლეთ საქართველოშიც მრავალ შემთხვევაში არ იხმარება. ამ ტერმინების ასეთი დაბოლოებით შეტანა იქნება მაჩვენებელი კუთხურ ფორმის გაბატონებისა. იხმარება მხოლოდ პროვინციაში. კომისიას მეორე ფორმა დაუტოვებია იმისთვის, რომ ის გავრცელებულია იმერეთში, განა გურიაში რომ მესამე ფორმა იყოს გავრცელებული, ჩვენ ამ მესამესაც დავტოვებდით პარალელურად? სურამის მთის იქით არ გაიგონებთ ამ ტერმინს. საქართველოს მრავალ კუთხეში სრულიად მოისპო.

მაგ. თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთ საქართველოში იხმარება უნაგირი, ამასთან ერთად, მწერლობაში ძველი დროიდანვე იხმარება უნაგირი. ასე რომ აქაც უკეთესი იქნება უკვე მიღებული ფორმა დავტოვოთ.ს. გორგაძე აღნიშნავს, რომ დასავლეთ საქართველოში იხმარება უნაგერი, ნათესაობითი ბრუნვა „უნაგ-რის“ გვიჩვენებს, რომ იყო უნაგერი და არა უნაგირი“.

8. არარუსული ფორმები:

„ეს სიტყვა რუსიციზმია, ამიტომ არ უნდა იყოს დაკანონებული;

მაგ. თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ მესამოცე, მეოცე არის „რუსიციზმი. იანი ნიშნავს ზომას, ოთხკოკიანი, ლიტრიანი, ასეთივე

ზომას გამოხატავს მხოლოდ ქრონოლოგიურს „სამოციანი“, ისე რომ ნამდვილი ქართული ტერმინი იქნება „სამოციანი წლები და სხვა. ბერიძე არ ეთანხმება თავმჯდომარეს, რომ ტერმინი მესამოცე, მეოცე და სხვა არის რუსიციზმი. მაშინ მეორე, მესამე რუსიციზმი უნდა იყოს. პირიქით, მას ჰგონია, რომ სამოციანი და ოციანი არის რუსუციზმი. სურამის მთის იქით არა გაიგონებთ ტერმინს სამოციანს, ოციანს“.

9. ახალი და მარტივი ფორმები:

„ახალს ენაში ეს შეიცვალა, როგორც ეტყობა მოთხოვნილებათ ხორხისა. სიმარტივისთვის უმჯობესია, ის მოვსპოთ. ამ სიმარტივეს მოითხოვს ნორჩი გონება მოზარდისა, რომლისთვისაც გრამატიკული ანალიზი ოთხსართულიანი წესებისა ტანჯვას. უფრო ადვილი ფორმაა. საშინლად მახინჯდება თანამედროვე მწერლობაში. შეუიარაღებელი ყურისთვის ძნელია გარჩევა. ძალიან მოსახერხებელი ფორმაა. ძველი ნორმების მობრუნებას გვირჩევეს, რაც ისტორიის წინააღმდეგ წასვლას უდრის და რაციონალურ ნაბიჯად ვერ ჩაითვლება. ბუნებრივია, რომ სიმარტივე თანდათან იმარჯვებს ისეთ სოციალურ მოვლენაში, როგორიცაა ენა. უმჯობესია სიმარტივისთვის ის მოვსპოთ, ვიდრე ფორმათა მრავალსახინობის ტვირთი აზროვნებას თავს მოვახვიოთ. ქართულ ცოხალ ენაში იხმარება, მაგრამ მათ აქვთ მეტი მოქნილობა აზრის, წვრილმანი ნიუანსების გამოსახატავად, მათი მოსპობა საშინლად გაადარბებდა ენას და არევას გამოიწვევდა. ფსიქოლოგიურად უკიდურესობა იმაზეა დამყარებული, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა გვიძნელდება, გვინდა გამარტივება. ეს თავსართები ცოცხალია ენაში და საჭიროა აზრის გამოსახატავად, მათი მოსპობა საშინელ არევას შექმნის ენაში.“

მაგ. გ. ახვლედიანი: უჰაე-სანობა უფრო მეტ სიმარტივეს წარმოადგენს, ბუნებრივია, რომ სიმარტივე თანდათან იმარჯვებს ისეთ სოციალურ მოვლენაში, როგორიცაა ენა“.

სხდომათა ოქმებიდან ჩანს, რომ საბჭოს წევრთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები დისკუსიის ბოლოს კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით მტკიცდებოდა.

მამასადაძე, რთული სამუშაო პროცესის მიუხედავად, 1921 წელს სამეცნიერო საბჭოს წევრებმა ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით მწვავე კამათისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ შეაჯერეს ქართულ ენასა და მის დიალექტებში გავრცელებულ ფორმა-

თავან სალიტერატურო ენაში გამოსაყენებელი ტერმინები.

თვალსაჩინოებისთვის წარმოვადგენთ განსახკომთან არსებულ სასწავლო კომიტეტის ერთ-ერთი სხდომის ოქმის სრულ ტექსტს:

„თავმჯდომარეობდა ბ. ივ. ჯავახიშვილი. დაესწრნენ: ბ. ჭუმბურიძე, მ. კონიაშვილი, ევ. ჭოღაშვილი, ს. გორგაძე, მ. თაქთაქიშვილი, ალ. ალადაშვილი, კ. კეკელიძე, ვ. კანდელაკი, ნ. ჩიგოგიძე, მ. ჭავჭავაძე, დ. უზნაძე, გ. ახვლედიანი, მ. ზანდუკელი, აკ. შანიძე, ვ. ბერიძე, ალ. ჟორჯოლიანი, რ. ნიკოლაძე-პოლიევქტოვისა, გ. გედევანიშვილი, ალ. მდივანი, ი. მოსეშვილი, ექ. თაყაიშვილი, ილ. ყიფშიძე, მ. შალამბერიძე, ალ. წერეთელი, ს. კაკაბაძე, თ. კიკვაძე.

მომხსენებელი: ს. გორგაძე. ზედსართავი სახელი:

სადაურობის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელები: კომისიამ მხარი დაუჭირა ფორმას:

ქუთათური ნაცვლად ფორმისა ქუთაისელი,	
ტფილელი	ტფილისელი
გურული	გურიელი

შენიშვნა: ფორმები: „ქუთათელი“ და „გურიელი“ რჩება როგორც ტერმინები ქუთაისის მიტროპოლიტის და გურიის მთავრის აღსანიშნავად.

აკ. შანიძეს შესაძლოთ მიაჩნია დატოვებულ იქმნას ფორმებიც ქუთაისელი, ტფილისელი.

ბ. თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ ტერმინები **ქუთათური** და **ტფილელი** უკვე მიღებულია განსაზღვრული მნიშვნელობით: ტფილელი, ქუთათელი მიტროპოლიტი. ამავე ტერმინების ხმარება მცხოვრებთა აღსანიშნავად უხერხული იქნება. უკეთესია ვიხმაროთ, როგორც აქამდის იყო ხმარებაში ტფილისელი, ქუთაისელი.

ბ. ბ. ს. გორგაძე და ვუკ. ბერიძე აღნიშნავენ, რომ ფორმები ქუთათური, გურული ცოცხალი ფორმა დასავლეთ საქართველოში. იქ „ქუთაისელს“ არავინ იტყვის.

ბ. მ. კონიაშვილი ეკითხება კომისიას: რომელი ფორმა იხმარებოდა დღემდის, როგორ იხმარება ახლა და თუ ახალი ფორმა არ ეგუება ძველ ფორმას, რომელი მათგანი უნდა გავამეფოთ, რა პრინციპით უნდა ვიხელმძღვანელოთ.

ბ. ს. გორგაძე უპასუხებს, რომ კომისია ორ ფორმაში ძველში და ახალში უპირატესობას აძლევდა ახალს, თუ ძველი მკვდარი ან

თითქმის მკვდარია და ახლი კი გავრცელებული; საერთოდ კომისია დიდ ანგარიშს უწევდა ტერმინის ტერიტორიარულ გავრცელებას.

ბ. ბ. ს. გორგაძე და ვ. ბერიძე წინააღმდეგი არიან დატოვებულ იქმნას ტერმინები ტფილისელი და ქუთაისელი. ეს ფორმები ამათ უკანონოთ მიაჩნიათ, რადგან მთელი დასავლეთ საქართველო არ ხმარობს ამ დაბოლოებით, იქ ეს ფორმები სრულებით არ იყვნენ ან თუ იყვნენ უკვე მკვადრნი არიან. თვით აღმოსავლეთ საქართველოშიც მრავალ შემთხვევაში არ იხმარება. ამ ტერმინების ასეთ დაბოლოებით შეტანა იქნება მაჩვენებელი კუთხური ფორმის გაბატონებისა.

ბ. მ. კონიაშილის აზრით თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ქუთაისში **ქუთათური** გაბატონებული და გაუგებარია მათთვის ტერმინი **ქუთაისელი**, ასევე ითქმის, რომ თფილისში გაბატონებულია **ტფილისელი** და **ქუთაისელი** და გაუგებარი იქნება **ქუთათური**. თუ გნებავთ გაამეფოთ „ქუთათური“ იმისთვის რომ იმერეთში იხმარება, რატომ არ უნდა ამავე მოსაზრებით გაამეფოთ **ქუთაისელი**, რომელიც იხმარება ქართლში. მით უმეტეს ფორმა **ქუთაისელი**, **ტფილისელი** რუსულ მწერლობაშიაც არის გაბატონებული.

მსჯელობის შემდეგ ხმის უპირატესობით მიღებულია დატოვებულ იქმნას ფორმები ტფილისელი, ქუთაისელი - დაბოლოება „ისი“ არ იკვეცება“ (სეა, უიცა, სახალხო განათლების კომისარიატთან არსებულ სასწავლო კომიტეტის 1921 წლის 1 თებერვლის სხდომის ოქმი N38, გვ. 20).

1922 წლიდან სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე შეწყდა სალიტერატურო ენისთვის შესაბამისი ლექსიკური ერთეულების შერჩევა. მხოლოდ ერთ-ერთ შეხვედრაზე აღინიშნა, რომ: „სალიტერატურო ქართულისთვის“ პროექტი ქართული ორთოგრაფიის საკითხების მოსაწესრიგებლად შემუშავებული საორგანიზაციო კომისიის და მიღებული სასწავლო კომიტეტის მიერ, უკვე დაბეჭდილია. ხოლო არ არის გამოსყიდული და მით სარგებლობა გვიანდება, რადგან ხსენებული პროექტი მეტად საჭიროა სალიტერატურო ქართულის მოსაწესრიგებლად და სკოლებში ერთგვაროვნობის დასამყარებლად, მასწავლებლებისთვის დამხმარე სახელმძღვანელოდ. საბჭომ გადასწყვიტა აღიძრას შუამდგომლობა კომისარიატის წინაშე პროექტი დაჩქარებით იყოს გამოსყიდული. შუამდგომლობის აღძრა პირადად დაევალათ ს. გორგაძეს, გ. ახველდიანს და მ. ზანდუკელს“ (სეა,

უიკა, ფ. 300, ან. 3, ს. N23, სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს 1922 წლის 12 სექტემბრის სხდომის ოქმი N49, გვ. 95).

განათლების სახალხო კომისარიატის ფონდში დაცულია კიდევ ერთი საინტერესო დოკუმენტი ლექსიკოლოგიური მუშაობის აუცილებლობის შესახებ. 1923 წლის 31 ივლისს განსახკომის სამეცნიერო დაწესებულებათა მმართველობის მთავარგამგეს წერილობით მიმართა საენათმეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარემ გ. ახვლედიანმა. წერილში აღნიშნულია:

„საენათმეცნიერო საზოგადოების სახელით მოგახსენებთ შემდეგს: სადიალექტიოლოგო მუშაობასთან ერთად, რომელსაც ჩვენი საზოგადოება აწარმოებს საკმაო ინტენსივობით, საჭიროა დაუყოვნებლივ გააჩალოს სალექსიკოლოგო კვლევა-ძიებაც. ამ მხრივ გაცილებით მეტის გაკეთება შესაძლებელი, რადგანაც სალექსიკო მასალების შესავსებად აუცილებელი არაა სპეციალისტი იყოს შემკრები. საჭიროება კი ასეთი მასალების ფრიად დიდია როგორც მეცნიერული, ისე პრაქტიკული მიზნებისთვის, თუნდაც ქართული ტერმინოლოგიის შესაქმენლად. ამასთანავე ამით საფუძველი ჩაეყრება დიალექტოლოგიურ ლექსიკონსაც. ეს საქმე გადაუდებელია, რადგან სალიტერატურო ენა ალბათ მალე ამოფხვრის იმ ნიშნებს, რომლებიც დღეს კიდევ საკმაოდაა შენახული სოფელში. ჩვენი მიზნებისთვის შესაძლოა გამოყენებულ იქმნეს ის ძალები, რომელნიც თითქმის ყოველ სოფელშია. სახეში გვყავს სოფლის მასწავლებლობა. ასეთი საშუალება ნაცადია მრავალ ენათა ლექსიკონის შედგენის დროს.

ამიტომ გთხოვთ აქვე წარმოდგენილი ანკეტა დაეგზავნოთ მაზრებს, რაც შეიძლება დაჩქარებით, ქართულ სოფლებში ქართველი მასწავლებლებისთვის, რათა არა უგვიანეს ნოემბრის დამდეგისა მასალები წარმოდგენილ იქმნეს. ამასთანავე თუ საჭიროდ დაინახავთ, გთხოვთ შეიტანოთ ანკეტის მუხლებში თქვენთვის სასურველი დამატებანი. აგრეთვე თუ საჭიროს დაინახავთ, შესაძლოა ანკეტა თავის განმარტებით დაიბეჭდოს გაზეთშიც. საენათმეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე გ. ახვლედიანი“ (სეა, უიკა, ფ. 300, ან. 3, ს. N70. გვ. 16).

ამრიგად, ჩვენ მიერ წარმოდგენილი საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის პროცესი აქტიურად და ნაყოფიერად მიმდინარეობდა, კერძოდ:

1. 1920 წელს სასწავლო კომიტეტის მიერ დაწყებული საქმიანობა 1921 წელსაც გაგრძელდა. ივ. ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით სასწავლო კომიტეტისა და სამეცნიერო საბჭოს ფარგლებში ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საკითხებზე 1921 წელს გაიმართა 12 სხდომა;
2. სახელმწიფოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური თუ სოციალური პირობების მიუხედავად, ქართველი მეცნიერები თავდაუზოგავად მუშაობდნენ და ქმნიდნენ ქართული სალიტერატურო ენისთვის საჭირო ტერმინებს და ადგენდნენ ფორმებს;
3. ამავე პერიოდში საორგანიზაციო კომისიამ და სასწავლო კომიტეტმა ქართული ორთოგრაფიული საკითხების მოსაწესრიგებლად შეადგინეს მასწავლებლებისთვის დამხმარე სახელძღვანელო „სალიტერატურო ქართულისათვის“;
4. გ. ახვლედიანის 1923 წელს შედგენილი წერილი არის ნიმუში იმისა, რომ ქართული ენის ლექსიკოლოგიური საკითხების კვლევა არ შეწყვეტილა და ენათმეცნიერები კვლავაც აგრძელებდნენ ამ მიმართულებით მუშაობას.

მასასადამე, ჩვენ მიერ მოძიებული და გაანალიზებული საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ 1920-1921 წლებში ქართული სალიტერატურო ენის ახალი ნორმების მიღებისას მეცნიერები ითვალისწინებდნენ და უპირატესობას ანიჭებდნენ ძველ მწერლობაში არსებულ, ხალხში გავრცელებულ, ქართულ კილოებში დამკვიდრებულ, არარუსულ, ქართული ენისათვის ბუნებრივ, კანონიერ და მარტივ ფორმებს. ამასთანავე, საკვლევი მასალებით დასტურდება, რომ 100 წლის წინ მეცნიერების მიერ მიღებული სალიტერატურო ენის ნორმათა ნაწილმა დროს გაუძლო და თანამედროვე ქართულში აქტიურად აგრძელებს სიცოცხლეს.

წყაროები

- სეა, უიცა, ფ. 300, ან. 4, N2, ს. N18;
 სეა, უიცა, ფ. 471, ან. 1, ს. N123;
 სეა, უიცა, ფ. 300, ან. 3, N5. 1921 წელი: 25 იანვარი, ოქმი N37;
 01 თებერვალი, ოქმი N38; 08 თებერვალი, ოქმი N39; 15 მარტი, ოქმი

N41; 22 მარტი, ოქმი N42; 29 მარტი, ოქმი N43; 05 აპრილი, ოქმი N44; 12 აპრილი, ოქმი N45; 03 ნომემბერი, ოქმი N1; 09 ნოემბერი, ოქმი N2; 24 ნოემბერი, ოქმი N4; 22 დეკემბერი, ოქმი N8;

სეა, უიცა, ფ. 300, ან. 3, N1;

სეა, უიცა, ფ. 300, ან. 3, ს. N23, სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს 1922 წლის 12 სექტემბრის სხდომის ოქმი N49;

სეა, უიცა, ფ. 300, ან. 3, ს. N70;

სეა, უიცა, ფ. 300, ან. 4, N1.

Sopiko Chaava

**For the History of the Literary Language Normalization in
1920-1921**

(According to the Archival Materials Preserved in the
National Archives of Georgia)

Summary

In 1920, an educational committee (headed by Prof. Ivane Javakhishvili) was established at the People's Commissariat for Education of Georgia, the main function of which, together with other important issues to be resolved, was the acceptance and processing of literary language norms and scientific terminology.

Since 1921, after the new political regime illegally established in Georgia by Russia, the mentioned body continued to operate on behalf of the State Scientific Council, as the chairman of which was again elected Prof. Iv. Javakhishvili.

The fund of the People's Commissariat for Education of National Archives of Georgia preserves archival materials representing the scientific activities carried out by the named structures. In particular, the principles of literary language normalization developed by professors are discussed in the minutes of the meetings of the Scientific Council, which are enclosed by relevant examples.

In 1921, the members of the mentioned body mainly developed common forms acceptable to the Georgian literary language. The minutes of the meetings of the Council describe the discussions on the selection and legalization of the correct grammatical forms to be established in the common literary language. Discussion of each issue was a difficult and time-consuming process, as scientists had acutely differing opinions, often failing to reach agreement. Nevertheless, during the named period, the Scientific Council chaired by Prof. Iv. Javakhishvili held dozens of sessions, where after acute debate and exchange of opinions, they agreed on terms to be used in the literary language from the forms common in the Georgian language and its dialects. The scientists mainly disputed the principles of acceptance of the literary language norms, which were not developed in advance, so during the work procedures the basis for selecting this or that optimal form was revealed.

From the research materials found by us, it is obvious that the work of the Scientific Council was active and fruitful during this period. The work process was led by special commissions of various fields, the materials and recommendations of which were finally reviewed and approved by the Scientific Council. Archival materials prove that part of the literary language norms adopted by scientists 100 years ago has not changed, has withstood the test of time and continues to live in modern Georgian language.

ნინელი ჭოხონელიძე

ჩიტებისა და მათი ხმიანობის ამსახველი ლექსიკა რ. ინანიშვილის ენის მიხედვით

რ. ინანიშვილის მხატვრულ პროზაში მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი ჩვენი წყალ-ჭალის ბინადარი ფრინველების, ცხოველებისა თუ რეპტილიების ხმიანობის ამსახველი ლექსიკა (ეს შეეხება როგორც სამწერლო ენიდან ცნობილ, ისე საკუთრივ დიალექტისთვის დამახასიათებელ ლექსიკურ ერთეულებს). ამ მხრივ რ. ინანიშვილის თხრობის მანერა დიდ მსგავსებას ამჟღავნებს ვაჟა-ფშაველას სტილთან. ვაჟას მსგავსად რ. ინანიშვილიც ტყის ბინადართა „თავგადასავალს ისე მოგვითხრობს, თითქოს ამბავი ჩვენს თვალწინ მიმდინარეობდეს, და მასში თითონ ჩვენ ვღებულობდეთ მონაწილეობას; თხრობის ისეთი მანერა აქვს არჩეული, რომ ნაამბობი შორიდან კი არ გვესმის, მისი წარმოდგენა კი არ გვჭირდება ჩვენ, არამედ მას პირდაპირ ვხედავთ“ [კიკნაძე 1957: 230].

ამჟამად შევეხებით მწერლის ენაში დადასტურებულ ჩიტებთან დაკავშირებულ ლექსიკას.

მწერალი თავის პროზაში მხატვრული სახის შესაქმნელად ხშირად მიმართავს ფრინველის აღმნიშვნელ ზოგად ლექსემებს, როგორებიცაა **ფრინველი, ჩიტი, ჩიტუნია, ხარტყი**.

გაოცებით აყელყელავებული **ფრინველები** (გოლ. 171, 3); ოთხი თეთრი ვეება **ფრინველი...** ისხდნენ, როგორც ბავშვის ნახატში (ალერს. 272, 22).

ბავშვები... ტყიდან მოფრენილ ფერად-ფერად **ჩიტებს** დასდევენ (შველ. 25, ქვ. 5); **ჩიტები** ერთ ამბავში იყვნენ (გოლ. 312, 17); **ჩიტები** ჭიკჭიკებდნენ მზიან წვიმაში (შორ. 110, 22); – ნუ გემინია, **ჩიტუნია**, მე კეთილი კაცი ვარ, კვერცხებს რად დაგიმტვრევ (მოთხრ. 274, ქვ. 4).

რ. ინანიშვილის – ჩვენი წყალ-ჭალის უბადლო მცოდნის – ლექსიკაში ჩვენში გავრცელებული თითქმის ყველა ჩიტის სახელწოდება დასტურდება – იქნება ეს სალიტერატურო ენისა თუ დიალექტის კუთვნილება.

მაგ.: ალკუნი, არწივი, ბერკუტი, ბედურა, ბიჭო გოგია, ბოლოცეცხლა, ბუ, ბულბული, ბულბულა, გედი, გეზელქორი, გუგული, დრუნჩა, ზარნაშო, თევდორე ჩიტები, იხვი, კაკაბი, კაჭკაჭი, კვირიონი, კოდალა, კრულა, მათიკო, მეთოვლია, მერცხალი, მიკიოტი, მოლალური, მტრედი, მწყერი, მწყერჩიტა, ნამგალა, ოფოფი, სვაგი, სკვინჩა, სტვენია, ტოროლა, ტყის ქათამი, ქორი, ღაღა, ღაჟო, ღობემძგრალა, ყანჩა, ყვაგი, ყორანი, შაშვი, შურთხი, ჩიტბატონა, ჩხართვი, ჩხიკვი, წანწყარა, წერო, წივწივა, წითელკაკაბები, წინფეფე (წიმფეფე), წიწკანა, ჭივჭავი, ჭილყვაგი, ჭინჭრაქა, ხოხობი, ჯაფარა, ჯიხვილი.

გუბებთან ლამაზი ფრინველი ალკუნი დამინახავს, ალკუნი პაწაწკინტელა ლიფსიტებით იკვებება (გოლ. 36, 22).

თეთრცხვირიანი ნატრობდა: ნეტავი ერთი დღით არწივად მაქცია, რომ მიმინოებს და ქორებს სულ ბდღვირი გავაცალოო (შორ. 221, 18).

ფანჯრის რაფაზე ორი ბედურა იჯდა, დედალი და მამალი, ისინი აკაკუნებდნენ მინაზე და ყურადღების მომლოდინე თვალებით იყურებოდნენ ოთახში (თებრ. 40, 2); დაღლილი გამომეტყველების გამხდარი ბედურა ჩინურ ვაზაში წყალს სვამს (თებრ. 72, ქვ. 6).

ბუ ...მხრებს აწვალებს, იმმუშნება (ცისფ. 67,15); ფულუროში ყვითლად აბრიალებულთვალებიანი ბუ იჯდა და მოკაუჭებული ნისკარტით მიძგნიდა თავს (შველ. 124, 15).

სადღაც სულ ახლოს ბულბული წამოიწყებს საგალობელს (ლამაზ. 102, 14); გაჩუმიდა ბულბულიც, დაბლა-დაბლა მიდიან თევზებიც (ლამაზ. 102, ქვ. 3).

მტირალა ტირიფები, გედები (შორ. 269, 5).

მერე გიორგი ძიამ თქვა, იმ ბარტყს ნამდვილად ზარნაშო წაიღებდა, იმან იცის ეგეთი რამეებიო (შველ. 88, 8).

მათიკო ცოტა პატარაა ტანად, ის კაჭკაჭი – დიდი, ყოჩალი. დაიჩხავლებს დიდი კაჭკაჭი, გატოკდება, თითქოს მხარ-ბეჭს აჩვენებს მათიკოს (შველ. 92, 6); ერთ თვეში მშვენივრად დაპეწილი კაჭკაჭი დადგა (შველ. 88, ქვ. 7); დაგოლილ ბუჩქებზე დახტოდნენ კაჭკაჭები (გოლ. 60, 3); დედა კაჭკაჭი და მამა კაჭკაჭი იფათრებოდნენ, ეშინოდათ, ბარტყებისათვის არაფერი გვენო (შველ. 87,17).

უკაკუნებდნენ ქვებს ქალები და ბაღები, აფრთხობდნენ კვირიონებს, ფუტკრებს რომ არ დარეოდნენ (თებრ. 128, ქვ.12).

უთუოდ, გვერდელა ბებერი წნორის ფულუროში რომ **კოდალა** ცხოვრობს, იმას უთვალთვალეbs, იმისი დაჭერა უნდაო (შორ. 164. ქვ. 5); ზოგჯერ მუხებზე ციყვს ან **კოდალას** დავინახავდით (შორ. 271, ქვ. 7); ბუდობენ **კოდალეbs** ღრმა და თბილ ფულუროში (მოთხრ. 30, 28).

ტალღებზე მოლივლივე **მეთოვლიეbs** შევამჩნიე (ჯაფ. 199, 16).

სკვინჩა... ჭრელი, ლამაზი ფრთებით იფართხებოდა ბოდის თავზე (შორ. 129, 11).

მერე სივსივით ამოფრინდნენ **ტყის ქათმეbs** (შორ. 277,10).

საუკუნეებით დაღლილს, გაწამებულს ხანდახან **ქორი** თუ მოებმება კენწეროზე (ლამაზ. 22,9).

ქაცვის წვერებზე თავაწეული ყარაულებივით სხედან **ლაჟოეbs** (გოლ. 232, 13).

იდუმალი **ღობემძვრალეbs** (ჯაფ. 63,4).

ერთი გაბარდლული შავი ფიჭვის ძირში, მრგვალად მოხაზულ შავ მიწაზე, მაღალფეხა თეთრი **ყანჩა** იდგა, თავი ბეჭებზე დაედო, ვარდისფერი ნისკარტი წინ წამოეშვირა და სთვლემდა (მოთხრ. 287, 21).

ყვავეbs... ღამით სულ შავად აფუყულები ისხდნენ (გოლ. 303, ქვ. 8); **ყვავი...** შეკყურებდა გვერდზე თავგადახრილი (გოლ. 313, 15).

ახლა მოწყენილობაა, შეიძლება **ყორანი** ყრანტალებდეს, საი-დანღაც ქარისაგან ატაცებული ფოთოლივით შემოფარფატებული (შორ. 291, ქვ.12).

ბიჭები **შაშვს** რომ დავინახავდით, დავღალოთო, და სადაც არ უნდა გაფრენილიყო, თან მივდევედით (სალ. 97, ქვ.8).

შურთხსაც თავის ადგილზე ეძინა (შორ. 296, ქვ.9)

ორი ლამაზი **ჩიტბატონა**, ოდნავ გაფუყულან (ასულ. 126, 19).

ჩხიკვი დაფაციცდა (ასულ. 192, 15).

(**წერომ**) თითქოს წყლიდან ამოიყურყუმალა (ჯაფ. 362, 7).

წერო... კუთხეში მიიყუნჭა (ჯაფ. 361, 21).

ერთ ზამთარს კი, **წივწივების** ხმებით აღსავსე სუსხიან დილას, ფერდობსაც მისდგნენ (სალამ 7, ქვ. 5); **წივწივები** აივნის მოაჯირზე სხდებოდნენ და შინ შეიძახოდნენ, – მწიფე, მწიფეო (თებრ. 75, 7); **წივწივები** შეკრთნენ, გაინაბნენ, მერე ისევ დაიწყეს წივწივი და ხტომა (სალ. 42, ქვ. 8); თან ძალიან ფიცხია **წივწივა**.

შეიძლება შიშიც აჩქარებს, სულ ეშინია, მთლად მშვიერი არ დავრჩე, ან არ გავცივდეო (მოთხრ. 334, 9); მოფრინდა **წიმფეფეც (წივწივა)** (ალერს. 34, 11).

კედელზე გალია ეკიდა და შიგ **ჭივჭავი** იჯდა (შორ. 107, 4).

ირეოდნენ **ჭილყავები** (გოლ. 60, 31).

გამოხტა თითქოსდა სიხარულით ათახთახებული **ჭინჭრაქაც** (შორ. 277, 1).

ხშირად სხვადასხვა სახეობის ჩიტის სახელი ერთ ფრაზაში დასტურდება და მკითხველსაც კიდევ უფრო მხატვრული, ტევადი სურათი ეხატება თვალწინ.

ჭიკჭიკებდნენ **წიწკანები, ჩიტბატონები** (შორ. 277, 1).

შეისხეს ფრთები **კაკაბმა და ხოხოზმა** და გაფრინდნენ (ლამაზ. 5, ქვ. 7).

ცოტაც, სულ ცოტაც და სადაცაა გამოჩნდებიან **ოფოფი** და **გუგულიც** (შველ. 77, ქვ. 1); – ეე!... მოფრინდით, **ოფოფო** და **გუგულო** იძახის ბაკური (შველ. 77, ქვ. 3); **გუგულები** და **მოლაღურები** მოფრინდებოდნენ, როცა ბალი შეწითლდებოდა და მინდვრის მარწყვის სურნელება დატრიალდებოდა (შორ. 154, ქვ. 7).

სადღაც **ყვავი** თუ **ჭილყვავი** კვნესოდა (სად. 98, 12).

ჯერ სადღაც **მწყერჩიტა** გაიღვიძებს, მერე **ტოროლა** აიჭრება ცაში (მეგობ. 104, ქვ. 2).

მიჩხაოდნენ, მიწრიპინებდნენ **ქედნები, კაკბები, კოდალები** (შორ. 245, 15).

სკვინჩები, ბოლოცეცხლები და **წივწივები** ჩვენ რომ წინფეფებს ვეძახით (ალერს. 32, 21).

ორლობეებში ბუდობენ **შაშვებიც, ჩხართეებიც, ბოლოცეცხლებიც** (ასულ. 85, 22).

ბელურა დაბლა დაიწევს და **სკვინჩებს** მალა გადაატარებს, **ბელურას** ძირს კი ხმელი, უძრავი ლერწმებიდან ნელ-ნელი ცურვით გამოდიან **იხვები**, შორიდან ისე ჩანან, თითქოს შავები იყვნენ. შავ ელფერს, ალბათ წყალი და ცა აძლევენ. სინამდვილეში – მამალ მამყ **იხვებს** სოსანისფრად უბრწყინავთ მკერდი, ყვითელი ფეხები აქვთ, ჭრელი, ჭრელი ფრთები (თებრ. 72, ქვ. 2).

რცხილის ბუჩქებზე მოდიან **შაშვები, ჩხიკვები** (გაწყდა მაგათი ჯიში და გასაგისი), **მწყერჩიტები, ჭინჭრაქები**, ღამლამობით კი,

სხვა ფრინველებს რომ სძინავთ, თვალეების ბრიალით დაფარვაშობენ **ხუები** და **ზარნაშოები** (შორ. 86, ქვ. 9).

მწერლის ენაში ხშირად დასტურდება ფრინველების ხმიანობის ამსახველი ხმაბაძვითი ლექსიკა. ამ სახის ერთეულების ერთი ნაწილი მარტივი გაორმაგებით მიღებული სახელებია: **კივკივი, კივილი, კრიახი, კრუტუნი, ჟღურტული, სტვენა, ყრანტალი, ჩხავილი, წრიბინი, კურკური, ჟიკჟიკი, რუკრუკი, წივწივი, ჭახჭახი, ჭიკჭიკი...**

ჩხავილით დაჰფრენდნენ, ხმელ როკებზე ქანაობდნენ **კაჭკაჭები** (შველ. 86, 12); წყლისა და ვერხვის ტოტების შხრიალს თქორში დაწიოკებული **კაჭკაჭებისა** და **ყვავების ჩხავილი** უერთდებოდა (ასულ. 114, 19).

ცაში **კრუტუნ-კრუტუნით** დალივლივებენ ულამაზესი ფრინველები – **კვირიონები**, ნისლური ბოჭირით შემოდის დარუსული, დასუქებული, დაპეწილი საქონელი (სადამ. 108, 1).

გადმოიფრენენ ზამთარში **კოდალები კივკივით** (გოლ. 223, 6); მხიარული **კივკივით** მოფრინდა მუხაზე ორი **კოდალა**, ატეხეს კაკუნნი (შველ.68, ქვ. 5).

ეს იყო **მერცხლების ჟღურტული** (შორ. 282, 1); **მერცხლებს...** დიდი **ჟიკჟიკი** აქვთ (გოლ. 216, 6).

გაოცების **კრიახით** მოგვდევენდნენ **ტოროლები** (გოლ. 148, 21).

ეს რომ თქვა, **ყვავის ჩხავილი** მოისმა (ჯაფ. 150,17); **ყვავებმა** ერთობლივი **ჩხავილი** ატეხეს (ჯაფ. 251, 16); ჯერ ხომ იფრინეს და იშავდღევს **ყვავებმა**, დედალმაც და მამალმაც, ყურთასმენა აღარ იყო იმათი **ჩხავილისაგან**, მერე დასხდნენ სულ მაღლა მხრებში თავჩარგულები, ცას შეჩერებულები, გაქვავებულებივით და იქ დააღამდათ ეგრევე (კეთ. 10, 10); დაღამებამდე ისმის **ყვავების ყრანტალი** (ასულ.157, 1).

დაბურულებიდან გვესმოდა **შაშვების კუთვა, ჩხართების წრიბინი** (თებრ. 38, 11).

სადამო ხანზე **შაშვი** დაიწყებს **გალობას** (შორ. 47, ქვ.1); **ჭახჭახით** გადადიან ბუწკნარიდან ბუწკნარში საზამთროდ დასუქებული, ფერდაპეწილი, ყვითელნისკარტა **შაშვები** (სალ. 93, 10).

პირველად **შურთხი** აფრატუნდა და **სტვენა** დაიწყო (შორ. 296, 8).

ჩიტბატონა... ფრთხილითა და **რიკრიკით** გადაფრინდა მოშორებით მდგარ სხვა ნარზე (სალ. 97, 15).

წრიპინით, ჯიჯღინით გადაიფრინა **ჩხართევის** გუნდმა, თითქოსდა შეწუხებული **კუთავდა** მაცვლიანში **შაშვი** (შორ. 62, ქვ.13); ვენახების თავში გულაბების ფითრიან ტოტებს ფათქაფუთ-ქით და **წრიპინით** ესევიან **ჩხართევი** (საღ. 92, 5).

დასტურდება ჩიტების ხმიანობასთან დაკავშირებული (ძირითადად) ხმაბაძვითი ზმნური ფორმებიც: **აფღურტულდება, დაუ-ჟიფიფებს, მოჰვივის, წიფწიფებს, უჩხავის, დაჩხავლებს, კუთავს, კრუტუნებს, მირიკრიკებს, მორიკრიკებს, ჟიკჟიკებს, დაკრიახებს, ჭუკჭუკობს, ჟიფიფებს, ღულუნებს, აკვიტკვიტდება, ჭყრიალებს, აწრიპინდება, დაჰყრანტალებს.**

აძრახდებიან ფრინველები (ჯაფ. 369, 23).

მხიარულად **აფღურტულდებიან** გუნებაგამაღლებული **ბელურებიც** (შორ. 47, 20); **ბელურებმა** უკმაყოფილოდ **დაუჟიფიფებს** (ალერს. 34, 11).

ბიჭოგოგიები... შიკრიკებივით **მირიკრიკებდნენ** და **მორიკრიკებდნენ** (ალერს. 309, 21).

(**კაჭკაჭი** მურას) დაუჯდებოდა ახლა ცოტა მოშორებით და იქიდან **უჩხაოდა** და ასისხიანებდა (შველ. 90, 2); **მათიკოსაც** უხაროდა, **აფათქუნებდა** ფრთებს, იქნევდა აქეთ-იქით გრძელ ბოლოს და **ჩხაოდა** (შველ. 89, ქვ. 6); ერთი დიდი ქაცვიდან შემფოთებით **დაგვჩხავლა კაჭკაჭმა** (შველ. 86, ქვ. 5).

ხეებზე **ყვავები** აფათქუნდნენ, **აჩხავდნენ** (გოლ. 279, 9).

მოფრინავდნენ გამჭვირვალე ჰაერში ლამაზი **კვირიონები**, დასტრიალებდნენ სოფელს და **კუთავდნენ** ნებიერად (თებრ. 128, ქვ.14); **კვირიონები მოკრუტუნებენ** მიწისკენ თვალეზდაცეცებულნი (გოლ.217, 2).

წყნარად **კრუტუნებენ კრუალები** (ალერს. 85, 1).

მერცხალი იჯდა და **ჟიკჟიკებდა** (გოლ. 370, 6); **იჟიკჟიკე! იჟიკჟიკე!** – **მერცხალმა** თავი დაყურადებით გადასწია გვერდზე (გოლ. 370, 16).

იმახდნენ მოლაღურები და **ჟიფიფებდნენ** წვრილ-წვრილი **ჩიტები** (მეგობ. 87, ქვ. 4).

აჰყვა **მიკიოტიც, მოჰვიოდა** ხელმარცხნივ, შეფერდოებულ ტყე-ტყე (გოლ 41, 11).

მტრედი ამაყად მიდი-მოდოდა თუნუქის სახურავზე და ხანდახან **ღულუნებდა** (ჯაფ. 107, 13).

ყანებში **მწყერები ჭუკჭუკობდნენ** (მეგობ. 10, 1).

კუნელის კენწეროზე **მწყერჩიტა** იჯდა და მაღლიდან **დაგვგალობდა** ყველას (შველ. 64, 5).

მოუხნავ ადგილებში, ძემძებზე **ჭყრიალებდნენ მწყერჩიტები** (შველ. 12, 14); **მწყერჩიტები** გაგრძელებით **ჭყრიალებდნენ** (გოლ. 373, ქვ. 2).

ამღერდა მწყერჩიტა, აკვიტკვიტდა მწყერი (მეგობ. 147, 10).

დაგვგრიახებდნენ ცაში ასული **ტოროლები** (შველ. 12,14).

ყვავები ძილში **ამოიხრინწებენ** უკმაყოფილოდ (ასულ. 158, 19).

ყვავები... დაჰფრენენ, დაჰყრანტალებენ, დაჰკაპასობენ თავზე (ასულ. 157, ქვ. 5).

ყვავები... შეეყრანტალებენ და შეეფარფატებიან ერთმანეთს (ასულ. 158, 10).

მიჩხაოდნენ, მიწრიპინებდნენ ქედნები, კაკბები, კოდალები (შორ. 245, 15).

აწრიპინდება ღობემძვრალა (ლამაზ. 140, 3).

გარეთაც ჩამოხნელება დაიწყო: ხუთი-ათი წუთის განმავლობაში მხოლოდ ერთმა **შაშვიმალა დაიწრიპინა** (ჯაფ. 274, 11).

წამოჯდება მაღალი კაკლის კენწეროზე **შაშვი... მშვიდად, ოცნებაში წასულივით და გალობს და გალობს** (შორ. 48, 1).

თითქოსდა შეწუხებული **კუთავდა** მაცვლიანში **შაშვი** (შორ. 62, 23).

შაშვს... კიდევ და კიდევ დაგუჰახჰახე (ჯაფ. 170, 17).

შურთხივ გამოფრინდა, თოვლზე დაჯდა, ქარი აქანავებდა და სუსტად ნაწყვეტ-ნაწყვეტად **სტვენდა** (შორ. 294, ქვ.3).

ჩიტბატონები... კურკურებენ, ერუკრუკებიან ერთმანეთს (ასულ. 126, 22).

მოფრინდა ღობესთან ორი **წივწივაც... კვირტებს ათვალიერებდნენ, რაღაცას ეძებდნენ, წივწივებდნენ** (სად. 42, 7).

ჭიკჭიკებდნენ წიწკანები, ჩიტბატონები (შორ. 277, 1).

გამოხტა **ჭინჭრაქა**, შეჯდა ასკილის ხმელ ტოტზე და, თითქოს თავს ძლივს იკავებსო, წავარდა წინ და გადმოვარდა უკან, წავარდა წინ და გადმოქანდა უკან. თან დიდ ამბავში იყო, ფრთებს ათახთახებდა და **წრიპინებდა** (სალამ. 42, 5).

დამჩხავლებს ჯაფარა (ასულ. 159, 22).

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ხმიანობის აღმნიშვნელ სიტყვებს მწერალი ჩიტების ეპითეტებად მოიხმობს.

...შემდეგ **ჟიკჟიკა მერცხლები და წივილა ნამგალები** გამოჩნდნენ (მეგობ. 147, 1).

მაღლა კალისფერი ციდან გამოვიდნენ **კრუტუნა კვირიონები** (ალერს. 158, 14).

მწერალს, როგორც „ბუნების მესაიდუმლეს“, გამახვილებული აქვს „სმენითი შეგრძნებები“, ამიტომაც მის პოეტურ ენაში ხშირად გვხვდება ჩიტების მიერ გამოცემული ხმის ამსახველი (ხმაბაძვი-თი) სიტყვები:

მოფრინდება **ბოლოცეცხლა** შინდზე, – **წრიიპ! წრიიპ!** – თავ-თახებს ფრთების განზე გაწევით (გოლ. 161, 27).

ორი **ბუ...** თავიანთ უბედობაზე ბუზღუნებდნენ: – **შუ-ბუ! შუ-ბუ! ბუ! ბუ!** – რაღა ჩვენი სიცოცხლე, რისთვისღა ვარსებობთ ქვეყანაზეო (შველ. 71, 4) .

ფრი-ფრი-ფრი! – გამფრა პაწაწინა ჩიტუნია **ბულბულა**, ჰო, ჰო, ბულბული კი არა, ბულბულა, გადაფრინდა სხვა ბუჩქზე და იქედან ყელყელაობს (კეთ. 330, 6).

ნარზედ **ჩიტბატონები** ისხდნენ, გულმოდგინედ კენკავდნენ რაღაცებს და თან: **ჩიკირ! ჩიკირ! ჩიკირ!** (გოლ. 161, 27).

მურა ჯაჭვით იყო დაბმული. სალაფავს რომ გაუკეთებდნენ, მიუფრინდებოდა **მათიკო (კაჭკაჭი)**, დაუჯდებოდა წინ და, – **ჩხი! და ჩხი!** – აბრაზებდა მურას (შველ. 89, ქვ. 4).

კივ-კივ-კივ! – გამოფრინდა იქიდან **კოდალა** და ცეცხლმოკიდებულ **კუდბაწარასავით** გადაუვლის ხეების კენწეროებს (წვეთ. 4, 10).

დროგამოშვებით იმახდნენ თვით **მწყრებიც** – **ქვიტ-კირო! ქვიტ-კირო! ღ! ღ! ღ!** (შველ. 112, 14).

ბულულებში მიძვრებიან. **სკვინჩა** ჩიტები ღობეზე სხედან და ნაღვლიანად იმახიან: – **სკვინჩ! სკვინჩ!** (მეგობ. 115, ქვ. 10).

ამრახდება ცოტა ხნით ჩაყუჩებული **ღაღღა**, – **ღაკ! ღაკ! ღაკ!** (ჯაფ. 363, 4).

წამოვიდა (**წერო**) ჩა, დაიგრძელა კისერი, დაიგრძელა და – **ჩხინკ!** – მინის კედელს, – **ჩხინკ! ჩხინკ!** – ხან აქედან ურტყამს ნისკარტს, ხან იქიდან, თევზების დაჭერა უნდა (მოთხრ. 289, 19).

მწერალი ფრინველთა დასახელებისას მიმართავს ხალხურ სახელდებასაც.

მართალია, ეს ნამდვილი **სვავები** არიან, მურდალი, მყრალი სვავები, მაგრამ არწივები.. არწივის დაჭერა როგორ იქნება, ბაღლო! ეგენი, რასაც თქვენ არწივებს ეძახით, **თაგვიჭამია პერებიაო** (ლამაზ. 75, ქვ. 3).

შუადღისათვის კი მოფრინდნენ ჩვენი ეზო-ბაღებისთვის უცხო დაბუა ჩიტები – **სტვენები**, რომლებსაც ჩვენთან ზოგი **დრუნჩებს** ეძახის, ზოგიც **მეთოვლიე ჩიტებს** (კეთ. 229, 13).

მდრ. ზოგი როგორ ეძახდა, ზოგი როგორ: **ყან-ყან! ჩა-ჩა!** – **წერ-წერო**, და ვინ იცის, როგორ აღარა. მამა რომ მოვიდა, სახელის დარქმევაში ის მოგვეხმარა. ჩვენ კარგი ვერაფერი მოვიფიქრეთ. დედამ თქვა, თეთრა დავარქვათო, მაგრამ „თეთრა“ ძნელი დასამახებელია. მამამ გვირჩია: უბრალოდ, ყანჩას „ყან“ ჩამოაცილეთ და მშვენიერი სახელი „ჩა“ დაგრჩებათო (მოთხრ. 288 ქვ. 3).

რ. ინანიშვილი ფრინველთა დასახელებისას მიმართავს სინონიმურ წყვილებსაც:

ზოგი ადარებდა მტაცებელ ფრინველსაც – **ბერკუტს, შავ ქორს** (გოლ. 295,16).

ხანდახან, ჩვენს გასახარად, დაგვენახვებოდნენ კიდეც ის შამპვები და ჩხართვები დაგვენახვებოდნენ, აგრეთვე სკვინჩები, ბოლოცეცხლები და **წივწივები** – ჩვენ რომ **წინფეფებს** ვეძახით (თებრ. 38, 13).

წითელკაკბებს სკვინჩებს ეძახდა, ჩამოჰყრიდა თოვლს (საღლა ახლა ისეთი თოვლი?!), მოფრინდებოდნენ ის წითელკაკბები, გუნდ-გუნდად გადადიოდნენ საარყედან საარყეზე (საღ. 10, 12).

მოფრინდა **წიმფეფე (წივწივა)**, ბელურებმა უკმაყოფილოდ დაუჟიჯივეს, **წიმფეფე** აფრინდა, მაგრამ ფანჯრის რაფაზე დაჯდა და სასწრაფოდ გადაყლაპა რამდენიმე ნამცეცი (თებრ. 40, 17).

მწერალი ხშირად ხალხური დაკვირვებითაც (როგორც ერთერთი მხატვრული ხერხით) ამდიდრებს ფრინველებთან დაკავშირებული ქცევების ამსახველ ეპიზოდებს:

ეს ყვავები და ჯაფარები ტყუილად არ მოფრინავდნენ ბარისკენ. პეწინაც ტყუილად არ ისვამს თათს მარცხენა ყურზე. თოვლი მოგვივა, შვილებო, თოვლი (შორ. 46, 14).

მერე პირის დაბანაც და... ველარც **ოფოფი** დაგმრახავს, ველარც **გუზული** (შველ. 75, ქვ. 2).

დაიწყებენ **წიწვივები** ძახილს – **მწიფე, მწიფეო!** გადმოფრენს მწვანე **კოდალა** კივივით – **დარი, დარიო** (შორ. 47, 16).

მერე გიორგი ძიამ თქვა, იმ ბარტყს ნამდვილად **ზარნაშო** წაიღებდა, იმან იცის ეგეთი რამეებიო (შველ. 88, 8).

ნაძვის ქვეშ, სველ მიწაზე, ლამაზი ჭრელი **სკვინჩა** იჯდა და პურის ნატებს მიძგნიდა, გოგონამ შემამჩნია, მეც რომ **სკვინჩას** ვუყურებდი და მითხრა: – ცალფეხაა. – როგორ, ცალფეხა?! – ცალი ფეხი არა აქვს. მე გამეღიმა. – არა, პატარავ, **სკვინჩას** სცივა, ფეხები აძრება და ხან ერთი ფეხით დგება მიწაზე, ხან მეორით (შველ. 3, ქვ. 10).

აღსანიშნავია, რომ ჩიტების სახელები მწერლის პროზის ხატოვანების ერთ-ერთი წყაროა:

ჩიტის გულიც არ მოითმენს (მეგობ. 112, 10).

ფრინველის კლანჭებივით ხმელი და ჩამუქებული ხელებით აქეთ-იქიდან ჩაჰფრენიან ცხენის ქართული ნალისოდენა დამბალ ტყავს და ქანაობენ (ალერს. 295, 18).

ბუდეში **მოფუტფუტე ბარტყებივით** უთრთოდა კუნთები (გოლ. 281, 3).

გაგიხვევთ, **გგრიტებო** (გოლ. 358, 13).

მწერალი ადამიანთა დახასიათებისას (შესადარებელ ობიექტად) ხშირად მიმართავს ვით-თანდებულის ფრინველთა სახელებს:

მიმინოსავით წაგვერდებული მიაჭენებდა ძალიან დავმძიმდი, კაცოო მაინც **ძერასავით** მოექცეოდა კაკალს კენწეროზე (ალერს. 196, 20); ხოლო თუ ოთხკედელშუა დაიხელთეს, ყურებს გამოუჭედავენ გასაწვრთნელი **მიმინოებივით** (ცისფ. 183, 14); პაპა გიორგიმ თქვა: – ეეჰო, **მიმინოსავით** ბიჭი იყოო (შველ. 54, 9).

დედაბერი... იჯდა აბუზული **ყორანივით** (ცისფ. 235, 2)

თეთრულვაშა მოხუცი – მოკუზული, ძვალ-ტყავი, **წანწყარასავით** თავაწეული (ალერს. 186, 15); **წანწყარასავით** დაქანქალებდა,

რომ მოვიყვანეთ, ეხლა თითო ფუთი არტალა აუვა თითო ფეხზედა (ალერს. 515, 20).

ამ „ყვავს“, მართლა **ყვავივით** შავ, მხრებწამოწეულ, ყრანტალა კაცს, ნამდვილი სახელი ისაკა ერქვა (ასულ. 149, 12); წევს თინა გულალმა და აფუყული **ყვავებვით** შემოსხდომიან აქეთ-იქიდან დედა და დები (ჯაფ. 153, ქვ. 3).

აი, ასე ქნა იმ შენმა **მოლალურივით** ბერიკაცმაო (ალერს. 219, 5).

გეზელქორივით მოსდიოდი (ასულ. 194, ქვ. 2).

ქალს უნდა უფრთხილდე, შვილო, **ბოლოქანქალასავით** მოსი-არულე ქალს (გოლ . 287, 27).

მწერლის თვალით დანახული ჩიტები გასულიერებულია, ისინი მოქმედებენ, განიცდიან ისევე, როგორც ადამიანები: მაგრამ ყველაზე საოცარი და შიშის ჟრუანტელის მომგვრელი მაინც **თევდორე ჩიტები** იყვნენ – საქონელი რომ დაკარგეს პატარა და-მამა, შინ რომ ვეღარ დაბრუნდნენ დედინაცვლის შიშით და ტყის ღმერთმა ჩიტებად აქცია. ცხოვრობენ ახლა ხის ფულუროებში, მტრედზე ცოტა დიდები, სანახევროდ ტიტვლები, თახთახებენ შიშისა და სიცივისაგან და დროგამოშვებით ხმის კანკალით გასძახიან ერთმანერთს: „თევდორე, იპოვნე? ვერა, ვერაო“, – ამოუჯდებათ გული და აქვითინდებიან პირქვეჩამხოზილი ყმაწვილებივით თან თვალები ჰქონიათ, – იოსებას თვითონა ჰყავდა ნანახი, – „ჩვენ პატარა გოგოს რო აქ“, – სუ საცოდავი ცრემლით სავსე! (ლამაზ. 12 ქვ.4).

მწერალი ტყის ბინადართა იდუმალი ცხოვრების აღწერით ვაჟას გზის გამგრძელებლად გვევლინება.

ლიტერატურა

გვანცელაძე 2009 – გ. გვანცელაძე, ადამიანი და ცხოველები (ცხოველებთან დაკავშირებული ლექსიკის პრაგმატული ლექსიკონი), თბილისი.

კიკნაძე 1957 – გრ. კიკნაძე, მეტყველების სტილის საკითხები, თბილისი.

კომორიძე 2005 – ე. კომორიძე, მწერლის ენისა და სტილის საკითხები, თბილისი.

წყაროები

- ალერს.** – ალერსი შიშიანობის დროს, თბ., 1986.
ასულ. – მთვარის ასული, თბ., 1987.
გოლ. – პატარა ბიჭი გოლგოთაზე, თბ., 1989.
თებრ. – თებრო, თბ., 1983.
ლამაზ. – ლამაზი ცრემლები თბ., 2005.
მეგობ. – მეგობრისადმი მინაწერი წერილებიდან, თბ., 1958.
მოთხრ. – მოთხრობები, ე. კომორიძის შედგენილი ლექსიკონითურთ, თბ., 2007.
სად. – სადამო ხანის ჩანაწერები, თბ., 1973.
შველ. – შველი ზამთარში, თბ., 1986.
შორ. – შორი თეთრი მწვერვალი, თბ., 1976.
ცისფ. – ცისფერი გორგალი, თბ., 1968.
ჩიტ. – ჩიტების გამომზამთრებელი, თბ., 1978.
წვეთ. – წვეთები ფოთლებზე თბ., 1962.
ჯაფ. – ბარისკენ მოფრინავს ჯაფარა, თბ., 1974.

Nineli Chokhanelidze

Vocabulary Related to Birds and the Sounds They Make Based on R. Inanishvili's Language

Summary

The paper presents the material related to different species of birds that is attested in Inanishvili's prose and is known from the literary language, as well as dialectal vocabulary (62 lexical units), e.g. *akḡuni*,

arçivi, berğuți, beyura, biçogogia, bolocecsla, bu, bulbuli, bulbula, gedi, gezelkori, guguli, drunča, tevdore čițebi, zarnašo, etc.

We present: 1. Words denoting the birdsong and the sounds they make; 2. Synonymous pairs of bird names; 3. Folk observations related to the behavior of certain birds; 4. The names of birds that contain the postposition *vıt* and that are used to describe the characters – as a source of imagery typical of the writer's prose.